

ახეული

ლიტერატურული ჟურნალი

N1, 2022




მხატვარი — იუზო (ეპიციანე) ალაია
2008 წლის აგვისტო



მის სმოვნას
ოჩი ქვეყანა
ინახავს



ვიჩინა ველდი
ფიქარი
მშინობაზე
საქაიო
თავდასხმის
ეიოს



მუსკავა იაქოთი
(გუსამ სიმშაშვილი)
ჯადუნ თანაიი
და საქაითვილი



თემუხი
ჯაგოდნიშვილი
ლიტერატურული
ქონაქისი და
სიბილი სამი
მოთხილობისა



ანალი

№1. (№34) აპრილი. 2022

ლიტერატურული ფენიანი

ბიჭა მუჭი აბ ღუმან!

ჯაბა ლაბანი მაპატიეთ!	3
მხინ ხათაბანი დევი	4
დანი მახიშვილი ძე შეცდომილი	4
ბეგონია	
თამაზ ჯაბონიშვილი ლიტერატურული კონკურსი და ხიბლი სამი მოთხრობისა	5
დავით გუბაშვილი – 317	
თამაზ ბაბოძა მის ხსოვნას ორი ქვეყანა ინახავს	8
ერთი ლექსი თამაზ ჩანაბაშვილი თამარს	9
თაბაგანი	
ანასორ მინორი „საქართველოს“, „მირგოროდის შემოდგომა“	10
ვიქინია ვაძი ფიქრები მშვიდობაზე საპაერო თავდასხმის დროს	11
პეტრია	
ნიკა ნინა სახახაძე	13
თორნიკა ლვინიაშვილი	15
პეტრია დევი ვაჟა ოთახაშვილი და ენა ჯანსაძე	16
სოფო ლომი	18
რეზინა და ილია ძვირფასი განძი	20
პეტრია სანი ლომი	21
წიტილი	
ბიჭი შიხაშვილი ასე იწერება ისტორია, თარგმნა ზურაბ რატიანი	22
„ანდრეის“ სტუდია ინტერვიუ მაგული გორდელაძესთან	30
პეტრია	
დანი ჯიბაძე წადი, რომ დარჩე	32
ეკატერინა ფანაშვილი ქალბნელი	34
დემეტრე ანი ბონაშვილი	43
პეტრია	
თორნიკა ჯანაძე	44
მანი ზღაძე	46
ლიტერატურული წიტილი	
ნიკა ჯიბაშვილი ახლად აღმოჩენილი „ნათლულების ქვეყანა“	48
პეტრია ნათაძე ელიშვილი	49
მოსხმა ჩხიძე ხელიხელსაგომანებლად (გამოთხოვებად თამაზ ნატროშვილთან).....	50
ჩვენდემტე	
მესტაფა ნათაძე (ბუჩაქ ბიშვილი) ჰალდუნ თანერი და საქართველო	51
კულტურა – სიღვიძი...	
თამაზ შიშაძეშვილი ინტერვიუ ნანა შალამბერიძესთან	54
გლაპტის დიდი ანასტასია ჰინოლაო ტასუნა და ასტრიდ ლინდგრენი	55
ერთი წაბწილის იტგული ბონეო ჯიბაძე მარიტა	62
პეტრია ფინი ჩხიძე	63
ბიჭი ნახიშვილი ნოველები	64
პეტრია მან ივანისი	65
სოფო ბაშაძე	67
ლიტერატურული წიტილი დანი ჯიბაშვილი ზეკას ნისლად გაყოლილი სათქმელი	69
სამი ნთვლა მანი ენაშვილი	70
პეტრია	
თამაზ შიშაძეშვილი	72
ბაქი სანაძე	72

ISSN 1987-9717

ენციკლედ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანელი“

ენციკლედ „ანელი“ ახსებელი
ლიტერატურული გაერთიანება:

რეზო (მემლიანი) ალაგია
ნინო არსენაშვილი
რეზაზ ბალანჩივაძე
თამარ ბაბროშვილი
თამარ მიქაძე
თენგიზ უთმელიძე
ლელია ქიტოშვილი –
სახლთს უცხოშვილი
თემურ ჩალაბაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხიკვიშვილი
ჯუბა ღებელი
თამაზ ხმალაძე
თემურ ჯაბოღნიშვილი
ივანე ჯაფარიძე

მთავარი რედაქტორი

თამარ შაიშვილი

ლოგოს ავტორი

ბიოგრაფიული რედაქტორი

გაზეთის პირველი გვერდი: რეზო (მემლიანი) ალაგია ნამუშევარი – „ენციკლედის ბიბლიოგრაფია ავტორთა
სახელთა დასახელები“, 2008 წლის აგვისტო.

გაზეთის ბოლო გვერდი: თინო ჟღერის ნამუშევარი

ხელახლის ტელეფონი: 551 00 50 58

ენციკლედის ინტერნეტ-გვერდი: aneuli@mail.ru; aneuli.inanishvili@gmail.com

ენციკლედში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი. გამოსაქვეყნებელი სტატიის
მოცულობა ან უნდა აღემატებოდეს 5 ნაბეჭდ გვერდს

ენციკლედის დაბეჭდილია სოციალური თემატიკის სახელით, შშმ პირების მონაწილეობით

ჯუბა ლეხელი



მ ა პ ა ტ ი ე თ!..

„რა უცნაურია, გაიღვიძო საშინელ სიცარიელეში!..
 რა უჩვეულოა, დაიწყო დილა უშენოდ!..
 რა მძიმეა, გაიარო ასეთი გრძელი, რთული გზა და გზის ბოლოს ახალი გაუცნობიერებელი მარაზ-
 მის დასაწყისში აღმოჩნდე!..
 რა სამწუხაროა, დაუტოვო ბავშვებს ასეთი სამყარო!..
 რა უსამართლოა, გესმოდეს, რომ შენ ამ სამყაროს ნაწილი ხარ – დაუშვი, ესე იგი, დაიმსახურე!..
 რა უღირსობაა, რა სირცხვილია, იყო ნაწილი ამ ბოროტებისა, რომელსაც არა აქვს უფლება
 არსებობის“!..

ბაიანო

მაპატიეთ, ბავშვებო, რომლებიც ახლა
 კატაკომბებში ემალებით ბოროტების მანქანას და
 ცრემლიანი თვალებით შეჰყურებთ ცივ კედლებს!..
 მაპატიეთ, სარდაფებში დამალულო დედებო,
 რომლებსაც ჩვილი ბავშვები გყავთ ცივ მკერდზე
 მიხუტებული და ვერც ათბობთ და ვერც
 არწყულებთ!..
 მაპატიეთ, იძულებით იარაღსხმულო მამებო,
 რომლებიც თავს სწირავთ, მაგრამ ვერაფერს
 შევლით სამშობლოს და სიკვდილისთვის განწირულ
 ოჯახებს!..
 მაპატიეთ, შვილებო, რომლებიც ცივილურ
 სამყაროში ყველაზე დიდი უგუნურების
 მსხვერპლად იქეცით!..
 მაპატიეთ, მშობლებო, რომლებმაც ადამიანებად
 გაგვზარდეთ და ეს თქვენ მიერ ნალოლიავეები
 სხეული ბოროტების მანქანად ვაქციეთ!..
 მაპატიე შენც, ვინც ამ ბოროტების სათავეში ხარ,
 რომ ლუსციფერმა შენდა უნებურად დაგსვა ამ
 სიკვდილის მესაჯედ!..
 მაპატიე, უფალო, რომ მე, ნაწილმა ყოველივე
 ბოროტებისა, კვლისა, ძარცვისა, ვერ გავითავისე
 ვერც ერთი მცნება და ჩემივე ცოდვებმა მაქციეს
 ერთ-ერთ იარაღად ამ საშინელებისა!..
 მაპატიეთ, წინაპრებო, რომელთაც ადრე თუ გვიან

პირშერცხვნილნი მოგივალთ და ვერაფერს
 გეტყვით!..
 მაპატიეთ, ბჭენო ჯოჯოხეთისანო, რომ მრავალთა
 ჩემთა და ჩემნაირთა გამოისობით კიდევ დიდხანს
 უნდა ეხვიოთ ცეცხლის ალში!..
 დიდ არს ღმერთი და მცირედ მორწმუნენი!..
 ნეტავ, შეგვაყვარა ყველას ერთმანეთი, რა
 მშვენიერი იქნებოდა სამყარო, რა ბედნიერი
 იქნებოდა ადამიანი!..
 მაპატიეთ, რომ ვერ შევძელი იმ ტვირთის ტარება,
 რომელიც მსუბუქი და ღვთის ტაძრისკენ მავალი
 იყო!..
 მაპატიეთ, რომ მე ამ ბოროტების იმპერიის ნაწილი
 ვარ!..
 მაპატიე, ძვირფასო, რომელიც მზეს შეგადარე,
 ყვაილთა ია-გუნდები დაგვიწანი, ცივი
 ხელისგულები სუნთქვით გაგითბე, სიყვარული
 შემოგფიცე, კეთილ რაინდად მოგაჩვენე თავი და
 მკვლელი აღმოჩნდი!..
 მაპატიე, დედამიწავ, რომ გაბიჯებ და შენს
 ღორთქო ბალახს სისხლიანი ფეხებით ვთქერ!..
 მაპატიეთ, მთებს ოხშივრად აღენილო ნისლეო,
 ტყვიის კვამლში რომ გილამბავთ კრიალა ფრთებს!..
 მაპატიე, ჩემო უმანკოდ შობილო და წითელ მხეცზე
 ამხედრებულო, მკვლარო ცხედარო!..

მზინ ხეთაბუხი



დევი

ჩემო უკრაინავ, უხსოვარ დროიდან
 იმ „დიდი“ რუსეთის იყავი საყრდენი!
 ახლა კი აღარ გცნობს და მტრად მოგეკიდა –
 ბომბების გრიალში მოთქვამენ საყდრები!
 ჩემო უკრაინავ, ერს ეამაყება,
 უშიშრად რომ ებრძვი უხამს მოძალადეს,
 მაგრამ ღმერთმა იცის, რომ მკვდრეთით აღსდგება
 ძმადწოდებულებმა ვისაც უღალატეს!
 ჩემო უკრაინავ, – ზღვაო მოლივლივევ,
 სურამის ციხესთან სტკიოდი ლესიას!
 ბრძოლები დუშმანთან ჯერ ვერ მოილიე
 და ძველი ხანჯლები ხმლით აგილესია!
 ხარხარებს სატანა, სისხლი სდის ფიალებს,
 მსოფლიოს წინაშე გვაძებზე სეირნობს!
 ძალა მოვიკრიბოთ, დროშა ვაფრიალოთ,
 რომ ტარას შევჩენკოს სულმაც იხეიშოს!

რუსეთს კავკასიის დაპყრობა სწყურია,
 თან სურს, ზღვით შეავსოს რუები თავისი!
 ეს ყველამ გაიგო, ვისაც კი ყური აქვს,
 მაგრამ ევროპაში ბომბის ხმა არ ისმის!
 ჩემო უკრაინავ, ჩვილ ბავშვთა ხმებია,
 ზეცად რომ აფრინდნენ ნეტართა ლოცვებით...
 საფლავნი მიწაზე ამოიყრებიან,
 ვით მკერდზე რძეგამშრალ დედათა ბორცვები!
 შეწყდება გრიალი, აპრილი დადგება,
 კვლავ ძველი დიდების მზით შეიმოსები
 და მთელ მსოფლიოში ცად აღიმართება
 ის მამხილებელი სირცხვილის ბოძები!
 თუმც ვერ შევურაცხყოფთ ამ მწარე რუტინით
 პუშკინ-ესენინი გვიყვარდა ვისაც კი!
 ზეციდან აგინებს ვლადიმერ პუტინებს
 ჩვეულ ბობოქრობით, ვლადიმერ ვისოცკი!
 მაგრამ რომც აგინო, ამით რა გამოვა? –
 რუსეთის „სერპ – მოლოტს“ კვლავ გასდის
 პრიალი! –

ერთ თავს თუ მოაჭრი, მეორე ამოვა
 ამ პუტინ-პუტინთან მსგავს-მსგავსთა სრიალით!
 რუსეთ-იმპერია ბოლმის ვულკანია,
 დევი რა დევია, თუ დათმო დევობა!
 ჩემო საქართველოვ, ჩემო უკრაინავ,
 დევს ვერ დაგიმარცხებს ვერც ნატო-ევროპა!
 მაგრამ არ დაუნებდეთ, მაგრამ არ მივწყნარდეთ,
 გულიდან სამშობლო რომ არ ამოგვიჭრან...
 გვიყვარდეს ღმერთი და მოყვასი გვიყვარდეს,
 დევი კი იმ თავებს, თავად ამოიჭამს!



ღანი მახიშვილი



ბე შეცლომილი

სული ტკივილით რატომ მწუხარობს,
 სიცოცხლე მზეა
 მბრწყინავი ქვეყნად,
 ურწყავ მიწაზე ეკალი ხარობს,
 უსიყვარულოდ
 ვიქცევით ფერფლად!
 უფსკრულს აწყდება
 პლანეტის კიდე,
 გონდაკარგული
 მამონას ყინით,
 რამდენჯერ უნდა
 ვითმინოთ კიდევ

კენის მოდგმა – ბე შეცლომილი.
 დამფრთხალ ფრთოსნებს კი
 კვლავ უნდათ შეველა,
 გვანსოვს გადავლილ
 დღეთა ზმანება,
 ლურჯი – ყვითელი
 ფერები ელავს
 სამყაროს თავზე,
 რეკენ ზარებად!
 შემოეძარცვა სამოსი სოსანს,
 სიცოცხლეს ისეც
 ცდის ბედისწერა,
 რატომ სურს სხვისი
 ედემის მოსრა,
 და მერამდენედ...
 მონლოლურ რემას!
 უფალო! ვიცი,
 შენ მეტად გიჭირს,
 გლოცავ, გადიდებ,
 გამჩენს ვუგალობ,
 ბე შეცლომილის
 რად არ გდევს იჭვი,
 როცა ჯვარს გესახავ,
 მაშინ, უფალო!



ლიტერატურული კონკურსი და ხიბლი სამი მოთხრობისა

რევაზ ინანიშვილი ჭეშმარიტად ხალხური მწერალია. მისი გამორჩეულობა და სიდიადე არა მარტო ჩვენი ეროვნული სინამდვილის ქართულად ხედვასა და აღქმასა, არამედ მის ხალხური ენით გადმოცემულ თხრობაშიც. ამ თხრობაში, ცხადია, მხოლოდ ხალხური ლექსიკა-ფრაზეოლოგიის გამოყენება არ იგულისხმება. მისთვის ხალხურია მხატვრული აზროვნების პროცესულური ასპექტებიც, ტროპული მეტყველების ელემენტებიც, სახე-სატყბიც. ამიტომაც გვეუფლება იმის განცდა, რომ რ. ინანიშვილის ნაწერებში ამბავს უფრო ხალხური მთქმელი გვიამბობს... ამ განცდას აძლიერებს სწორედ სინამდვილის ასახვის ხალხური ტრადიციების ინდივიდუალური ენობრივ-სამეტყველო რეგისტრები, რასაც თხრობა ჰქვია. სწორედ თხრობის ხალხური მანერით ჩამოჰგავს რ. ინანიშვილი ფოლკლორის სამყაროს ბინადარ მაგს, რომელიც ყველასათვის ნაცნობი სინამდვილის რეალიებს თავის სახელებს არქმევს და მკითხველს მათთან განუყოფლობას შეაგრძობინებს. ამაშია მისი მწერლური ძალმოსილება. მისი სახელობის ლიტერატურული კონკურსის სასაფუძვლო პრინციპიც მხატვრული თხრობის ნიჭი, ამბის გადმოცემის ტრადიციების გათავისების რეგისტრებია.

მწერლობის ამ ბუნებრივი მახასიათებლების მნიშვნელობა (რაც მთავარია, ხიბლი) კიდევ უფრო გამოკვეთა ჩვენმა თანამედროვეობამ, თავისი ინფორმაციულობითა და ინფორმირებულობის უმაღლეს ფასეულობად გამოცხადებით. დროის უმცირეს მონაკვეთში ინფორმაციის მაქსიმუმის მოთხოვნილებამ – ჩვენი თანამედროვეის ცნობისწადილის მთავარ მახასიათებლად რომ იქცა, არსებითად შეცვალა ინფორმაციის აღქმა-გათავისების

მოდელი და ტექსტუალური ასპექტის მინიმიზების მოთხოვნილება გაამძაფრა. ტექსტი არა მარტო შეიკუმშა-შეიკვეცა, არამედ გამოიფიტა, გაიცრიცა მისი ამბის შემცველობა და ამბის თხრობის (გადმოცემის) საუკუნოვანი ტრადიციები ისტორიას ჩააბარა. მწერლობას ეს იმით დაეტყო, რომ მხატვრული თხრობის ტრადიციებს ზურგი აქცია და ამის გამო პუბლიცისტურობით გაჯერდა, მთავარი ამბავი გახდა და არა ამბის თხრობა (მხატვრული, ანუ ტროპული აზროვნებისა და მეტყველების ტრადიციები მეტ-ნაკლებად პოეზიამ შეინარჩუნა).

ერთი სიტყვით, მწერლობას დღეს აშკარად ატყვია ამბისა და მისი თხრობის დეფიციტი. მისთვის უფრო სასურველი გახდა ვირტუალური სინამდვილის რებუსებით, ქარაგმებით გაჯერება და მკითხველის მათი ამოცნობის აუცილებლობის წინაშე დაყენება. ამ გზით საკუთარი გამორჩეულობით თვითკმაყოფილების თუ თვითტკობის სამყაროს შექმნა, იმის უგულებელყოფა, რომ ჭეშმარიტი ნიჭიერების ტვიფარი სიმარტივე-უბრალოება, სისადავეა.

რ. ინანიშვილის ლიტერატურული კონკურსის 2021 წლის გამარჯვებულების გამოვლენა აღნიშნულს დაემყარა, ანუ მთავარი კრიტერიუმი ამბავი და ამბის მხატვრული თხრობის რეგისტრები იყო. პირველი პრემია მოთხრობა „ქვევრს“ და მის ავტორს უპირველესად ამ ნიშნით მიენიჭა, ანუ ამბის და ამბის თხრობის სისადავის, ხალხურობისადმი მიდრეკისა და ფოლკლორის ყაიდაზე თხრობის გამო.

ავტორს ეხერხება სადა, უბრალო, უზუალური მხატვრული ხატებით, ძალდაუტანებლად თხრობა და მოთხრობის წარმატებას უპირველესად ეს განაპირობებს.

უაღრესად ქართულია თავად მოთხრობის ამბავი, რასაც პირდაპირ ეხმიანება მისი სათაურიც – „ქვევრი“. ქვევრი ქართული კულტურული ცნობიერების უღრმეს შრეებში შთაბეჭდილი სიმბოლიკა-მეტაფორიკის თანამედროვე წაკითხვის მცდელობაზედაც მიგვანიშნებს – ქვევრში ჯდომის ანუ ტრადიციულში ჩაკეტვის სიმბოლიკით, გარდასულისა და აწმყოს თანაარსებობის მისტერიალურობით, რაიც საოცარი რაკურსებით ეხმიანება „შავი ხვრელის“ გამოაგნებელ თეორიას, დროში მოგზაურობისა და ერთი ყოფიერებიდან სხვაში გადასვლის შესაძლებლობით, ანუ ნეომითოსით.

ამ ფორმით ფიქრობს მოთხრობის ავტორი ჩვენი ყოფის ზღვარდადებულობის გარღვევას, პრაგმატულობის მომაბეზრებულობის უკუგდებას, სიცოცხლის წარსულად, აწმყოდ და მერმისად დახლეჩის წანადმდე ამბობებას და „შავი ხვრელით“/„ქვევრით“ დროთა წიაღ მოგზაურობის

(გადასვლა-გადმოსვლის) შესაძლებლობის რწმენას. „ქვევრი“, ერთი სიტყვით, საყოფიერო ზღაპრის ყაიდის თხრობით „ეხმინება“ „შავი ხვრელის“ თეორიას, რაც ერთგვარად ჩამოჰკავს ბერძუნის სამკუთხედის იდუმალებას – ფანტასტიკურობას, ამოუხსნელს და მიანიც, რეალურად არსებულს (ანუ ნეომითოსს პროზად).

საყოფიერო ზღაპრის თარგზე თხრობის და მოთხრობის ქარგის განწყობის მაჩვენებელია ამბის დაფუძნება რთველზე. მოთხრობაში ყველაფერი რთვლის თანხლები მოვლენების ფონზე ხდება. რთველი – მოსთვლა – დიადის ციკლურად გასრულების, ჯაფა-რუდუნების ნაყოფის – ჭირნახუნის მოწვევა-დაბინაების მისტერიალურობაა. მასშია შთაბეჭდილი ვახის კულტი თავისი რიტუალებით, სადაც ყოველი ნაბიჯი რიტუალია ან ნაწილია რიტუალისა. ეს ყველაფერი კარგად არის ცნობილი მოთხრობის ავტორისათვის, მისთვის სისხლხორცეული ჩანს. ამ რიტუალებშია შთაბეჭდილი ქართული ტრადიციული ცნობიერებით. სწორედ მისი რეალიების მხატვრული რეინტერპრეტაციის მცდელობით გვხიბლავს მოთხრობა, გვხიბლავს იმიტომ, რომ რიტუალს და რიტუალურობას დაუნდობლად უტყვს დრო – რაღაცას უსუსტებს, აფერძნობს... ამ დროს ამ ფონზე არ გვეთმობა, გვენანება, „დასავიწყებლად არ გვემეტება“ რიტუალის ხიბლიანობა და დროის დაუნდობლობას რიტუალის ნოსტალგიით ვებრძვით. ეს კარგად ჩანს მოთხრობის საკვანძო ეპიზოდში, როდესაც მთავარმა პერსონაჟმა მახარემ აღასრულა გარდაცვლილი მამის ოცნება – სანაქებო ვენახი გააშენა და ბარაქიანი რთველიც დაიყენა, ბუნებრივად ინატრა, ნეტავი, მამა გააცოცხლა და ეს ყველაფერი დაანახაო. აქ ნატვრა წარმოადგენს გასაღებს, განსაკუთრებით სასურველის და შეუძლებლის წვდომის თავისებურ ფორმას: „რთვლობისას მახარემ ინატრა, ნეტავ გააცოცხლაო, მაგრამ ასეთი რამ ხომ არ ხდება? ან იქნებ, დიახაც, ხდება?..“

იქნებ ზოგჯერ საიქიოდანაცაა შესაძლებელი სააქაოში გადმოსვლა“? – ეს არის მთავარი კითხვა, სათქმელი მოთხრობაში.

ავტორი ნატვრას, სრულიად მართებულად, იჭვნეული ფორმით წარმოგვიდგენს იმის აქცენტირებით, რომ ნატვრის ავტორი, როგორც წესი, მკაფიოდ განასხვავებს ნატვრას და მისი ახდენის შესაძლებლობას. ქართველი კაცი აკი ამიტომაც არ ივიწყებს ამას და მღერის: „ნეტავი ნატვრა მანატრა, ეს ნატვრა ამიხდინაო“. მოთხრობის პერსონაჟს ნატვრა აუხდა, იმ ქვეყნად მისწვდა რთვლიანობის სურნელი მამამისს და საიქიოდან სააქაოში გადმოვიდა, თავისი მონაგარიც იხილა, ვენახიც და „სართვლო აურზაურიც“.

საიქიოსა და სააქაოს შორის მისვლა-მოსვლის ფიზიკურ-სხეულებრივ „ნივთმტკიცებად“ მოთხრობაში წარმოდგენილია გვეგნას ხელჯოხი, უტყვი მოწმე საიქიოდან სააქაოში მისი გადმოსვლისა და წარსულით აწმყოს (ქვევრის) გაკეთილშობილებისა.

ხელჯოხით, როგორც დეტალი ფაქტით, ავტორი მკითხველს წარმოსახვის პერსპექტივასაც უქმნის და ორ სამყაროს შორის მისვლა-მოსვლის შესაძლებლობის რწმენასაც უმყარებს, რასაც, ცხადია, ახლავს გულუბრყვილობაც (რასაც ავტორი არც მალავს), თუმცა ამით სიცოცხლის სიყვარულის გამოხატვასაც სძენს მეტ დამარწმუნებლობას. ამ რეალის გათვალისწინებით შეიძლებოდა ავტორს მოთხრობისათვის „ხელჯოხი“ დაერქმია, რადგან იგია უფრო მთავარი სათქმელის ნივთიერი მეტაფორა.

ზემოთ პრემირებული მოთხრობის ავტორის თხრობის მანერა ვახსენე, სისადავე, უზუალური ანუ საყოველთაო სახე-ხატებით გაჯერებული და ამის გამო ყველასათვის გასაგები თქმები, იდიომატური ფრაზეოლოგია, თავისი ქვეტექსტურობით. დასტურად რამდენიმე მაგალითს წარმოვადგენთ:

„ქვევრს ცუდი სუნი მაშინ აქვს, როცა თიხას ჭუჭყიან წყალში მოხელენო“;

„ღრმა რუს გადმოაბოტა“ (და არა გადმოაბიჯა!);

„მერთვლენი სამმა ჭიქა არაყმა, ცოტა არ იყოს, შეაზარხომა, მზემაც წამოიმაღლა და რთველიც გახურდა“ (მთლიანად ხალხურ ყაიდაზე გაწყობილი უზუალური ზმნური მეტაფორებით გასრულებული ფრაზა);

სშირია ხალხური თქმებით, სახე-ხატებით გაწყობილი ლექსიკა-ფრაზეოლოგია, მაგალითად:

„მხრებდახუნძლული ვაზები“;

„სიმინდის ფუჩჩით თავდაცობილი და მცირედ პირმოტეხილი ხელადა“;

„ღვინისაგან დალაქული თიხის ხელადა“ (უალრესად ქართული ყოფითი რეალიები);

„გაკვირვებული ჩაპყურებდა ქვევრის ბინდბუნდს“.

თხრობის ხალხურ ელფერს გამოკვეთს ასევე ფოლკლორული საწესჩვეულებო ორი ლექსის ჩართვა თხრობაში.

ზემოაღნიშნულმა გადაწყვიტა კიდევაც მოთხრობისათვის „ქვევრი“, რევაზ ინანიშვილის სახელობის ლიტერატურული პრემიის მოსაპოვებლად, 2021 წლის პირველი ადგილის მიკუთვნება.

მეორე პრემია მოიპოვა მოთხრობამ „ბროლის ქალწული“. ეს მშვენიერი მოთხრობა ქართული მთის თემატიკაზეა აგებული. მთა, მთიელთა ყოფა ყველა დროში იყო გამორჩეული ინტერესის საგანი არა მარტო ჩვენს მწერლობაში, საერთოდ ხელოვნებაში, არამედ, ზოგადად, კულტურულ ცნო-

ბიერებაში. ეს ინტერესი არ შენელებულა ჩვენს დროშიც იმ მიზეზით, რომ მთის ყოფამ დღემდე ყველაზე მკაფიოდ შემოგვინახა ქართული მსოფლგანცდისა და ტრადიციული ყოფის რეალიები. ამასთან, ალბათ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ქართული მენტალობის განმსაზღვრელი მთაა, სამყაროს განცდითა და ჭვრეტით ღრუბელთა სიმალლიდან, რაიც აღქმის, გააზრება-გაცნობიერების მასშტაბურობას უზრუნველყოფს. მართალია, ჩვენ მთაც გვაქვს და ბარიც, მაგრამ ჩვენი ბარიც ბარია და არა დაბლობი, სტეპი, შეიძლება ითქვას, უფრო მთაა მსოფლიო გაგებით ბართან შედარებით. ამას მოწმობს მთიელისათვის ნიშანდობლივი განცდის, ხედვის (ზემოდან ცქერის) ჩვევა შთაბეჭდილი მენტალობაში.

ამიტომ არის, რომ უკვე XIX საუკუნიდან მოყოლებული ქართულ მწერლობაში ალაპარაკდნენ პოეზიის მთის სკოლის არსებობაზე ინგლისურ ლიტერატურაში დაფიქსირებული „ტბის სკოლის“ ანალოგიურად. ჩვენს მთის სკოლას კი მიაკუთვნეს რაფიელ ერისთავი, ძმები რაზიკაშვილები (ვაჟა, ბაჩანა), სანდრო ყაზბეგი, ჩვენს დროში ამ სკოლის წარმომადგენლად მოგვევლინა გოდერძი ჩოხელი, თავისი ხედვით, მხატვრული სამყაროთი, სადაც საუკუნოვანი, ეთნოგრაფიული საოცრად თანახმიანობს, თანაარსებობს ახალთან, დღევანდელთან, თანადროულობის ეთნოგრაფიულად აღქმის, გაცნობიერების, შეფასების თვალსაზრისით. ტრადიციულის, გაუხუნარის ხატვით და ახალი ნიუანსების სისტემური თხრობით იხიბლება სწორედ თანამედროვე მკითხველი. შემთხვევითი არ არის, რომ გ. ჩოხელთან ვაჟაური მოტივები ისე ჩამოჰკავს ვაჟას ლექსებს, რომ ინტელექტუალ მკითხველებს და პროფესიონალ ლიტერატორებსაც კი უჭირთ გარჩევა და ვაჟა-ფშაველასი ჰგონიათ (მაგალითად, სიკვდილის თემაზე შექმნილი ლექსი).

მოთხრობა „ბროლის ქალწული“ თავისი ლიტერატურული იერსახით (თემატიკა-პრობლემატიკით) აღნიშნულ მიმართულებას განეკუთვნება. მოთხრობა, უპირველესად, მთის ყოფის რეალიებით ხიბლავს მკითხველს, არაერთი ისეთი ეთნოგრაფიული დეტალი, ჩვევა გაცოცხლებული, რომლებიც მხოლოდ ადგილობრივ მკვიდრთათვის არის გასაგები. ამის გამო ავტორი იძულებული გამხდარა, ყოფითი რეალიებისათვის საგანგებო შენიშვნა-კომენტარები დაერთო. ამაში ცუდი არაფერია, მკითხველისათვის ეთნოგრაფიულ ყოფაში გზამკვლევის როლს ასრულებს, თუმცა ამგვარი ახსნა-განმარტებების სიჭარბე მხატვრულ თხრობას ეთნოგრაფიულ ნარკვევში გადაზრდის, თხრობის ბმულობას არღვევს.

მოთხრობის თემა – ხევსურული ტრადიციული ყოფა, მძაფრი სიყვარული და აუხუნელი სიყვარუ-

ლის გლოვა, ულამაზესი ქალწულის ტრაგიკული აღსასრული უაღრესად მხატვრულად და ნიჭიერად არის დახატული, არც დამაჯერებლობას არის მოკლებული. ამ ფონზე უკმარობის განცდას ბადებს მთავარი გმირის – ნანას დაღუპვის სცენის ავტორისეული გადაწყვეტა, არსებითი ნიუანსების უგულვებელყოფა. იგი თითქოს გაექცა ტრაგიზმის ჩვენებას – დაღუპვის სცენას. ტრაგიზმი კი ესეთიკური განცდის საგანი დეტალიზებით ხდება, ამალვებულობას იძენს.

მოთხრობას „ბროლის ქალწული“ ჰქვია, პერსონაჟის მშვენიერებაზე აქცენტირება ქვეტექსტურობით, დაღუპვის სცენისათვის, როგორც კულმინაციური მომენტისათვის, აპოგეისათვის გვერდის ავლა ამბის თხრობის წყვეტა-წყობილობას იწვევს და აფერმკრთალებს მოთხრობის მხატვრულ სამყაროს. ასევე დიდს ვერაფერს სძენს ეთნოგრაფიულად ხევისურულ ყოფაში კარტოფილის კულტურის რუსული ჟარგონით დამკვიდრების ხაზგასმა და არასრული კომენტირება ამ ფაქტისა, მხოლოდ იმის თქმა, რომ კარტოფილს „კარტონა“ ჰქვიაო. მსგავსი ნიუანსებისა და ხარვეზის არსებობამ განაპირობა მოთხრობა „ბროლის ქალწულისათვის“ რ. ინანიშვილის სახელობის 2021 წლის მეორე ლიტერატურული პრემიის მიკუთვნება,

2021 წლის მესამე პრემია მიენიჭა მოთხრობას „შეტყობინება“. არჩევანი განაპირობა თემატიკა-პრობლემატიკის უაღრესად აქტუალურობამ. ესაა თანამედროვე პანდემია, ონლაინსწავლება „ზუმის“ სამყაროთი რეალობის ჩანაცვლება, საზოგადოების გათითოკაცება, საზოგადოებრივი ყოფის შემოსაზღვრულობა არჩევნიდან-არჩევნებამდე პერიოდებით, თანაგრძნობის დეფიციტი, ეკონომიკური იმდაგვარი სიდუხჭირე, რომლის ფონზედაც ადამიანური თანაღმობა და დახმარება გმირობად აღიქმება. ამასთან, ჩვენი თანამედროვეობის, ყოველდღიურობის იმდენად ზუსტი სურათია დახატული, რომ ქრონიკა ან რეპორტაჟი უფრო გეგონება, ვიდრე მოთხრობა.

ავტორის ხედვა და გამორჩეული ყოფითი რეალიები, მათი გააზრება აშკარად წარმოაჩენს მის ფილოლოგიურ განსწავლულობას და პროფესიულ საქმიანობას – პედაგოგობას. ეს „ზუმის“ სისტემით გაკვეთილების ჩატარების ფრაგმენტებში იკითხება უპირველესად, ამასთან, თანამედროვე მოსწავლეთა ქართული მწერლობის ენით მოტანილი ჩვენი კულტურული ღირებულებებისადმი დამოკიდებულების წარმოჩენშიც, რაც ეპოქის წყველაკრულვიან საკითხად არის ქცეული – წიგნისადმი გაუცხოებისა და ზნეობრივ-ეთიკური ფასეულობების ირონიზებაში რომ გამოიხატება.

გაკვეთილის თემა ვაჟას „სტუმარ-მასპინძელია“, მასწავლებელი დიდხანს ესაუბრება მოსწავლეებს

ვაჟას პიროვნებაზე, ოჯახსა და ცოლ-შვილზე, არ ივიწყებს პიკანტურ დეტალებს იქიდან გამომდინარე, რომ „ბავშვებს ასეთი პირადული ამბები უფრო ხიბლავთ და იზიდავთ“. ამის შემდეგ მასწავლებელი მათ უკითხავს ჯოჯოლას მიერ თავის ოჯახში ზვიადაურის მიყვანისა და აღაზასადმი მიმართვის პასაჟს – აი, სტუმარი მოგვეკარე და შენ იცი, როგორ დაგვიხვდებიო. მოსწავლეთა შეკითხვა-გადაძახილებში კი აირეკლება ეპოქალური განაჩენის მაუწყებელი გააზრება-შეფასება ქართული კულტურული ღირებულებითი ელემენტის – სტუმარმასპინძლობის ადათისა:

„მასწ, მაშინაც კაცები სუ ქურდად ისხდნენ და სუ ქეიფობდნენ და შრომა სუ ქალებზე იყო, არა?... მამაც ეგრა?...“

გადაძახილად კი კლასში ისმის: „მაშინაც დებილები იყავით ეს კაცები და იმიტო“.

განათლების, სკოლის სამყაროსთან ავტორის სიახლოვეზე მეტყველებს სხვა რეალიებიც, განსაკუთრებით მასწავლებლის უმწეო ფინანსურ მდგომარეობაზე აქცენტირება და ქვეტექსტური მინიშნება იმაზე, რომ ქვეყანას, სადაც მასწავლებელი ასეთ ყოფაშია, მომავალი არ უწერია.


მოთხრობის ძლიერი ადგილებია: სინამდვილის მიერ თავსმონხვეული გაუსაძლისობებისადმი ამბოხების სურვილი, სირთულეთა ძლევის რომანტიკული რწმენა („ათ დღეს თავს გავიტან, მერე იქნება რაღაც“...), ამ რწმენის რეალიზება – მოსწავლის მიერ მასწავლებლისათვის 500 ლარის ჩარიცხვა – ფაქტობრივ ჩუქება, რადგან ვითომ უვადოდ სესხება იგივე ჩუქებაა.

მთავარი იმედის გამარჯვებაა უიმედობაზე – მასწავლებლის სიხარულის ცრემლები – მოსწავლის (ლადოს) შეტყობინებაზე:

„მასწ, მე ვარ ლადო, ველოსიპედის ფულს ვაგროვებდი და... გქონდეთ თქვენ... ეხლა მაინც არ ვაპირებ ყიდვას... როცა გექნებათ, დამიბრუნებთ“!...

ოპტიმისტურია მოთხრობის ფინალი: „ყველაფერი კარგად იქნება“. ამ ფინალშია მოთხრობის ხიბლი. ამან განაპირობა მისი მესამე პრემიით დაჯილდოება. და კიდევ იმან, რასაც თხრობის მანერა, სახეობრივი აზროვნება ჰქვია. მოთხრობა ამ თვალსაზრისით აშკარად მოიკოჭლებს. თხრობა პუბლიცისტურობით არის გაჯერებული, ტენდენცია ღიად არის გაცხადებული, მოკლებულია მხატვრულ პირობითობას. ამგვარი – პუბლიცისტური თხრობა შესაძლებელია, ხვალის მწერლობის ნიშანი, ახალი ტენდენციის მომასწავებელი იყოს, მაგრამ დღეის გადასახედოდან მხატვრული თხრობა ქმნის ლიტერატურული ქმნილების ღირსებას.

ღაფით გურამიშვილი - 317



მის ხსოვნას ორი ქვეყანა ინახავს...

გურამიშვილობის არქივიდან

„მე ვიყავ ერთი თავადი მოსახლე გორისუბანსა“... გორისუბანი საგურამოშია. იქ დაჭაბუკებული დავით გურამიშვილის უკანასკნელი ნაფეხურები კი ლამისყანაში დარჩა... ხოლო წყაროს, საიდანაც მოთარეშე ლეკებმა ამ სოფლის სიძე გაიტაცეს, ლამისყანელებმა გურამიშვილის წყარო დაარქვეს.

47 წლის წინათ, 1975 წლის 27 აპრილს, ლამისყანაში აღდგენილ ადგილნაცვალ წყაროსთან გაიხსნა დავით გურამიშვილის წყარო-მემორიალი, მემორიალის მოჭირნახულებათაგან მწერლები ლევან გოთუა და გიორგი ხორგუაშვილი მარადისობაში გადავიდნენ... მათი ბედი გაიზიარა იმ ქართველ მწერალთა უმრავლესობამაც, „გურამიშვილობას“ რომ დასწრებიან ლამისყანაში.

1976 წელს პირველად გურამიშვილობას ესწრებოდნენ ფრიად საპატიო სტუმრები ესპანეთიდან, მოსკოვიდან, პოლონეთიდან, უნგრეთიდან... გააჟღერდა „ვეფხისტყაოსანი“ რუსულ ენაზე ბრწყინვალე მთარგმნელის, შ. რუსთაველის პრემიის ლაურეატის, ქართველი ხალხის დიდი მეგობრის, პოეტ ნიკოლოზ ტინონოვის მილოცვა. 1977 წელს გურამიშვილობას დაესწრო ცნობილი ლენინგრადელი პოეტი და მსახიობი, ქართულ სიტყვაზე შეყვარებული ვლ. რეცეპტერი, რომელსაც შემდეგ ოჯახშიც უმასპინძლა მეგობარმა – ლეგენდარულმა სოფიკო ჭიაურელმა.

1978 წელს ზეიმში მონაწილეობდა უკრაინის ქალაქ მირგოროდის დ. გურამიშვილის დღემდე ერთადერთი ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის მეცნიერი მუშაკი, დავითის შემოქმედებისა და უკრაინაში ქართული ემიგრაციის გულმხურვალე მკვლევარი – ლუდმილა როსსოხა. ჩვენი პირადი მეგობრობა 43 წლისაა.

1980 წელს დავითის დაბადებიდან 275 წლისთავი იუნესკოს ფარგლებში მაღალ დონეზე აღინიშნა საქართველოში, უკრაინასა და მოსკოვში. ლამისყანას კი ესტუმრა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მწერალთა ჯგუფი სურამი-

დან, სადაც გაიმართა ლესია უკრაინკას ხსოვნის მიტინგი – პავლო ზაგრებელნი (უკრაინის მწერალთა კავშირი თავმჯდომარე), ვიტალი კოროტიჩი და მიხ. შევჩენკო. მ. შევჩენკოს საქართველოში ამ პირველ სტუმრობას გულთბილი ლექსი მიუძღვნა ცნობილმა ჟურნალისტმა და პოეტმა ნანა ღვინეფაძემ, რომელმაც ადრესატი მიიწვია აწყურშიც – უკრაინული დიასპორის შევჩენკოებით კომპაქტურად დასახლებულ სოფელში.

ამავე დელეგაციაში მონაწილეობდნენ ცნობილი პოეტები – აფხაზი მუშნი ლასურია და აზერბაიჯანელი ნარიმან ჰასანზადე (მისი ლექსი დავით გურამიშვილზე აზერბაიჯანულიდან ბრწყინვალედ თარგმნა გაზეთ „წიგნის სამყაროს“ რედაქტორმა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა).

ტრადიციულად, „გურამიშვილობა“ იმართებოდა სექტემბრის მეორე კვირა დღეს. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კი, 1992 წელს, „გურამიშვილობა“ დაბრუნდა პირველ ნომბერს. იუნესკოს ეგიდით ამ წელს ფართოდ აღინიშნა დავით გურამიშვილის გარდაცვალების 200 წლისთავი. უკრაინაში, მირგოროდში კი დავითი ხსოვნის ტრადიციულ დღეს, პირველ აგვისტოს, პოეტის საფლავზეც და მირგოროდის კულტურის სასახლეშიც ღირსეულად აღნიშნეს ეს თარიღი.

საქართველოდან მწერალთა ჯგუფთან ერთად ამ ზეიმს მეც ვესწრებოდი ჩემი ოჯახით. იქ, პოეტის საფლავზე, ობელისკთან, მირგოროდელმა მხატვარმა და ხატმწერმა ვიქტორ ბრიკულეცმა ლამისყანის მუზეუმისთვის საჩუქრად გამომატანა ესკიზი თავისი ცნობილი ნამუშევრისა – „გურამიშვილის შეხვედრა ზუბოკეელ ქალთან“, ხოლო ხსოვნის დღის – სრული ფოტოკომპლექტი, რომელიც ფირთან ერთად შევიძინე მირგოროდელი ფოტორეპორტიორის – ვლ. კრაპივასაგან. ესკიზთან ერთად საჩუქრად გადავეცი ლამისყანის მუზეუმს.

საქართველოში „გურამიშვილობის“ ფოტომატიანე შემოგვიწვინა ხეს საქტელევიზიის სტუდია „მაცნეს“ ფოტორეპორტიორმა თამაზ ქიქავამ, გაზეთ „განთიადის“ ვეტერანმა ფოტოგრაფმა ვლ. მჭედლიშვილმა (მ. მერებაშვილთან ერთად), ფოტომოყვარულებმა – თამაზ ნავროზაშვილმა და ამირან ტალახაძემ.


სულ მხოლოდ 47 წლისაა გრანიტის ფურცლები, გადაშლილი წიგნის იმიტაციით, დღეს ორბელიანების სასახლე-მუზეუმთან რომ „ჩასძინებიათ“.

დავით გურამიშვილს კი (1705-1792) წელს დაბადებიდან 317 წელი შეუსრულდება. მართალია წყარო დავითის დაბადებამდე არსებობდა და იქნებ მათუსალას ხნისაც იყო, მაგრამ გრანიტის წყარო-წიგნი ხომ ჩვენ თვალწინ „დაბერდა“ მრავალ მიზეზთა გამო.

მხოლოდ ხსოვნაა უკვდავი, უასაკო და მარად უბერებელი.

დავითი ნახევარ საუკუნეზე დიდხანს ცხოვრობდა უკრაინაში, მის ხსოვნას ორი ქვეყანა ინახავს.

თამარ გაბოძე



თამარს

მაცდურია ეს წლები,
მიდის, მიიპარება,
ვინც მიყვარდა, ის მიყვარს,
ის ფახულათვალება...
ღროის უკუღმართობა,
ჩარჩენილი ზმანება,
გაფრენილი ბავშვობა
მტკივა და მენანება...
ის ჭრელ-ჭრულა სიზმრები,
ცა, ჭინკებით ავსილი,
ჯერ შორსაა სიბერე,
ის ბებერი ავსული...
ის ფერადი დღეები,
ანთებული ოცნებით
აღეწილი სიზმრები,
აფრენილი ფრთოსნებით...

...ემარა, ნულარ ინალვლებ,
ამაოა ყოველი,
ნატვრით შეხვდი გაზაფხულს,
გწამდეს, რასაც მოელი...
გზებზე წვება ჩრდილივით
შორეული ზმანება,
მოპარული ხილივით
ტკბილია, გეყვარება...
ისევ ისე გიყვარდეს
ის ფახულათვალება,
მაცდურია ეს წლები,
მიდის, მიიპარება...

ანატოლ ორიოლი



ანატოლ ორიოლი – უკრაინელი პოეტი, მთარგმნელი. დაიბადა 1948 წელს, მირგოროდის რაიონში (პოლტავის ოლქი), დაამთავრა მოსკოვის ა. მ. გორკის სახელობის ლიტერატურული ინსტიტუტი.

თანაავტორია ბულგარელი და უკრაინელი პოეტების ერთობლივი კრებულისა – „ვორსკლას და იანტრას ერთი ნაპირი აქვს“ (ხარკოვი, 1981).

თანაავტორია რუსულ ენაზე ლექსთა თარგმანისა, 5 ავტორი – „მოლოდაია გვარდია“ (გამოცემლობა) – (მოსკოვი, 1990); პოლტავის (უკრაინა) ფესტივალების – „პოეტური გაზაფხული“ და „პოეტური შემოდგომა“ მრავალგზის გამარჯვებული.

გამოცემული აქვს ლექსთა ორი კრებული: „შუალამის წეროები“ (კიევი, 1982) და „მამაკაცის შემოდგომა“ (მირგოროდი, 2005). მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, ბულგარულ, ქართულ ენებზე. უკრაინულად თარგმნა გ. ლეონიძის ლექსები. ავტორია ლექსების ვრცელი ციკლისა, რომელიც ეძღვნება საქართველოს, დავით გურამიშვილს...

ა. ორიოლი ფლობს რუსულ, ბულგარულ, პოლონურ, გერმანულ, ლიტვურ, ქართულ – ენებს.

უკრაინულიდან თარგმნა თამარ გაბოძემ

საქართველოს

განშორება ჩვენი ხანმოკლეა არ თქვა, გავუმგზავრე, აღარ გესტუმრები მეტად. გწამდეს, ახლოსაა ჩემი ვორსკლა¹ მტკვართან, სულ არ მეშორება ეს მანძილი ბედად.

მიმოიხედე, გვაქვს მიწა ერთიანი, სულს ჰანგი წკრიალა ეღვრება კაშკაშით. ასე მოცურავდა ვოლინი² ტყიანი ლესიასთან მყისვე მთებიდან, კავკასით.

ერთ მიწაზე ყველგან, სადაც გინდა ვიყოთ – მარად მარტოსული არ ვიქნებით, არა. მოტაცებულსაც ვერ მოსტაცა ამიტომ გურამიშვილს მტერმა სამშობლო ქვეყანა.

გვერგო ერთი მიწა, ბედი... კმარა ბჭობა – ერთი გვაქვს ცისფერი ზეცა სანათელო... შეხვედრისას ძმურად გეტყვი – გამარჯობა, კვლავაც დავბრუნდები შენთან, საქართველო!

1. ვორსკლა – მდინარე უკრაინაში, პოლტავასთან; 2. ვოლინი – უკრაინის ოლქი, რომელშიც შედის ქ. ნოვოგრად-ვოლინსკი, უკვდავი ლესია უკრაინკას სამშობლო.



თამარ გაბოძე და ანატოლ ორიოლი, შვილებთან ერთად. მირგოროდი, 1983წ.



მირგოროდის შემოდგომა¹ (დავით გურამიშვილი – 275)

უმწარესი უკან დარჩა... მეტი ფიქრი არ მსურს. გაქვთ სიმშვიდე და სიმდიდრე – მოწმენი ვართ ახლა. ვგრძნობ ორიოდ ნაიარევს, რომ შემორჩა წარსულს, პორუჩიკო და თავადო, მოწყენილი რად ხართ?

დაგიფასდათ, რაც ერთგულად ემსახურეთ მეფეს, გაქვთ ძვირფასი საცხოვრისი, გყავთ შავთვალა ცოლი... მიძიე ფიქრი ხამს ხოროლის² გაატანოთ მხეფებს, ბრძანეთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, დაილაღეთ ბრძოლით?

ხომ სიხარულს სიხარულით უწყით, არ ჰგავს განცდით, ნოსტალგია უმწარესი მგოსნის გულში სახლობს. რომ შეგეძლოთ, ყოველივეს მყის ხალისით გასცვლით ერთ პატარა მიწურ ქოხზე, ოღონდ მტკვართან ახლოს.

რაც არ უნდა თაყვანი გცეთ, ხიზანი ხართ სხვათა, არ გამშვიდებთ აქ დიდება, ღამეს თეთრად ათევთ. მშობლიურ მთებს მხოლოდ სიზმრად თუ იხილავთ ნათლად, ვაგლახ, ბედის განაჩენის მორჩილება გმართებთ.

შეგუეთ... დაივიწყეთ... სიტყვა ურჩი ბედის ჯიუტად ფუთფუთებს გულში, კინძავთ ლექსის ბწყარებს... მოუხშირა წვიმამ ცივ წვეთს, შემოდგომა შედის ძალაში და უკაკუნებს დაჟინებით კარებს.

1. ლექსი დ. გურამიშვილის დაბადების 275 წლის საიუბილეო (1980), პოლტავის პოეზიის ფესტივალის გამარჯვებულია; 2. ხოროლი – მდინარე მირგოროდში.



ფიქრები მშვიდობაზე საჰაერო თავდასხმის დროს



დაწერილია 1940 წლის აგვისტოში,
ამერიკული სიმპოზიუმისთვის – ქალებთან
დაკავშირებულ მიმდინარე მოვლენებზე

ინგლისურიდან თარგმნა
მაგდა გელაშვილმა

ადელაინ ვირჯინია ვულფი (1882-1941) – ინგლისელი მწერალი და ესეისტი, აღიარებული, როგორც XX საუკუნის ერთ-ერთი მოწინავე ფიგურა.

„ფიქრები მშვიდობაზე საჰაერო თავდასხმის დროს“ – დაწერილია 1940 წლის აგვისტოში, ამერიკული სიმპოზიუმისთვის. ესეში ვულფი საუბრობს ქალების მნიშვნელობაზე მეორე მსოფლიო ომში.

გასულ დამეს და იმის წინ გერმანელები ამ სახლის თავზე დაფრინავდნენ. აი, კვლავ გამოჩნდნენ. უჩვეულო შეგრძობაა სიბნელეში წოლა და ჰორნეტის ზუზუნის მოსმენა, რომელსაც შეუძლია ნებისმიერ დროს სასიკვდილოდ დაგნესტროს. ეს ხმა ცივ და უმნიშვნელო ფიქრებს გაწყვეტინებს მშვიდობაზე და მაინც, ეს ის ხმაა – ლოცვასა და ჰიმნებზე აღმატებული – რომელიც აიძულებს ადამიანს, ამაზე იფიქროს, მაგრამ მშვიდობას თუ ჩვენს რეალობად არ ვაქცევთ, არა მხოლოდ საწოლში მყოფი ეს სხეული, არამედ მილიონობით ჯერ კიდევ არდაბადებული იწვება მსგავს სიბნელეში სიკვდილის მოლოდინით. ახლა კი, მოდით, იმაზე ვიფიქროთ, ქვემეხები ჭახაჭუსს რომ ასტეხენ, პროექტორების სინათლე ღრუბლებს რომ მისწვდება და ხელის გაწვდენაზე ან ზოგჯერ უფრო შორს ბომბი რომ ჩამოვარდება, თავი როგორ გადავირჩინოთ და როგორ შევქმნათ უსაფრთხო თავშესაფარი საჰაერო თავდასხმებისგან.

ზემოთ, ცაში, ახალგაზრდა ინგლისელი და გერმანელი მამაკაცები ერთმანეთს ებრძვიან. დამცველები, ისევე როგორც მოიერიშეები, ადამიანები არიან. ინგლისელ ქალებს იარაღს არ აძლევენ, არც მტერთან საბრძოლველად და არც თავის დასაცავად. ამაღამ უიარაღოდ წოლა მოუწევთ. და მაინც, თუ მას სჯერა, რომ ზემოთ მიმდინარე ბრძოლით ინგლისელები მშვიდობას იცავენ, გერმანელები კი

პირიქით – ხელყოფენ, ინგლისელი ქალი, რამდენადაც მას სძალუძს, თავისიანების მხარეს იბრძოლებს. მაგრამ როდემდე ასე უარალოდ?! მხოლოდ იარაღის, საკვების ან ტანსაცმლის დამზადებით. არსებობს კიდევ ერთი გზა: თავისუფლებისთვის შიშველი ხელებით ბრძოლა. ასევე შეგვიძლია ვიბრძოლოთ გონებრივი შესაძლებლობებით და ჩვენს ჯარისკაცებს იდეები შევთავაზოთ. ამგვარად შევძლებთ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ ომის მოგებაში.

იდეები უფრო გამოსადეგი რომ გავხადოთ, მათი გავრცელება უნდა შეგვეძლოს, სიტყვები საქმედ უნდა ვაქციოთ. ცაში მოზუზუნე ჰორნეტს გონებაში არსებული კიდევ ერთი ჰორნეტი ბანს აძლევს. ამ დილით ჟურნალი „თაიმსში“ აცხადებდნენ, უფრო სწორად ქალის ხმა ამბობდა: „ქალებს პოლიტიკაში სიტყვა არ ეთქმით“. სიმართლე რომ ვთქვათ, არც სამთავრობო უწყებებში და არც რომელიმე საპასუხისმგებლო თანამდებობებზე არ გვყავს ქალები. იდეების ხორცშესხმა და ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ კაცებს შეუძლიათ. თუმცა ეს შეხედულება არცთუ ისე სწორია, რადგანაც აღვივებს თანამდებობრივ უპასუხისმგებლობას. რატომ არ უნდა ჩავრგოთ თავი ბალიშებში, დავიხშოთ ყურები ან არ შევწყვიტოთ ფუჭი მცდელობები საკითხების წამოსაჭრელად? მხოლოდ იმიტომ, რომ თანამდებობის პირთა და კონფერენციის მაგიდების გვერდით სხვა მაგიდებიცაა. თუ ცალკეულ ან კოლექტიურ ფიქრს შევწყვეტთ, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ უსარგებლოა, განა ამით ინგლისელ მეომრებს იმ იარაღის გარეშე არ დავტოვებთ, რომელიც მათთვის ასე მნიშვნელოვანია?! ამით მხოლოდ საზოგადოების უძღურებას გავუსვამთ ხაზს. „გონებრივ ბრძოლას არ შევწყვეტ“ – წერდა ბლეიკი. მენტალური ბრძოლა ჰგავს ცურვას დინების საწინააღმდეგოდ, რომელიც არღვევს გონებრივ საზღვრებს. სიტყვების ნიაღვარი უხვად მოე-

დინება პოლიტიკოსებისგან. ყოველდღე გვეუბნებიან, რომ თავისუფალი ადამიანები ვართ და ვიბრძვით ამ თავისუფლების დასაცავად. სწორედ ეს მოწოდება აძლევს ცაში მოტრიალე ახალგაზრდა ჯარისკაცს ბრძოლის მოტივაციას. ხმელეთზე მყოფნი მხოლოდ სახლის სახურავების და აირწინალების იმედზე ვართ. ჩვენზეა დამოკიდებული, გავხრეტთ თუ არა გაზის ბალონს და აღმოვაჩინთ ჭეშმარიტების მარცვლებს. ტყუილია, რომ თავისუფლები ვართ. სინამდვილეში ამაღამ ყველანი ტყვეები ვართ: ჯარისკაცები ზემოთ, იარაღით ხელში და ჩვენ აქ – აირწინალებით. თავისუფლები რომ ვიყოთ, გარეთ ვიქნებოდით, ვიცეკვებდით, სპექტაკლებზე ვივლიდით ან ღია ფანჯრებთან ვისხდებოდით და ერთად ვისაუბრებდით. და მაინც, რა გვიშლის ამაში ხელს?! „ჰიტლერი!“ – ერთხმად გაჰყვირიან მეგაფონები. ვინ არის ჰიტლერი? რა არის ის? აგრესიულობამ, ტირანიამ, ძალაუფლების გიჟურმა სიყვარულმა წარმოშვა ის – თავადვე პასუხობენ მეგაფონები. გაანადგურეთ და თქვენ მოიპოვებთ თავისუფლებას. თვითმფრინავების ზუზუნი ახლა ისე გაისმის, როგორც ტოტის ხერხვა. ტრიალებს და ტრიალებს სახლის თავზე. ტვინში კი სულ სხვა ზუზუნი გაისმის. „ჭკვიანი ქალები“ – ამ დილით ჟურნალ „თაიმსში“ ლედი ასტორი საუბრობდა – „იჩაგრებიან კაცების გულში არსებული არაცნობიერი ჰიტლერიზმით“, რასაკვირველია, ვიჩაგრებით. ამაღამ ჩვენ თანაბრად პატიმრები ვართ – კაცები თავიანთ თვითმფრინავებში, ქალები კი – საწოლებში. მაგრამ თუ ჯარისკაცი ფიქრს შეწყვეტს, დაიღუპება. ასევე ჩვენც. ამიტომ, მოდით, ჩვენც მისთვის ვიფიქროთ. მოდით, ცნობიერში აღვადგინოთ და ამოვიძრკვოთ ქვეცნობიერი ჰიტლერიზმი, რომელიც გჩაგრავს. ეს სურვილი კი ბადას აგრესიას, ბატონობის და დამონების წაღილს. სიბნელის მიუხედავად, არსებობენ ქალები, რომლებიც ცდილობენ მორთვას, მოკაზმვას და თავიანთი სილამაზით ამ სიბნელის გაფანტვას. სინათლის სიბნელეში დანახვაც შესაძლებელია. ისინი არიან მონები, რომლებიც გათავისუფლებას ლამობენ. და თუ ჩვენ, ქალები, ამ მონობას თავს დავადწევთ, კაცებსაც ვიხსნით ტირანიისგან. „ჰიტლერები“ მონებისგან იბადებიან.

ბომბი ვარდება. ფანჯრები ზანზარებს. სახენიტო ტყვიამფრქვევები ცეცხლის გასასხნელად ემზადებიან. იქ, იმ გორაკზე, შემოდგომის ელფერის შესაქმნელად, ყავისფრად და მწვანედ კამუფლირებულ ბადის ქვეშ ზარბაზნებს მალავენ. ყველა იარაღიდან ერთდროულად ხსნიან ცეცხლს. ცხრა საათზე რადიოთი გვაუწყებენ, რომ მთელი ღამის განმავლობაში მოწინააღმდეგე მხარის ორმოცდაათხი თვითმფრინავი ჩამოვადეს. ათი მათგანი კი სახენიტო ქვემეხებით. ერთ-ერთი სამშვიდობო

ტერმინი, რომელსაც მეგაფონებში გააჟღერებენ, იქნება განიარაღება. მომავალში აღარ იქნება მეტი იარაღი, არც ჯარი, არც საზღვაო ფლოტი და აღარც საჰაერო არმია. აღარ გავწვრთნიან ახალგაზრდა კაცებს იარაღით საბრძოლველად. ეს სხვა ციტატას ბადებს: „ნამდვილი მტრის წინააღმდეგ ბრძოლა, სრულიად უცხო ადამიანის მოკვლა დიდების და პატივის მოსაპოვებლად, მედლებითა და ორდენებით მკერდდამშვენებული შინ დაბრუნება ჩემი იმედის მწვერვალი იყო... მთელი ჩემი განვლილი ცხოვრება, განათლება, წრთვნა, ყველაფერი მხოლოდ ამას შევწირე“... ეს იმ ინგლისელი ჯარისკაცის სიტყვებია, რომელიც ბოლო ომში იბრძოდა. მიუხედავად ამისა, თანამედროვე მოაზროვნეებს გულწრფელად სჯერათ, რომ კონფერენციის ფუცელზე „განიარაღების“ დაწერით რაიმე ღირებულს გააკეთებენ? ოტელოს პროფესია აღარ იარსებებს, მაგრამ ოტელო მაინც დარჩება: ზემოთ ცაში მყოფ მეომარს მხოლოდ მეგაფონებიდან მომავალი სიტყვების ნიაღვარი კი არ ამოძრავებს, არამედ თავისი შინაგანი ხმა – უძველესი ინსტინქტი, განათლებითა და ტრადიციით გამოკვებილი და აქამდე მოტანილი ინსტინქტები. განა ამ ინსტინქტების ქონის გამო ვინმე უნდა დავადანაშაულოთ?! პოლიტიკოსებით სავსე მაგიდიდან რომ გასცენ განკარგულება და მოგვთხოვონ დედობრივი ინსტინქტების დავიწყება, განა ვიზამთ ამას?! დავუშვათ, იმ სამშვიდობო ტერმინებში მბრძანებლური ტონით ეწერა: „შვილოსნობა შეიზღუდება ზოგიერთი ქალისთვის“ – დავეთანხმებოდით? განა არ ვიტყვოდით, რომ „დედობრივი ინსტინქტი ჩვენი, ქალების, დიდება და მშვენებაა. მთელ ჩვენ ცხოვრებას, განათლებას, წვრთნას, საერთოდ ყველაფერ ამას ვწირავთ“. მაგრამ ეს რომ საჭირო ყოფილიყო კაცობრიობისთვის, მსოფლიო მშვიდობისთვის – შეზღუდულიყო ფეხმძიმობა, ჩვენში ჩაგვეხმო დედობრივი ალღო, ქალები ამას შეეცდებოდნენ. კაცები კი მხარს დაუჭერდნენ, დააფასებდნენ, რადგან უარი თქვეს ბავშვების გაჩენაზე, თავიანთი ძლიერების გამოსახატავად ახალ შესაძლებლობას მისცემდნენ. ჩვენ უნდა შევიტანოთ გარკვეული წვლილი თავისუფლებისთვის ბრძოლაში. ახალგაზრდა ინგლისელ მეომრებს უნდა დავეხმაროთ, რომ საკუთარი გულებიდან ამოძრკვონ მედლებისა და ორდენების სიყვარული, დაამარცხონ საკუთარ თავებში მეტროპოლი ინსტინქტები და ქვეცნობიერი ჰიტლერიზმი. უფრო საპატიო საქმიანობა უნდა შევთავაზოთ, კაცებს იარაღის დანაკარგი როგორმე უნდა შევუვსოთ.

ხერხვის ხმა უფრო ხმამაღალი გახდა. ყველა პროფექტორი აღმართულია. სწორედ ამ სახურავის თავზე, ცაში, უმიზნებენ ერთ წერტილს. შესაძლოა, ნებისმიერ წამს ამ ოთახში ბომბი ჩამოვარდეს.



* * *

არ მომწონს როცა ვერშემდგარ მამებს
 ლექსებს უწერენ,
 ისინი არც ომში დაიხოცნენ არც ბავშვის
 გადარჩენისას,
 უსაძირკვლო სახლებივით მაშინ
 დაინგრენენ
 როცა მუხლნატკენს ნაჭრის კატი
 ხელში გეძინა.
 და როგორც იქნა თუ ფრჩხილების
 ჭამას მოეშვი,
 სასაყვედურო წერილები ისეთივე
 უადვილოა,
 როგორც სიტყვა „მამიკო“...

* * *

პურის ნახევარს ქუჩის ძალი
 მალავს მიწაში,
 (უნდა შემხედოს მისი ნერწყვით
 ხელებდაბანილს,
 მადლიერების თუ ჯერ კიდევ
 არა სწამს ვინმეს)
 ადრე დავწერდი, რომ მეც შიშებს
 ასე ვმალავდი,
 ახლა არ ვმალავ, მე მათ
 პეპლის საჭერით ვიჭერ.
 დილის შვიდია, რაც ნიშნავს, რომ
 უკვე დასრულდა –
 ლამპიონების ჩაქრობიდან
 გათენებამდე მოპარული დრო.

ერთი,ორი,სამი,ოთხი,ხუთი,ექვსი... წამები გადის...
 ბომბი არა და არ ვარდება. მაგრამ მღელვარების-
 სას ყველა ფიქრი შეწყდა. ყველა გრძნობა, გარდა
 შიშისა – განელდა. თითქოს მთელი სხეული
 ლურსმნით კედელზე მიაჭედეს. შიში რომ გაივლის,
 გონება მომენტალურად დაიბრუნებს ცნობიერე-
 ბას, მასში რაღაც ამოტივტივდება. მოგონებები
 წამოიშლებიან. გასული აგვისტოს მოგონებები.
 გაახსენდება, ბეირუთში ვაგნერს რომ უსმენდა;
 რომში,სოფელში სეირნობა; ლონდონი; მეგობრების
 ნაცნობი ხმები. ლექსების ნაწყვეტები. თითოეული
 მოგონება, თვით გონების კუნჭულში არსებულიც
 კი შიშსა და ძრძწოლაზე აღმატებულია. ჯარის-
 კაცებს ახალი შესაძლებლობები უნდა დავანახვოთ,
 ახალი შეგრძნებები და მიზნები გავუჩინოთ. ბელ-
 ნიერების გავრცელებას უნდა ვეცადოთ. კაცები იმ
 ბოროტების მანქანისგან უნდა გამოვიხსნათ. ციხე
 შიგნიდან უნდა გავატეხინოთ. მაგრამ რა აზრი
 ექნება ახალგაზრდა ინგლისელების გათავისუფლე-
 ბას, თუ გერმანელები და იტალიელები მონებად
 დარჩებიან?

პროექტორებს, რომელთა შუქი კედლებს ტალ-
 ლისებურად უვლის, თვითმფრინავი მიზანში ჰყავს
 ამოღებული. ამ ოთახიდან ჩანს,როგორ იკლაკნება
 ვერცხლისფერი მწერი სინათლის სვეტში. იარა-
 ლები ისევ ჭანჭუჭხს ტეხენ,მერე დუმდებიან. ალბათ
 დივერსანტი გორაკის უკან ჩამოაგდეს. ამას წინათ
 ერთ-ერთი პილოტი მიწაზე უსაფრთხოდ დაეშვა.
 თავის შემპყრობლებს საკმაოდ კარგი ინგლისუ-
 რით ეუბნებოდა: „რა ბელნიერი ვარ, რომ ბრძოლა
 დასრულდა“! მერე კი ინგლისელმა ჯარისკაცმა
 სივარეტი მიაწოდა, ქალმა ჩაი დააღვეინა. ეს მხ-
 ოლოდ იმას ნიშნავს, რომ თუ ჩვენ ერთ ადამიანს
 მაინც გამოვიხსნით იმ ბოროტების მანქანისგან,ეს
 უკვალოდ არ ჩაივლის,მარცვალს,რომელსაც ქვიან
 ნიადაგში ჩავაგდებთ, ნაყოფიერი გამოდგება.

ბოლოს და ბოლოს ყველა იარაღმა შეწყვიტა
 სროლა. ყველა პროექტორი ჩაქრა. ზაფხულის
 ღამის ჩვეული სიბნელე დაბრუნდა. ქვეყნის
 უცოდველი ხმები კვლავ გაისმის. ბომბის ნაცვ-
 ლად ვაშლი ეცემა მიწაზე ბრაგვანით. ჰორნეტების
 ნაცვლად ბუები დაფრინავენ და გაჰკვივიან ღამის
 წყვილადში. ინგლისელი მწერლის სანახევროდ
 დავიწყებული სიტყვები მახსენდება: „ამერიკაში
 მონადირეებს არ სძინავთ“...

მოდით, ეს ფრაგმენტული ჩანაწერები იმ
 ამერიკელებს გავუგზავნოთ,იმ ქალებსა და კაცებს,
 რომელთა ძილი ჯერ კიდევ არ დაუფრთხია ტყვი-
 ამფრქვევების ხმას, იმ რწმენით, რომ ყველაფერს
 გადააფასებენ და დაკვირვებით გადახედავენ. და
 ახლა, სამყაროს დაჩრდილულ ნაწილში, დროა
 დავიძინოთ.

* * *

ციკლიდან: „თოთხმეტი“

ედღვება ირაკლი შამათავას

შენამდე
საკითხავი არაფერი მაქვს,
არც – საწერი...
ღმერთი
ჩემს სულს ვერ ხედავს,
წვიმის დროს გამჭვირვალე მაისურით
ვწვები შუა ქუჩაში,
იქნებ ასე მაინც შემიძნოს.
(კაცები ზომ პირველად ამას ხედავენ...)
მინდა ვკითხო, სად იყო, როცა
„პასკა პასკა გამოცხვის“ ვამბობდი,
მიწიან ხელებს ლოყაზე ვისვამდი
და ვუცდიდი როდის მოვიდოდა
ღმერთივით კაცი – მამაჩემი,
ჩემს საკოცნელად.
არც ის მენახა, მაგრამ მჯეროდა
არსებობის.
ჩემი პასკა არასდროს ცხვებოდა.

ღარში
წყალს ვისხამ სახეზე და
შუაგულ მზეზე ვწვები,
სანამ ჩემი სახე
შემწვარ პომიდორს არ დაემსგავსება...
იქნებ ასე მაინც დამინახოს.
ვკითხავ სად იყო,
როცა ნატკენ მუხლებს
საკუთარი ნერწყვით ვირჩენდი.

ქარში
არაფერს ვაკეთებ,
რადგან ქარი მშლის,
ქარი მიყვარს და
ღმერთისთვის დრო არ მაქვს.

შენ შემდეგ
ღმერთი მაპატიებს, რომ
დღეს მასზე მეტი შენ ხარ ჩემში.
ღმერთი ზომ სითბო და სიყვარულია...
შენ ხარ ჩემი სითბო და ჩემი სიყვარული.
რადგან წვიმის დროს ჩაცმულს მაძინევ,
და ქარში,
ქარში ყველაზე მეტად მიყვარხარ
გაფანტვის ნაცვლად ერთად ვგროვდები
შენს ფერმკრთალ ხელებთან.

ჩემი ღმერთი ლურჯთვალეა.
და როცა მზეა ჩემი სახე იასამანს ჰგავს.

* * *

დიდხანს ვუცდიდი სხეულზე თოვას.
და გამუდმებით წვიმდა და წვიმდა...
შენი თითები არის ღობურა,
ხელის მტევნები კი – ფანტელები.
და ჩემს მკლავებზე ჩამომდნარ თოვლს
სუნი აქვს ლურჯი მაგნოლიების.
თოვლში ხეებს ქვეშ შავად დარჩენილ,
სევდის გამომწვევ მიწას ვუყურებ...
სწორედ ასეა შენი თვალებიც
ქანცგამოცლილი.
მიწის სუნი აქვთ მუქ უპეებს...
როდისმე რომ აღარ მყავდე,
რომ გათენდეს და აღარ მყავდე,
რომ დაბნელდეს და აღარ მყავდე,
არასდროს აღარ ჩამომადნება
თოვლი მკლავებზე,
ვერასდროს ვეღარ ვიგროძნობ
მიწის სუნს.
შენი თითები არის საზღვარი
სიცივესა და ბოროტებას,
სიცივესა და სითბოს,
შენ და ჩემ შორის...

* * *

ბაფთები შემეყვარდა –
თეთრი აბრეშუმის ბაფთები.
დატალღულ თმას თითქოს
თითებით მიკრავ...
სიცილის დროს აბრეშუმის
შეხებას ვგრძნობ კისერზე,
თითქოს მეყრდნობი მზეზე
გამთბარი ხელებით მხრებზე.
ზამთრის ზღვასავით მარტო
რომ რჩები, მზე შენში ჩადის...
და მე ნაპირთან შენი თვალისფერ
კენჭებს ვაგროვებ,
თუ აღიდლები, გახსნილ პერანგზე
გაღამექცევი,
თუ არ იღელვებ, შენს ტალღებში
ტკბილად ვიძინებ...
კიდევ სიმშვიდე შემეყვარდა,
შენი სიმშვიდე...
და სანამ შენ ხარ, მე გავუძლებ
სიცხეს და გვალვებს,
როგორც შენს გულზე აყვავებული
გაზანიები.



* * *

„შენ იმ ვარდივით ხარ უბედური,
რომელიც ჭკნება გაშლისთანავე“...
თამაზ ბაძალა

მე დავინახე დედაშენი და შენი პატარა და;
მისი პატარა, ნაზი თითები, მას ისე ჰქონდა
მოქცეული

თვის მარწუხებში,
წუთსვე ვიცანი ის ჩვენი თავი,
და როგორ ჰგავდი შენს პატარა დას,
რომელსაც ვიღაც სულ და მუდამ ასე
დაატარებდა.

შენ არ ყოფილხარ დამჯერი ბავშვი,
და არც „ვარდივით უბედური, რომელიც
ჭკნება გაშლისთანავე,
უბრალოდ შენ ვერ გაბედე ვერცერთი თითის
გათავისუფლება.

* * *

და თუ ფიქრობდი სულ მომავალზე,
შენ ახლა ფიქრობ მხოლოდ წარსულზე,
მიზეზი არის ერთი რამ მხოლოდ –
წარსული იქცა ახლა მომავლად.

ნუ გაქვს იმედი – ჩვენ რომ გვეცხოვრა
ისევ წარსულში
ჩვენ დაუშვებდით იგივე შეცდომებს,
რომელნიც უნდა გვენანა მერე, მომავალში.

და ნუ გგონია – მომავალში ცხოვრება
შეცვლიდა რამეს
– ჩვენ მაინც ვინანებდით შეცდომების
დაუშვებლობას.

ოღონდაც ვინმე იპოვო,
ოღონდ,
შენ ხალხს დაუწყებ ცქერას
თვალებში ისევე, როგორც
მსახიობი ესაუბრება
ხალხთაგან ერთ-ერთს,
პარტნიორთან შეუთავსებლობის შემთხვევაში.

ღროს ერთ-ერთი როლის
თამაშის,
შეგვიყვარდება ვინმე,
და არ გეგონოს:
მორჩა, გათავდა!

ისევე სჯობდა ცეცება
ხალხში თავლების,
წითელ, დაფხრეწილ შორის
სკამების,
ანდა დაბრუნება საგრიმიოროში,
სადაც ყველაზე კარგად
თამაშობ და შენი ნიჭი აღწევს ზენიტს,
სადაც შენი პირველი დებიუტი შედგა.

.....

შენ როს გასინჯავ თამბაქოს მყრალ კვამლს,
მტერიან სცენაზე, პრემიერისას,
შენ ისევადვე მიეჩვევი წევას თუთუნის,
როგორც ნელინელ შენ
გახდი სხვისი.

.....

„რიგი მე-4, ადგილი 6;“
ვაგდებ ბილეთს და
ვვადები თეატრში, შენ კი
მიმართავ იმ ხერხს, იგივეს:
დაფხრეწილ სკამებს,
ცეცებას თვალის.

შენ მე მიცანი.

აკი ვითხარი:
საგრიმიორო;
ზენიტი ნიჭის;
კვამლი თუთუნის;
ცრემლები თვალზე;

ვეფხისტყაოსნი



პოეტური ღუეტი –
ბარათები ლექსებად

ციკლიდან: „ფშაური ფსალმუნები“
(ვაჟა-ფშაველასა და კეკელს იღუმალის
სიყვარულის ისტორია)

ბარათი I

ქალავ, აღარ მოგენატრა მთები,
ჩარგლურა და რაზიკაანთ ღელე?
მარტო ვზივარ... ბუნხართან ვერ ვთბები,
მარტო ვარ და უშენობით ვღელავ...
მოგიტაცო! აღარ დამრჩა სხვა გზა...
ვინ გეძახის ამილახურის მხეველს?!
ჩავალავებ ორიოდ დღის საგზაღს,
ოთარაშენს ჩამოვირბენ ხელად...
შემოგისვამ ლურჯაზე და მორჩა,
გავახურებთ რაზიკაანთ ბუნხარს...
თვლემს უხინკლოდ ცარიელი ხონჩა,
ეჰ, ფშაველას კეკე ძლიერ უყვარს...

ბარათი II

„ფშაური ფსალმუნები“ ...

ჩამოთოვა ჩარგალს თეთრად,
ჩაეკიდა ფიფქი ჩეროს...
„მიყვარხარო“ ... უნდა მეთქვა,
ქარო, აღარ შემაჩერო...
კეკე, თოვლის დელოფალო,
სეველა ხომ არ მოგერია...
დავინახავთ: ენა გალობს,
ღეგანი ხომ ბოკვერია...
ახლა მთაში დავდევ არჩეებს,
მონატრება ლოცვად მეთქვა...
ჩემი გული შენთან დარჩეს –
ფსალმუნებად ამოხეთქვა...

ბარათი III

ჩაჟანგდა, ჩაღნა ჩაჩქანი,
უომრად ყოფნამ დაღალა...
არა ჩანს ფშავეის ლაშქარი?
ნუთუ აღარ ჩანს, აღარა...
შენ შემოგჩივლებ, ეკაო,
ღარღით მეორე ნახევარს...
ხელში რომ ხმალი გეკაოს,
გიშლიდნენ თვალის ახელას...
ჩვენ მაინც ერთად ვიომოთ,
მტრის რას დაგვაკლებს ქარავმა...
არც მტკვარმა, არცა იორმა,
მთის ძალა იცის არავგმა...

ბარათი IV

უფლის ამარა

კავკასიონის გაცრეცილო მუხლისთავებო,
ბერო ქედებო ლიხის, კლარჯეთის...
მწვერვალებს შერჩა ჩემი თვალები,
მთის კალთებს შერჩა ჩემი მავები...
ამ მიწაშია დედაჩემის თბილი სამარე,
ამ მიწას ახსოვს არავგელნიც და მოურავიც...
ქართველები ვართ უფლის ამარა –
არავინ არის ჩვენი მოძრევი...

ბარათი V

გადაიქროლებს ყვავი,
გადაიქროლებს ძერა...
გზაზე გულაბი ყვავის,
გულში გიზივარ, მჯერა...
გავყურებ ქართლის მინდვრებს,
ქვთახევს ვუმზერ ფიქრით...
კავთისხევის გზას მივდეგ,
ღიდგორისაკენ მივქრი...

ბარათი VI

წინ მიღევს ღამე გასათევი,
როგორ შემაყვარე ასე თავი...
იწყება ქედების ასანთლება,
ნათლისღების დილაა საესავი...
ყინვა ლურჯად წყალს დაედება...
მენატრები... თენდება ნათლისღება...

ბარათი VII

ჩარგლის ღამე

ღამესიზმრე... გიკოცნიდი კულულებს
და რითმები მაგ თვალბში ბრწყინავდა...
ყაყაჩოთა ცეცხლი ავაბულბულე,
მსგავსი სიტყბო არ მიგრძენია წინათა...
მოგეფერე: სიზმრად ვინმე დამიშლის?...
სანამ ღამე ძილის საბანს აკეცავს...

გაიცრიცა დილის ნისლით ბაღში,
მოვასწარი – დაგიკოცნე ბაგეცა...

ბარათი VIII

დიდგორის ტყეში ვისხედით მშვიდად,
მოხიბლულები ტრფობის მშვენებით...
მალლა კი ქარი შავ ღრუბლებს შლიდა,
ვით მომხვდურს ჯარი აღმაშენებლის...

ბარათი IX

შენი თრთოლვა აქაც მწვედბა ვაჟას,
შენი ლოცვა, აქაც მშველის კაბინ...
არა ვგავარ ხეიბარს და ჯანჯალს,
რადგან გულით შენი დამაქვს ხატი...
შენ მიცოცხლებ ტფილისსა და არაგვს,
ორთაჭალას, ყაბახსა თუ სიონს...
წინაპართა სისხლით მოცულ ალაგს,
უკვდავების წყაროც შემასვიო...

ბარათი X

მარტი იმ ძველ მოგონებებს აშლის,
გააცოცხლებს სიყვარულის არაკს...
როცა ტრფობით, ორნივე, როგორც ბავშვი,
დავყურებდით ღრუბლებიდან ქალაქს...
ისე ცხელა არაგვზე თუ გაღმა,
რომ ლოდები ყრია, როგორც მწვადი...
და ჩარგალში ენძელა არ განმა...
მზით კი არა, სიყვარულით მწვადი...

ენა ხვანსაძინი



ბარათი I

სიმღერა...

გდარდობ და ფანდურს ვამღერებ,
ნისლის მოვიხვევ შალსაო...
ია-ვარდებიც ლაღობენ,
მალე წამიყვან ფმავსაო...
ხნულს ტრფობით ვაკვლებთ ყამირზე,
ბუხრის თავს ირმის რქებია...
დღისით ვარსკვლავნიც... ღამით მზე
შენ გვერდით არა ქრებიან!...

ბარათი II

მე არსებობა შენს გვერდით მიღხინს,
მე სიყვარული შენს გვერდით მინდა...
გადმოვიარე ფიქრით მთა ლიხის,
გული ნატვრებით მანდ გადმოფრინდა...
შემოდგომაა... და მაინც თბილა,
შენთან შეხვედრის იმედით ვსუნთქავ...
შემოანათებს ნოემბრის დილა,
თუმცა აგვისტოს მხესავით მთუთქავს...

ბარათი III

ზეცას მივწვდები ხანდახან მჯერა,
მაგრამ რა არის ცა მზის გარეშე...
ვინ დაედევნოს გაფრენილ მერანს?
ვინ დაიჭიროს ჩიტი ჰაერში?...
გადაეფარა იის ჩითილი
მწვანედ შეფერილ მთების ფერდობებს...
პოეტის ლექსი არის ჩიტივით,
გული კი... გული, შენ ერთს გენლობა...

ბარათი IV

სვეტიცხოველში ლოცვა –
უფლის უწმინდეს კვართთან...
იესოს ფერხთით მორცხვად
მარიამი და მართა...
თითქოს ელია ხალენს
გვახვევს იმ დღეთა ძველთა...
ისევ იდინებს სვალე
მირონი ნათლის ძელთან...
ხელი ჩამკიდე ფრთხილად,
ლოცვით მინთებდი სანთლებს...
მთრთოლვარე მცხეთის დილა
უფლის შეწევნით არ თვლემს...

ბარათი V

მე და შენ უფლის იმედით ვცხოვრობთ,
გამოიცდება სული ბოროტით...
არ მეშინია შენს გვერდით მხოლოდ
და აღმაფრენის ვუძლებთ მოლოდინს...
შენა ხარ ჩემი ოცნება... ნატვრა,
ვერ შემოსაზღვრა ფიქრმა დინებით...
რა ძვირფასია, ლექსებით ვხატოთ
ჩვენი შეხვედრის მოლოდინები...

ბარათი VI

გახსოვს თოვლი და თეთრი გელათი,
უსასრულობა ტრფობის ვიწამეთ...
ტაძარში სანთლის ალი ელაგდა,
ხეთა ტოტები იწვნენ მიწამდე...
ცაზე ღრუბლები შემოვრავნილი,
თითქოს ფიფქების ფენდა ფარდაგებს...
შენს გვერდით ვპოვე ჩემი ადგილი,
მონატრებებმა დარდით დამდაგეს...

ბარათი VII

მომენატრე და ლექსსა ვწერ,
ფიქრით დავლაშქრე ხევიას...
სანთლით გავედრებ ღმერთსა მწეს,
მთას ნისლი შემოხვევია...
ღრუბელი შემომეფეთა...
მკითხა: – რად მოხველ ახლოსა?
...საბრძანისი მსურს მეფეთა,
ჩემი ვაჟა რომ სახლობსა...

ბარათი VIII

დიდგორის დილა დიად მინდორთა...
მუდამ შენს გვერდით მხარში მიგულე...
ხელჩაკიდულნი ამაყ დიდგორთან,
ამ სიყვარულით გამადიდგულე...

ბარათი IX

სულ ერთად ვიქნებით...
რითმები ვალაგე...
მივყვები ფიქრებით
ალგეთის ალაგებს...
გნატრულობ დღე და ღამ
ტრფობას დრო არ აქვსა...
გული დამეღალა
ვიგონებ არაგვსა...
მთები და ღუშეთი
მალაროსკარამდე...
ეს ტრფობა სულ შენთვის,
ყოველთვის თანა გდევ...

ბარათი X

აღდგომელანთ კარის ერდო
და ყაყაჩო ველზე ქორფა...
მთებს ნაბადი თოვლის ელო,
მომენატრა შენთან ყოფნა...
არაგვი და ანანური,
ბაზალეთის ტბა ლიცლიცა...
ან ხმა გამეც, თორემ სული
დარდებისგან გაიცრიცა...



სოფიო ღონსი



* * *

ქარმა გაფანტა ფოთოლთა და ყვავილთა გროვა
და ჩემი ფიქრი გადაღლილი ნისლებში ათევს,
ვიცი, რომ ბაღში განახლების წუთებიც მოვა,
მე კი ლოდინი, მოთმინება დღეს ისევ მძარტებს...
შენთან შეხვედრის მოლოდინით გავყურებ ფერდობს,
ქარში კი მხოლოდ ყვავილების გაფურება ისმის,
ვიცი, რომ ამგვარ გაძომანხილ ხმებს უნდა ვენდო,
თუნდ ჰორიზონტზე დამაბნეველად მოსჩანდეს
ნისლი...

გოლგოთის ღამე

ვიდრე განთიადი ღრუბლებში სჭვიოდა
და სანამ ზეთისხილს დაეტყო ცისკარი,
იესოს ნალურსმნი ხელები სტკიოდა,
პილატემ იხილა ზმანება, სიზმარი...

გამეფებულიყო ღუმილი, სევდა,
სისხლი ემჩნეოდა მიწას განწმენდილს,
ბრბო კი, უგუნური, ღრმა ძილში თვლემდა,
იუდა დასტიროდა მის სულს, წარწყმენდილს...

მასსოვს ის ღამე, ის ღამე თეთრი,
სიცარიელე, სიცივე სულთა,
იქ, ქვაფენილზე, მჯდომარე პეტრე
მამლის ყვირზე ასე რომ სწუხდა...

მწუხრი იყო და უკუნი ღამე,
გაბნეულიყო ქარში „თერთმეტი“,
ყოველი სიტყვა, ყოველი ჩქამი
იმ ღამით იყო უკვე ზედმეტი...

დათრგუნულიყო პროკურატორი,
დაბანოდა ხელებს სისხლით იშრობდა,
ღილით რომ იყო, ის ორატორი
ღამეულ სინდისს ველარ ითბობდა...

ვინანე, რადგანაც აღმოვჩნდი ბრბოში
და ჩემშიც ყველას ღალატი ვიცან,
მეც წილი ძელო ცილსა და ჭორში,
რომ ამ ბრბოს წესს და კანონებს ვიცავ...

იყო აღრევა, გრძნობათა ღელვა,
ზღვა სინანულის ჩამოწვა ბინდი,
შეიძრა მიწა, გამოკრთა ელვა,
მხოლოდ გოლგოთა მოსჩანდა მშვიდი...

ვიდრე განთიადი ღრუბლებში სჭვიოდა
და სანამ ზეთისხილს დაეტყო ცისკარი,
იესოს ნალურსმნი ხელები სტკიოდა...
შემინდე, უფალო, – რაც იმ დღეს გითხარი...

* * *

ეს მერამდენედ ფათერაკობს ქარი შრიალა,
 შეაკრთობს ხეებს, კვლავ უძინო ურჩი ხეტებით,
 სულის ნიძვებმა გამოსტაცეს ბახუსს ფიალა
 და მოაჩვენეს უდაბნოს მზეს ლურჯი ხედები...
 ეს მერამდენედ აურია აურზაურით,
 შრიალ-შრიალით, ზათქა-ზუთქით კედლებს აწყდება,
 აღარ მაკვირვებს, აღარ მტანჯავს დღეს ეს ხმაური,
 რომ არ იღარებს, არც ამაზე გული არ მწყდება...
 აქ, ამ ქაოსში, მე ყინულის ლოდებს ვაგროვებ,
 ვათბობ ჩემს მკლავზე, სისხლის არცთუ მკვეთრი
 ღინებით
 და ვულკანებად ამოვხეთქავ უკვე ნაგროვებს,
 დღეს პოეზიის ცეცხლის წვიმად ჩამოვინდები...
 ო, ეს ქარები, კვლავ იქროლოს რეჟიემებად,
 თუნდ „ტრანტელა“ წაუცეკვოს წყალთა ბილიკებს,
 დღეს მე და ვინჩის „ცრუ ღიმილი“ მეიმედება,
 ჩუმი მდინარეც ადიდა და ლაღად ლიკლიკებს...
 ეს მერამდენედ ფათერაკობს ქარი შრიალა,
 მუხაც დამიფრთხო სუსხიანი, ცივი ხელებით
 და ეს ლექსებიც ფანტელებად ააფრიალა
 მე კი უძინოდ, უგზო-უკვლოდ დავხეტები...
 ეს მერამდენედ ფათერაკობს ქარი შრიალა....

ექსპრომტი შვილს!

შენია მაისი, დაისი, აისი,
 შენია ყოველი, რაც ღვთისგან შობილა,
 ბელურა, რომელიც უბეში ჩავისვი
 უძწეო, ცახცახა და დედიშობილა...
 შენს ბავს დედის რძის სურნელი საამო
 ასდის და ეღვრება ნიკაპთან ნექტარი,
 შენია ყოველი დილა და საღამო,
 შენ ჩემი სიცოცხლე გახადე ნექტარი.
 შვლის ნუკრს რომ ეღრები ნუშისებრ თვალებით,
 ღიმილიც მზის სხივებს ჩამოჰყვა თითქოსდა
 „გიშრისთვალეზ, ნუ გაითვალეზ“
 მანსოვს, დიდი ბებია იტყოდა..
 შენია, ეს მიწა, ეს წყალი, სამყარო
 შენს ხალას ღიმილზე ასე რომ კრთებიან,
 მსურს შენი ზეციდან ღრუბელი გავყარო
 და მერცხლებს მოვუხმო ფარფაფრთებიანს
 და ბუდე, რომელიც მე შენთვის დავწანი,
 მოვქსოვე, დავლამბე ნაირფერ ქარგებად,
 და იავნანას ჩაგაცვი ჯავშანი
 მაღლით შევმოსე, რაც არ იკარგება
 ამქვეყნის ნარ-ეკალს გაივლი იოლად
 მოვუხმობ ლოცვებში ფეხმძიმე მარიამს,
 დაუცვდი, ღვთის ძალას, ვითარცა იონა
 სერაფიმების მეცხრე ცის არიას...
 ღვთის მაცნევე, გაბრიელ ხარებით მახარე,
 დიდება შენს სახელს, წმინდაო მარიამ
 ბედნიერების არ მწამს სხვა მხარე,
 ო, ავე მარია, ო, ავე მარია...
 შენია მაისი, დაისი, აისი,
 შენია ყოველი, რაც ღვთისგან შობილა,
 ბელურა, რომელიც უბეში ჩავისვი,
 უძწეო, ცახცახა და დედისშობილა.

დეპრესია

გაზაფხულზე დეკემბერი გიდგას
 და ზამთრისფრად შეგვერცხლია თმები,
 ფერმკრთალია მტვრიანი მაგიდაც,
 ზიხარ, ზიხარ, გცივა, ვეღარ თბები...
 დაღუმებულ პიანინოს ჩრჩილი
 მოსდებია ისე, როგორც კეთრი
 შენს სახეს კი კაემანი ჩრდილავს
 თეთრი, თეთრი შავზე უფრო მკვეთრად
 მოსჩანს სახე, რომელზედაც სული
 ვერ ჩაუცვამს გაშეშებულ სხეულს,
 მხოლოდ კატა გიმზერს გასუსული,
 შენ კი ფურცლებს, დამწვარს და დახეულს...
 გარეთ თოვს და ისე უხვად ბარდნის,
 გეგონება, შენი ფიქრის თავსხმა,
 რა რთულია, შემოქმედის ვარდნა
 ზეციდან და მერე მისი დახსნა
 სიკვდილისგან მიწიერის განცდის,
 ტყვეობისგან, სადაც არ არს შვება,
 ბედისწერას ახლა თუკი არ სცდი
 და არ ძალგმის მასში გადაშვება...
 ნოდა, ახლა ზიხარ ცარიელი,
 ცვარიელად, გვამიერად, ხმელად,
 ღმერთსაც აღარ ეძახი და ელი,
 მოიხეზრე ყველაფერი, ყველა...
 გაზაფხულიც თითქოს დაზაფრული
 აისვეტა მაგ თვალების თაღთან,
 იქნებ დაღლილს მოგერიოს რული
 და უფალი ჩამოგიჯდეს თავთან...
 და ეს ძილი, უტკბილესი ძილი,
 გარდასახავს ზამთრის შავ-თეთრ სიზმარს
 და ლექსები უკვე სახეცვლილი,
 აღარ გძულს და მგონი კიდევ გიყვარს?..
 შენ კი ახლა ზიხარ ცარიელი...

* * *

დაობლებულა სახლი, ეზო-კარი და ოდა,
 უნაფეხურო თოვლზე ფიფქიც ფრთხილობს და
 კრთება,
 სიოც არ იძვრის ახლა, უწინ რომ ქარად ჰქროდა,
 მზეც ესვენება სოფლის, თანდათან ნება-ნება...
 საკვამურიდან ღაღარს, ღაფავს, ამოსდის სული,
 იქვე, მუზობლის ძაღლი ისევ აგრძელებს წკაცწკაცს,
 მისტირის თავის პატრონს, რომელიც ცხოვრობს
 ქალაქს
 და მოლოდინით დაღლილ მიწას ქექავს და
 კაწრავს...
 დაობლებულა სახლი, ეზო, კარი და ოდა,
 ჰაერიც გაჟღენთილა სურნელით მარტოობის,
 ხავსმოდებული სახლი, თითქოს იღმის ოდნავ
 ვერ შესამჩნევი ცრემლით და კაემანით ობლის...
 დაუმეგობრდა სევდა, მაინც მედიდურ კოლხეთს,
 წარბაზიდული უმზერს, მთვლემარე სოფლის მარას,
 იქნებ დაბრუნდეს კაცი,
 იქნებ დაბრუნდეს კაცი,
 იქნებ დაბრუნდეს ჩქარა!...

იუდას მონოლოგი

წაიღეთ ვერცხლი, მომაშორეთ თვალთაგან ახლა!
შემჯავრდა ჩემი უმადური მოდგმა და ჯიში!
ვერ ვუძლებ ტკივილს, რაც იმ ღამის სინანულს
ახლავს,
ვწყველი იმ წუთებს, რომ ამქვეყნად დაცემით ვიშვი!
მე ვგმობ ჩემს ბაგეს, რადგან უფალს შეჰკადრა
კოცნა,
იმავე ბაგემ იცრუა და გაჰყიდა მხსნელი,
რატომ არ გასკდა დელამიწა მაშინაც, როცა
30 ვერცხლით რომ ავივსე მე მრუშე ხელი!
შენლობას ვერა, ვერ შეგკადრებ, უფალო, რადგან
ვერც წმინდა ტრაპეზს შევექეცი კრძალვით და
კდემით,

არა ვარ ღირსი, წმინდა მიწას მე ფეხს რომ ვადგამ,
დავპატარავდი ერთ ღამეში დაგბერდი, ვკვლები...
ვიცი, რომ მერე მატთანეც შემრაცხავს მტრად და
შთამომავლობა გაიხსენებს იუდას კრულვით,
თურმე რამხელა ბოროტების ჩადენა მწადდა,
სისასტიკეა, მკერდში მიცემს უგვანო გული...
წაიღეთ ვერცხლი, მომაშორეთ თვალთაგან ამ წამს,
ასე რომ გაქრა წმიდა სული, ფარფატა მტრედი,
ჩემი სიცოცხლე მსურს მივანდო თოკსა და ბაწარს,
სადმე ხეზე მსურს ჩამოვკიდო ჩემივე ბედი...
წაიღეთ ვერცხლი, წაიღეთ ვერცხლი, წაიღეთ
ვერცხლი...



ოქტობრის ღა ილია



ძვირფასი განძი

„ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმმა მრავალი ღირსშესანიშნო დოკუმენტი გადაარჩინა და გამოიტანა მზის სინათლეზე. იყოველთაოდ აღიარებულია მათი უნიკალური მნიშვნელობა.

გავიხსენოთ ერთი მათგანი:

1897 წელს ილიას უსრულდებოდა დაბადების 60 და ლიტერატული მოღვაწეობის 40 წლისთავი. ქართველი ხალხი იუბილესს ემზადებოდა. მეფის ხელისუფალთა უხეში ჩარევის გამო რამდენიმეჯერ გადაიდო, უკანასკნელ თარიღად 1898 წლის 4 მაისი გამოცხადდა. ამ დღისთვის ჩერნიგოველ უკრაინელებს სპეციალური დელეგაცია გამოუგზავნიათ ილიასთან. სტუმრები სახლში სწვევიან მწერალს და დიდი სიყვარულით შედგენილი და გაფორმებული საიუბილეო ადრესი გადაუციათ მისთვის. ორი ხალხის განუყრელი ძმობის ამ ძვირფას დოკუმენტს 17 კაცი აწერს ხელს. მათ შორის არიან გამოჩენილი მწერლები და მოღვაწეები: მიხაილო კაციუბინსკი, ბორის გრინჩენკო, ვლოდიმერ სამოილენკო, მარია ზაგირნია, ოლექსანდრ რუსოვი, ოლგა გლიბოვა, ლიდა კიციუბინსკა, გრ. კოვალენკო.

აღელვებელი საიუბილეო ადრესის თავგადასავალს პლატონ ელავა ასე გადმოგვცემს: „ადრესი გადაცემის დროს, როგორც დაგვიდას-

ტურეს თავის დროზე ვალერიან გუნიაძე, არტემ ახნაზაროვმა და მოსე ჯანაშვილმა, დელეგაციის წევრებს წაუკითხავთ. ადრესის შინაარსი ძალიან მოსწონებიათ, განსაკუთრებით აუღელვებია ილიას ღირსეული მეუღლე ოლღა, რომელიც ამ ადრესს ყოველთვის თავის საყვარელ საბუთებთან ინახავდა და რომელსაც იგი გადაუცია ისტორიკოს მოსე ჯანაშვილისათვის გამოსაქვეყნებლად 1927 წელს. ილიას სიტყვით მიუმართავს უკრაინელებისათვის. სიტყვის ბოლო ნაწილი ჩაუწერია არტემ ახნაზაროვს და თან ახლავს ადრესს“.

ამრიგად, მუზეუმმა გამოავლინა უნიკალური საბუთი და გააშუქა მისი ისტორია.

ინტერესს იწვევს კიეველ ქართველთაგან 1898 წლის 9 აპრილს გამოგზავნილი მისალოცი წერილი, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია: „სასიქადლო მამულიშვილო და სახელოვანო მგოსანო იუბილარო, ილია გრიგოლის ძე!“

ორმოცი წელიწადი შენი ღალადი სიმართლისა და კაცთმოყვარეობისა ავითარებს გონებას, აფაქიზებს გრძობას, ამაღლებს სულს და გზას უკვლევს ჩვენი ხალხის გულისაკენ ყოველსავე, რაც კარგია და სანატრელი... შენ აღგვინთე გულში განუქრობელი აღი, სამშობლოსადმი სიყვარულისა, მოგვეცი „მაცოცხლებელი რწმენა სანატრელი მომავლისა და დაგვაყენე გზაზე წარმატებისა“.

ასეთივე ფაქიზი გრძობითაა გამთბარი ოდესეულ სტუდენტ. მოლოცვის წერილი“.

კალენდარზე ახალი წელი, დღე, თვე და არა რიცხვია. 1900 მაისი.

(ალ. კალანდაძე, „ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმში ყვარელში“, თბ., 1958, თავი: „ძვირფასი განძი“).

ნაწყვეტი გიორგი კილაძის მომავალი წიგნიდან: „ჩემი ილია“. ამ წიგნიდან ვრცელ ამონარიდს „ანეულის“ მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

პოეზია

სახბი ცომაძე



წინასიტყვაობასავით:

ვამბობ, რომ ალბათ არ ვენდობი სახელებს, სათაურებს, თუმცა აქვე ვამბობ, რომ ვაღიარებ სახელების, სათაურების მკვეთრ მნიშვნელობას. მე, მათ, უამრავნაირად გავიაზრებ ხოლმე. ჩემი ამ ხუთი ლექსიდან სამია დასათაურებული, და სახელწოდება, ამ ლირიკული ქმნილებებისა, განუყოფელია ქმნილებებთან.

ეს სათაურები მთლიანობაშია ლექსებთან. პოეტი ზღვარია. პოეტი უსაზღვრობაა. ადამიანი პოეტია, ამიტომ ჰგავს ღმერთს... ცხოვრება ბრძოლაა, სხვაგვარადაც შეიძლება ითქვას, მაგალითად ასე, — ცხოვრება არის ძიება, შემეცნება დიდი იდეებისა...

მოხეტიალე მარტოობა

საღამო. თოვლი. წუხილი მეტი.
ასწლოვან ფიქრებს თოვაში სძინავთ...
და მარტოობა, თვითონვე — კენტად,
მიდის ამ თოვლში, ქცეული მწირად.

ვარსკვლავი — მნათი ფოლაქი ზეცის,
(ეს შედარება მრავალჯერ თქმულა),
ლიღინებს ცაში, სიმღერა ესმის
მარტოობას და... ამ გიჟურ სურათს

აღვიქვამ ადამიანის ბედად.
ნეტა რას იტყვის, ამაზე, ღმერთი.
დადის ქუჩაში მარადი სევდა.
საღამო. თოვლი... რა გითხრათ მეტი...

* * *

ვარსკვლავმა სივრცეს ასე უთხრა, —
სულ მარტო ვარო,
არადა
ცაზე უამრავი ვარსკვლავი ენთო...

მოხეტიალე


კაცს, ცხოველისგან, გაჰყოფს იდეა.
ეპოქებადაც ქცეული კაცი.
გახედე გარეთ: ცრუ ამინდია,
არცა მზე არის, არც თოვს და არც წვიმს.
ფანჯარას ნისლის ბურუსი ფარავს,
თუმც მოაქვს ქარებს შუქთა ტალღები.
იტყვი ერთ დღესაც, რომ მიწა კმარა,
და შუქის კიბით ცის გზას აჰყვები.
მარადისობა შენი სახლია,
თუ იდეათა ჯვარზე ევნები.
აი, ქარები კვლავ გემძახიან,
და შენ მათ ძახილს აედევნები.

* * *

მე თოვლზე დავწერ,
მე დავწერ თოვლზე,
რომელიც
ასე გულუხვად მოდის;
აღმატება ეს თოვლი
ომებს,
აღმატება
ათასწლის ლოდინს;
ზამთარი არის მარადი ღმერთი,
თეთრი პოეტი არის და ოდეს
დაილუპება, დარჩება მაინც...
შენ კი...
შენ, გულში, სამყარო გქონდეს...

აისის დრო

ორნი მიდიან.
მიდიან ერთად.
ამბობს სიკვდილი, —
ყველასა და ყველაფერს გართმევ,
ღმერთის გარდა.
ამბობს სიცოცხლე, —
ესე იგი,
ვერავის და ვერაფერს მართმევ, —
ხომ ღმერთში არის მოაზრებული
ყოველივე.
ორნი მიდიან.
მიდიან ერთად.



ასე იწერება ისტორია

თარგმნა ზურაბ რატიანმა

დღეს ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილისათვის მუდმივი ფიქრის საგანია რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორია. საქართველოს მშობლიური და ულამაზესი კუთხის აფხაზეთის ისტორიის გაყალბებას მუდამ ცდილობდნენ რუსი თუ სხვა ეროვნების ისტორიკოსები, რასაც ზოგჯერ, ნებით თუ უნებლიეთ, ხელს ზოგიერთი ქართველიც უწყობდა. საბედნიეროდ, საქართველოში მუდამ იყვნენ ადამიანები, რომლებიც არ ურიგდებოდნენ ისტორიის გაყალბებას და მუხლჩაუხრელად იღვწოდნენ ჭეშმარიტების დასადგენად.

ამ თვალსაზრისით, წლების განმავლობაში, საინტერესო საქმიანობას ეწევა მეცნიერი, მწერალი და ჟურნალისტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ რატიანი, რომელმაც თავის შრომებში დაადგინა პირიქითა საქართველოს მოსახლეობის ვინაობა, საზღვრები, არსებობის ხანა; გაარკვია აფხაზისა და აფხაზეთის ისტორიული შინაარსი, დაასაბუთა აფხუას გვარტომობა, მისი პირველსაცხოვრისის ადგილმდებარეობა და აფხაზეთში დამკვიდრების ჟამი. ამ თვალსაზრისით, იგი, მუდმივ ძიებაშია და გიორგი შარვაშიძის მის მიერ ნათარგმნი წერილიც ამ ძიებების შედეგად მიგნებული აღმოჩენაა.

გთავაზობთ გიორგი შარვაშიძის მიერ 1910 წელს გამოქვეყნებულ ძალზე საგულისხმო წერილს, მთარგმნელის წინათქმით, რომელიც ნათლად წარმოაჩენს აფხაზეთთან დაკავშირებული პრობლემების ადრინდელ ეტაპებს.

ივანე ჯაფარიძე

წინათქმა

გიორგი შარვაშიძე (1846-1918) გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, აფხაზეთის მთავრის მიხეილის (ჰამუთ-ბეგის) მემკვიდრე, სამშობლო ქვეყნის, საქართველოს და მშობლიური კუთხის – აფხაზეთის მადმურთებელი უკეთილშობილესი პიროვნება, 1917 წელს გაზეთ „საქართველოში“ (137) წერდა: „ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ილბალის უკუღმართობას ხელი რომ არ შეეშალა, ჩვენ, დღეს, ევროპის წინაც ვიქნებოდით, ვინაიდან, როდესაც ანდრია მოციქული ქრისტეს მცნებას გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით ღუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველად, შუბებით ხელში ნადირობდნენ ტყეებში. მერე ომით მივიტანეთ ჩვენი კულტურული ცხოვრება თამარ დედოფლის დრომდე, რომელიც ივერიის ოქროს ხანა იყო! შემდეგ კი უკუღმართად დატრიალდა ერის არსება. შემოსეული მტრები საშველს არ გვაძლევდნენ და ნელ-ნელა ჩაქრა დიდებული გონებრივი და ქონებრივი ფასეულობა ქვეყნისა, დაიშალა ცხოვრების თვითარსებობა, გაღარბდა ენა, წაგვიხდა ზნეობა, დაკარგეთ ქონება-მეძღეობა, განვაგდეთ რაინდობა, პატიოსნება და ბოლოს მივალწიეთ იმ ხანაში, როცა კეთილდღეობას ვპოვებდით ჯამშუმობასა და სამშობლოს მტრობაში!“

მხოლოდ დიდ მამულიშვილს ხელეწიფება, დღენიადაგ სალოცავი სამშობლოს აღფრთოვანებული ქება-დიდება და მწარე სიტყვით გაკიღვა, რითაც მულანდება მშობელი ქართველი ერის უსაზღვრო სიყვარული და მამაპაპათა თავგანწირული, უთვალავი გმირული ბრძოლით გადარჩენილი, მრავალტანჯული ღვთაებრივი საქართველოს უხანგრძლივესი წმინდა ისტორიის არსის ზედმიწევნით გააზრება!

დიდად საგულისხმოა, რომ გიორგი შარვაშიძის ტკბილ-მწარე უებრო აზრი, საუკუნის მერე, დღეს უფრო მკაფიოდ გამოხატავს ათასწლეულების ქარცეცხლში გამარჯვებული გმირი ქართველი

ხალხის აწინდელ საშინელ დაცემას.

მკითხველს ვთავაზობთ სახელოვანი მწერლის 1910 წელს გაზეთ „Закавказье“-ში (№125, 126) გამოქვეყნებული წერილის „Так пишется история“-ს ქართულ თარგმანს და ვიმედოვნებ, მისი გულდასმით წამკითხავი არაერთ დაფარულ ჭეშმარიტებას ამოიკითხავს მასში, ვინაიდან გიორგი შარვაშიძის სიტყვა დიდი მოაზროვნის ნათელი გონების ბრწყინვალე ქმნილებაა!

ზურაბ რატიანი

ბევრ რელაქციას წესად აქვს, არ დაბეჭდოს ის მასალა, რაც მისი კორესპონდენტების კალამს არ ეკუთვნის. მიუხედავად ამისა, იქნებ ამჯერად შესაძლებლად მიიჩნით, აღიაროთ ჩემი უფლება, უარყო იმ მოვლენების არასწორი განხილვა, რომელთა ცოცხალი მოწმე პირადად გახლავართ. ამის გამო, ხომ არ ინებებდით თქვენს პატივცემულ გაზეთში ჩემი ქვემოთ განმარტებანი გამოგეჭყეწებინათ.

გაზეთ „ზაკავკაზიეში“ (90) 24 აპრილს-დაიბეჭდა ბ-ნ გარსევანოვის წერილი – „აფხაზთა რუსებთან ბრძოლის ახლო წარსულიდან“.

უპირველესად, უნდა აღვნიშნო, რომ ბ-ნ გარსევანოვის წერილის სათაურს, თავიდანვე შეცდომაში შეჰყავს მკითხველი, რადგან არავითარი „აფხაზების რუსებთან ბრძოლა“ არასოდეს ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო. აფხაზ ხალხში, უკანასკნელი მწვემისით დამთავრებული, ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ უაზრობა იქნებოდა ერთი მუჰა აფხაზი ხალხის ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ. მთიელთა ყველაზე მეომარი ტომები – ჩეჩნები, დაღესტნელები, დიდი და მცირე ყაბარდოელები, ყუბანგადაღმელი სამხრეთელი ჩერქეზები დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ, მაგრამ რუსეთმა ისინი იარაღით დაიპყრო. აფხაზები კი არასდროს შედიოდნენ ამ მეომარი ტომების ჯგუფში. აფხაზეთი ისტორიულად, მუდამ ქართული სახელმწიფოს ნაწილს შეადგენდა. საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ, აფხაზთა ერისთავმა შარვაშიძემ, პირადად ითავა მმართველობა და აფხაზეთის დამოუკიდებელი მფლობელი გახდა. ამგვარი ვითარება გაგრძელდა 1810 წლამდე, როცა მაშინდელმა ახალგაზრდა მთავარმა, თავისი მეზობლების – ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებისა და სამეგრელოს, გურიის, სვანეთის სამთავროების მაგალითისამებრ, თავისი ხალხის თანხმობით, გარკვეული პირობით, შუამდგომლობით მიმართა რუსეთის სახელმწიფო ტახტს, თავის ხალხთან ერთად მიეღოთ იგი ქვეშემდრომად რუსეთის მფარველობაში.

იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა თხოვნის ყველა პუნქტი დაამტკიცა და ბრძანა გაეცათ სახელმწიფო სიგელი, რომელშიც ჩამოთვლილი იყო ყველა პირობა, რის საფუძველზეც აფხაზეთი გახდა რუსეთის ქვეშემდრომი. ამასთან ერთად,

აღიარებული და დამტკიცებული იყო აფხაზეთის მთავრის მემკვიდრეობითი უფლებები „იმპერატორისა და თავისი უავლუსტესი მემკვიდრეების სიტყვით – შეურყევლად“ (ესა ხელშეკრულების სიგელის სიტყვები).

ამის შემდეგ, საკითხავია, როდისღა შეეძლო აფხაზეთს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა, როცა მისი უკანასკნელი მთავარი 1865 წლის ჩათვლით, ჯერ კიდევ ნიკოლოზ პავლეს ძეს გენერალ-ადიუტანტად რჩებოდა, ხოლო რატომ ებოძა მას ეს წოდება, ამას ახლა ვნახავთ.

აფხაზეთი, თავისი მთავრის მეთაურობით, მართალია იბრძოდა რუსეთთან, მაგრამ არა მის წინააღმდეგ, არამედ რუსეთის ჯვართან ერთად, რუსეთის მტრების წინააღმდეგ.

აფხაზეთის უკანასკნელი მფლობელი, 30 წელიწადზე მეტ ხანს მთავრობდა, 1864 წლამდე და ემსახურებოდა რუსეთს, მონაწილეობდა რა მთიელებისა და თურქეთის წინააღმდეგ ომებში: 1822-24, 1829-30, 1835, 1841, 1844 და 1854 წლებში (Акты Кавк. архю ком. т. 9. Рапорт ген. Головина гр. Чернышову 30 мая 1810 г. №566. Рапорт 12 1 июня 1839 г. №20. Рапорт 9 июля 1840 г. №760. Рапорт ген. Анрепа графу Чернышову 16 октября 1841 г. №274 и наконец Рапорт ген. Рауя к кн. Долгорукову 22 апреля 1854 года №115).

აი საბუთები, რომელთაც, მე მგონია სხვა მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ბ-ნ ლაპინსკის ჩანაწერებს, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, უცნაური პროფესიის ადამიანია. აშკარაა, ლაპინსკი აფხაზეთს უცხოური ლექსიკონებით იცნობდა, სადაც სწერია: რანდე ბჰასიე, პროვ. ღუსსე, მაგრამ რომელ ნაწილს გულისხმობენ ისინი ამ სახელწოდებაში, უცნობია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლაპარაკია დაუმორჩილებელ მთიელ ტომზე, რომელიც კაკასიონის მთავარი ქედის ფერდობზე ჩერქეზთა აბაძეების ტომს ესაზღვრება. ისინი ნამდვილად დაიპყრეს რუსებმა და თურქეთში გადაასახლეს. მაგრამ ამ ხალხს ეწოდებოდა ჰსხო და ახჩიჰსხო, აფხაზეთთან პოლიტიკურად საერთო არაფერი ჰქონია და არასოდეს აფხაზეთის სამთავროში არ შედიოდა, მისგან განცალკევებით არსებობდა, არა მხოლოდ ისტორიულად, არამედ ბუნებრივი პირობებითაც – მთებით, გაუვალი ტყეებით, შორი მანძილით. ისღა დაგვრჩენია ვივარაუდოთ, რომ ზემოთქმული ან გაუგებრობაა, ანდა ავანტიურისტების ფანტაზიის ნაყოფი, მაგრამ ორივე შემთხვევაში, რა დასაშვებია ისეთი წერილის დაწერა, რომელიც ისტორიული და ქრონოლოგიური მონაცემების წინააღმდეგ, ცდილობს აფხაზების ჩათრევას დაპყრობილი ხალხების ჯგუფში.

მართალია, დელაქალაქის გაზეთებში განუსჯელად წერენ, – დაპყრობილი კავკასია, – ამასთან უმცირებით ან შეგნებულად ჩქმალავენ, რომ კაკასიაში მთელი ორი სამეფო (ქართლ-კახეთისა და იმერეთის – ზ. რ.) და ოთხი სამთავრო (სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთის და სვანეთის –

ზ. რ.) კეთილი ნებით არის შესული რუსეთის შემადგენლობაში. ამიტომ, კავკასიაში მცხოვრები ადამიანები, უკეთ უნდა ერკვეოდნენ სინამდვილეში და რომ არ შეცდნენ, ფრთხილად უნდა ეკიდებოდნენ ამ საკითხებს. წერილში ნათქვამია: „ლაპინსკი აპირებდა აფხაზურ ექსპედიციაში მონაწილეობას და ა.შ.“ როდის, რომელ წლებში იმყოფებოდა ლაპინსკი უჩინმანინის ქუდით აფხაზეთში, ცნობილი არ არის, ასევე უცნობია, რომელ აფხაზურ ექსპედიციაში აპირებდა იგი ბრძოლას; მაშინ ხომ არა, როცა „აფხაზური ჯარების ასიათასიან არმიას ელოდებოდა და იტალიელ ვოლონტერებთან ერთად აპირებდა ოდესის აღებას?“ მართლაც და, რა თავშესაქცევი ზღაპარია. მე წამიკითხავს ცნობილი ნიჭიერი მწერლის Pousou du Terrace ამგვარი ხასიათის ერთი რომანი. ასეთ რომანებს როცა წერენ, დაე, წერონ, მათ ზიანი არ მოაქვთ; მაგრამ როცა ზღაპარი ისტორიულ სინამდვილედ საღდება, თუნდაც ქების განზრახვით და მთელ ხალხს ეხება, ეს დაუშვებელია. რაც შეეხება დიდმნიშვნელოვან საღამოს გერცენთან, იგი ასევე არადამაჯერებლად მიჩვენება.

გერცენი და ოგარიოვი გულისა და ჭკუის ხალხი იყო. მათ შეეძლოთ რუსეთის წყობილებით უკმაყოფილონი ყოფილიყვნენ და ემიგრაციაში წასულიყვნენ, მაგრამ მათ იქაც უყვარდათ რუსეთი და მათი მხრივ, არაკეთილშობილური აქტი იქნებოდა, ხელი გაეწვდინათ სამშობლოს პირწავარდნილი მტრებისათვის და საეჭვოა, მათ ეს ჩაეღინათ. ჩემს ეჭვებს ისიც აძლიერებს, რომ ეს წყარო ბ-ნ გარსევანოვს აუღია „Oeuvres posthumes“-დან. უწინდელი ადამიანების ფსიქოლოგია ისეთი როდი იყო, როგორც თანამედროვეთა აქვთ: — მაგრამ კიდევ რომ დავუშვათ, უკიდურესი გაცხარების ჟამს, გერცენმა მართლა წარმოთქვა ის სიტყვები, რაც მას მიეწერება, მაშინაც კი, თუ რუსი ემიგრანტები ავანტიურისტის ტრახანმა და უთავბოლო ლაყობამ აცდუნა ქვეყნის საწინააღმდეგოდ, რომელთაც ავანტიურისტი სრულებით არ იცნობდა, ეს სულაც არ ამტკიცებს, რომ წყარო სანდოა.

ახლა შევუდგები რუსეთის იმ ბედკრული კუთხის ჭეშმარიტი მდგომარეობის გამორკვევას, რომელსაც აფხაზეთს ეძახიან.

1865 წელს, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის გადაყენების შემდეგ, კავკასიის მეფისნაცვალმა კეთილი ინება, აფხაზეთში დაეარსებინა ე.წ. სამხედრო-სახალხო მმართველობა, ანუ მართვის ისეთი სისტემა, რომელიც უნდა შემდგარიყო ოკრუგის მეთაურის თავმჯდომარეობით და უბნების უფროსებით. მართვის ასეთი სახეობა შემოიღეს იმ მიზნით, რომ ადგილობრივ მოსახლეობას შეძლებოდა გავარად შეეთავსებინა რუსული კანონმდებლობა ჩვეულებით სამართალთან სამოქალაქო საქმეებში, ხოლო ადგილობრივი სისხლის სამართალი, ცხადია, გაუქმდა.

ასეთმა კეთილმა წამოწყებამ დროთა განმავლობაში თავისი დანიშნულება დაკარგა, — მოხ-

ელეებმა უარყვეს სახალხო წარმომადგენლობის მონაწილეობა და თავისი ნება-სურვილის თანახმად შეუდგნენ საქმეების განხილვას. ამის გამო ხალხი იძულებით დაუბრუნეს ყოფილ მთავრობისდრინდელ ავტოკრატიულ ხელისუფლებას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ უწინ მთავარს უხდებოდა, ანგარიში გაეწია ხალხის საუკუნეობრივი ჩვეულებებისათვის, ხოლო ამ რეჟიმის დროს, მცირეოდენი პროტესტისა და უკმაყოფილების გამოხატვისთვის დამნაშავეებს იჭერდნენ და სამშობლოს გარეთ ასახლებდნენ ბრალდებით, რომ ისინი წინააღმდეგობას უწევენ ხელისუფალთა განკარგულებებს.

ამრიგად, აღმოჩნდა, რომ კეთილგანზრახული სამხედრო-სახალხო წამოწყებიდან ბოლოს მხოლოდ სამხედრო მმართველობა დარჩა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, მმართველობა მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო მდგომარეობის დამსჯელ ფორმაზე გადავიდა, რომელსაც, როგორც ცნობილია, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში აწესებენ, ისიც დროებით, სულ რამდენიმე წლით. აფხაზეთი კი 30 წელიწადზე მეტი იტანჯება ამ რეჟიმით. რისთვის? რა დანაშაულებებისათვის? ამ კითხვაზე მიიღებთ ასეთ პასუხს: „ისინი ცნობილი მემბოხეები არიან“. ამ მემბოხეებს ჩვენ ქვემოთ შევხვებით. მანამდე კი განვიხილოთ მათი ყოფითი და ეკონომიკური მდგომარეობა.

აფხაზეთი უბრალო, უემშაკო ხალხია და მრავალსაუკუნოვანი თავისუფლების ატავიზმით მათ გამოუთქმავდათ პირდაპირობა, — რაც სულში აქვთ, ის აკერიათ პირზე. ისინი დიდ ადამიანს, მისი საზოგადოებრივი მდგომარეობის მიუხედავად, ისე ესაუბრებიან, როგორც თანასწორს, კეთილგანწყობით, თავზიანად, მაგრამ ყოველგვარი მამებლობის გარეშე. ლაპარაკობენ თამამად და ხმამაღლა, პირდაპირ და დაუფარავად გამოხატავენ სათქმელს. ისინი მიწამოქმედნი და მწყემსები არიან. მეურნეობის უკანასკნელი სახეობა დიდად დაეცა მას შემდეგ, რაც ხაზინამ მიწები ჩამოართვა, — საძოვრები აღარ დარჩათ. ამას გარდა, ისინი მეფუტკრეობას, მეხილეობას და მევენახეობას მისდევენ. წინათ კი აქ, ბამბის, აბრეშუმისა და შალის ნაკეთობათა წარმოება ჰყვავდა, მოკლედ, ყოველივე ის, რაც საჭიროა საშინაო ყოფაში. ისინი არც არაფერს ყიდდნენ და არც არაფერს ყიდულობდნენ. ხალხი შეძლებულად ცხოვრობდა, მდიდრები არ იყვნენ, მაგრამ ქვეყნად ვერ ნახავდით ვერცერთ უსახლკაროს და ღატაკს. ყოველ უცხო სტუმარს შეეძლო შესულიყო პირველივე შემხვედრი გლეხის ოჯახში, სადაც მას გულითადი მასპინძლობა, გემრიელი კერძები და არაჩვეულებრივად სუფთა ლოგინი ელოდა. ვინც სტუმრობის საფასურის გადახდას დააპირებდა, ამით მასპინძელს შეურაცხყოფდა: „ღმერთი იმისთვის კი არ მამდევს, რომ მე მარტოკამ ვჭამო და ვსვა“, — ამბობდნენ ისინი. ბიბლიური ცხოვრების ამგვარი უბრალოების პირობებში ისინი კმაყოფილები იყვნენ და არაფერი ესაკლისებოდათ.

1863 წელს დამთავრდა ჩერქეზებთან და

მთიელებთან ომი და, მათი თურქეთში გადასახლებიდან ერთი წლის შემდეგ, უმაღლესმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, — ამერიდან აფხაზეთიც გაუქმებინათ, როგორც სახელმწიფო მიზნებისათვის გამოუსადეგარი დამოუკიდებელი სამთავრო, რაც გამოეცხადა აფხაზ ხალხს და მათ მთავარს. ამის გამო პროტესტის ერთი სიტყვა არც ხალხს გამოუთქვამს და არც მთავარს, შემოიღეს რუსული მმართველობა და დამკვიდრდა სავსებით მშვიდად (См. кн. под заглавием „Историческая пр. об управ. Кавказом“, Состав. Редактор военно исторического отдела окружного штаба).

ამგვარად, მეორედ ვკითხულობ, როდისღა ებრძოდა აფხაზეთი რუსეთს, თუკი რუსეთთან შეერთებით დაწყებული, მისი თვითმყოფობის გაუქმებით დამთავრებული, იგი არათუ არ ამჟღავნებდა ამგვარ სურვილებს, არამედ, რუსის ჯართან ერთად მონაწილეობდა რუსეთის ომებში. როდის იყო, ლაპინსკი და ძმანი მისნი აფხაზეთის მთებში რომ დაჭვნაობდნენ!

სიტყვამ მოიტანა და აფხაზების შერქმეული მთიელთა სახელწოდებანი, ზოგიერთ ოფიციალურ წყაროში დიდი გაუგებრობით არის შეტანილი. აფხაზები უხსოვარი დროიდან დამკვიდრდნენ შავი ზღვის სანაპიროზე — ენგურიდან გაგრამდე. ისინი აღიარებდნენ და აღიარებენ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას და ქართული ეკლესიის სამწყსოდ მიიჩნევენ თავს. მხოლოდ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა ჩერქეზი მხედრების შემოტევა, ისინი ლაშქრობდნენ აფხაზეთის დასავლეთ ნაწილში და აოხრებდნენ იქაურობას. ამავე ეპოქას ეხება თურქეთის, თითქოსდა ნომინალური ბატონობა აფხაზეთზე, როდესაც თურქეთის სულიერმა ემისრებმა აფხაზეთში ისლამის დიდი პროპაგანდა გააჩაღეს.

თურქეთის პროპაგანდამ ჩერქეზების შემოსევებთან ერთად, აიძულა აფხაზეთის დასავლეთი ნაწილი მაჰმადის რელიგიის აღიარება დაეწყო, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, 1819 წელს, როგორც ზემოთ ვთქვი, აფხაზეთის მთავარი, თავის ხალხთან ერთად, კვლავ გადავიდა მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე და მიიღეს რუსეთის ქვეშევრდომობა.

დეპუტაცია ინგლისს რომ ეწვია 60-იან წლებში, რომლის შესახებაც წერს ბ-ნი გარსევანოვი, შედგებოდა მხოლოდ და მხოლოდ ჩერქეზული ტომების — აბაძეების, შაფსულებისა და უბიხებისაგან, მათ შორის არცერთი აფხაზი არ შეიძლება ყოფილიყო. ამაში ადვილად შეიძლება დარწმუნება თანამედროვე ინგლისური ილუსტრაციებით, რომელნიც ალბათ შემორჩენილი უნდა იყოს აქა-იქ, რადგან მე მინახავს რამდენიმე წლის წინათ ასეთი ილუსტრაცია, მასსოვს „Illustrateol London News“. გაუგებარია, რატომ მოეპრიანა ბ-ნი ლაპინსკის ყველაფერი აერ-დაერია და ჩერქეზებისათვის აფხაზები ეწოდებინა. შესაძლოა, ასეთი სამსახურისათვის ლაპინსკიმ გვარიანი ჰონორარი მიიღო, რათა მას აფხაზებისათვის სახელი გაეტეხა რუსი ხალხის თვალში. ამბობენ, ასეთი კომბინა-

ციები ხდება ხოლმე. მე მხოლოდ იმას ვამტკიცებ, რომ აფხაზებს არავითარი დეპუტაციები რომელიმე უცხო სახელმწიფოში არასოდეს გაუგზავნია და აფხაზეთში ლაპინსკის სახელი არავის გაუგონია.

ახლა გადავიდვარ ქვეყნად დატრიალებულ უკანასკნელ მოვლენებზე.

ბ-მა გარსევანოვმა თავის ვრცელ წერილს წაუმძღვარა სიტყვები — „აფხაზეთა ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ“, რითაც, წინასწარ, აფხაზ ხალხს და მათ ყოფილ მთავარს „მგლის ბილეთი“ მისცა, ბოლოს კი, რა თქმა უნდა, ხელის ერთი მოსმით დაწერა: „და აფხაზეთიდან გააძევეს მისი უკანასკნელი მთავარი, გენერალ-ადიუტანტი თავადი შარვაშიძე“. აი, აქ კი, ამ უკანასკნელ ფრაზაში ამოტივტივდა ავტორის ლოგიკურად შეუსაბამო ცნებები: პირველად საკითხავია, ბ-ნი გარსევანოვის სიტყვებით, როგორ აღმოჩნდა რუსეთის ერის წინააღმდეგ მებრძოლი გენერალ-ადიუტანტი რუსეთის სამსახურში? მეორეც, ჩემს პასუხში დავამტკიცე ლოკუმენტურად, რომ აფხაზეთი რუსეთის წინააღმდეგ კი არ იბრძოდა, პირიქით, საკუთარ სისხლს ღებოდა რუსეთისათვის და ამის გამო, ყოველთვის უმაღლეს წყალობას იმსახურებდა. ბოლოს, სრულიად მშვიდად მოხდა რუსეთის ადმინისტრაციის მმართველობის შემოღება, რითაც გარსევანოვის ვრცელი თხზულების მთელი ცილისმწამებლური ნაწილი ჩამოირეცხება და ავტორი დარჩება ერთი უსამართლო ფაქტის ამარა, რომ აფხაზეთის ყოფილი მფლობელი, დამსახურებული მოხუცი გენერალ-ადიუტანტი დააპატიმრეს და გადაასახლეს.

მივმართავ ბ-ნი გარსევანოვს და ვკითხვები, რა ექნათ ახლა? მეტყვი, ეს ყველაფერი დასმენები, ეჭვები, ჭორებია? მაგრამ მომიტყვევო და, დასმენებითა თუ ჭორებით, მტკიცებულებების გარეშე სამსახურიდან, თანამდებობიდან რომ ავლებენ პოლიციელებს, მათაც კი ეძლევათ თავის მართლების უფლება. მთავრებსა და გენერალ-ადიუტანტებს კი ქენოში ხელს არ ავლებენ და გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე არ ასახლებენ. ამის შესახებ რას იტყვი?

აქედან ვხედავ, ბ-ნი გარსევანოვი როგორ იჩიჩავს მხრებს და ამბობს: „ეგ კი ნამდვილად არ ვიცი“. აი, ამაშია მთელი უბედურება, — ბ-ნი გარსევანოვი და ბევრი სხვა იმაზე წერენ, რაც ლოკუმენტური წყაროების მონაცემებით შეუსწავლელია. ამ შემთხვევაში, ჯანი გავარდეს, მე დავეხმარები.

მთავრის გადადგომის უმაღლესი გადაწყვეტილების გამოცხადებისას, მთავარს ურჩიეს, დაეტოვებინა მხარე იმის გამო, რომ მისი იქ ყოფნით, შესაძლოა, ხელი შეშლოდა რუსული ადმინისტრაციული მმართველობის მშვიდად შემოღებას. მთავარმა უპასუხა, მზად არის, დაემორჩილოს თავისი ხელმწიფის ნებას და იგი არათუ ხელს შეუშლის, პირიქით, მხარეში თავისი გავლენით ხელს შეუწყობს ახალ წყობილებას, რათა ზუსტად განასორციელონ გადაწყვეტილება (См. Ист. записки Эсадзе). რაც შეეხება მხარის დატოვებას, იგი გაჯიუტდა, ყოველნაირად ამტკიცებდა, რომ

ამის აუცილებლობას ვერ ხედავდა. არადა უფროსობა მკაცრად მოითხოვდა, მთავარს დაეტოვებინა აფხაზეთი. მაშინ მთავარმა, დადგენილი წესით, თხოვნით მიმართა ხელისუფლებას, შვებულებით გაეგზავნათ იგი უცხოეთში. შვებულების მოლოდინში, მან კაცი გაგზავნა გემის დასაქირავებლად, რათა ოჯახითა და თავისი ამალით გამგზავრებულიყო. ეს კაცი კონსტანტინოპოლში აღმოჩნდა. ამ ამბავმა მიაღწია რუსეთის ელჩამდე, რომელმაც საიმპერატორო კარს აცნობა (См. письмо ген-адъютанта кн. Святополк-морского Вели. Князю Исторические записки Эсадзе), რომ აფხაზეთის მთავარმა აქ კაცი გამოგზავნა გემის დასაქირავებლად და ამიტომ იგი რუსეთს ღალატობსო.

ასეთი ცნობის მიღების შემდეგ, ბევრი აღარ უფიქრიათ და ადგილობრივი გარნიზონის უფროსს, გენერალ შატილოვს უბრძანეს, მთავართან მისულიყო და, როგორც შამილი, ძალით გამოესახლებინა, იმ განსხვავებით, რომ მთავართან ბრძოლა არ მომხდარიყო. მაგრამ საქმე სხვაგვარად წარიმართა: მთავარი თვალცრემლიანი და მწარედ მოძლიძარი გამოვიდა, მიესალმა ჯარს და გენერალ შატილოვის თანხმობით გაემართა მისთვის გამოგზავნილ სამხედრო გემზე.

აი, ფაქტები, მაგრამ სიმათლის გაგების მსურველი მოაზროვნეებისათვის, ეს ფაქტები განმარტებას საჭიროებენ.

ეს სამწუხარო ამბავი ისეთ ბურუსშია გახვეული და სათქმელი ისეა ჩახლართული, რომ შეუძლებელია, იგი გაარკვიოს და გაიგოს საღად მხედავმა ადამიანმა. აქ უამრავი საკითხი წამოიჭრება:

1. გემის დასაქირავებლად გაგზავნილ კაცს ნაბრძანები ჰქონდა მაინცდამაინც კონსტანტინოპოლში დაექირავებინა გემი თუ თავის ჭკუაზე, სიაფის ან მოსახერხებელი გზის გამო გაემგზავრა იქ.

2. თუ დაუშვებთ, რომ მთავარმა მართლაც უბრძანა თურქული, ავსტრიული, ფრანგული, ან სულერთია, სადაურ გემს დაექირავებდა, ამაში ხომ ღალატის ჩრდილიც კი არ არის; ამ შემთხვევაში ღალატი რუსული გემებისა და სავაჭრო საზოგადოების მიმართ იქნებოდა. მიუხედავად ამისა, გაჩნდა ეჭვი, რომ ყოფილი მთავარი ნაწყენი იყო და თურქეთში სურდა გაქცევა.

უცნაურია, კითხვები რომ არავის გაუჩნდა: ჯერ ერთი, გაქცევის განმზრახველი ადამიანები ფორმალურ შვებულებას არ ითხოვენ. მეორეც, სრულ ჭკუაზე მყოფ მთავარს ხომ არ შეეძლო მიეტოვებინა საკუთარი მიმუღების ათმილიონიანი ქონება და შედარებით ღარიბად – ასი თუ ორასი ათასი მანეთის ამარა საძულადო ემიგრაციაში წასულიყო. მესამე, არასოდეს არაფრით დადასტურებულა ბ-ნ იგნატიევის ყბადაღებული დეპეშა ღალატის შესახებ. აი, რას ამბობს ყოფილი კავკასიის კომიტეტი თავის სხდომაზე (Дело Кавк. Ком. 76, л.84-41): „მთავრის აღნიშნული ურთიერთობა თურქეთთან, ბოლომდე გაურკვეველი დარჩა“, ანუ მართლმსაჯულების ენით რომ ვთქვათ – „დაუმტკიცებელი“

და იქვე აღნიშნულია, რომ „მთავრის მიერ ჩადენილმა დანაშაულმა მას აპყარა უფლება, სარგებლობდეს იმპერატორის უმაღლესი ყურადღებით, რითაც ამ დრომდე მუდამ სარგებლობდა და დასვა საკითხი მისი შემდგომი სვე-ბედის განსაზღვრის შესახებ, არა მისი უწინდელი მდგომარეობისა და დამსახურების მიხედვით, არამედ, მარტოდენ მონარქის წყალობის შესაბამისად“. ამის საფუძველზე, მხოლოდ დაუმტკიცებელმა ბრალდებებმა განსაზღვრეს შემდგომი ბედი, სრული ზნეობრივი და მატერიალური განადგურება არა მხოლოდ ერთი სახლის, არამედ მთელი გვარისა.

ნათქვამის სანუგეშოდ ისღა დამჩნენია დავსძინო, რომ რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში ბევრია ტრაგიკული ეპიზოდი, რომელიც დასმენების, ეჭვებისა და ჭორების გამო მოხდა. ბოლოს და ბოლოს, ზოგი რამ გამოდის ღვთის სააშკარაოზე, მაგრამ ვაი, რომ მხოლოდ მაშინ, როცა მთელი თაობები ტანჯვა-ვაებაში გადაშენდებიან, საქმე ცხოველ ინტერესს კარგავს და მხოლოდ საფლავის მთხრელთა და არქეოლოგთა საქმიანობად იქცევა.

გადასახლებული ყოფილი მთავარი, რვათვიანი ავადმყოფობის შემდეგ, ვორონეჟში გარდაიცვალა. ხელისუფლების თანხმობით, მისი ცხედარი მოქვის ტაძრის საძვალეში დასაკრძალად გადაასვენეს.

ვუბრუნდები საკუთრივ აფხაზეთის შემდგომ ბედ-იბალს. ბ-ნი გარსევანოვი განაგრძობს თავის ფანტასტიკურ თხზულებას და წერს: „რუსულ ხელისუფლებას მოუწია აფხაზეთა ჩვეულებითი რჯულის შესწავლა; საჭირო იყო ხალხურ ტრადიციებში არა მარტო ჩახედვა, არამედ მათი გაგებაც“ და ა.შ. რამდენად „საჭირო იყო“ ყოველივე ამის გაკეთება, სხვა საკითხია, მაგრამ მოხვლეები არა მხოლოდ არ შეისწავლიდნენ ქვეყნის ზნი-ჩვეულებებს, არამედ ზოგადკაცობრიული ეთიკითაც რომ არ ხელმძღვანელობდნენ, ამას ახლა ვნახავთ.

გლეხთა მანიფესტის გამოსაცხადებლად გამოგზავნეს მოხელე, ვინმე ბ-ნი ჩერეპოვი. სოფლებში, მამასახლისების მეშვეობით, მან რაღაც მოლაპარაკებები გამართა. ერთხელაც, ბრძანება მამასახლისისადმი ასეთი სიტყვებით დაასრულა: „ასე რომ, ზვალ საღამოს თქვენთან ვიქნები, შეჰყარე ყველა, ვისაც უნდა შევხვდე, – ჰო, მომიწევს თქვენთან ღამის გათევა და უბრძანე გომბიოებს, კარგად დაიბანონ და ბებერი სიფათები არ დამანახო!“

მამასახლისის თვალში ავმა ცეცხლმა გაუელვა, მაგრამ თავი შეიკავა და მხოლოდ უპასუხა: „ჩვენთან ყველა ყოველთვის კარგადაა დაბანილი, მაგრამ თქვენ არ მოგელიან“. ამ სიტყვებით ის წავიდა. ეს საუბარი ჩემ თვალწინ მოხდა და ამიტომ ბ-ნი ჩერეპოვს მივანიშნე, რომ ამგვარად არ უნდა ელაპარაკოს მათ და ის ამას ამაოდ სჩადის. „არა უშავს“, სიცილით მომივო, „ეგენი ნელ-ნელა ცივილიზებულიები უნდა გახადო“. მეორე დღეს, როცა ბ-ნი ჩერეპოვი სოფელში ჩავიდა, ის არცერთ სახლში არ შეუშვეს, მასთან ხალხი არ შეკრებილა და იძულებული გახდა, ღამის ათ საათზე,

ერთი ჩაფარის თანხლებით, უკან გაბრუნებულიყო.

ძილის წინ აღშფოთებული ილანძღებოდა: „დამაცადეთ, გათახსირებულებო, მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა რუსი მოხელის აბუნად აგდება“...

აი, კიდევ ერთი პატარა ნიმუში მაშინდელ მმართველთა ტაქტიკისა. მაგანმა, უბნის უფროსად დანიშნულმა, გაემართა რა თავისი უბნის შემოვლაზე, ღამე ერთ აზნაურთან გაათია, — მეზობელი აზნაურები და გლეხები შეიკრიბნენ ახალი უფროსის მისასალმებლად. ამ კუთხის ჩვეულებისამებრ, მასპინძელმა სტუმრებს დიდი ვახშამი გაუმართა. სვამდნენ, ვისაც რამდენი შეეძლო, წარმოთქვამდნენ სადღეგრძელოებს, მაგრამ არავინ ითრობოდა. უცებ უფროსი ეკითხება მასპინძელს: — თქვენ, კაცმა რომ თქვას, თავადი ხართ თუ აზნაური? — ის პასუხობს: — აზნაური. — აბა, რა განსხვავებაა თავადსა და აზნაურს შორის? — არავითარი. — იყო პასუხი. — მე ვფიქრობ, — განაგრძო უფროსმა, — „არავითარი განსხვავება არ არის თვით თქვენსა და გლეხებს შორის: — თქვენ როგორი თავადები და აზნაურები ხართ, როცა გლეხებთან ერთად ერთ სუფრასთან სხედხართ!“ — ეს ჩვენი წესია, — ჩაილაპარაკა დაბნეულმა და ცოტა არ იყოს, შემცბარმა მასპინძელმა. მაშინ სუფრის ერთმა წევრმა, მოხუცმა გლეხმა, ფეხზე ადგარმა განაცხადა: „დაახ, შენ მართალი ხარ, ბატონო უფროსო, ჩვენ შორის განსხვავება არ არის, ჩვენს თავადებს ახსოვთ ღმერთი და ამიტომ იციან, ღმერთმა ისინი ისეთივე შექმნა, როგორიც ჩვენ: წყვილი ხელითა და ფეხით, ორი თვალით და ერთი ცხვირით, ერთი პირითა და მეტყველების უნარით. ღმერთს ჩვენი განსაკუთრებული განსხვავება რომ მოესურვებინა, მაშინ ადამიანურად მარტო თავადები ილაპარაკებდნენ, მათ, ორის ნაცვლად, ოთხი თვალი ექნებოდათ, ჩვენ კი ვიზმუვლებდით, ვიყფებდით ან ვიღუტუნებდით და დაოთხილი ვივლიდით“. ამის მოსმენისას დამსწრეებს თავშეუკავებელი ხარხარი აუტყდათ.

„არა, ბატონო უფროსო, — განაგრძობდა ორატორი, — შენ ეს საქმე არ გესმის. თავადები ჩვენი უფროსები იმიტომ არიან, რომ ყოველთვის ხალხზე წინ იყვნენ, ამიტომ გვიყვარან ისინი, პატივს ვსცემთ მათ და იმათაც ვუყვარვართ, როგორც უმცროსი ძმები, როგორც სახლიკაცები. ჭირში მხარში გვიდგანან, ლხინში ჩვენთან ერთად ხარობენ, პურსაც ერთად ვჭამთ და ერთად ვილხენთ. რამე დავგჭირდება — მუშა საქონელი, სახლის ავეჯი თუ ჭურჭელი, არასოდეს უარს არაფერზე გვეუბნებიან. ჩვენც, ვისაც როგორ შეგვიძლია, ასევე ვეხმარებით და ვემსახურებით, ვცხოვრობთ მეგობრულად, კეთილად, ღვთისნიერად, — აი, ბატონო უფროსო, ჩვენთან როგორ ცხოვრობენ. ეს შენ გაემარჯვოს, როგორც ჩვენს სტუმარს, ჩვენ — ყველას გვინდა გაგვივო და ჩვენ შენ შეგიყვართ და პატივი გცეთ“.

ამით დამთავრდა ვახშამი. ყველა თავისი გზით წავიდა, ხოლო უფროსი უმძრახად მოღუშული გაიძურწა.

ამგვარი უტაქტო გამოხდომები ხშირად ხდებოდა და ეს მოსახლეობაზე დამთრგუნველად მოქმედებდა. ხალხს რაც ყველაზე მეტად შეურაცხყოფდა, ეს იყო რუსი მოხელეების ქედმაღლური დამოკიდებულება მათადმი. სამწუხაროდ, მთავრობასა და ზოგიერთ ინტელიგენტურ წრეებშიც კი არსებობს საიდანაც გაჩენილი ცრურწმენა, რომ აზიატებს მკაცრად უნდა მოექცე, ქედმაღლურად მოეპყრო, რის გამოც ისინი ვითომცდა აღიარებენ თავიანთ ბატონს და პატივს სცემენ მას. რასაკვირველია, ასეთი ვაგება მცდარია, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი ხალხის მიმართ, რომელთაც აზიატებს უწოდებენ და გეოგრაფიული ცოდნის საზიანოდ, ამ სიტყვაში თავიანთ გონებამახვილობას გულისხმობენ. თუმცა, თვით აზიატების აბუნად აგდებაც რა საკადრისია!

აფხაზებს სრულებით არ გააჩნიათ პირფერობის გრძობა და ისინი ვერავის იტანენ, ვინც მათ ქედმაღლურად ზემოდან დასცქერის. უბნის უფროსი, ვინმე იზმაილო (აჯანყების დროს მოკლული) მოითხოვდა ღია ცის ქვეშ შეკრებაზე, აფხაზებს მისთვის ქუდმოხდილებს ეპასუხათ. ერთმა დამსწრეთაგანმა, გვარად მიქანბამ უპასუხა: „ჩვენ ქუდებს ვიხდით მხოლოდ ეკლესიაში და ჩვენთვის დღემდე უცნობია წმინდანი იზმაილო“. კადნიერი ტონის გამო იგი დააპატიმრეს და რამდენიმე თვით სოხუმის ციხეში ჩასვეს. ამგვარი შეხლა-შემოხლა ხალხში ყრუ გმინვასა და უკმაყოფილებას იწვევდა. მეორე მხრივ, მმართველები საკვებით სამართლიანად მიიჩნევდნენ ხალხში მანკიერი ინსტიტუტების აღმოფხვრას, როგორიცაა, მაგალითად: სისხლის აღრევა, ქალიშვილების მოტაცება, ცხენის პარვა და სხვ. აქვე უნდა ითქვას, ეს უკანასკნელი მანკიერება, ეკონომიკური ყოფის მოშლის გამო, ბოლო დროს გავრცელდა. მაგრამ ამ უარყოფითი თვისებების აღმოსაფხვრელად, უფროსობა არა მარტო უსამართლო, ხშირად მონათმფლობელურ ზომებსაც კი მიმართავდა, მაშინ როცა მეფის ნაცვლის ბრძანებით მართებდათ, არათუ პატივი ეცათ სამართლისათვის, არამედ გარკვეული ზომით, ხალხის ჩვეულებითი სამართალიც გამოეყენებინათ.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი და კიდევ ბევრი უთანხმოება ხალხში ყოველდღიურ გაღიზიანებას იწვევდა და ყოველგვარი უბედურებისათვის ამზადებდა ნიადაგს. ასეთ დროს გამოცხადდა გლეხთა ყმობიდან განთავისუფლების მანიფესტი. აქ მოხდა სრულიად წარმოუდგენელი რამ. ყველა მოხელემ და უფროსობამ, ვისაც რეფორმის გატარება დაევა, თავი არ შეიწუხა ქვეყანაში წოდებრივი ურთიერთობების შესასწავლად. საქმე ისაა, რომ აფხაზეთში დე ფაქტო ბატონყმური დამოკიდებულება არ არსებობდა. უმიწაწყლო გლეხები, ბეგარის პირობით, იჯარით იღებდნენ მიწებს მემამულეებისაგან. პირობები უვადოდ სიტყვიერად თანხმდებოდა ორი მოწმის დასწრებით. ვადა იმიტომ არ წესდებოდა, რომ მოიჯარადეს ყოველთვის შეეძლო მიეტოვებინა ეს ადგილი და სხვა მემამულესთან გადასულიყო. ესენი თა-

ვისუფალი ფერმერები იყვნენ, რომელთა მსგავსს ქართლში „ხიზნებს“ ეძახიან. აფხაზურად მათ „ანზავი“ ეწოდებოდათ, რაც მოსახლეს ნიშნავს, მაგრამ თვით სიტყვა „ანზავი“, ეტყობა ქართული სიტყვიდან „მომხნავი“, ე. ი. მხვნილისაგან მოდის.

ხალხმა ვერაფრით გაიგო, ვისგან და რისგან ათავისუფლებდნენ. რატომ უხდიან მემამულეებს მათში 25 მანეთს. არჩეული პირები გამოცხადდნენ სწორედ იმ იზმაილოსთან, ზემოთ რომ ვახსენე და ჰკითხეს, რა და როგორაა. — თქვენ, ცხვრებო, გათავისუფლებენ იმათგან, ვისაც ეკუთვნი, შეუძლიათ ხვალ გაგკოჭონ და გაგყიდონ, — ეუბნება უფროსი. — ბ-ნო უფროსო, თქვენ მართალი არ გითხრეს, ჩვენი გაყიდვა არავის შეუძლია, ჩვენ არავის ვეკუთვნი, გარდა ღმერთისა და მეფისა; მაგრამ რატომ გყვიდულობს მეფე, როცა ისედაც მისი ხალხი ვართ. უწინ ჩვენი პატრონი, ჩვენი მთავარი იყო, ახლა კი ჩვენი პატრონი მეფეა, სხვა ჩვენ არ ვიცით და ჩვენ გაყიდვას ვერავინ გაბედავს. ჰკითხნეთ თვითონ ჩვენს თავადებს. ისინი გეტყვიან, რომ ჩვენ მათი მონები კი არა, მეგობრები ვართ და ჩვენ მათგან განშორება არ გვინდა; ჩვენთან ოდითგან ასეა, თავადებიც, აზნაურებიც და ჩვენ — ყველანი (გლეხებიც) უნდა ვემსახუროთ მეფეს ისე, როგორც ის გვიბრძანებს, ჩვენ საშინაო საქმეებს კი შეეშვით, ჩვენ თვითონ გავარკვევთ, რაც გასარკვევი გვექნება“.

ეს სიტყვა ძალზე ზეაწეული ტონით წარმოითქვა და სანამ თარჯიმანი უფროსს უთარგმნიდა, ხალხი თარჯიმანის დასრულებას აღარ დაელოდა და აღზნებული დაიშალა. მერე დღეს უფროსს მოახსენეს, რომ სოფლებში დიდი ბრბოები იკრიბებიან, არის დიდი შფოთვა და აგიტაცია. ამის შესახებ, სოხუმში ოკრუგის უფროსს, პოლკოვნიკ კონიარსაც აცნობეს. კონიარი განათლებული და წესიერი ადამიანი იყო, თავისი ქვეშევრდომი მოხელეების ბოროტმოქმედებათა შესახებ რაღაც-რაღაცები იცოდა, მაგრამ ამჯერად, ბრბოს დაჟინებული მოთხოვნის გამო, პოლკოვნიკს მიაჩნდა, არ დაეთმო და ამით ხელისუფლების პრესტიჟი დაეცვა. პოლკოვნიკ კონიართან მოლაპარაკება დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ წარუმატებლად დამთავრდა. ბოლოს კრებამ მოითხოვა ნებართვა, მეფისნაცვალთან გაეგზავნათ დეპუტაცია, რათა თავიანთი საჩივარი გადაეცათ და გაეგოთ, სინამდვილეში მართლა ასეთია მეფის ნება, მოხელეებს რომ სურთ, თავს დაატეხონ და ა.შ. პოლკოვნიკმა ამაზეც უარი უთხრა. ჩემი აზრით, პოლკოვნიკ კონიარის ეს უკანასკნელი უარი იყო მისი საბედისწერო შეცდომა. ადმინისტრაციის რიგითი მოხელეებისათვის კი იმის უფლების მიცემა, რომ ყოველთვის ვეტოთი იხელმძღვანელონ, რაც საეჭვოა, მიზანშეწონილი იყოს და მთავრობის ზრახვებს შეესაბამებოდეს. ბოლოს და ბოლოს, ხუთსაათიანი მომქანცველი, აღზნებული მოლაპარაკების შემდეგ, არ მოხერხდა შეთანხმება, არცერთ მხარეს არ სურდა დათმობა და დაიწყო ამბოხი. ამ სისხლიანი ეპიზოდის მსხვერპლნი გახდნენ თვითონ პოლკოვნიკი კონიარი

და სხვები. ამბოხი მოედო 5-6 სოფელს, სადაც 4 ათასი კაცამდე ბრბო წინააღმდეგობას უწევდა და თავდასხმას ახორციელებდა.

თავისთავად ცხადია, ამბოხი ძალე ჩაახშეს და რამდენიმე კაცი, მოთავებულ რომ ითვლებოდნენ, საველე სასამართლომ დახვრიტა. ადმინისტრაციამ შემდეგ მკაცრი ზომები მიიღო, სრული განიარაღება მოახდინა, ხანჯალიც კი ყველას ჩამოართვეს. მთელ მხარეში, ყველა წოდების ქონება ხაზინას გადაეცა, თავადაზნაურობას თავისი შთამომავლობითი უფლებები ჩამოერთვა, ბევრი გადაასახლეს და შეუდგნენ ამბოხების მიზეზთა გამოძიებას.

ბატონყმური ურთიერთობის გაუქმების მანიფესტის გამოცხადება იმ ხალხში, სადაც იგი არ არსებობდა და მიუღებელი იყო მათთვის, ადმინისტრაციის მოხელეების სრულიად უპატივბელი შეცდომა გახლდათ. ასეთი მოქმედებისათვის მათ, როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეში უნიათობის ჩამდენთ, შეიძლება პასუხი ეგოთ.

საკითხი რთულდებოდა, მისი გარკვევა ძნელი და გამოუსწორებელი ხდებოდა, უფრო იოლი იყო გორდიას კვანძის ერთი დაკვრით გახსნა. ამ მოვლენის წინ, ყოფილი მთავრის ცხედარი ჩამოასვენეს. პოლიტიკური აჯანყება რომ ვივარაუდოთ, იმაზე იოლი არაფერი იყო.

არადა მხედველობიდან გამორჩათ, რომ მღელვარება მოხდა არა იმ კუთხეში, სადაც მთავარი დაკრძალეს; რომ 3-4 ათასი კაცის ამბოხი იმ ქვეყანაში, სადაც 145 ათასი მოსახლეობაა, არ შეიძლება პოლიტიკურ აჯანყებად ჩაითვალოს და, თუ იგი მართლა შეიძლება მომხდარიყო, მაშინ საღი აზრის თანახმად, აჯანყება უნდა მომხდარიყო ან როცა მთავარი ცოცხლად შეიპყრეს, ან მაშინ, როცა იგი ჩამოასვენეს. ხოლო ნახევარი წლის შემდეგ ხუთი სოფლის სახით აფხაზეთში აჯანყება, აბსოლუტურად თავქარიანი ჭკუის ნაყოფია; ჭეშმარიტების მისაღწევად საჭიროა მოვლენებში ღრმად ჩაწვდომა და სამართლიანობის გრძნობა; მოხელეებისათვის ერთიც და მეორეც ზედმეტი ბალასტი აღმოჩნდა, ამიტომ აფხაზეთის ბედი უსამართლობის, დევნისა და ტანჯვა-ვაების კალაპოტში მოხვდა.

აი, მოკლედ აფხაზეთა ცხოვრების ისტორია რუსული ადმინისტრაციის მმართველობის დროს.

მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციური მოძრაობის ჟამს, 1905-1906 წლებში, მეფისნაცვალმა უმაღლესი წყალობა მიიღო და ოფიციალურად აღიარა, რომ აფხაზეთი არ არიან მეამბოხეები და რევოლუციონერები, აფხაზეთში მმართველობის ძველი სისტემა დღესაც გრძელდება და მოხდა მოულოდნელი მოვლენა. „ცნობილი მეამბოხეები“ — აფხაზეთი მაშინ მშვიდად იყვნენ, როცა მთელი რუსეთი ამბოხებული იყო. ეს როგორ მოხდა? ამ სალასანებს რას გაუგებ, ეგენი ყოველთვის იმას სჩადიან, რასაც არასოდეს მათგან არ ელოდები. ეს ხომ სულ უბრალოდ ხდება — ამბოხენ ბრძენი მოხელეები. მათთან ჯერ ხომ ისევ ფეოდალური წყობილება გრძელდება; მათ ეს უნდა მოუშალოთ, სასაცილოა, ამ დროს სახელმწიფოში არსებობდეს

ხალხი ფეოდალური ყოფა-ცხოვრებით, ამის დაშვება არ შეიძლება, ასკენიან ისინი და დაიწყო უკუ მოძრაობა – ხალხის წინაშე თავადაზნაურობის დამცირება. უფროსები ზოგჯერ მიმოდინ მათ რწმუნებულ რაიონებში, თავადები და აზნაურები მიაძიტი თავაზიანობით ეგებებიან მოხელეებს, რომლებიც მათ უგულვებელყოფენ და არც ესალმებიან, როგორც ამას სჩადის ქალთა ინსტიტუტის გამგე ქალბატონი, დანაშაულჩადენილი ქალიშვილების მიმართ.

წმინდა მინისტრული საქციელია, რადაც უნდა დაჯდეს, უნდა გაწყდეს ყოველგვარი კავშირი მოსახლეობის წოდებათა შორის. რამდენად სასარგებლოა ეს სახელმწიფო მიზნებისათვის, ამის განსჯას ჩვენ ვერ ვითავებთ, მაგრამ ვფიქრობ, შორს მიდის ეს მისწრაფება. ამას წინათ გამოგზავნეს ოკრუგის რევიზია. ამბობენ, სარევიზიო კომისიის ერთი წევრი უჩინებდა გლეხებს, არავითარი საერთო არ ჰქონოდათ მემამულეებთან: „რად გვინდა ეგენი“, – ამბობდა მოხელე, – „მათ ზიანის მეტის, რისი მოტანა შეუძლიათ!“ არც მეტი, არც ნაკლები, – სოციალ-დემოკრატია.

შესადლოა, ეს მშვენიერიცაა, მაგრამ შეუთავსებელია სახელმწიფო მოხელისათვის, აფხაზების მიმართ კი სრულ უაზრობად იქცევა. აფხაზეთში რევოლუციურ პროპაგანდას იმის გამო არ ჰქონდა წარმატება, რომ აფხაზეთში წოდებრივი შუღლი არ არსებობს.

აი, ბატონო გარსევანოვ, რა კარგად ჩასწვდნენ ხალხის სულს 40 წლის განმავლობაში და როგორ გაიცნობიერეს მისი ყოფა-ცხოვრება. გავა კიდევ 40 წელიწადი და ცივილიზაცია თავისას გაიტანს: ბნელი და ველური ხალხი განათლდება; გლეხები თავადაზნაურთა ცხენებს ჩლიქებს დაამბობენ, სახლებს გადაწვავენ, მემამულეები დამბრებებს შეიპყრობენ, დაიჭერენ გლეხებს და გაროზგავენ. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა იქნება, მაგრამ თუ ჩვენ ჯერ ვერ მივალწიეთ განათლების ასეთ დონეს, საეჭვოა, ამას ვაჩქარებდეთ.

კიდევ რა ვთქვათ აფხაზეთზე? მართალია მათი ნაწილი, 20 კომლამდე გადასახლდა თურქეთში, მაგრამ სანამ მათ ღალატზე ავტენავდით განგაშს, მანამდე საჭირო იყო გვეფიქრა, როცა ადამიანები სამშობლოს უცხო ქვეყნის სანაცვლოდ ტოვებენ, შინ დალხენილი ცხოვრება როდი აქვთ. მოვუსმინოთ რას წერს ერთი რუსი ჟურნალისტი: „ტამანის ნ.კ.-ზე მე-18 საუკუნის დასაწყისში თავისუფალი კაზაკები დამკვიდრდნენ, თავიანთი ბელადის – ნეკრასოვის სახელით რომ იწოდებოდნენ. ისინი მიწას ამუშავებდნენ, მეთევზეობდნენ, ამრავლებდნენ შესანიშნავ უკრაინულ საქონელს. მთელი ქვეყანა ჩერქეზების მეზობლად დასახლდა რუსებით, ვისთანაც ისინი მეგობრულად და მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. თუკი ზოგჯერ ერთმანეთს არბეჯდნენ, ეს უფრო მხედრული სიამაყის გამოხატულება იყო და არამც და არამც ძირძველი მტრობა. კაზაკი ქალები ჩერქეზებს

მიჰყვებოდნენ ცოლად, ჩერქეზი ქალები – კაზაკ ვაჟაკებს და ამგვარად, ბუნებრივი და თავისუფალი განვითარების საფუძველზე იბადებოდა რუსული გავლენის ის ელემენტი, რომელიც სასურველი იყო სამხრეთში, შავი ზღვის სანაპიროზე, რის გამოც შემდგომში ატყდა სისხლისმღვრელი ომი მთიელებთან, ნახევარი საუკუნე რომ გრძელდებოდა და რუსეთს ათობით მილიონი მანეთი და რამდენიმე ასიათასი სიცოცხლე დაუჯდა. ასეთი თვითნებური დასახლება ჩვენი მთავრობის მიერ იღვევებოდა და ბოლოს, განაწამებმა კაზაკებმა ყველაფერი წამოწყებული მიატოვეს და 1789 წლებში თურქეთში გადასახლდნენ.

აი, როგორი ამბები ხდებოდა.

ახლა კიდევ ისეც ხდება, რომ რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან გარბის ხალხი ამერიკაში, იქნებ იქ მაინც შეეწიოს ღმერთი და შეუძსუბუქოს ცხოვრება. იმის გავონებაც კი სირცხვილია, რა უსასობამდე მიჰყავთ ადამიანები! როგორც ხედავთ, არაფერი ახალი არ არის ცის ქვეშ. ისტორია კი, როგორც ამბობენ, სხვანაირად იწერება...

აუცილებელია კიდევ ერთი განმარტება მოვახსენო ბატონ გარსევანოვს. ის ფიქრობს, რომ აფხაზები კერპთაყვანისმცემლები არიან და საბუთად იმოწმებს, რომ ისინი კერპთან მიდიან თავყანის საცემად, რომელსაც „ერიგ-ზაცნის“ ჰქვია.

„ერიგ“, ანუ „აფ-ერიგ“ აფხაზურად ელვისებურს, მეხიანის ნიშნავს. არის ასეთი სოფელი „ააცი“, „ანიხა“ ხატს ნიშნავს. „ერიგ ააცი-ნიხა“, ანუ ააციის მეხიანი ხატი. საფიქრებელია, ეს ილია წინასწარმეტყველის ან სხვა წმინდანის რაღაც ძველი ხატია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არაა კერპი.

მეონი, ყველაფერი ვთქვი, ყოველ შემთხვევაში ის, რისი თქმაც საგაზეთო წერილში შეიძლება; ყველაფერ დანარჩენს კი იმ ადამიანთა სინდისი დამტკიცებს, რომელთაც დიდი და გამუდმებული ზრუნვით, აფხაზი ხალხი უფორმო, უსახო მასად აქციეს და გადაშენების გზას გაუყენეს. მაგრამ ძალზე საეჭვოა, საჭირო იყოს ასეთი მსხვერპლი სახელმწიფოსათვის.

სახელმწიფოს საკანონმდებლო დაწესებულებებმა და რუსეთის საზოგადოებრივმა აზრმა უნდა გაითავისოს ის უღავო კანონი, რომ ხალხი, ყოველი ადამიანი, უნდა იცნობიერებდეს თავის გარკვეულ სამოქალაქო უფლებებს და მხოლოდ ამ ვითარებაში შეუძლია გაიგოს თავისი უფლებამოვალეობები საკუთარი სახელმწიფოს მიმართ. ჯოგურ მდგომარეობაში ჩავდებულ ხალხს კი, რომელსაც მხოლოდ უსიტყვო მორჩილება მოეთხოვება, არ შეიძლება ჰქონდეს სამოქალაქო ვალდებულების შეგნება, ისევე, როგორც არა აქვს იგი უფლებააყრილ კატორღელს.

ადამიანთა ასეთ ჯოგებს კი რამდენად ძალუბთ სახელმწიფოს კულტურული ზრდის დამშვენიება, აი, საკითხი, რაზეც საჭიროა დაფიქრება.

თავადი გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე

„სიგელის“ სცენარი



ქართველი მკურნალის პოპულარობა გერმანიაში, კლასიკური მუსიკის ფონზე

მისი, როგორც მკურნალისა და ბიოენერგოთერაპევტის, განსაკუთრებული პოპულარობა 9 აპრილს მოწამლულთა განკურნებას უკავშირდება, შემდეგ კი, 90-იან წლებში, ავტორიტეტი იმდენად მოიხვეჭა, რომ თბილისის ბავშვთა პირველ საავადმყოფოში საკუთარი ლაბორატორია გაუხსნეს.

საქართველოში წლების განმავლობაში „ქალთა საბჭოს“ წევრი იყო და პაციენტებისგან შეგროვილი თანხით გერმანიიდან ბევრ დაწესებულებას ეხმარებოდა... თბილისის წყალდიდობის დროსაც რამდენიმე დაზარალებულ ოჯახს გვერდით დაუდგა.

და მაინც, გადაწყვიტა საქართველოს დატოვება. 23 წელია გერმანიაში მოღვაწეობს, ფრანკფურტის პრესტიჟულ კლინიკაში ენერგოინფორმაციული მედიცინის დარგში მრჩეველია.

გერმანიაში მიწვეული ლექტორის სტატუსით ლექციებს კითხულობს, სხვადასხვა კლინიკასა და ცენტრებში იწვევენ, გამოდის მსოფლიოს ფორუმებზე...

გერმანიაში გამოცემული 10 წიგნის ავტორია და ათივე წიგნი გერმანიის ნაციონალური ბიბლიოთეკისა და ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის არქივებშია შეტანილი.

ფრანკფურტის ქალაქის ბიბლიოთეკაში გაიმართა საქართველოში, 90-იან წლებში შექმნილი მისი ნახატების პერსონალური გამოფენაც. ამ გამოფენის შემდეგ ნახატების ალბომი გერმანულმა გამომცემლობამ „Kann Verlag“-მა გამოსცა. — ბიოენერგოთერაპევტის, მაგული გორდელაძის პერსონა.

— დიდი ხანია გერმანიაში ცხოვრობთ და ფრანკფურტის მაღალპროფილიან კლინიკაში მუშაობთ. ენერგოინფორმაციული მედიცინის დარგში მრჩეველი ხართ. გვიამბეთ თქვენს საქმიანობაზე გერმანიაში...

— უკვე 23 წელია, რაც გერმანიაში ვცხოვრობ და ვმოღვაწეობ, ქალაქ ფრანკფურტის ერთ-ერთ პრესტიჟულ, მრავალპროფილიან კლინიკაში, ენერგოინფორმაციული მედიცინის დარგში მრჩეველის სტატუსით.

უნდა აღვნიშნო, რომ ამ პერიოდის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარეობს ჩემი მუშაობა. მრავალსაინტერესო შემთხვევასთან მქონია შეხება დიაგნოსტიკური თუ თერაპევტული თვალსაზრისით. განკურნებული პაციენტები, რა თქმა უნდა, დიდ სტიმულს მაძლევენ. კორონაკრიზისით შექმნილ ჩაკეტილ პერიოდშიც არცერთი დღე არ გამიცდენია, ვიღებდი პაციენტებს რეგულარულ რეჟიმში.

— არც საქართველოში დაგკლებიათ დაფასება, როგორც საზოგადოებისგან, ასევე მთავრობისგან... „ღირსების ორდენიც“ მიიღეთ...

— 1990 წელს თბილისში, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ბავშვთა N1 საავადმყოფოში დავიწყო მუშაობა. იქ პირადად მე ექიმებთან ერთად სამეცნიერო ლაბორატორია გამიხსნეს. მსოფლიოს ფორუმზე, შვეიცარიაში, გერმანიის ბავშვთა ფონდის ხელმძღვანელმა ჩემი წარდგენისას ასე აღნიშნა — დასანანია, რომ ეს ლაბორატორია პირველად საქართველოში გაიხსნა და არა გერმანიაშიო.

— თქვენი მეთოდის საიდუმლოება, რამაც წარმატება და აღიარება მოგიტანათ...


— თუ გადავხედავთ მედიცინის განვითარებას საქართველოში, დავინახავთ, რომ გარკვეული წლების მერე იგი პროგრესული ხდებოდა, მაგრამ ჩვენი საზოგადოება სიახლეს მაინც შიშით და სკეპტიკურად უყურებდა. სწორედ ამ ფაქტორმა გადაამწყვეტინა, რომ ისეთ განვითარებულ ქვეყანაში, როგორც გერმანია, ადგილობრივებისთვის ადამიანის ორგანიზმის მიმართ სრულიად ახალი მიდგომა გამეცნო, რაც სწრაფ და ეფექტიან მკურნალობაში გამოიხატება.

დღეს ამ თემაზე კვლევას მსოფლიოს მრავალი დარგის მუშაკი აწარმოებს. ფიზიკოსები ამტკიცებენ ველების ანუ ენერჯის არსებობას ორგანიზმში, მაგრამ ვინაიდან ენერჯია თვალთ უხილავია, ეს სკეპტიკურ განწყობას იწვევს.

— ზაარბრიუკენშიც ატარებდით სემინარებს...

— გარდა ჩემი, როგორც თერაპევტის მოღვაწეობისა, 6 წლის განმავლობაში, აგრეთვე, მიწვევდნენ ზაარბრიუკენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სემინარების ცენტრში. ყოველწლიურად ვატარებდი კურს-სემინარს, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩემი მეთოდის შესწავლის მსურველები: ექიმები და მედიცინის მუშაკები. კურსის დასრულების შემდეგ მათ ეძლეოდათ სერტიფიკატი და შეეძლოთ, ამ მეთოდით პრაქტიკულად გაეგრძელებინათ მუშაობა.

— გერმანიაში ლექციებს კითხულობთ, სხვადასხ-



მაგული გორდელაძის ნახატები

ვა კლინიკასა და ცენტრში გიწვევენ, გამოღიხართ მსოფლიოს ფორუმებზე...

– რეგულარულად მპატიჟებენ ასევე ლექციების ჩასატარებლად ენერგო-ინფორმაციული მედიცინის სხვადასხვა თემაზე მიწვეული ლექტორის სტატუსით.

ეს ლექციები დიდ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს. განსაკუთრებულად გამოვყოფდი ჩემს ლექციებს ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტში, ჰაიდელბერგში, ერთ-ერთ მასშტაბურ მსოფლიო სამეცნიერო კონგრესზე ქალაქ ბაზელში (შვეიცარია) 500-კაციანი მსმენელის წინაშე, ასევე ფართომასშტაბიან მსოფლიო სამეცნიერო ფორუმზე კემბრიჯში (დიდი ბრიტანეთი), რომელიც „ბი-ბი-სის“ რადიოარხზე გაშუქდა.

– თქვენი წიგნები გერმანიის ნაციონალური ბიბლიოთეკის არქივში შეიტანეს... ფრანკფურტის ბაზრობაზე გაიმართა თქვენი წიგნის „ორგანიზმი მთლიანობაში“ წარდგენაც... ალბათ ბოლო წლებში ახალი წიგნებიც დაემატა თქვენს გამოცემებს...

– ჩემმა მრავალწლიანმა გამოცდილებამ ვაღამაწყვეტინა ჩემი მკურნალობის მეთოდის შესახებ წიგნების გამოცემა. ამჯერად გერმანიაში გამოცემული 10 წიგნის ავტორი ვარ. ათივე წიგნი გერმანიის ნაციონალური ბიბლიოთეკისა და ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის არქივებშია შეტანილი.

როგორც ავტორი და გამომცემელი, სამჯერ ვიყავი დაპატიჟებული ფრანკფურტის წიგნის პრესტიჟულ გამოფენაზე, სადაც ჩემი წიგნები იყო წარმოდგენილი.

2018 წელს, ფრანკფურტის წიგნის გამოფენის ფარგლებში, როდესაც საქართველო, როგორც სტუმარი ქვეყანა, იყო წარმოდგენილი, ფრანკფურტის ქალაქის ბიბლიოთეკაში გაიმართა საქართველოში, 90-იან წლებში შექმნილი ჩემი ნახატების პერსონალური გამოფენა. ამ გამოფენის შემდეგ ალბომის სახით დაიბეჭდა ჩემი ნახატები, რომელიც გამოსცა გერმანულმა გამომცემლობამ „Kann Verlag“-მა.

გამოფენის გახსნა ფართო მასშტაბით ჩატარდა ფრანკფურტში, საქართველოს გენერალური კონსულისა და ქალაქის სხვა ოფიციალური წარმომადგენლების თანდასწრებით.

– საქართველოში წლების განმავლობაში „ქალთა საბჭოს“ წევრი იყავით, პაციენტებისგან

შეგროვილი თანხით გერმანიიდან ბევრ დაწესებულებას ეხმარებოდით...

– ქველმოქმედება, რა თქმა უნდა, დიდ სიხარულს მანიჭებს და, როცა საშუალება მეძლევა, სიამოვნებით ვასორციელებ ამა თუ იმ საქველმოქმედო პროექტს.

მაგალითად, წყალდიდობისგან დაზარალებულთა დასახმარებლად საქართველოს ქალთა საბჭოსთან კოოპერაციით განვახორციელე დახმარების პროექტი, მათთან წლების მანძილზე მჭიდროდ ვთანამშრომლობ, როგორც საპატიო წევრი. თანხა შევაგროვე ჩემი გერმანელი პაციენტებისაგან შემოწირულობის სახით დაზარალებულთა დასახმარებლად.

– ჰობი...

– ჩემი ჰობი ანუ დიდი ინტერესია ხატვა და კლასიკური მუსიკის მოსმენა. თავისუფალ დროს ვისმენ მუსიკას და ვესწრები ჩემი შვილის, პიანისტის ეკატერინე გორდელაძის კონცერტებს.

– ეკატერინე გორდელაძე ცნობილი პიანისტია... თქვენ როგორ დაახასიათებდით?

– დიახ, ჩემი ქალიშვილი ცნობილი პიანისტია საერთაშორისო მასშტაბით... ის ასევე დიდი ხანია გერმანიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს, ჰყავს გერმანელი მეუღლე. კონცერტების პარალელურად იგი გახლავთ ფრანკფურტის მუსიკალური უნივერსიტეტის და ციურიხის (შვეიცარია) კალაიდოს მუსიკალური უნივერსიტეტის დოცენტი. ეკატერინე მიზანმიმართული და დიდი პასუხისმგებლობის მქონე ხელოვანია.

ამავდროულად, ის მზრუნველი შვილი და შესანიშნავი მეუღლეა. მისდამი მსმენელის მიერ გამოხატული აღფრთოვანება – ჩემი სიამაყეა.

– რა თქმა უნდა, სასიამოვნოა საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობა და წარმატება, მაგრამ როდის აპირებთ დაბრუნებას?

– პაციენტების უწყვეტი ნაკადი არ მამძღვეს საშუალებას, მიუხედავად დიდი მონატრებისა, ზუსტად განვსაზღვრო ჩემს ქვეყანაში დაბრუნების თარიღი.

დიდი სიყვარულით მოვიკითხავ ჩემს საყვარელ ქვეყანას. სულიერ სიმშვიდეს, ურთიერთპატივისცემას და საქართველოს აღორძინებას ვისურვებდი.

ცნობისათვის: მაგული გორდელაძის ვებგვერდის მისამართი: www.gordeladze.de

ღანი ჯოხბენაძე



წადი, რომ დარჩე...

მოლბერტზე გაკრულ ნახატს დიდხანს აკვირდებოდა. ობობას ქსელივით არეულ ფერებში, სხვადასხვა უფორმო ფიგურას შორის, თვალები ყველაზე მკაფიოდ ჩანდა. ეცნო კიდეც. შეიშმუშნა, თითქოს, ყოველი ფერადი ხაზი საწყისს და დასასრულს ლამაზი ფერის თვალებიდან იღებდა.

მხარზე ნაზად შეხება იგრძნო, თავი ოდნავ გადახარა და ქალის თითებს უჩუმრად მიეფერა. წამი წუთად გადაიქცა. ღელვამორეულმა, თითი ნახატიდან მოშორალი თვალებისკენ წაიღო.

– ფიქრობ, შენია? – ჰკითხა ქალმა.

– ჰო! ჰო! შენ?! შენ ხომ ყველასი ხარ ყველგან. აქაც კი! – უჩურჩულა კაცმა.

– შენ?! შენ ხარ ყველასი, მე არავისი! – უპასუხა ქალმა და მხრიდან თითები ჩამოაცურა.

კაცი წინ დაუდგა. თვალებით ზომავდნენ ერთმანეთს. ორი ცისფერი თვალი ორ თაფლისფერს მიბჯენოდა. თაფლისფერი სთხოვდა:

– ჩაგეხუტები. მხოლოდ ხელებს მოგხვევ, შეგისუნთქავ!

– არა, არ შემიძლია! მიდინარ და ვიხრჩობი მერე. ზედ მეკერი თითქოს... ერთხელ ჩამეხუტე და წადი. ვერ გიშორებ. ჩემთან რჩები და... ვტირი!

– არ გამიშვა მაშინ, დამტოვე! – მუდარი ისმოდა მამაკაცის ხმაში.

– მოდი, ჩამეხუტე და წადი, წადი, რათა ისევ შევეძლო სხვა დროს გნახო, შევეძლო, ვისუნთქო!..

მეგობარმა პოეტმა გერმანიაში მცხოვრები პოეტი ქალის ნახატების გამოფენაზე დაპატიჟა ცისფერ გალერეაში. იქ მისულებს ბევრი ნაცნობი და ახლობელი დახვდათ. დათამ გაიხუმრა, მთელი მწერალთა კავშირი აქ ყოფილაო. მეგობარმა ქალთა წრეს გამოაღწეინა და საშუალო სიმაღლის, ქერა, ცისფერთვალებიან, ლამაზლიმილიან ქალბატონს

წარუდგინა:

– ეს ჩემი მეგობარი დათაა.

– დათა, გაიცანი, ქალბატონი მარი თოფურია.

ერთმანეთს ღიმილიანი სახით შეხედეს. იმ წუთში, ღიმილი მათი სავიზიტო ბარათივით იყო. ქალმა შეამჩნია, რომ მისი სტუმარი თავს ძალიან შინაურულად გრძნობდა, რადგან ყველა თუ არა, უმეტესობა მაინც კმაყოფილი დარჩა დათას გამოჩენით. იგი, რაღაც განსაკუთრებული სიტბოს მატარებელი მუხტივით, ყველას იზიდავდა, თუ პირიქით, მას იზიდავდნენ. მარისთვის კი დათა და მისი შემოქმედება ნაკლებად ცნობილი იყო.

საგამოფენო დარბაზი თანდათან დაიცალა. ძალიან ახლობელთა ჯგუფმა საღამო მათთვის გაშლილ სუფრასთან გააგრძელა. მასპინძლის ღიმილი ყველაფერს ალამაზებდა. მარი საოცარ სიმსუბუქეს გრძნობდა, რაც მარტო წარმატებული საღამოს გამო არ იყო. ღიმილს რაღაც განუქმეორებელი ხიბლი ახლდა. გულს ეღიღინებოდა, სხვანაირად ფეთქავდა თითქოს. აი, ბავშვობაში რომ განუცდია ისე...

– მომეცი, ჩანთა მე წამოგიღებ! – სთხოვდა თანაკლასელი ვია, ყველგან მის ჩრდილად რომ გადაქცეულიყო.

– არა, თავადაც მშვენივრად მომაქვს, შენს თავს მიხედე! – სიბრაზეშერეული პასუხობდა შეჩვეულ ლანდს. ისიც უსიტყვოდ ემორჩილებოდა. მერე კი, თავდაჯერებული გოგონა შორიდან ჩანთას ესროდა და თუ რეაქცია დაიგვიანებდა, ჩანთა ძირს ვარდებოდა. უმეტესად, ვია ასერხებდა „მარცხი“ არ მოსვლოდა. ასეთ დროს მარის ნიშნისმომგები სიცილი მაღლიერი ღიმილით იცვლებოდა. მათ თვალებში ვარსკვლავებად სილაღე ცეკვავდა, რომელიც, რატომღაც, დრომ თანდათან წაშალა...

საოცრად ნაცნობი სიახლოვე იგრძნო წარსულთან. დათა, რატომღაც, ვიას შეადარა და არა საკუთარ ქმარს. განსჯისათვის არსებობდა ხვალ, ზეგ, ხოლო დღეს, აქ არის რეალობაში, მასთან. თუმც, არც იცოდა წესიერად ვისთან და რატომ, მაგრამ ასე უნდოდა...

ხშირად, ორნი, სწორედ რეალობიდან ამოვარდნილნი, ერთმანეთს მაცქირალები, დუმილის ენით საუბრობდნენ.

– უი, დათა?! არ გელოდი!

საგამოფენო დარბაზში, სიჩუმეში, ორნი უხმოდ უყურებდნენ ერთმანეთს, კედლებზე გამოფენილი ნახატები დროის ისრებს ხმამაღლა ატიკტიკებდნენ, წამიც კი ბევრის დამტევი - წამი აღარ იყო.

– მოდი, გავისეირნოთ, მანქანით ვარ. მიწა, მომისმინო!

დათას ხმაზე და თხოვნაზე რეაგირება ღიმილით მოახერხა...

ოქროყანისკენ მიმავალ გზაზე, ყაყაჩოების წითელ-მეწაშული ფერი ცისარტყელას გამოქცეულ ერთ-ერთ ფერს ჰგავდა. თან ერთი სურვილის ახდენის შესაძლებლობა რომ დასტყუა და მზის სხივებში არეული საოცარი ფერი, მანქანაში მჯდომთ, სარკმილიდან თამამად ეთამაშებოდა.

– რა სილამაზეა! გააჩერე. რამდენი წელია ყაყაჩოს ხელით არ შევხებივარ! – სთხოვა მარიმ.

ყაყაჩოების ველზე ყაყაჩოებს კრეფდა ქალი. ის სიყვარულის ფერი იყო. ის მისი იყო. მასზე, მისთვის და მის გამო ბევრი რამ სურდა გაეკეთებინა. ის სწორედ ის იყო, ვისაც ლექსები უწერა. ის რომანიც კი, რომელიც კულმინაციამდე არ იცოდა როგორ მიეყვანა და სათაურს ვერ არგებდა, უკვე წიგნად იყო აკინძული. „ყაყაჩოებში აღმოჩენილი“. ის მისი აღმოჩენა იყო, მარტობაში ჩურჩულად ქცეული მონატრება.

თითქოს არაფერია ის, რისგანაც ყოველდღიურობა შედგება. ყოველი დილა გათენებით იწყება, ყველა თავის საქმეზე მიემშურება. მხოლოდ დასვენების დღეებია სიახლის წყარო, მაგრამ როდესაც ეს არაფერი და ყოველდღიურობა დღესასწაულად გექცევა, როცა გათენებამდე არ სუნთქავ თითქოს, გათენებისას კი, ჟანგბადი იცი, სადაც გელოდება და შენც გარბინარ, გარბინარ, იცი, ისიც უკვე გზაშია, ან სულაც მიგასწრო პირველი შეხვედრის ადგილას, რომელსაც შეუთანხმებლად ეწვევით და ყოველი შეხვედრა მისი ჩუმი თხოვნით, სხვადასხვა ნახატის ახსნით იწყება. ან ეს ნახატი თავად გიკითხავს ლექსს. შენ ერთი წერ და ხატავ, ან პირიქით – ხატავ და წერ. როცა კითხვაზე, ლექსი იწერება და მერე ნახატი იქმნება, თუ, პირიქით, ნახატი იქმნება და სტროფები მერე ჩნდებიან, შენ, მარი რომ ხარ, ერთი პასუხი გაქვს, თურმე მთავარი დათას არსებობაა, რომელიც ამდენი ხანი სხვაგან იყო, ახლა კი შენია, სხვა ქალაქში დაიარება და მაინც შენია!

დაწერილ რომანს ვერც სათაურს არგებ და ფინალში დასმული სამი წერტილი დამთავრებას, თუ ისევ გაგრძელებას ელოდება?!

მიიწურება მალე გამოფენის დღეები და მერე?!

როგორი სხვანაირი ჩამოსვლა გამოვიდა მშობლიურ ქალაქში. წარმატებამაც იპოვა. საღამოები, შეხვედრები საკუთარი თუ შემოქმედი მეგობრებისა არ მოჰკლებია, არც გასვლითი ტური, საქართველოს რომელიმე მხარის დასათვალისწინებლად, ასე რომ ეგონა, ნანახი ჰქონდა...

ერთად ყოფნის ეს პერიოდი სასიამოვნო და თანაც საფრთხილო იყო, რადგანაც გარშემომყოფთ არ რჩებოდათ შეუმჩნეველი რაღაც განსაკუთრებული, სხვანაირი, წინანდელს და სხვისას რომ არ ჰგავდა, ისეთი ურთიერთობა.

განშორება, მით უფრო, მძიმე ხდებოდა. ორნი

იყვნენ მხოლოდ. ერთმანეთის სამყარო ნაცნობი იყო, უცნობი მხარეებით. დაუსრულებლივ საუბრობდნენ ყველასა და ყველაფერზე. დღევანდელი დღით კმაყოფილი იყვნენ. იქით რა იყო და რას შეძლებდნენ მერე, ეს არ იცოდნენ; რას მოუტანდათ ეს შეხვედრები, რომლებიც ასე დაგვიანებული იყო, არც ეს იცოდნენ...

გერმანიაში მარის დაბრუნების დრო ახლოვდებოდა. სურდა კი?! ეს კითხვა ისე ბანალურად ჟღერდა იმ დროს, როდესაც სხვანაირად ბედნიერი იყო, ბავშვობიდან და ბავშურად უყვარდა, ახალგაზრდობის და დღევანდლობის სიყვარულიც არეული იყო. ძიება, განცდა, ლოდინი, სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა და შესაძლებლობა დათას გამო უყვარდა თითქოს. არადა, მიუღებელი იყო ბევრი რამ.

პირველად რომ გაიცნო, თეთრსაყელოიანი, შავი პერანგი ეცვა. კათოლიკურ ეკლესიაში პადრედ წოდებულნი რომ იმოსებიან, სწორედ ისეთი. ძალიან ჰგავდა ფილმ „Поющие в терновнике“ -ში პადრეს, რომელსაც ულამაზესი მსახიობი, რიჩარდ ჩემბერლენი განასახიერებდა. მთავარი გმირი, წლების წინ ნალოლიაეები პატარა გოგოს სიყვარულს უარყოფდა, კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი საფეხურისკენ მსწრაფი. მაგრამ, როდესაც ახლად გარდაცვლილი ახალგაზრდა, რომელსაც ცხოვრების გზად თავად პადრეს გზა სურდა აერჩია, მისი საკუთარი შეილი აღმოჩნდება, წარსულში დატოვებული საყვარელი ქალისგან გაჩენილი, ყოველივე აზრს კარგავდა და ძალიან მალე, მისთვის უკვე ძვირფასი ადამიანის საფლავზე იმიერში გადადიოდა და კითხვა, რა შეიძლება გავიღოთ ნამდვილი სიყვარულისთვის, პასუხგაუცემელი რჩებოდა.

წამებში, თითქოს, ფილმმაც და რომანმაც გაივლევს მის არსებაში. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, აღსარება უნდა ჩაებარებინა მის მიერვე პადრედ აღქმულისათვის.

შემდეგ, ერთხელაც, როცა ნაფიქრის შესახებ დათას მოუყვა, ხუმრობის თემად დარჩა ეს შედარება. რა იცოდნენ მაშინ, რომ თავადაც არჩევანის უფლებისთვის მოუწევდათ ბრძოლა.

ქალში, მისი სახით, სიმშვიდე შემოვიდა. ლამაზი, თაფლისფერი თვალები, თლილი ცხვირი, ოდნავ სქელი ტუჩები, შეთხლებული და გაჭაღარავებული თმა საფეთქლებთან, სიმპათიურ მამაკაცთა რიგს მიაკუთვნებდა. საუბრის დროს, ოდნავ ნერვიულობისასაც კი, მარჯვენა მაჯაზე საათს ხშირად ეხებოდა. განათლება, ინტელექტი, იუმორის გრძნობა, ეს სწორედ ის იყო, ძალიან რომ ხიბლავდა, ინტერესს უღვივებდა.

ის არ თამაშობდა.

ის ასეთი იყო და – მისი!

- ასე არ შეიძლება!
- მე სხვანაირად არ შემიძლია!
- ბავშვები აღარა ვართ, მარი, ბავშვური, ან პლატონური სიყვარული ახლა თამაშია!
- ჩემთვის არა!...

ფიქრობდა, იტანჯებოდა: ის ისეთად უნდა დარჩენილიყო, ის მიუწვდომელი უნდა ყოფილიყო, კამკამა, სუფთა, რომ მართალი ყოფილიყო ღმერთისა და საკუთარი თავის წინაშე...

– ღმერთის გარეშე თუ არაფერი ხდება, ესე იგი, მან ეს დაუშვა, მოგვცა, რაც გვაკლდა. რატომ არ ავიღოთ მარი?!

– არა, გამოცდა მოგვიწყო, არ უნდა დავმარცხდეთ. მე, იმ წამებს, თუნდაც ნეტარებისას, რომელიც ვნების იქნება, ტკივილიანი მონატრება მირჩევნია!..

– ყველაფერი არ შეიძლება ღვთიური იყოს, მარი, რაღაც ადამიანურიც ხომ არსებობს, სიყვარული და თუნდაც ღალატი!

– აი, სწორედ ღალატის ზღვარი უნდა მოსპო, არ უნდა დაუშვა. არც ასაკი გვიწყობს ხელს, ახალგაზრდულ ჟინს დავაბრალოთ ყველაფერი. გავუშვათ ის, რაც გვიშლის. ვიყოთ მეგობრები, ამით უფრო დიდხანს შევინარჩუნებთ ერთმანეთს, გამოვკვებავთ ნიაღვრად მოვარდნილ გრძნობას, რომელიც თანამდევ სუნთქვად გადაგვექცევა. დაძვირე „პადრე“!

– შენ, ეტყობა, მართლა პადრე გგონივარ, მარი! პადრე, შეცდომის არ დაშვების უფლებით! შენ ფიქრობ და იქნებ მართლაც ასეა, სიყვარული უფლისადმი იმაზე მეტი უნდა იყოს, ვიდრე მიწიერი, მაგრამ ეს თუ ასე არ არის, ყველაფერი თავის მოტყუებაა? მე ხომ ადამიანი ვარ, დათა ვარ და არა პადრე!

– არ შეიძლება იყო იმ მცდარი ილუზიების თუ ფიქრების, ნატვრისა და წარმოსახვების მონა, სადაც დროებით ხარ ბედნიერი!

– არ შეიძლება ელოდო დაუსრულებელი და ბადეში გამომწყვდეულ პეპელას დაემსგავსო, დანებდე მაინც დამარცხებული! არ შეიძლება ეს ყველაფერი იყოს... იყო და არა იყო რა...

– დავიდალე, მარი! ჩაგეხუტები, მხოლოდ ხელებს მოგხვევ, შეგისუნთქავ...

– არა, არ შემიძლია! მიდიხარ და ვიხრჩობი მერე, ზედ მეკვრი თითქოს. ვერ გიმორებ, ჩემთან რჩები და... ვტირი!

– არ გამიშვა, დამტოვე!

– მოდი, ჩამეხუტე და წადი. წადი, რათა ისევ შევძლო სხვა დროს ვნახო, შევძლო, ვისუნთქო!..

– ნუ, ნუ გამიშვებ, გთხოვ!

– წადი, წადი, რომ დარჩე!..



ქალბნელი

შირაქის ველი, რომელსაც საქართველოს „პურის ბედელს“ ეძახიან, გარეკახეთის ზეგანის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. აქაურობის არქეოლოგია მის ვრცელ ისტორიას ყვება და არც გასაკვირია, რადგან ასეთ ნოყიერ მიწას ჩვენი გონიერი წინაპარი აუთვისებელს არ დატოვებდა. აქაურობის ისტორია კი იმ სივალაღეს ყვება, რომ ასეთ ნოყიერ მიწას ღამის ზედ მოკრული სპარსეთი გაუვერანებელს არ დატოვებდა. არ ასვენებდათ სპარსელებს გამჩენი და სპარსელები არ გვასვენებდნენ ჩვენ. ხალხსაც რა მეტი ჩარა ჰქონდა, აიყარა და ისევ თვითონ გაეცალა მომხდურს. დარჩა ეს ზვავრიელი მხარე უხნავ-უთესი, აბალახდა და გაუკაცურდა. თუშები ხმარობდნენ სამოვრებად, მკაცრ ზამთრებს გამოირიდებულ ცხვარს შირაქსა და ელდარში აზამთრებდნენ და გაზაფხულობით უკან მიერეკებოდნენ.

მე-19 საუკუნის ბოლოს მეფის მთავრობამ შირაქში რუსების გადმოსახლება გადაწყვიტა. მთიელებს ათწლეულების ნაწინევი ჰქონდათ რუსების „მზრუნველობა“ და 1804 წელს ერთ-ერთი პირველები აჯანყდნენ მოძალადის წინააღმდეგ. ახლაც ფეხზე დადგნენ მთიელები და ყოველგვარი ნებართვის გარეშე შირაქში ჩამოსახლება დაიწყეს. ან ვისგან უნდა აეღოთ საკუთარ სამშობლოში ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლის ნებართვა, რუსებისგან? ამ მოძრაობას ვაჟა-ფშაველა ხელმძღვანელობდა. ამ ჩონჩახუნებულმა გენიოსმა ერთ-ერთმა პირველმა შეაფასა აქაურობის მომავალი და სტრატეგიული მიზნები დაუსახა თავს – საზღვრისპირა რეგიონში მთიელების ჩასახლება. ეს პროცესი იოლი როდი იყო. გარდა მთავრობის მხრიდან უამრავი წინააღმდეგობისა, ხალხიც ათას რამეს ედავებოდა თავკაცს. მაინც არ დანებდა. „იცის ბიჭმაო“, – ამბობდა ხოლმე.

იცოდა და აჰა! ახლაც იცოდა, რასაც აკეთებდა. ჩარგალსა და შირაქს შორის ბილიკს იყო გაკრული. მისი ცხენის ნალები ხან წაღმა კვალავდა გზას და ხან – უკუღმა. დადიოდა ნახევრად მშვირი, ხან სიტყვიერი ჩხუბი უწევდა და ხანაც – ხელის ჩართვა. რუსების ერთგულ მოხელეს ერთხელ გვარიანი ალიყურიც ავება. იარა, ტკეპნა, აზვი ზავა და მაინც დაავვირისტა, მაინც დაამსგავსა უკაცური

ადგილი სოფელს. ასე დასახლდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა შირაქში, ასე შეიქმნა სოფლები – ზემო ქედი, ქვემო ქედი და არხილოსკალო.

ხალხი მთიდან თავისი ნებით მოდიოდა, მაგრამ თავებს მაინც უკან აბრუნებდნენ. თან ზგავიანი მიწა ეძახოდათ, თან ნაჩვევ ადგილებზე რჩებოდათ თვალი. დასახლდნენ, მაგრამ აქაურობას ბოლომდე ვერ ითავისებდნენ, მიცვალებულის აქ დამარხვა მაინც ვერ წარმოედგინათ, ისეთი განცდა ჰქონდათ, თითქოს უცხო მიწა-წყალზე ტოვებდნენ სისხლსა და ხორცს. აქაც დასჭირდათ ფშაველი თავკაცის ჭკუა. ვაჟა მთიელებს არწმუნებდა, რომ აქ უნდა დაემარხათ მიცვალებულები, აქ უნდა ჰქონოდათ სასაფლაო, რათა თავადაც ახლოს ყოფილიყვნენ თავიანთ მიცვალებულებთან. მსჯელობა ადვილი იყო, მაგრამ საქმის პირისპირ დგომა – რთული. როცა ჩამოსახლებულთაგან პირველი კაცი გარდაიცვალა, აი, მაშინ დადგა სჯა-ბაასი.

– ეგ როგორა, კაცო, მა მამაჩემი ე უცხო მიწაში უნდა ჩავავლო? – ცხარობდა ზურაბა და მის დასარწმუნებლად მიჩინილ ახალგაზრდებს თვალს უკარკლავდა. მთელი დღე ამის მტკიცებაში ჩამოეთავებინა, სამძიმრის მისაღებად სად ეცალა. ჯერ ღონიჯით იდგა და მოწინააღმდეგეებს მამაპაპის სალოცავებს ახსენებდა, მერე წაღმა-უკუღმა იქნევდა ხელებსა და სიტყვებს, ბოლოს მტკიცებას უკლო, გაჩუმდა, ტუჩები ბრაზისაგან ერთმანეთს ისე დააკრა, თითქოს უნდა შეიხორცოსო, მუჭებს კი თანდათან უჭერდა და საეჭვოდ მუშტავდა.

– უცხო რათ არი, შე კაი კაცო, – მუშტებთან მიახლოება გაბედა ნიკო, – ესეც ჩვენი მამულია. მა რილასთვი მოვდიოდით, თუ უცხო იყო. თუ მკვდრებიც აქ არ ვიყოლიეთ, იქ ვინ მიგვიხედავს საფლავებს, ეგრე უფრო გადაყრილები არ იქნებიან? მა ვისი საფლავებიც მთაში დავტოვეთ, გადაგვიყრია ის წინაპრები და ეგ არი!

ნიკო ზურაბაზე უფროსი იყო, მაგრამ ჩირიკში საქონელს ერთად მწყემსავდნენ და ბაღლობის მეგობრები იყვნენ. ძმობილის ბოლო სიტყვები ზედ გულზე ეცა ზურაბას და მუშტები ისევ მუჭებად უქცია. პირველად დაფიქრდა ღრმად. აღარც დრო იცდიდა, განა რამდენ ხანს გააჩერებდნენ მიცვალებულს, ან აქ უნდა ეფიქრათ საფლავის გათხრაზე, ან მთაში. ზურაბა გაჩუმდა. ნიკო ბავშვობის მეგობრის ზნეს კარგად იცნობდა და როგორც კი ყოყმანი შეატყო, ყველას ანიშნა, ხმა აღარ გასცეთო. თუ ამ დროს რამის მტკიცებას დაუწყებდნენ, ზურაბა უსათუოდ ისევ გაკერძდებოდა. სიჩუმე ჩამოვარდა. კაცებმა თუთუნები გაახვიეს და ვიდრე მოწვეას ჩაათავებდნენ, ზურაბამ ნერვიულად ჩაიქნია ხელი, შეხორცებული ტუჩები იარასავით გახსნა და დაიყვირა, – ჩვენი მამულია და გათხარეთ საფლავი. საცა წვრილია, იქ გაწყდეს!

როგორც იქნა, გაბედა ზურაბამ და პირველი საფლავი გაჭრა ქედში. იმ ერთს მალე მიუწვა მეორე, მესამე და გადიდდა სასაფლაო. სოფელიც ნელ-ნელა სოფელს დაემსგავსა. თანდათან შეეჩვია ხალხი იქაურობას. 1921 წელს სოფელ ზემო ქედში ე. წ. თემკომი შეიქმნა, 1926 წელს – საქართველოში ერთ-ერთი პირველი კომუნა, 1932 წელს კომუნა კოლმეურნეობად გადაკეთდა

და სტალინის სახელი მიენიჭა. ყველაფრის უცვლელი თავმჯდომარე კობა ჩოხელი იყო. სოფელში პირველად გაჩნდა ტრაქტორი. რამდენიმე სოფელს ერთი ტრაქტორი ჰყავდა, მაგრამ საქმე მაინც წინ მიდიოდა. შეიქმნა ოჯახები, დაჩნდნენ ბალები, აშენდა სახლები, იხვნებოდა ათასობით ჰექტარი მიწა. არც სამუშაო იყო საძებნი და არც ლუკმაპური. ალაზნის ველზე თავრიზიდან აზერბაიჯანის გავლით გადმოსული ქარავენები ჩერდებოდა. გადმოჰქონდათ ირანული სიჭრელე და ტკბილეული, ფარჩა-აბრეშუმი და ქაშმირის შალები, ხალიჩები და ფაიფურის ჭურჭელი, ლოგინის თეთრეული და ხავერდის ქოშები, დარიჩინი და ჩაი, მაქარაყინული და რაჭათლუკუმი, შავი ქიშმიში და ნუში, ნაირნაირი შარბათები და დამაქრული თხილი. სოფელი მოღონივრდა და მეორე მსოფლიო ომიც დაიწყო. ომი შორს იყო და სოფელმა ყურმოკვრით იცოდა ამბები. დადგა 1941 წლის ზაფხულიც. შირაქში ანეული იხვნებოდა, როცა სოფლიდან ბიჭები სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

ძმებში უფროსი იყო მიხეილი. ბოლო ხანებში მშვიდი ძილი ისედაც დანატრებოდა, ჟივიძების შავქლას მოსვენება დაეკარგა მისთვის. სულ ერთი თვის წინ დაითანხმა ქალი სიყვარულზე და დანიშნა კიდევ. მაიამ სარძლოს ოქროს ბეჭედი, ირანული ქარაზნიდან ნაყიდი ქაშმირის შალი, საკაბეები და ფაიფურის ორეული – ფინჯანი და ლამბაქი აუტანა. მიხეილს ისე უხაროდა საცოლის თითზე საქორწინო ნიშანი, რომ ქალის მაგივრად ბეჭედს მისჩერებოდა. ხანგრძლივი შფოთის შემდეგ სიმშვიდე ძილივით შეიბრუნა მიხეილმა. ქორწილის ამბებს აწყობდა გუნებაში, ომში რომ გაიწვიეს. რა დაადინებდა იმ ღამეს, თვალგახელილი იწვა და ორივე ხელი თავქვეშ ჰქონდა ამოდებული. ყველაზე მეტად დედისა და ელოს დატოვება ეძნელებოდა ვაჟკაცს. იწვა და ნანობდა, ელოს სურათზე ადრევე რომ არ იზრუნა. ახლა ამის დრო აღარ იყო. მართალია, ფიქრობდა, რომ სულ რამდენიმე თვით მოუწევდა ნანდომთან განშორება, მაგრამ ამ თვეებსაც რა გაიყვანდა. ადგომის დრო ახლოვდებოდა. მიხეილი ბნელში ფეხაკრეფით წამოდგა, სუნთქვაშეკრულმა მოძებნა დედის შავი წინსაფარი, ჯიბიდან ბურნუთით მოთხვრილი ცხვირსახოცი ამოიღო და უბეში შეიტენა.

დილის 6 საათზე სოფლის ცენტრში უნდა შეკრებილიყვნენ. ქსნელების უბანი დილაბნელზე წამოიშალა, ნახევრად დაწველილი ფურები ყაშები-სკენ გადარეკეს, წამოავლეს საგზალს ხელი და ქალიან-ბაღლიანად ქუჩაში გამოიმალნენ. იკოთლიანთ ონისე და იასიანთ იოსება, ბალხამიანთ მიხეილი და მეიანთ სინკო. ნახევრად დავრდომილი, თბილად ჩაცმული მოხუცები ჯოხების ბჯენით მოჰყვებოდნენ უბნელებს. ზოგს ჩურჩხელები მოჰქონდა ჯიბით, ზოგს ტყლაპი და ჩირი. პირდაპირ მუჭით უყრიდნენ ბალებს ჯიბეებში. ხახანთ სახლიდან ოთხი უცოლო ვაჟკაცი გამოვიდა, მშობლები უკან გამოჰყვინენ და ჭიშკარი უბრალოდ გამოიხურეს. ნაბოლარა, ძმების სამართებელი სულ რამდენიმეჯერ რომ დასჭირვებოდა ჯერ, სხვებს ჩამორჩა, დედას კალათა გამოართვა და ხელი გადახვია. უფროსებს დედის მოფერება ერიდებოდათ, ეს კი დღეს ისე არ დააღამებდა, დედის კინკრიხოზე

სუფრასავით გადაფარებული ბოლოებჩაშვებულნი
გახუნებული თავშლისათვის არ ეკოცნა. ახლა ამ
თავშლიან კინკრინოზე მარცხენა ლოყა ჩამოედო
და ძმებს უკან მიჰყვებოდა, დედა კი თავშლის
ბოლოთი ცრემლებს იწმენდავდა და მარტო თავ-
ვისთვის გასაგები ენით ბუტბუტებდა. უძილობა
რა სათქმელი იყო, ოთხი ვაჟკაცის გამზრდელს
საქმეში რამდენი გარიჟრაჟი წამოსდგომოდა თავს,
მაგრამ წუხანდელ ღამეს საათებში დაებერებინა.
მთელი ღამე ლოცულობდა, შვილების საგზლად
ქადა-მხლოვანებსა და ლომისის მადლს აბევრებდა
მელანა. მას მერეც რამდენი გარიჟრაჟი სწვევია
ხანაანთ პატარა, დაუჯრულ ფანჯრებს, მაგრამ
აღარასოდეს გაუძნიაანია. ხანაანთ ნაბოლარა
სოფელში ყველაზე უმცროსი იყო მათ შორის,
ვინც ომში მიდიოდა და ყველაზე უფროსი მათ
შორის, ვისაც იმ ღამეს ეძინა.

ჩიტიმელი არჩილას დედა, ცოლი და ორი პა-
ტარა გოგო გამოჰყვინ სახლიდან. არჩილა ულა-
მაზესი ვაჟკაცი იყო. სოფლის ასაკოვანი ქალები
ქუჩაში ჩერდებოდნენ, მათ თვალწინ გაზრდილი
ბაღის მხარ-ბეჭსა და თავ-ყურს მერამდენედ
გასცქეროდნენ უკნიდან და ბუტბუტით ლოცავდნენ.
მოხუცები ამტკიცებდნენ, ეგეთი ღამაში ბაღი სამ
სოფელში არ დადიოდა.

მიდიოდნენ ქსნის საერისთაოს ნარჩევი ვა-
ჟკაცები, ბრძოლა არ შეეშლებოდათ. მათი დიდი
პაპების დიდი პაპები ახლდნენ შალვას და ელიზ-
ბარს ბახტრიონის ბრძოლაში.

მთელი სოფელი ცენტრში შეიკრიბა. ქსნელები
და გუდამაყრელები, კასპელები და ხანდოსხვე-
ლები, მლეოთა-ფასანაურელები და ხადელები. კობა
ჩოხელი ყველაზე ადრე მისულიყო. ხანაანთ ოთხ
ძმას კობაძეების ხუთი ძმა დახვდა ცენტრში.
მელანას კობაძეების დედისა შერცხვა და ცრემლი
გადაყლაპა. აქ ყველა ერთმანეთის ნათესავი, ნათლია,
მეგობარი ან მეზობელი იყო. ვის რა მოჰქონდა
კალათებით – ფურნის პურები და გულიანი ქა-
დები, მხლოვანები, ხაჭაპურები, ჩურჩხელა და ჩირი.
ცენტრის ახლო მეზობელს გოგია ქავთარაძეს
რქაწითელით სავსე დოქი და თიხის პატარა
ფიალა ეჭირა, ასხამდა და კაცებს აწვდიდა. ხინანი
კაცები ქუდებს ინდიდნენ და ლომისის, პირიმზისა
და ჩოხის წმ. გიორგის მადლს ახსენებდნენ.
ტიროდნენ დედები და შვილებს ეფერებოდნენ,
მაგრობდნენ ძაძები და ბიჭებს გზასულოცავდ-
ნენ, ცოლები ხელში აჩრილი ძუძუთა ბაღლებით
იდგნენ, ცოტა მოზრდილები კალთებზე ექაჩებოდნენ
დედებს, ძაღლებს კუდის ქიცინისთვის ემატებინათ
და პატრონებს ნერვიულად უყფედნენ, ხანდახან
ჩვენკენაც გამოიხედეთო. აქა-იქ თუთუნის შესახ-
ვევ ქალაღდს აფშაბუნებდნენ. უცოლო ბიჭები
თვალებით ვილაცხებ ეძებდნენ. მარანში ჩაცალ-
მუსლული გოგია მეშვიდედ ავსებდა თიხის დოქს.
ბიჭები სხვადასხვაგვარ გუნებაზე იყვნენ. ზოგი
ოხუნჯობდა, იხტიბარს არ იტეხდა, ზოგს ჰა-ჰა
სულ ორი თვის ამბავი ეგონა და იმას დარდობდა,
რა გაიგება, ემანდ საქმე არ გაჭიანურდეს და
წლევანდელი რთვლობა არ აგვცდესო. იკოთლიანთ
ონისეს გულა ლეღვი უყვარდა და მთელი წელი
იმის დამწიფებას ელოდებოდა.

– თქვენი არ ვიცი და მე კი რთვლობამდეც

ვერ გავჩერდები, – გაეძრახა მეგობრებს, – ვიდრე
ეზოს ბოლოებზე ლელვს ფუტკარი ჩაუჯვდება, აქ
უნდა ვიყო.

ღია ბორტებიანი მანქანაც მალე მიგრუნუნდა.
ძარა გადმოსხნეს. ბიჭები ცოცხლად ავიდნენ მალ-
ლა, თითქოს მაყარში მიეჩქარებოდათ. სატვირთომ
გრუნუნით დატოვა ამტვერილი შარა და მუხლებში
მოცელილი ხალხი. ქალები ქუთუთოებზე მტვირნი
ცრემლებს ცომივით იხელდნენ. ღობემორღვეული
ეზოსავით დარჩა სოფელი. არც ისე დიდი ხანი
იყო გასული მას შემდეგ, რაც მიცვალებულის აქ
დაკრძალვა სიკვდილზე დიდ უბედურებად მიაჩ-
ნდათ, რაც მთიდან აქეთ მომავალი მათი მშობლები
თავებს უკან აბრუნებდნენ. ახლა კი როგორი
ძვირფასი იყო ეს ველები. მიდიოდნენ ბიჭები და
თავებს უკან აბრუნებდნენ. გასცქეროდნენ შირაქის
ველს, ქლიავისფერ კავკასიონს. თანდათან ბუნდო-
ვნდებოდა ველ-მინდვრები და თანდათან ტყედებოდა
იხტიბარი. ეჰ, ასე ყოფილა! ყველას თავისი ბავშ-
ვობისკენ რჩება თვალები, ბავშვობა კი გმორდება
და თანდათან ისევე გიბუნდოვდება, როგორც ეს
ველები და ქლიავისფერი კავკასიონი...

არჩილას ცოლ-შვილის დარდი მიჰყვებოდა,
როგორ გაუძკლავდებოდა გენა მარტო ცხოვრე-
ბას, როგორ დაზრდიდა ბაღლებს. მუიანთ სინკოს
მამის დარდი ჰქონდა, მარტო რომ დარჩა ცხვრის
დიდ ფარასთან. მუხლები ადრიდანვე სტკიოდა
მოხუცს, როგორ გაუძკლავდებოდა ამდენ ცხვარ-
ბატკანს. ხანაანთ ბაღლებს დედ-მამა ენახებოდათ
მარტობისთვის, ერთი მაინც ყოფილიყო მათში
უასაკო. პლატონა ქენქაძის გოგოს მთელი თვე
იყო, მუწუკები ეყარა თავზე. თმაში მალამოს
წასმა ჭირდა და ბებიამ გოგოს თავი გადაჰპარსა.
ტიტველა თავზე წამალწასმული მუწუკები ბაღ-
ლებს ძალიან ამხიარულებდათ და დაუფარავად
დასცინოდნენ. პირველივე დღეს სკოლიდან ტი-
რილით მივიდა გოგო სახლში. პლატონა შუახნის
კაცი იყო და არ ახსოვდა, ასე რამე განეცადა.
თავის დაცინვას აიტანდა, შვილისას – ვერა. იმა-
საც ხვდებოდა, 7-8 წლის ბაღლების ჭკუის აყოლა
რომ არ გამოვიდოდა და ვერ გაეგო, რა ელონა.
ძარაზე თავჩაქინდრული იჯდა პლატონა, ახლა არც
შირაქის ველი ადარდებდა და არც ქლიავისფერი
კავკასიონი. გოგოს დარდი ჰქონდა ყველაზე მე-
ტად, როდის მოურჩებოდა მუწუკები და როდის
ამოუვიდოდა თმა.

ბალხამიანთ მიხეილს დედის ბურნუთიანი ცხ-
ვირსახოცი ჯიბეში ელო, მაგრამ ელოს სურათზე
რომ დროულად არ იზრუნა, ამას ვერ პატიობდა
თავს. გურამა შერმადინს კი მიხეილის ბედიც ეხარ-
ბებოდა. თავად სიყვარულის ახსნაც ვერ მოასწრო.
კი ფიქრობდა, რომ ფეფოსაც უნდა ჰყვარებოდა,
მაგრამ ეს მაინც ვარაუდი იყო. ქალებისა რა გაიგე-
ბოდა. ზოგი ისეთიც იყო, დღეს ერთს შესცინებდა,
ხვალ – მეორეს. იქნებ ფეფოც ასე უცინოდა გუ-
რამას. მაგრამ არა, ფეფო ასეთი ორგული არ იყო.
ან იქნებ სიყვარული აბრმავებდა გურამას?! ამ
მკითხაობაში გაბუნდოვდა კავკასიონი და შირაქის
ველი. უკან რჩებოდა უდარდელი ბავშვობა, დედების
შეუბღალავი ლეჩაქები, საქორწინო ბეჭდიანი
თითები, შეყვარებული თვალები, სირცხვილისგან
ლოყაშეფაკლული ასულები, ლომისობა და ყაშები,

ახლად შედევებულ კარაქზე დედის თითების ანაბე-
ჭლები, ფურნეში ხის ნიჩბით შესხმული მხლოვანები
და ერობის ქაღები, ვარცლიდან გადმოსული ცომი,
ეზოში ინდაურისა და ჭუკების წიოკი, ქორისკენ
გვერდული მხერით თავგადაგდებული ინდაურის
კრუნი, ამომრგვალებულ საბუღარში დადებული
თბილი კვერცხები, ყაშებიდან მობრუნებული ფურის
ცოხნა და სახლის კარებთან შინაურული ზმუილი,
ეზოში ძაღლი, კატასთან რომ მეგობრობდა და
მანც ჩუმად უჭამდა საჭმელს. რა ტკბილი იყო
ეს ყველაფერი, როგორი მშობლიური და სისხ-
ლხორცეული.

დაიწყო წერილებმა აღმა-დაღმა, ტრამალ-
ტრამალ, ტყე-ტყესიარული. ცხრა მთასა და ცხრა
ზღვას ლახავდა, სერავდა სივრცეს... ფოსტის
ვაგონებში ეწყო სოფლების, უბნების, ოჯახების
ისტორია – ვინ დაიბადა, ვინ ფეხი აიდგა, ვინ
ძროხა გაყიდა, ვის კრუხი მოუკვდა, ვინ ვაზი
ჩაყარა, ვის ღვინო დაუმჟავდა და ასე გაუთავებლად.
ფოსტის ვაგონებში ეწყო სიყვარული, მონატრება,
ოცნება, ეჭვი, იმედი... ლოლინისგან ილაჯგაწყვეტილი
სოფელი ფოსტის გზას გასცქეროდა, ფოსტის გზას
გასცქეროდა სანგრებში ნახევრად ჩამარხული ახ-
ალგაზრდობა. მიდიოდა წერილები საქართველოდან
სმოლენსკში, სმოლენსკიდან – ციმბირში, ციმბირი-
დან – ქერჩში, ქერჩიდან – ერევანში, ერევანიდან –
სტალინგრადში... გაბრაზებული ავტორის გადახ-
აზულ-გადმოხაზულ ფურცელს ჰგავდა საბჭოეთი.
მიდიოდა მატარებლით, მანქანით, ფოსტალიონის
ზურგით. კონვერტებში გამომწვევდებოდა სიყვარ-
ულმა და სითბომ გადაიტანა სანგრების ზამთრები,
ამ სითბომ დაასრულა ომი. ფრონტზე სისხლი და
გმინვა იყო, ზურგში შრომა, მიმშილი და უიმედობა.
წერილებში კი ყველა კარგად იყო, „ისე კარგა, რო
მეტი აღარ შეიძლებოდა“. დადიოდა კარგა ყოფნის
ფოსტა, ხლართავდა იმედის ბაწარს და კინაღამ
თავადაც შიგ იხლართებოდა.

ქედი დაუძიმა ცხოვრებამ ბებრებისა და ქა-
ლების ამარა დარჩენილ სოფელს. სასმელ წყალს
ალაზნიდან ქაჩავდნენ. მაია თავის ჯალაფს ალა-
ზნის წყალს არ ასმევდა და ლელვის წყლიდან
ყოველ დღე ზურგით ეზიდებოდა. სოფლიდან ცარი-
ელი თუნგით თავქვე უნდა ევლო კილომეტრები,
ხოლო სოფლამდე – სავესე თუნგით აღმართზე. ყაშ-
ებში ან სადმე მინდორში გაზეთის ნაგლეჯი რომ
ეპოვა, აიღებდა, დაფერთხავდა, გადაასწორებდა და
ამოიტანდა, იქნებ მიხეილზე რამე ეწეროსო. როცა
სოფელში ტელევიზორი გაჩნდა, თავალდაუნხამხამე-
ბლად შესცქეროდა ეკრანს, იქნებ მიხეილს სადმე
მოვკრა თვალიო. არა და არა. მიხეილი აღარც
წერილებს იწერებოდა, არც ტელევიზორში ჩანდა
და არც ყაშებში ნაპოვნ გაზეთის ნაგლეჯებზე.

არსენას, მიხეილის უმცროს ძმას, თავის სატ-
კენი საქმე გაუჩნდა – ის პატრონობდა ელოს,
ძმის დანიშნულს. ძალიძალი იმათი სახლის წინ
გაჩნდებოდა, აივლიდა და ჩაივლიდა საქმიანად.
მიხეილიც არსენასთან უფრო გულახდილი იყო,
არსენას აბარებდა ელოსთან გადასაცემ ამბებს და
ელოს ამბებსაც მას ეკითხებოდა.

„თქვენი არც პასლიკა მინდოდა და არც რა.
ნეტავი ელიკოს ყოფაქცევას გავიგებდე სწორეთ
თუ როგორ არის და როგორ გექცევით, მაგრამ

სულაც რო გათხოვდე სხვაზე თქვენ მანც იმას
მამწერთ რო კარგაო“, – სწერდა მიხეილი ოჯახს.
მართალიც იყო, წერილებში ხომ „ყველა კარგა
იყო“, მაგრამ ელო მართლა კარგად იყო, მართლა
არ უფიქრია სხვისკენ განედვა და, რომ გაეხედა
კიდეც, ვინ იყო დასანახი, სოფელში აღარავინ იყო
დარჩენილი.

„არსენ შენ თვალებს ვენაცვალე, სწორეთ
მამწერე ელიკოს ქცევა, დედას ელაპარაკება თუ
არა. ან ჩემ წერილებსა ღებულობენ თუ არა,
ყველაფერი მამწერე სწორეთ, ნურაფერს გაურევ
ტყუილს. წერილები გამოგზავნე. ერთ წერილში
კუპლებები იყო ელოზე“...

„ვასო ნუ დამემდურები არაფერი არ მბადაია.
ქალაქს ვერ ვშოულობ რო წერილი ძალიძალი
მოგწეროთ. რაც ლიტვიდან ჩამოვედით სუ ამ ულ-
რან ტყეში ვარ. სად რა უნდა ვიმოვნოთ“...

„ასე სანდრო, შენი შავი მიხო ისეთი დადის რო-
გორც კურატი, მაგრამ... ეს ოხერი რაც წამოვედი
აღარ გამიცინია როგორც წინათ, სუ დახურვილი
გული მაქვს და სიცილის მაგივრათ ტირილი
ხოლმე მამერევა“...

„ეხლა არსენ რას გეხვეწები თუ ძმა ხარ
ელიკოს სურათი გამამიგზავნე აუცილებლათ“...

„მოკლეთ ყველა მომიკითხეთ გაღმა გამოღმა
სუყველა მამწერეთ ვინ გათხოვდა ვინ დაინიშნა
მაგრამ ვინლა დაინიშნებოდა ვინ დარჩა“?..

„დედი შენ გენაცვალე არ იდარლო უჩემობა,
მე ძან კარგა ვარ“...

„არსენ ეს გულაპკები ელოს მიეცი (2) ცალი
უთხარი მიხეილის სახსოვრა-თქო. მოკითხვა ვასო
ჟივიძეს თავის ქუთმათობით“...

„ელოს უთხარით რო არ იდარდოს. ჩემი წა-
მოსვლა ძან ეწყინა ვიცი“...

„ეჰ, მამიკითხეთ ერთი გოგო, ჩემი გოგო დი-
დის... არ ვიტყვი“...

„ნაჩქარევით ვწერ ნაგლეჯზე, არც ქალაქი
მაქვს, კარანდაშიც ვითხოვე. 2 მეტრამდე თოვლია.
წერილი ამ მისამართზე აღარ გამოგზავნოთ. ჯერ
არ ვიცი სად მივყავართ“...

აი, კუპლებებიც:

„უთხარით ჩემსა გოგოსა
ეგრე ნათქვამი ჩემია,
მამწეროს ერთი წერილი,
რა თავი დაუღუნია“...

„წადი, იარე, წერილო,
გადაიარე ქუჩები,
ვისაც შენ მიეხარები,
გადაუკოცნე ტუჩები“...

მიდიოდა გაურკვეველ ბლანკზე ნაჩქარევად
დაწერილი წერილი, გულზე ორი ცალი „გუ-
ლაპკა“ დაეხნია, ორი კუპლები ტყუბი ბალები-
ვით ამოიჩარა ილღიაში და თოვლიან ტრამალებს
მოაპობდა. დაკარგვის უფლება არ ჰქონდა, „ეღვის
ცეცხლი“ მიჰქონდა შირაქში. მიდიოდა, მიიჩქაროდა
და თოვლით შუბლს იგრილებდა, ვენების ალი რომ
არ წაჰკიდებოდა. რამდენიმე დღეში კი შირაქიდან
გაუდგა გზას წერილი. ფოსტის ვაგონში წერ-
ილების დასტაში ჰირაღმა ილო ჟივიძიანთ შავქა-
ლას ფოტო, შუბლი კონვერტისთვის მიეხვინა და
გულისწორთან მიდიოდა დათოვლილი ტრამაღე-

ბით. ხუმრობა არ იყო ის მისია, რაც ამ წერილებმა, კუბლეტებმა, „სიყვარულის“ ნაცვლად დასძულმა მრავლისმთქმელმა მრავალწერილობებმა იტვირთეს. მათ გადაარჩინეს გრძნობები, რომლებზეც ადამიანთა ბედი ეკიდა. ეს გრძნობა იყო, რაც ჯარისკაცებს ბრძოლისა და გაძლების ძალას აძლევდა, ეს იყო, რაც „ლობემორღვეულ“ სოფლებში დარჩენილ ხალხს გაწყვეტამდე გაწვრილებულ მოთმინებას უმთელედა, გაღვეამდე მისულ გულს უშუშავებდა, სისხლს აწვდიდა. ჯარისკაცებმა არ იცოდნენ, სად მიდიოდნენ, წერილმა კი ზუსტად იცოდა. მივიდოდა ფრონტიდან მითითებულ ადგილამდე, შუბლიდან ოფლს გადაიწმენდავდა, მასპინძელს კი გაუმთელედა გულს და ლამის თავად გასწერებოდა. ან ადგილზე მისულს ვინ მოასვენებდა, ნამგზავრსა და უძილოს იმდენს ატრიალებდნენ ხან წალმა, ხან უკულმა, ვიდრე თავბრუს არ დაახვევდნენ. მერეღა მოასვენებდნენ სკივრის ზედა ნაწილში. სკივრებში გამომწვევდელმა ამ წერილებმა გადაარჩინეს სკივრების თაობა... ფრონტიდან მოსულ წერილებს ომის კვალი ემჩნეოდათ. ნაჩქარევი, ნაფლეთი, ხან წალმა ნაწერი, ხან უკულმა, ხან გაურკვეველ ბლანკზე, ხან პალიმფესტივით ზედ გადაწერილი... შნოსა და ლაზათის ვინ მოსთხოვდა სანგრებში დაწერილსა და ტყვიის ცეცხლში გამოვლილს. ვინ მოთვლის, რამდენ წერილს შერჩენია ხელში ჩახოცილი კუბლეტები, რამდენს ჩაჰქრობია „ელვის ცეცხლი“ თოვლიანი ტრამპლების მღუმარებაში.

მიდიოდა ზურგიდან ფრონტზე წერილები უფრო დახვეწილები, სუფთები, აუჩქარებლად, დალაგებით დაწერილები, შნოთი და ლაზათით ამაყები. სკივრების თაობას ეს ერგო ბედად, მოვლილი ქმრების ნაცვლად მოვლილი წერილები ესტუმრებინა სახლიდან.

ერთხელ ელოს სახლისკენ მიმავალი არსენა მთვრალ კაცს წამოეწია და ნაბიჯი შეანელა. მიდიოდა ახალგაზრდა და თავისთვის მილიდინებდა. ელოს სახლს გაუსწორდა თუ არა, ზარხოშმა წაილიდინა – „თეთრო ქალო გამეცალე, შავო გენაცვალეე“... არსენა პირდაპირ საყელოში სწვდა მოძღერალს.

– რომელ შავ ქალს აპირებ ენაცვალო, ბალო?

მუხლებში ისედაც ძალაგამოცლილი მოქეიფე დაბნეული იყურებოდა, ვერაფერი გაეგო. ატყდა ერთი ალიაქოთი და გაწვე-გამოწვეა.

– ეგ შავი ქალი ჩემი ომში წასული ძმის საცოლუა, – ცხვირზე ცხვირს აბჯენინებდა წასაყელოვებულს არსენა. ამის გაგონებაზე ორივე ხელი ძირს დაუშვა ბიჭმა.

– არა, ძმაო, ცუდი არაფერი მიფიქრია, ჩემთვი ვლიდინებდი, კარგა არც კი ვიცე, ვის სახლთანა ვარ, – ლომისის მადლს იდასტურებდა ბიჭი და სიბნელეში თვალებს აცეცებდა, რომ გაეგო სად იყო.

რომელიმე ოჯახი ფრონტიდან წერილს რომ მიიღებდა, მთელი უბანი მასთან გაჩნდებოდა ხოლმე. იმათ ეგონათ, ქედელი მეზობლები სანგრებშიც მეზობლად ისხდნენ და ერთმანეთის ამბებიც იცოდნენ.

– მაია, ჩემ არჩილაზე არას იწერება? – ბალხამიანთ სახლის წინ ურიკა გააჩერა ოლამ. მაია ეზოში იჯდა და ფუჩიჩს ვენახის დასაკაგებელ გრძელ-გრძელ ნაწილებად ხევდა.

– არა, ოლა, ცალკე არჩილაზე არას ამობს, მა-

გრამ იმას კი იწერება, რო ყველანი კარგა ვართო, ისე კარგა, რო მეტი აღარ შეილებო და რავი აბა. – თავადაც ეჭვნარევი კილოთი გაეპასუხა მაია მეზობელს. უცებ ჩამოპატარავდა ოლა, ძველი ქონხით ჩაიქცა მუხლებში, წელათრევით მოჰკიდა ურიკას ორივე ხელი და გაუხეთავი ცალბორბალას გულსაკლავი ჭრიალით გაუყვა ღორღიან შარას.

მიდგებოდა დროადრო ხანხანთ მელანა ოთხად გაყოფილ ფანჯარასთან და ოთხად გაყოფილი გულით გასცქეროდა ჭიშკარს. ჯერაბა, რა დროს ომის დამთავრება იყო, მაგრამ ჭიშკრის ყველა გაჭრიალებაზე გული ოთხგან უზამდა რენს და როდის, როდისღა დაუბრუნდებოდა საგულეს.

მიხეილის ბოლო წერილი 1942 წლის თებერვალში მოვიდა. წლები გადიოდა და არაფერი ისმოდა ფრონტიდან. მაიას დარღისაგან გული უსივდებოდა, ეტირებოდა და მანც ვერ ტიროდა. სიკვდილის ცნობა არ მოსულა, როგორ დაეტირა ცოცხალი შვილი? დღე ერთი იყო და ათასნაირი ფიქრი გაუვლიდა თავში. ხან მკვდარს წარმოიდგენდა და თავს გააქნევდა კომძარული ფიქრის შორს მოსასროლად, ხან ტყვედ ჩავარდნილი ეგონა, ხან მიხეილს თითქოს ყველაფერი რიგზე ჰქონდა და რატომ ვერ ახერხებდა წერილის მოწერას, ამის ახსნაში ათენდებოდა. ლაპარაკი უნდოდა დედას სიყრმის შვილთან, სათქმელი ჰქონდა. დაჯდებოდა ყველასგან მოშორებით, რომ არავის მოესმინა და ღიღინით ელაპარაკებოდა შვილს:

– დედა მოგიკვდეს, ჩემო მიხეილოო, სად რა ხარ ნეტა ეხლა, აემ წამსააა, ცოცხალი ხარ თუ მკვდარი, არ იციის, მზედაბნელებულმა დედაშენმაოო...

ვაი დედაშენის დღის გათენებასააა,

ვაი აემ ყელში ლუკმის გადასვლასააა...

იქნებ სადმე უკვე მიწა მოგაყარეეეს...

იქნება მიწაც აღარ გელირსააა...

დედა შემოგვევლოს ემაგ მუხლებშია...

დედა შემოგვევლოს ემაგ თითებშიააა...

გარმონზე რო დაათამაშებდი...

შენი გარმონი გაჩუმებულიააა...

და ასე გაბმით მანამ, სანამ შორიდან ვინმეს არდალანდავდა. თანდათან ხმას დაუწვევდა, მერე კი სულ გაჩუმდებოდა.

მოდიოდა და მოდიოდა სოფელში გარდაცვალების ცნობები. მათთვის და მათი ოჯახებისთვის ომიც დამთავრებული იყო და ზურგიც. როგორღაც გალოლდა ხუთი წელი. დამთავრდა ომი. შირაქში ისევ ანეული იხვნებოდა. შრომით, ლოდინითა და უიმედობით გათანგულ ხალხს სიხარულის თავი აღარ ჰქონდა. ნახევარი სოფელი ძაძებში იყო, ნახევარს გზისკენ ჰქონდა თვალები დარჩენილი. ნაომარი, ხალისწამხდარი და ჯანდალეული ბიჭები ბრუნდებოდნენ, თანდათან ისევ მკვეთრდებოდა ხუთი წლის წინ გაბუნდოვებული კავკასიონი. სოფელში თავჩალუნულები ჩადიოდნენ, თითქოს შინმოუსვლელთა წილი სიცოცხლე მიეთვისებინათ. ყველაფერი ძველებურად იყო, მხოლოდ აღარ ხმაურობდა სოფელი, ძაძებიანი სოფლის რიდით აღარ ხმაურობდა. ბევრს დახვდა გრძნობაშეუბღალავი გულისწორი, მაგრამ ხუთ მძიმე წელიწადს თვალებიდან ნალებივით წაეხადა სიკისკასე, ურიკის გაუხეთავი ცალბორბალასავით გადაეგლო შუბლზე

და ღარი დაეტოვებინა, თვალებიდან გაჟონილ სიცივეს საფეთქლებთან თმა დაეთრთვილა. ეს ხუთი წელიწადი საუკუნეს ეტოქებოდა.

მიხეილი არ ბრუნდებოდა. არც ხანაანთ ბალები ბრუნდებოდნენ. კობაიძეების ხუთი ძმიდან ერთი დაბრუნდა. წერილები აღარავისთან მოდიოდა, შინმოუსვლელთა დედები თავის მოსატყუებლადაც ვეღარავისთან კითხულობდნენ შვილების ბედს. მაიას კიდევ ორი შვილი და შვილიშვილები ჰყავდა, ბალები დარდის გუდას ხსნიდნენ და ზურგზე გუდასავით ეკიდებოდნენ. ხანაანთ ძეგანა კი ზამთარში ხეზე შერჩენილი ვაშლივით პატარავდებოდა. ლაპარაკს უკლო და გულის რეჩხს უმატა. ქმარს აღარც ეძრახებოდა. ქალების ცნობა აღარ ეხალისებოდა. ბიჭებს მსლოვანა უყვარდათ ძალიან, ფურნიდან ახლადგამოღებულ მსლოვანებს ნაცრიანად ჰკამდნენ ზოლმე. აბა, მსლოვანას როგორღა მოკეჩავდა ძეგანა, წელიწადში ორჯერღა აცნობდა, ისიც ადათისთვის, აღდგომასა და ლომისობას. თითო პური ბებრებს თითო კვირა ჰყოფნიდათ. კვირა კი ისე როგორ გავიდოდა, რომ რომელიმე მეზობელს ფურნე არ გაეხურებინა და ცხელი პური არ გადაეტანა მათთვის. ხანაანთ ფურნის კარიც მათი გულის კარივით დაიხურა. აღარც რას ჰკამდნენ მოხუცები. ნაშუადღევს ბიჭების მამა ნაბოლარას საყვარელ ყურძნიან ხის ჯამში ღვინოს ჩამოისხამდა, შიგ ფურნის პურს ჩაიფშვინდა, მარცხენა ხელს მოხვევდა, თითქოს პირისქარს არიდებსო და ხის კოვზით ნელნელა ამოკამდა. ის იყო იმისი სადილ-ვანშამიცა და საჭმელ-სასმელიც. მალე წავიდა ხანაანთ მოხუცი იმ ქვეყნად. თაროზე საუკუნოდ შემოდგმულ ხის ჯამს მისი მოკრძალებული ულუფის საზომად საფურავისგან გავლებული ხაზი შერჩენოდა. ცხრა თვეში მიჰყვა ძეგანაც. ჩაქრა ხანაანთ კერა.

გზას გასცქეროდა მიხეილის დედა, გზას გასცქეროდა მიხეილის დანიშნული. მალიმალ წარმოიდგენდა ელო შეხვედრის სცენას, ხან ისე ღრმად შევიდოდა ფიქრებში, წამოწითლდებოდა ზოლმე. მიხეილი კი არა და არ ჩანდა. ელოს გაწითლებამ თანდათან უკლო და შფოთვამ უმატა. ცენტრალურ გზაზე ცხოვრობდა. ქალაქიდან სოფელში ჩამოსულავტობუსსმისი სახლის წინ უნდა გაეგლო. ყოველ დღე ხდებოდა ავტობუსს და ყოველ დღე დაღონებული შედიოდა ჭიშკარში. ერთფეროვნებაში გადიოდა წლები.

უსიერ ტყეს რომ ალიონი ეპარება, ისე ეპარებოდა ელოს თმებს სითეთრე. ყორნისფერ წნულში მწუხრის რიბირაბო ჩადგა. ქალი სახლიდან არსად გადიოდა. არასოდეს დაუტოვებია სოფელი, მხოლოდ ერთხელ ფოტოზე აღბეჭდილმა შავქალამ ნიაკივით გადაიქოლოა უცხო ქვეყნები და მიხეილის მკლავეებში აღმოჩნდა. ეს იყო ჯარისკაცის ერთადერთი მიახლება ქალთან, რომელიც თავდავიწყებით უყვარდა, ეს იყო ნანდომის ერთადერთი ჩახუტება. მიხეილს გული ყელში ამოსვლოდა და ზეზეურ ამონტომას ცდილობდა. ასე გულისჯიბეში ხატვიით ჩასვენებული სურათით წათვლიდა და მალევე შფოთიანად გამოეღვიძა. გული ისევ ყელში უცემდა. იმ წამსვე გულისჯიბე მოისინჯა. იქ იყო, იქ და აღარასოდეს მიატოვებდა. განა კვირაობით იმიტომ არ იარა დათოვლილი ტრამალებით, რომ

ამ გულის ფეთქვა ესმინა? დედის ცხვირსახოცს ბურნუთის სუნი მთლად გასვლოდა. მიხეილი ფიქრითა თუ სიზმრით მუდამ თავის ეზოში იყო და იმ ეზოში რატომღაც ყველაზე ხშირად ინდაურისა და ჭუკების ხმა ესმოდა. დედა იჯდა ეზოში თავზე უბრალოდ დადებული თავშლით, თავშლის ბოლოები კინკრინოზე აეწყო, წვრილად ჭრიდა მათიტელას, მოხარულ კვერცხში ურევდა და ჭუკებს იხმობდა.

— ბიო, ბიო, ბიო, — ესმოდა დედის ხმა მიხეილს. კისერწაგრძელებული ჭუკები წვრილი წითელი ფეხებით წიოკით გამოობოდნენ და ხარბად ჰკამდნენ.

ისეღაც სვედიანი იყო ელო, იშვიათად გაიმზიანებდა. თანდათან უპატარავდებოდა, უქრებოდა ის მზეც. თანდათან ეკარგებოდა გულისსწორის დაბრუნების იმედი. ყოველი დღე ერთნაირი იყო, სრულიად ერთნაირი. მხოლოდ კალენდარული მაჩვენებლები განასხვავებდათ ერთმანეთისაგან. საღამოობით, ოთახში დასამძინებლად რომ განმარტოვდებოდა, ახდიდა თავს სკივრს, იატაკზე ფეხმორთხმით დაჯდებოდა, ცალ იდაყვს სკივრს ჩამოაყრდნობდა, გულაპკებს ამოიღებდა და იჯდა ასე დროის შეუგრძნობლად.

შემოდგომის ერთ მრუშე დილას ხალისიანად წამოღდა. სიბერემდე ჯერ კიდევ შორი იყო. მთელი დღე რალაც გამორჩეულად უფორიაქებდა სულს, მთელი დღე ხალხს და ოჯახის წევრებს ერიდებოდა. ცა ჩამოქუფრული იყო და ისე შებინდდა, ის დღე ბოლომდე არც გათენებულა. სახლი, ეზო-კარმიდამო, გომური — ყველაფერი დააღაგა, საჭმელი გააკეთა, უხმოდ ტრიალებდა, თვალს არიდებდა ყველას. საღამო ხანს, საქმე რომ მოითავა, იბანავა, ნახევრად სველი თმა უდიერად ჩამოიწნა და ჩვეულებრივზე ადრე შევიდა თავის ოთახში. ქარი ძლიერდებოდა და უხმო საგნებსაც ახმინებდა. ელომ ლამფა აანთო და კაკლის კომოდის ზედა უჯრა ფრთხილად გამოსწია. კომოდზე სადღამთილოს ნაჩუქარი ჩინური ფაიფურის ფინჯანი ედგა და საკუთარი სინდისით უფრთხილდებოდა. უჯრის ძირზე ჩაფენილი გაყვითლებული „ახალი შირაქის“ უხარისხო ფოტოზე მხარდამხარ იდგნენ ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე არსენ კობაიძე და სოციალისტური შრომის გმირი ივანე მელიქიშვილი. ელომ შირაქის კუთხე ასწია და ფოტო გამოაცურა. ლამფასთან მიიტანა, კარგა ხანს უყურა, მერე მრგვალ მაგიდასთან ჩამოჯდა, მაგიდის ჭვირნარიან გადასაფარებელზე ლამფის უკან საყვავილე ვაზას მიაყუდა, ნიკაპი ხელისგულეებს ჩამოაყრდნო და გაირინდა.

ფოტოზე მიხეილ ბალხამიშვილი და დავით თოდუა სამხედრო შინელებითა და ქულებით გვერდიგვერდ იდგნენ. დავითი ელოს წერილებს სწერდა და ყველა წერილს ასე იწყებდა: დაო, ელო!... დავითი მიხეილსა და ელოს ერთკვირიან ქორწილს ჰპირდებოდა და დიდ გეგმებს აწყობდა. ელოს დავითი მართლა ძმასავით უყვარდა და ეიმედებოდა, მაგრამ ახლა რატომღაც ეხედმეტებოდა და მხერას არიდებდა. მთიდან მამის წამოღებული ლითონის პატარა თუნგი მოიწოდა და ლამფასადა ფოტოს შორის ისე დადგა, რომ დავითი თუნგმა დაფარა. შფოთავდა, ერთ საგანზე ფიქრს ვერ ახანებდა.

თუნგს გაუშტერა თვალი. ეს მამის ქისტ ძმობილს, სეიდულას ჩამოეტანა მათთვის საჩუქრად. თუნგი პატარა იყო, შიგ ორი თლილი ჭიქა წყალი ჩადიოდა და სულ მაგიდაზე იდგა, რაც თავი ახსოვდა ელოს. დავითი არ ჩანდა, მაგრამ სიბნელიდან საყვედურიანი მხერით უყურებდა ელოს.

— დაო, ელო! — ჩაესმოდა ქალს დავით თოდუას ხმა, რომელიც არასოდეს

გაეგონა და სირცხვილისაგან ყურები უწიოდა. ყოველ ძლიერ წამოქოლოვანზე ქარი ფანჯრების ღრიალებიდან ოთახში აღწევდა, ლამფის ალს ატოკებდა და როცა ჩრდილები რხევას იწყებდნენ, დავითიც ირიდებდა თუნგის ლოყას და სამუნათებლად მოიბრძოდა. ელო დევებში გაჩურჩულივით ფრთხეობდა, ყურები უფრო და უფრო უწიოდა. ვეღარ გაეგო, ქარის ხმა იყო თუ მისი ყურებისა. წამით მოგონებდა, გაარჩევდა ხმებს და ხედებოდა, რომ ქარი დროდადრო უბერავდა, ყურები კი გაუჩერებლად უწიოდა, ისე უწიოდა, თითქოს სამველად უხმობდა ვინმეს და ელოს ეშინოდა, სამველად არავინ შემოვარდნილიყო, ცოცხლად არ დამარხულიყო ქალი, ემანდ არავინ გამხდარიყო მისი პირველი ღამის მოწმე!

სახლში ხმაური რომ მიწყდა, ელომ კარი გადაკეტა, სკივრიდან თეთრეული ამოაღა და ლოგინზე გადააკრა, ხელები უკანკალებდა, ჩქარობდა, ეშინოდა დედას რამისთვისარ დაეძახა. საქორწინო საცვლები სწრაფად გადაიცვა დასარკესთან მივიდა. უხარისხო სარკე ყოველ გამოძრავებაზე ფორმას უცვლიდა გამოსახულებას. თავისი სარკის ზნე კარგად იცოდა ელომ, ის ფიცარიც კარგად იცოდა, სადაც უნდა მდგარიყო, რომ ელო ელო ყოფილიყო, უფრო ზუსტად, ფიცრის ის ნუერი. ისე ლელავდა, რომ გული ყელში უცემდა და სუნთქვას უბორკავდა. ცოტა კიდევ კანკალებდა, რაღაცნაირად შიგნიდან სციოდა. ვერ იგებდა, განცდით კანკალებდა თუ სიცივით. ან იქნებ არც კანკალებდა და თვითონ ეგონა ასე?! სამაზლოს ნაჩუქარ „კრანსაია მოსკვას“ ხელის ცახცახით მოხადა თავი და ყურის ძირებში გამოისვა. პატარა ყუთიდან პუდრში ამოგანგლული ბამბის ნაგლეჯი ამოიღო, შიგვე ჩაბერტყა და შავ პირისახეზე მიისვ-მოისვა, სინათლე ჩააქრო და ლოგინზე ისე ნაზად ჩამოჯდა, თითქოს ის თეთრეულიც ჩინური ფაიფურისა ყოფილიყო. ფანჯრის კიდიდან ცის ნაფლეთი ჩანდა. ღრუბლის ფარტენებს ქარი აღმადამა დაფარფატებდა. დროდადრო მთვარეც ისევე ირიდებდა ღრუბლის ბლონდს, როგორც დავითი — თუნგის ორნამენტთან ლოყას და ძლივს შესამჩნევად ღიმილით დასცქეროდა მაქმანებში ჩამირულ ქალწულს, მერე კი ისევ იბლონდებოდა. იწვა ელო პირაღმა, ვერაფერზე ფიქრობდა. საქორწინო ბეჭედს თითზე იტრიალებდა. გული ისე უცემდა, როგორც წისქვილის სარკველა, ყურებში ესმოდა მისი ხმა, უცემდა და უფქვავდა დარდს. ღრიალებთან ქარი სადგისივით იჩხვლიტებოდა. გამთენიამდე არ ჩამდგარა ქარი და გამთენიამდე არ ჩამდგარა საგულეს ქალწულის გული. ყელთან იყო მოსული და ზეზეურ ამოდიოდა. იმ დროს ჩაეძინა ელოს, როცა დგებოდა ხოლმე. შფოთიანი ძილიდან მალევე შფოთიანად გამოერკვა, გული ისევ ყელში უცემდა. დამნაშავესავით წამოხტა, გადაიცვა, თეთრეული

აკეცა, სკივრში ჩაალაგა, ნაწნავი მკვიდრად ჩამოიწნა, კარის საკეტი გადახსნა და ულიძამობაში გადააბიჯა.

მაია ვერ ეგუებოდა მიხეილის არდაბრუნებას, დრო კი ყველაფერს ეგუებოდა, დრო, მუდამ შეუწელებელი და მუდამ აუჩქარებელი. როცა შვილის დარდი და მონატრება მოეძალებოდა, აიღებდა ფოცხს, თოხსა და ნამგალს და ხანაანთ ეზოში გადავიდოდა. ხანაანი ბალხამიანთიდან სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე ცხოვრობდნენ. გასცქეროდა მაია თოხების ბჯენით სასაფლაოზე მიმავალ შვილმკვდარ დედებს და მათი ყოფა ეხარებოდა, შვილების საფლავეებზე ზამბახების მოვლა რომ შეეძლოთ. გულდაგულ მონამგლავდა ხანაანთ ეზოს, მოფოცხავდა, მოთოხნიდა ხის ძირებს, ყოლობს შეასწორებდა, გაფშეკილ-გაქუცულ ცოცხს ფხაკაფხუკით ისე საგულდაგულოდ გადაუსვამდა და გადმოუსვამდა წინკარის ქვაფენილს, თითქოს ნანშირის უთოს უსვამდა მიხეილის პერანგს, საკეტს აცილებულ კარის ნახვრეტში ჯოხს გაუყრიდა და გამოვიდოდა. ამ დროს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს შვილს მიხედა, დანატრებული ქათმის ხორცი და ფურნის მხლოვანა აჭამა, საბანი ამოუგო.

მუზეუმს ჰკავდა ხანაანთ ეზო-კარმიდამო. სოფლის ბაღებს ხეზე შერჩენილი ხილისთვისაც არ შეუხსნიათ ის ჭიშკარი. არავის აუკრძალავს იქ შესვლა მათთვის. თვითონ ხვდებოდნენ ბაღლები, უფროსები რომ ლომისის გორივით კრძალვით ექცოდნენ იქაურობას, ხვდებოდნენ, რომ უწილ-ნაწილოდ წასული ბიჭების ქონებაში არავინ იღებდა წილს. მათი ღობიდან საჭიგოვე ჯოხიც არ დაკარგულა. მუზეუმის აბრა არ ეკრა იქაურობას, თორემ ნამდვილი მუზეუმი იყო, ქედლები სინდისის მუზეუმი.

— დედი, ჩქარა, დედი, ხანაანთა ძროხები გადასულან, — მივარდებოდა მეზობლის ბაღლი დედას.

— მამი, მამი, ხანაანთა ქარს ყოლობი მოუგლეჯია, — მამას ხალათში ქაჩავდა მეორე და ცხვირის მოსაწმენდად მაჯას საულვამზე ისვამდა. უვლიდნენ მეზობლები ხანაანთ კარ-მიდამოს, რომელიც არავის ელოდებოდა, ჯერ იმას უვლიდნენ და მერე თავისას. ეს იყო მათი სამდიმარი ოთხი ვაჟკაცის არარსებულ ცხედართან, ეს იყო თანასოფლელოთა გულებში დანთებული მარადიული ცეცხლის გიზგიზი შინმოუსვლელი უსაფლავ ბიჭების კერასთან!

ელო საქმროს ოჯახს ხშირად აკითხავდა, მოსაკითხით მიუდიოდა სადედამთილო-სამამამთილოს. მის დანახვაზე ბირჟის ბიჭები ნარდის კამათლებსმუჭაში აჩერებდნენ და ფეხზე დგებოდნენ. სადედამთილოც ხშირად აღიოდა ჟივიძიანთას, სამივე რძლისთვის თანაბრად ყიდულობდა დიბა-აბრეშუმსა და პუდრებს. მიხეილის ძმისშვილებისთვის ზეიმი იყო ელო ძალოსთან მისვლა.

— თუ კარგა არ მოიქცევით, ელო ძალოსთან არ წავიყვანთ! — ყველაზე მძიმე მუქარით ამინებდნენ ბაღლებს.

ელო წვალობდა, აღარ იცოდა, რა საშველი გამოენახა თავისი უიმედობისთვის. ნელ-ნელა ქრებოდა მომავალი. თანდათან ნაკლები რამ ეოცნებებოდა. ჯერ მიხეილის ჩამოსვლას ნატრობდა, მერე ნანობდა, ერთხელ მაინც მეკოცნა, საგანბურით რომ გავეფრთხილებოდი იმ კოცნასო...

ბოლოს ნატრობდა, ერთი სურათი მაინც გვქონდეს ერთად გადაღებულიო. იფიქრა, იოცნება, ინატრა და ერთხელაც სასწრაფო აზრი მოუვიდა. მალევე აასრულა კიდევ. ფოტოგრაფთან წაიღო თავისი და მიხეილის სურათები და პატარა ზომის ისეთი ფოტო გააკეთებინა, თითქოს ერთად ჰქონოდათ გადაღებული. ისე ერიდებოდა, ისე ეჩითიერებოდა ამის გაკეთება, დიდი ფორმატით ვერ აკადრა სამზეოს თავისი ნატვრა.

წლები გადიოდა. სასაფლაოსკენ თოხების ბჯენით მიმავალი დედები ერთხელაც თოხების გარეშე გაუყვნენ სასაფლაოს გზას. მარტის ერთ შუადღეს მაიამაც უბრად ჩაუარა ხახანთ წინაპრის ქვაფენილს. 90-იანი წლებიც დადგა. ნელ-ნელა აბალანდა ხახანთ ეზო, გამოიკეტა ბალხამიანთ სახლიც. „უხეში კლიტეები აღარ ედოთ დახშულ ჭიმკრებს“¹, მაგრამ სოფელი ნატოფი საკეტებით იკეტებოდა. მიტოვებული საყდრის კედელზე აქა-იქ მიკრული სანთლების ალივით ბჟუტავდა ლამაზები გამოუკეტავი სახლებიდან. იკოთლიანთ ონისეს სანამ ფეხი ბოლომდე გაეფშვიკებოდა და ჩახრა შეეძლო, კიდევ უვლიდა ხახანთ ეზოს, მერე კი თავიც მოსავლელი გაუხდა ბერიკაცს.

დაბერდა ელოც. ლამაზი თითები დაეგრიხა და დაუჯორჯლდა. ხშირად იჯდა თავისი ღობის წინ სკამზე, წინდას ქსოვდა და გამვლელ-გამოვლელს ლოცავდა. ქალაქიდან მომავალი ავტობუსიც მისი სახლის წინ ადი-ჩადიოდა, მაგრამ ელო აღარავის ელოდებოდა. საღამოობით უბნის ქალები გროვდებოდნენ ბირჟაზე. ზოგი ამ მთისას იტყოდა, ზოგი – იმ ბარისას, ამასობაში ძილის დროც მოდიოდა. სანამ მზე კიდევ ფეთქავდა სოფელში და წინდის თვლები ჩანდა, გარეთ ისხდნენ, მერე კი აიკრეფდნენ კალთებიდან ბაწრის გორგლებს, ჩხირებს ნაქსოვში გაუყრიდნენ და მეორე საღამომდე ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს.

– ვაი, ვაი, ვაი, – ვიშვიშით და მუხლებზე ხელების მიშველებით დგებოდა ელო, მერე რამდენიმენ აბიჯს წელში მოხრილი გადადგამდა ახალფენადგმულივით, ახლა წელს მიაშველებდა ხელს და როდის, როდის გაიმართებოდა.

– დედაკაცო, როდემდე უნდა ივიშვიშო ეგრე, საშველი აღარ უნდა გაიჩინო? – საყვედურიანი თვალებით უთხრა ერთხელაც ერმონამ.

ელომ შუბლის შეჭმუნუნა იცოდა, როცა მოსასმენად ემზადებოდა. ახლაც კოპები შეყარა და ერმონას შეაჩერდა.

– წადი წყალტუბოში, ცოტას დაისვენებ, ემაგ დახუთულ მუხლებზეც შვება მოგეცემა. ავე, ტასო და თამარა მესამე წელია, დადიან და მუხლი სადა აქვთ, არცერთმა აღარ იცის.

ელომ იცოდა, რომ მისი კერპი ხასიათი მეზობლებს არ მოსწონდათ და პირდაპირ პასუხს თავია არიდა.

– სად უნდა წავიდე, გზა მე არ ვიცი და კვალი, ემ სოფლიდან მის დღემში არ გავსულვარ, ეხლა რაღა დროს ჩემი აღმე-დაღმე სიარულია.

– რა გზა და კვალი გინდა, გაჰყევი ავე, ტასო-სადა თამარასა, განა უარს გეტყვიან?

– მართალს გეუბნება, ელო, მართალსა, –

1. სანდრო შანშიაშვილი – „დედისერთა ლენინთან“.

ბირჟის დედაკაცებმა ერთად შეუტყეს ელოს, – ცოტა ჩვენ თავსაც თუ არ მივხედეთ ემ სიბერეში მაინცა, მერე ვენახი და გომური ვერას გვიშველის და ჭირად დავხდებით.

ელო ღამნაშავესავით იდგა და ხმის ამოლებას ვეღარ ბედავდა დედაკაცების შეტყვის შიშით.

– შეუთვალეთ ტასოსა და თამარასა, რო შენც-გაგიყლონ? – ჩინში შეიყვანეს ქალებმა ელო.

– ვერა, ვერსად ვერ წავალ, – ხმა გაიმტკიცა შაქვალამ, – მიხეილი რო სამ დაბრუნდეს, შინ არ დავხვდე?

სიჩუმე ჩამოვარდა. ვინც ელოს თვალს მიღმა იყო, ერთმანეთს გადახედეს. ერთმა ღრმად ამოისუნთქა, მეორემ ბაწრის გორგლის ხვევას აუჩქარა. ამ სიჩუმით კი ყველა ერთს ამბობდა, – „შეაყარე კედელს ცერცვიო“...

ელომ არასოდეს დაუსვენია, არასოდეს ჩაუსუნთქია უცხო ჰაერი. შებინდებულზე სახლში შედიოდა, ლამფას აანთებდა და თავისი ოთახის მრგვალ მაგიდას მიუჯდებოდა. ელოს ერთფეროვნებაში არაფერი შეცვლილა. ოთახში ავეჯის წყობაც იგივე იყო, მაგიდისათვის ადგილის შეცვლაც არ მოსვლია დედაკაცს აზრად. ის სარკეც, ყოველ გატოკებაზე გამოსახულებას რომ უცვლიდა ელოს, ისევე იდგა, მაგრამ გამოსახულებას ვეღარავის უცვლიდა, რადგან სარკეში აღარავინ იყურებოდა. ის ფიცარიც, უფრო ზუსტად, ფიცრის ის ნუჟრიც საღებავს დაეფარა, საიდანაც ელო ელო იყო. კაცმა რომ თქვას, აღარც არავის სჭირდებოდა ის ნუჟრი, ხის ჭიების გარდა. ჯარისკაცების ფოტოს, რახანია, თავი დაეხსნა კომოდის ტყვეობიდან, ვეღარ ფარავდა „ახალი შირაქის“ კალთა. ერთხელაც ელომ სადგამიან ჩარჩოში ჩასვა ფოტოდა სეიდულას თუნგს გვერდით მიუდგა. საღამოობით იჯდა დამჭკნარი დედაკაცი თითზე შეხორცებული გალუული ბეჭდით, ორივე ხელი ნიკაპქვეშ ამოეყრდნო და ფითილის მოქანავე ალის შუქზე შესცქეროდა საბჭოთა შინელში გამოწყობილ უბერებელ ბიჭებს – მიხეილ ბალხამიშვილსა და დავით თოდუას. სეიდულას თუნგს ბიჭებისთვის ქისტური ორნამენტით დამშვენებული გაბერილი ლოყა მიეშვირა და მხერას სტაცებდა. დავითს აღარ ემალებოდა ელო. დასამალი რა ჰქონდა. არავისთან იყო პირშავად, შავი პირი-სახე პირნათელი ჰქონდა, მუხს ბევრი ლეჩაქი ეხუნებინა მისთვის, მაგრამ სირცხვილს – ვერცერთი... ჯაფისაგან დაღლილ დედაკაცს ზოგჯერ ჩამოეძინებოდა, ნიკაპი ხელებზე ჩამოუცურდებოდა და შემინებულს გამოეღვიძებოდა. ზუსტად ამ დროს გატოკდებოდა ფითილის ალი და ჯარისკაცები ტორტმანს იწყებდნენ. შინმოუსვლელთა ობელისკებთან მთელ საბჭოეთში ჩაუქრობელი ცეცხლი ენთო. მიხეილისა და დავითის ფოტოსთანაც ყოველ საღამოს ცეცხლი ენთო, ელოს გამურული ლამფის ცეცხლი...

* * *

– მართა ძალო, მართა ძალოო, – გამალებით იძახოდა ვილაცა უკვე ჩაკეტილ ჭიმკართან.

– რომელი ხარ?

– მართა ძალო, ქალებმა გამამგზავნეს, ჟივიდიანთა გადმოიდესო, – ვინაობის დაუსახელებლად

გადმოსძახა მართას ბაღში ლობიდან.

მართა მიხვდა, უბრალო რამეზე საწოლიდან რომ არავინ წამოაყენებდა. ჩაიცვა, თავზე ხილაბანდი გაიკრა, ჭიშკარი უდიერად გადაკეტა და წავიდა. ფიციანობას რამდენიმე ლამაზი ენთო. მეზობლის დედაკაცები დაბალი ხმით ლაპარაკობდნენ და საქმიანად ფუსფუსებდნენ. კაცები ავეჯს აცურებდნენ აქეთ-იქით. ყველამ უხმოდ იცოდა თავისი საქმე.

მართა თავგზიანი ქალი იყო, სახლობლოში ყველა ქელეხ-ქორწილის ავანჩავანი. ადამიცი სხვაზე უკეთ იცოდა, სიტყვაც სხვაზე უკეთ უჭრიდა. არ აერეოდა, სად რამდენი ქადა-პური იყო საჭირო და იმ ქალებისთვის კი — რამდენი ჭარხლის ფორი. წანდილს ყველგან თვითონ ხარშავდა, ერბოს ქალების გულს თვითონ ამზადებდა. არც ვინმე ავადლებდა რამეს და არც თავად ეკითხებოდა სხვას. იცოდა, რომ თავისი საქმე იყო, მორჩა და გათავდა!

- დედაკაცებო, ეს წანდილი შენელებულიაო?
- შენი ჭირიმი, მართასა ჰკითხეო.
- სანთელი არ ჩამოვიქნიათო?
- მართას ეცოდინებაო.
- ქალებისთვის ერბო რამდენი დაგვჭირდებაო?
- მართა გეტყვის მაგასაო.
- აბა, რეებს ვატანთ თანაო?
- მართასა აქ ცალკე გადაწყობილიო...

მართას ჭრელი სკივრი ამოეცარიელებინა. იწვა შავი ელო თეთრ სუდარაში და შავეთისთვის ემზადებოდა. თავთან ხორბალში ჩარჭობილი ხელით ჩამოქნილი სანთელი ენთო, იქვე იდგა სეიდულას თუნგი და ჯარისკაცების ფოტო.

ჩაიარა ელომ კიბის რამდენიმე საფეხური და გაუყვა ნაცნობ გზას. მის ოთახში ალაგებული ლოგინი, კაკლის კომოდი, უსწორმასწორო სარკე და მრგვალი მაგიდა იდგა. მაგიდას ჭვირნარიანი გადასაფარებელი ჰქონდა გადაფარებული. ზედ ლამაზი იდგა, ლამფის შუშას თავზე ქალაღი ჰქონდა შემოხვეული.

ცხელოდა, მაგრამ ელო გაყინულ-გაქვავებული იწვა. მართამ სადღეამთილოს ნაჩუქარი ქაშმირის შალი სუდარის ზემოდან გადააფარა დადაათუნა. პროცესიას წინ ბაღები მიუძღვოდნენ. სულ მეწინავეს გადიდებული სურათი მიეკრა მკერდზე, იმის შემდგომი მზისგან თავმომკვანარ ვარდებს თითო-თითოდ ყრიდა ცხელ ასფალტზე.

— ბალხამიანთ კარებთან დაასვენეთ-თქო, — პროცესიას ატორღილებულ ხართუთით მოთხვრილ ბაღს დააბარა ბიჭებთან მართამ. ბალხამიანთ კარი უკვე დიდი ხნის გამოკეტილი იყო. აქეთ-იქიდან ზურგიანი სკამები შემოუდგეს და დაასვენეს. პროცესია გაჩერდა. მართა კუბოსთან მივიდა, ქაშმირის შალს გვერდები კიდევ ერთხელ გაუსწორა და უცრემლოდ დაიწყო მოთქმა, რომელიც სიმღერას უფრო ჰგავდა, ზუსტად ისე, როგორც მათა ტიროდა ხოლმე მიხეილს.

- ელოოო, შე ბედამწვაროო,
- მოგიყვანეთ ბალხამიანთაოო,
- აემ კარის შეხსნა ხო არ გეღირსაოო,
- ამ სახლში აღარავინ არიოოო,
- არც ცეცხლია და არც ლადარიოოო,
- ემ ხალხს შენ მაინც უმასპინძლოოო,
- ეგრე არხეინად როგორა სწევხაროოო,

ადე, ქალბნელო, არ გეყურებოოო...
იწვა ქალბნელი, არაფერი ეყურებოდა.

* * *

ბაღის ნახატს დამსგავსებოდა ხახანთ სახლი, ეზო აშამბებულყო. თაობები გაჰკიდებანებოდა წუთისოფელს, წასულიყო იმ დედების თაობა, ამ ეზოს მოვლით შინმოუსვლელი შვილების მოვლის ჟინს რომ იკლავდა. იმ დედების დროს ლოგინის ჩრჩილები მზის სხივებისაგან შავ დღეში იყვნენ. ახლა კი ფანჯრები იმდენი ხის ტოტსა და ფოთოლს დაეფარა, მზის სხივი აღარ აღწევდა შიგ. საკვამური გადახრილიყო, დაბრეცილ ფანჯრის ჩარჩოებს შერჩენილი შუშები ჭუჭყისაგან მუყაოს ნაჭრებს დამსგავსებოდა. მათ მიღმა მღუმარებას ათწლეულები მიეკეცა უკვე. ისევე პატარა ჩარჩოებში ფონედ ჩასმული ფანჯრის მინები თუ აჩქამდებოდნენ ავდარში. დროდადრო სადმე კედელი გაიბზარებოდა და მოხეთქილი ალიზი ბანს გამოსძახებდა. შიფანერკის უჯრებში სართულებად ცხოვრობდნენ ხის ჭიები და მუხლჩაუხრელად შრომობდნენ. სულ ეს იყო ხახანთ მღუმარების სიმფონია. კედლის ბზარებს ისე ეპარებოდა ნესტი, როგორც ბებრის სახსრებს — რეჰმატიზმი. ხახანთ ნაბოლარა ბიჭის საყვარელი ხის ჯამი საცერივით გაეხადათ შიფანერკის ახალშენებს. ყურძენს რომ ნაცარი შეეყრება, ისე დაეფქვათ და დაენაცრათ ჭიებს ჯამზე ოდურგელა პაპას მიერ ამოკვეთილი ყურძნის მტევანი. ოტომანს მუთაქა თავმოჭრილი კაცივით გადაეგდო უკან. ოთახში სხვადასხვა ზომის ტაბურეტები ეყარა. კედლის ხალიჩაზე გამოსახული ირემი უსიცოცხლო თვალებით დასჩერებოდა უსიცოცხლო ოთახს.

ხალიჩასთან გრძელი რკინის დირით სამგან გადაკეტილი ჭრელი სკივრი იდგა. სკივრში ნახევრად მოქსოვილ წინდამი გაყრილი ჩხირები, ზედ მიბმული ბაწრის გორგალი, თითისტარი, ორი ცალი თბილი თავშალი და ფრონტიდან მოსული კარანდაშით ნაწერი წერილები ეწყო. ნაბოლარას ნაწერს ძლივს არჩევდნენ ხოლმე ბებრები. ნაბოლარა ყველაზე უდარდელა იყო. არც ნაწერის დახვეწაზე ჰქონდა ნახარჯი დიდი დრო. სკოლა ორი სახლის იქით ჰქონდათ. გაუშვებდა მელანა ბაღს დილით და მალევე ბოსტანში თავწახრილს თავზე დაადებოდა. გაუშვებდა უკან და მალევე წინკარის ქვაფენილს მიადებოდა. მეზობლები იცინოდნენ, ხახანთ ბაღი დღეში ოთხჯერ ასწრებს სკოლაში წასვლასაო... ხახანთ ოთხი ვაჟკაცის გადიდებული ფოტოები არსად ჩანდა. მათ ნაცვლად ოთხად გაყოფილი პატარა ფანჯრის ჩამავებულ ჩარჩოში ჩასმული მუყაოს ოთხი სიცარიელე გამოსცქეროდა გამვლელს. სახურავზე კრამიტების წყობა არეულიყო. რამდენი ზამთარ-ზაფხულისთვის გაეძლო, რამდენი მზის სხივი, რამდენი გრიგალი და სეტყვა მჯილივით ებაგუნებინა მკერდზე. მეზობლების მიერ წვიმის დასაკავებლად ოდესღაც აქა-იქ მიმოხეული კრამიტის ნატეხები ისე იყო გაშვრილ-გამოშვრილი, ბავშვის მოუქნელ თითებს გაფერადებისას ფანქრის წვერი უადგილოდ რომ გაექცევა. წუთისოფელს ავად არასოდეს გატოქებიან ხახანთ. შრომობდნენ, ლოცულობდნენ, სიკეთესა და ხორბალს ერთნაირად თესავდნენ. მამ,

რა მოხდა, ასე როგორ გაწირა წუთისოფელმა ეს მადლიანი კერა, მათი თესლისა ერთი მაინცრომ არ დაიტოვა მძევლად?!

თავისი ღობის წინ სკამზე ჩამომჯდარიყო იკოთლიანთ ონისე. ზურგით ღობეს ეყრდნობოდა. გახუნებული შარვლის ტოტებიშალის წინდების გაფლაშულ ყელეებში ჰქონდა ჩატანებული. ეს ბოლო ხანები იყო, ზაფხულშიც სციოდა თავზე და სულ ქუდს ეძებდა. სევასტოპოლთან ბარდაყში გაუარა ტყვიამ. მძიმე ჭრილობა არ ეთქმოდა, მაგრამ მას შემდეგ სულ სტკიოდა და სციოდა იმ ადგილას, წამოდგომა უჭირდა. იჯდა ონისე და მზეს ეფიცებოდა. თვითონაც მორღვეულიყო, ხალისი აღარაფრისა ჰქონდა, აღარც ეზოს ბოლოებზე უკვე ცერისსიმსხო ლეღვების დამწიფებას ელოდებოდა. სურათიანი ბაღი გაუსწორდა თუ არა, მოხუცი დაიმშუშნა, ნატყვიარი ფეხი გაფშკა, ჯოხს დაეყრდნო, ძლივძლივ წამოდგა და ქუდი მოიხადა. ახალგაზრდობაშიც ზუსტად ასე ღვებოდა და ქუდს იხდიდა ონისე, როცა ელო სადღეამთილოს სანახავად მოდიოდა, მის პატრონებას უხდიდა ქუდს. ეგაა ოღონდ, მაშინ ასე არ უჭირდა წამოდგომა.

მოხუცი ჯოხზე ჩამოყრდნობილი იდგა. კეფაზე შემორჩენილი რამდენიმე ბუსუსი ყალყზე დასდგომოდა. ღრმად ჩანაოჭებულ კისრის ღარებს მზის სხივი კარგა ხანია, აღარ ენახათ. შვილიშვილის გამონაცვალის ნაქსოვი ქუდი ხელში უკანკალებდა. ულულუგი ლუკმის ლოღნით დაცვეთილ-დაყვითლებული კბილები კარტოფილის ღივებივით გამოსწროდა პირიდან. ფერდაკარგული ქუთუთოები წინდის ყელევივით გაფლაშოდა. უკანასკნელად უღვებოდა ფეხზე ელოს, უკანასკნელად უხდიდა ქუდს მის შეუბღალავ ლეჩაქს. დიდხანს იდგა ბერიკაცი გაფშეკილი ფეხითა და აცახცახებული ნიკაპით, ლიბრგადაკრული თვალებით გასცქეროდა კუბოს და გაფლაშული ქუთუთოებიდან ცრემლი სდიოდა.

ლეჩაქის სიმსუბუქეს მალლა აეტაცა ელო, მიწაზე ფეხს არ აკარებინებდა. მზე შუბისტარზე იჯდა და შუბებივით მწველ სხივებს ესროდა მტვრიან შარას, დასცქეროდა შაეჭალას მზისგან ისედაც დამწვარ-დანაოჭებულ თინისფერ სახეს, დასცქეროდა და აცხუნებდა, თითქოს გამოწვა აკლდა ამ თინას. მზე ყველასი იყო – ელოსიც, ხანანთ ნასახლარის კრამიტებისაც, იკოთლიანთ ონისეს ქარჩამდგარი მუხლებისაც, მისი ეზოს ბოლოებზე გაფარჩხული ლეღვებისაც... მზეს რამდენჯერ გაეხუნებინა ელოს ლეჩაქი, მაგრამ სირცხვილს – ვერცერთხელ... მიდიოდა, ბირკის ეკლებით ამოვსილი შავი ხელები გულზე დაეკრიფა.

ყველას მზე აცილებდა, ულაპლაპებდა თითზე შეხორცებულ ბეჭდისწვრილას. მიდიოდა „წერილებით გადაკოცნილი ტუჩებით“. მიდიოდა და ისეთი ნათლის სვეტი მიჰყვებოდა, ვინ იცის, შავ თითებში შესობილი ხიჭვები იმ ბნელეთში განედლებულიყო და საფლაგზე ხეებად ეხარა...

მიდიოდა ქალბნელი ბნელეთისაკენ, არ იშლიდა, ტაატით მიუყვებოდა ნაცვეთ ორღობეს... თან მიჰქონდა ორი ცალი „გულაპკა“ და მაქმანებით მორთული თეთრეული – თავისი პირველი და უკანასკნელი ღამის ერთადერთი თანამეცხედრე...

ღვინოუცი

ანი ბონაშვილი

ანი ბონაშვილი დამწყები პოეტია, ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვას, კაზმულ სიტყვას შეჭიდებული გოგონაა, რომელიც ჯერ კიდევ სკოლაში დადის... ჩვენც სასკოლო ასაკში მოგვიწია ლექსთან ზიარებამ... ალბათ ყველას დაგვიწერია ერთი სტრიქონი მაინც... რაზე ვწრდით? – ალბათ სამშობლოზე, დედაზე, პირველ სიყვარულზე...



ანის, სულ პატარას, გარდაეცვალა დედა – ძალიან კარგი ადამიანი. შეიძლება ესეც გახდა მისი ლექსების იღუმალი თანამზრახველი... აქ წარმოდგენილი ორი ლექსი მის მშობლიურ სოფელზე და ადამიანზეა, უფრო სწორედ – გულზე, ადამიანის გულზე... მინდა გზა დაკვლოცო პოეზიის ლიანდაგზე შემდგარ ამ ახალგაზრდა გოგონას და დიდი წარმატებები ვუსურვო ცხოვრების სარბიელზე!..

ლები

მთვარესავით ლამაზი ხარ,
უშბასავით მალალი ხარ,
ფაზისივით ამაყი და
ძველი ციხე-ქალაქი ხარ!..

ბობოქარი რიონი ხარ,
შოდის კლდიდან მოშხირალი
ჯიხვის რქაზე მაგარი ხარ,
„მაცხოვრით“ და „ციხიკარით“!..

გული

მოკვდა კაცი,
იდუმალი მწუხარებით დაგვტოვა კაცმა,
არ შეგვიხედავს,
არ მოგვიკითხავს,
არც განგვიკითხავს...
რამ მოკლა იგი,
სხვა ქვეყნის გულში მჯდომარე კაცი,
მაინც რამ მოკლა?! –
სევდამ და დარდმა,
სხვა ქვეყანაში გათენებულმა ღამეებმა,
სამშობლოს მონატრებამ და სიყვარულმა
დააჭკნო იგი!..
აგურზეა გაფენილი რულის ნაფლეთები და
გვეუბნება –
ღიას, მე მოგკალი კაცი!..

თოხნიხა ხანდიახი



მომავალი წიგნიდან:
„ქარების სახლი“

იყო პოეტი

იყო პოეტი, – რა ვიხარია?
ეს დაწყველა, სხვა არაფერი,
აქ ყველაფერი მხოლოდ ქარია,
შენ ინსტრუმენტი ხარ ჩასაბერი.

შენ სანთელი ხარ, ანათებ, იწვი,
მაგრამ ვერ თბები და შენთვის ბნელა,
და თუ ჩაქრები, კარგადვე იცი,
ეს უარესი იქნება წყველა.

შენი ბედია დიდი ძეგლები
და ყვაილებით საფლავი სავსე,
სიცოცხლეში კი მხოლოდ ეკლები,
ეკლები გზებზე, ეკლები თავზე.

შენთვის სასახლეც ეს არის სორო,
არ მწამს, ცხოვრება რომ თქვა „ავიწყე“,
ქვეყნად ყველაზე მძაფრად შენ ცხოვრობ
ქვეყნად ცხოვრებაგადანავიწყი.

დადინარ, უფრო სწორად კი, დაქრი,
დაქრი და არსად არა გაქვს ბინა,
დაქრი და ყველგან შენია სახლი,
მხოლოდ ამ ქროლვით არ მოგეწყინა.

მხოლოდ ქროლვაში, მხოლოდ ქროლვაში,
ამ უთავბოლო ქროლვაში მხოლოდ
ოქროს წუთების არის კოლაჟი,
შენი სიცოცხლის თავი და ბოლო.

იყო პოეტი, – ნუ ვიხარია,
ანდა, იხარე, გულის ნუ აქვს ბზარი,
შენი სიცოცხლეც ეს ხომ ქარია,
შენ ხომ არასდროს არა ხარ მკვდარი!

მოლოდინში

ეს მარტივ ქრება, ვით თებერვალი,
ასეც და ისეც, გზავ, არ მომელი,
ამ გულმა ნახა ბევრი მწვერვალი
სამარადისოდ მიუწვდომელი.

ამ მწუხარების სული სალია,
მრისხანე, ვეფხვი ვით ბენგალიის,
შეულო კარი მტანჯველ გალიას
შეღებამ ჩემი გულის გალიის.

ამ სინარულის, ამ ტანჯვის სახე,
რასაც ვუძღვნიდი გულში ოდებს მე,
ვერ ვიფიქრებდი შეცდომის სახელს
მომავლებდა თუკი ოდესმე.

სხვა გალიმებს ვხედავდი გუმინ,
სხვა იმედებით ვიდექ ზარბთან
და არ მეგონა ბედი ღრმად გულში
თუ ამ სინანულს დაატარებდა.

ზვაგები დაწყდნენ, დაწყდნენ ძაფები,
გვეთქვა ნეტავი რას არ ვამბობდით!
შენ აცდებოდა ეგ ნილაბები,
მე ამცდებოდა ეს ეშაფოტი.

რაღაც ყოველთვის უნდა დაიცვა,
სადღაც ყოველთვის დაცვას ელიან,
ოდესღაც ვიღაც ისე დაიწვა,
რომ კენესა მისი დღესაც მწველია.

კედლის სურათზე ქარიშხალია,
იტაცებს ხომალდს მორევი ბნელი
და მე ვიცი, რომ ვიღაც ქალია
მთელ ამ სურათის შთამგონებელი.

სიჩუმე ჩადგა, თვალების ჭაში
ალარ გროვდება ცრემლი ჩვეულად,
მოღის მწუხარედ და ამბობს პაჟი –
ფსკერი ყინულად გადაქცეულა.

ჩვენ ვნახულობდით სხვადასხვა სიზმარს,
როგორც მუსიკა ისევ გველის ეს,
არ ვიცი, როგორ შეძლო პარიზმა
მოღა დასცქერდეს მინდვრებს ელისეს.

რომ არ მიცდიდე (შენ კი არ მიცდი),
რომ არ მელოდე (შენ კი არ მელი),
არ იძებნება ბრალის ამისთვის,
აქ უღონოა ფრთები მფარველი.

ვერ შეედრება ცივ რკინას მინა,
ფარულ ანთებას – სუსტი ხველება,
ვით მოჩვენებით მშობლიურ ბინას –
უბინაობის საშინელება.

ეს მარტივ გაქრა ვით თებერვალი,
ნეტავი, რისთვის, გზავ, თუ მომელი,
ამ გულმა ნახა ბევრი მწვერვალი
სამარადისოდ მიუწვდომელი.

ხიდზე

ახლა, როდესაც ამ წერილს გიწერ,
ღამეა, ირგვლივ არავინ არის,
ვლგავარ ჩვენს ნაცნობ საოცარ ხიდზე
ნათლის ქვეშ ახალ ამოსულ მთვარის.

თითქოს ომიდან მე დაგებრუნდი,
ისევ წრეში ვარ სახემღიმართა,
დაფრთხა და გაქრა ყველა ბინდ-ბუნდი,
როცა ეს ხიდი აქ აღიმართა.

რალაც დაკარგულს ვიბრუნებ უკან,
დიდი ხანია რასაც თვალეები
არ შეხვედრიან და თითქოს რუკა
მე მაწვალებდა გაფერმკრთალებით.

შეხე, რამდენი სანთელი ჩაქრა!
ვინ გადაურჩა სულის ობლობას?
მე ახლობელი ბევრი მყავს, მაგრამ,
ეს უნდა მხოლოდ ჩვენს ახლობლობას?

სულში რა ხდება მხოლოდ შენ განდობ,
მე შენთან ვხარობ თავისუფლებით,
არ გეკრძალება ერთი შენ მარტო
მიგლოვო, თუკი დავიღუპები.

ჯოჯოხეთში ვარ, თუ ვერ გიგონებ
და უფრო ბნელში ბილიკებს მივსდევ,
და რადგან ვგზავნი შენკენ სტრიქონებს,
ეს იმას ნიშნავს, ახლოს ხარ ისევ.

არ დამემდურო, გიცქერენ სადაც
ღალატით, ღვარძლით, დაცინვით, შურით,
იქ გულგრილობა მშვიდი და სადა
მოგერეოდა შენც უნებური.

როდემდე უნდა ენთოს სანთელი?
როდემდე უნდა სტანჯონ ქარებმა?
როდემდე უნდა მან წინანდელი
გადავიწყოს გულმწყურვალეობა?

მე ვერ ვიკავებ ვერასდროს ღიმილს,
როდესაც ვხედავ რა ფიქრით სღუმან,
რაც მოსვლას ითხოვს ათასი წვიმის,
შენ მას, ძვირფასო, მიხვდები უძალ.

თუ მიკავია მერნის სადავე,
თუ რამე ცეცხლი ჩემში ღვთიურობს,
ნეტავ, ვიცოდე შენთვის რადა ვარ
ასეთი უცხო, გზავ, მშობლიური!

მე მახსოვს სითბო შენი თითების,
როცა ყველასთვის უცხო ვიყავი,
ძირს დაცვენილი მარგალიტები
და მოსროლილი სადღაც ნიღაბი.

ყველა თასს დავცლი მე წმინდად, გწამდეს!
ჩემი ტკივილიც მოიძევს საფლავს
და ყველაფერი დასასრულამდე
მივა რაც ახლა მტანჯავს და მზაფრავს.

არაფერია, ჩემო ძვირფასო,
ბევრჯერ დაღვრილა ცრემლები ცხელი,
ბევრი წარწერა ვნახე კვირბაზე,
მაგრამ ჯერ კიდევ გული მაქვს მთელი.

და ახლა, როცა ამ წერილს გიწერ,
ვისმენ სიხარულს შორეულ ჭერის,
კვლავ ჩვენს საოცარ ამოვედ ხიდზე
და ქარს უხილავს ვატან ამ წერილს.

პოეტის ხსოვნას

ყინულის თვალთა და ზურგშექცევის
შენ დაიღალე უკვე ყურებით,
შენ ვიტაცებენ ხელში ლექსები
და ცისკენ ასე მიეშურები.

არცერთი ამბობს ცქერა თვალეების,
მაშინ როდესაც ასე ევნები,
ჰა ჩემი გული, აქ უცვალეები
ჰპოვოს შენ სულმა მოსასვენები.

შეუძლებელიც იყო სრულიად
ცხოვრება შენი გარეთ ოცნების,

რომ შენ არ გეგრძნო სადაც სულია –
ანგელოზური სული მგოსნების.

შეუძლებელი იყო სავსებით
ყელი სილალით არ მოგეღერა,
და როცა ლახვარს გცემდნენ მასები
თავდავიწყებით რომ არ გემღერა.

და შენც სხვებივით მოგიღეს ბოლო,
რადგან ვერ იქცა სახლად გალია,
შენც მოგკლეს, მოგკლეს იმისთვის მხოლოდ,
აფრენა გსურდა მაღლა ძალიან.



შუადღე

(ფოთლიფურცელა სურათები)

მოსდევს ორლობეს ნამთვრალევი, დაღლილი ქარი! და მოაგორებს კოლობონებზე მშრალ ჩალაბულას – მიტოვებულ, მწყერთა ბუდეებს... აქეთ-იქიდან ჭრელკაბა რძალნი გადმოხედავენ, ვით ირისები ვარდისფერები...

შუადღის ხანი!

მოსდევს ორლობეს ნამთვრალევი ბარბაცით ქარი! ჯერ თავს არიდებს მიყუჩებულ მზიგულა გორას, სადაც მხოლოდ თვალახელილ სურათთ არ სძინავთ და მათ შორის ყველაზე უმცროსს, ორმოცი დღეც არ შესრულებია! მიხურულია ყველა კარი, ყველა დარაბა – გამომძაც... გაღმაც...

პატრონის მცირდილს დარაჯობენ ბროლიები ენის ქასქასით,

დატყეპებულნი აივნის ფიცრებს... ვით ტალახის დიდი გუნჯალნი... ღელის პირას კი ღელი ხასხასებს... გამოპარვია დაბალ ტყრუმულებს

ორი ქურანი...

და ყუჩდებიან კისერს-კისერგადადებულნი, მძლავრი ჯიდაო უთრთით მზეზე, თაკარა ვნებით...

მოსდევს ორლობეს ნამთვრალევი ბარბაცით ქარი! ის ყველასია, მაინც ყველას მოინახულებს და ყველგან შესვამს თითო ჭიქა ლხინსა თუ ნალველს...

შებრუყებამდე! თან... ცოტაოდენ შეხურდება, თუ ეციება...

ამ შუადღეშიც...

მოსდევს ორლობეს ნამთვრალევი ბარბაცით ქარი... და უთახთახებთ მკერდი – ჩუმი სიცილისგან – მაისით სავსე აკაციის თეთრ ყვავილებსაც!

ირეკლავს ზეცის ზედაპირი დედამიწის შუადღის სიზმარს!

დრო ირგვლივ უვლის პლუტონს თუ მარსებს, ცა ჰგავს ფიალას... „წიპწებით“ სავსეს, რომ შეივსება, შესვამენ იმ წამს და „წამს უყოფენ“ აბეზარ... „წიპწას!“ აქ, რუხ მიწაზე ხითხითებს გიო და უნდა გოგოს ხელი მოჰხვიოს... გულს უხევს, ვინმე ციცინოს ნდომა... თუნთუხ-ციმციმებს ცხოვრების სტომა...

თუმც, ცისიერის არ ძალუძს წვდომა!

კაცთათვის, ჯერაც ფერუხვი დღეა და თავის ღერძზე ბზრიალებს გეა, ზრიალებს გმინვით სალ კლდეთა ფესვი... შესვი პრომეთევ, ის თასი შესვი... რადგან... ტკივილის

არავის ესმის!

ჰოდა, „მერდინს“ რომ გარს იხვევს გეა, ისიც სურვილთა მორჩილი ტყვეა... ვიდაც დაჰბლავის წვეთ სისხლს „ვანსეის“!... სადაც კი დარდი ჰკლავდა დანსეინს, როცა არყევდა ღმერთების სევედა და დოროზანდეს² ბოლოთქმას წერდა... ბარემ, მოზვავდეს ფიქრები სულმთლად, და ქარიშხლებიც, იმ ღმერთთა სუნთქვად...

უთქვამს შესაქმეს! ოდესღაც უთქვამს:

ჯერ, იტრიალონ მზემა და მთვარემ... ისმოდეს: ალლაჰ! უფალო! ჰარე! უთვალონ ხალნი კაცებმა ქალებს... მე! თასში წამთა „წიპწები“ ვთვალე... დავრწმუნდი: ერთიც შენახვად არ ღირს, წკიპურტით ვაკვლევ წელთა გრძელ ნახირს და ვუწერ სიზმარს – ზღაპრებს რომ შერთეს – ოთხიათას წელს მღუმარე ღმერთებს!

ვწმენდ აზარფემის კიდეს და ნაპირს!

წერტილი შესვამს ფიქრ-მელნის სასმისს, რათა სასრული – შეერწყას საწყისს... და მართლა, უთქვამს... უთქვამს... შესაქმეს:

– მიხედე ძმაო... ედვარდ... შენს საქმეს?!

1. შახსეი-ვახსეი – მუსლიმთა რელიგიური რიტუალი, გლოვის ნიშნად, ამ შეძახილით თავ-პირის დასისხლიანებისა;
2. დოროზანდე – ედვარდ დანსეინის ნაწარმოებიდან, ღმერთი, რომელიც ყოველივეს დასასრულს იხილავს.

ზამთრის უკუღმართი გრამატიკა

„თოვლები თოვლებს... თოვენ“...
შრიალს მივაპყარ ყური,
მოვიდა მუზა... ვთხოვე
ლექის ყველი და პური...

სხვა რა უნდა ვქნა? მახლას,
ფიქრებს ვთვლი უთავბოლოდ
და რა გვაკლია ახლა?
სანთლის „არაყი“ მხოლოდ!

ისიც თავისას იზამს,
ცეცხლი ეღება სხეულს,
მე ვსვამ წარსულის სიზმარს,
ადრე დაზამთრდა წლეულს.

საბნის ყურს ვახვევ არტანს,
მეორე ყურს კი ფხოვს,
ჩანს, ღამე დიდხანს გასტანს...
სული სიმშვიდეს მთხოვს!

ყინვის გრდემლს ვახლი გუნდას...
„კვერ“... მსხვერპლს ყინვისვე ქურის,
კარს ვუღებ ვისაც უნდა...
ლექის ყველი და პური...

„ფიფქი“ არ სცდება მიზანს,
არც არტანსა და ფხოვს...
თუმცა, მე რაღას მიზამს?
ჩემთან მობრძანდით, გთხოვთ!

თოვლით... თოვლები... თოვს!..

მე და ის

იცის ცხოვრებამ, უსაშველოდ რომ ვარ
დიდგულა...
თან გულალალი, მარტოსული, ამაყიც ვარ და...
ეცადა, მაგრამ მსხვერპლად მაინც ვერ დამიგულა,
ტერფზეც არავის არ ვემთხვევი ზეარსის გარდა.

მე მიჯობს, ვიყო ფეხზე მდგომი ყოვლის წინაშე,
თუმც ბედმა ჩემმა ზოგჯერ მწუხრის ტბაშიც
გაცურა,
დრო თავად ანგრევს უბედობას და მის მინაშენს,
თუკი ხედავს, რომ ღელაკაცაც ხვდება კაცურად.

ვნახე ყოველი, ზოგჯერ მეძავ წუთისოფელში...
ოღისევსივით მოვიარე ტროა თუ კრეტა,
დაჩოქვით ვერა, თუმც, თუ დამცემს

ერთი პატარა სიკვდილის მეტს – რას მიზამს
ნეტა?!

იცის ცხოვრებამ: უსაშველოდ რომ ვარ დიდგულა!

ნუ გამწირავ!

მერე რა, თუ მომხვდური ძველებურად ვერაგობს
და ღვთისმშობლის ცრემლები გაფრქვევია
მთა-ველად.
დიდი წმინდა გიორგის რკინის ჯაჭვის პერანგო,
ჩატეხილო თავთუხო, ჩემო ერთო მტკაველა!

მოეწონა შენი რა, მზენახატი კორდები,
დალეული მთვარის რტომ შენ წინ რკალი მოცერა,
მე სულ შენკენ მოვდივარ, შენ კი უფრო
მშორდები...

ნუ გამწირავ, სიცოცხლის მეტი... ვერა მოგცე რა!

დასჩენია შენს მიწებს მდინარეთა სტრიები,
შუქსაფარველს გახვევენ ვარსკვლავების მხეველები,
ჩემში შენთვის ცოცხლდება ლოცვის მისტერიები,
ვინ არ შემოგვლებია – მეც შენ შემოგველები!

მოგსდგომია გარშემო ვერავი და ორგული,
შენ კი ორაგულივით შესდგომიხარ აღმართებს,
სამტროდ შემოგწკავწკავებს ლაჩარიც და
ლომეულიც
და ღვთის მადლით, ვერცერთი ცუდს ვერაფერს
დაგმართებს!

ნუ იფიქრებ, დრო-ჟამში ვიყოთ დაკარგულები,
მეც შენი მთა-ტყე-ველით ვხატავ სულის
ფორცელანს,
განა, სხვის გასაგონად? ყურში გეჩურჩულები:
ნუ გამწირავ, სიცოცხლის მეტი... ვერა მოგცე რა!

მყინავწვერის კეფაზე მზე ხელს რომ გადაგვისგამს,
ეგ ტკივილი ობლობის ყურედება და აძდება,
შენ რომ არ მხსომებოდი, წვეთი წყალიც არ
მისვამს...
ახლა უნდა წამოდგე, სანამ დაგიღამდება!

ბედია, რომ ჟამითგან წაძინებას ნატრულობ
და გიზიდავს მზიანში შეჩრდილოელი ფერდობი,
მითაჟამით, ხომ იცი, კავკასიას პატრულობ...
ღმერთმა ნუ დაგავიწყოს, რომ ვერავის ენდობი!

ვიცი, ვიცი, მეც მინდა დარიალის ქვის ლოდზე
შენთან ერთად, წამიერ, დალილ თვალის წადება,
მაგრამ წელთა ღვარცოფში განლეულხარ, იცოდე,
ჩემო ერთო მტკაველო, უფლის ხელის დადებავ!

ნეტავ, სალბუნი ვიყო, შენს დარდს წამლად ვეფინო,
ახლა სულდაბნეულო, წამით ფეხისმოცდებავ,
ნატვრას სხივის სისწრაფით ზესკნელამდე
ეფრინოს,
არ გამწიროს... სიცოცხლის მეტი... ვერა მოგცე
რა!

ანგელოზთა ჩრდილები გეჩვენება ოდინდელ,
ნაომარ საუკუნეთ ვაჟკაცობის ლანდებად,
დიდი ღამის შემდეგ ხომ დილა უნდა მოვიდეს,
ახლაც უნდა წამოდგე, სანამ დაგიღამდება!

მოგახვიე ბეჭებზე ფიქრთა ზრუნვის ჩულები,
ჩემი სუნთქვით გაგათბობ, მომითმინე სამ-ოთხ
ღღეს...

ამას განა სახალხოდ? ყურში გეჩურჩულები...
ახლა დროა, ფერფლიდან ფენიქსივით წამოდგე!

ლიტერატურული ნერილი

ნიმო ახსენაშვილი



ახლად აღმოჩენილი „ნათლულების ქვეყანა“

დალი მაზმიშვილის წიგნზე მინდა გესაუბროთ. ამ წიგნს, მიხვდით ალბათ, „ნათლულების ქვეყანა“ ჰქვია. ახლად აღმოჩენილი კი ჩემთვის იმიტომ არის, რომ 2014 წელს გამოცემული წიგნი ახლა სხვა თვალთა წაფიქრებელია.

წიგნი საბავშვო გამოცემლობა „დილის“ პირმოა და მასზე ადრეც ბევრი მსმენოდა. შარშან კი თვითონ ავტორისგან მივიღე საჩუქრად.

წიგნის რედაქტორია თამარ ნინიკაშვილი. ხათუნა მახათაძის მშვენიერი ნახატებით გაფორმებულ ამ წიგნში არა მარტო სახალისო საბავშვო ლექსებია შეტანილი, ბევრ საინტერესო ინფორმაციასაც ნახავს აქ დაინტერესებული მკითხველი, იქნება ეს რელიგიური თუ ყოფითი ამბების, წელიწადის დროთა ცვალებადობის, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და სხვათა შესახებ.

შესავალ სიტყვაში ავტორი პატარა მკითხველს ასე მიმართავს: „ჩემო კარგო! ეს წიგნი შენთვის დავწერე და მას „ნათლულების ქვეყანა“ ვუწოდებ. როგორც იცის, 2008 წლიდან საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ გადაწყვიტა, ყველა ოჯახისათვის მესამე და შემდეგი შვილი მოენათლა, რითაც სრულიად საქართველოს ნათლია გახდა და ერი გაამთლიანა. უდიდესი მადლი და სიკეთე გადმოდის უფლის წყალობით ჩვენს ოჯახებში“.

სწორედ ეს მადლი და სიკეთე გამოსჭვივის ამ წიგნის თითოეული ფურცლიდან, თითოეული ლექსიდან თუ მონათხრობიდან.

ძველად საქართველოში ახალი წელი გაზაფხულზე, 1-ელ მარტს იწყებოდა. მომავალი თაობაც ხომ ერის გაზაფხულია; ალბათ ამიტომ იწება პოეტმა, რომ ეს წიგნიც გაზაფხულისადმი მიძღვნილი ლექსით დაეწყო:

„გაიღვიძებს ენძელა და ხარისთვალა,
თვალს გაახელს არემარე მინაბული,
მზის აღმურში გაეხვევა ცა და მიწა,
გაიღვიძებს სანატრელი გაზაფხული“.
(„გაზაფხული“)

აქვეა ლექსად აღქმული „ნათლულების ქვეყანა“ და მცირე ინფორმაცია ნათლიების, ამ დიდი საუ-

ფლო დღესასწაულის შესახებ.

საბავშვო ლექსები და მცირე პროზაული განმარტებანი ბავშვებს აცნობს და აყვარებს ქართველთა სარწმუნოებას, ქართულ ანბანს, დედა ენას.

სიყვარულთან ერთად მოვალეობის გრძნობაც უჩნდება პატარა მკითხველს, ღვთისმშობლის ტაძართან მლოცველ ბიჭს რომ ათქმევინებს:

„პაპაჩემის ხმა ჩამესმის:

შენ გარდა სხვა ვერ მოუვლის“.

(„ღვთისმშობლის ტაძართან“)

მათი ნატვრაც ხომ ერთიანი, ძლიერი საქართველოა:

„ – რას ინატრებ, ელენიკო?

– რაა უფრო სასახელო?


– რას და გახარებულ ქართველს,

მუშტად შეკრულ საქართველოს“.

(„რას ინატრებ“?)

სამშობლოზე საუბრისას საკუთარ ფესვებსაც შეახსენებს ავტორი ბავშვებს: შენი ფესვები შენი სახელოვანი წინაპრები არიანო, ზეციური სამყაროდან განუწყვეტლივ თავს დაგვტრიალებენო.

აქ შეუძლებელია, არ გავიხსენოთ დავით გურამიშვილის საოცარი სიტყვები: „ყმაწვილი უნდა



სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიღამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“.

ჩვენ, ქართველები, ხომ დღესაც იმ მიწაზე ვცხოვრობთ, უძველესი დროიდან, თითქმის კაცობრიობის სიცოცხლის დასაბამიდან სამშობლოდ რომ მიგვიჩინა ღმერთმა. ამიტომ არის, რომ აქ მაცხოვრებელი ადამიანის გუნება და ხასიათი აქაურ ბუნებასთან ჰარმონიულად შერწყმულა და ყველაფრისთვის თავისი სახელი დაურქმევია. ამიტომ პოეტი ლექსთან ერთად პროზასაც მოიშველიებს და პატარა მკითხველს წელიწადის დროთა თავისებურებებთან ერთად უხსნის: რა არის „კორდი“, „ხნული“, „მზეკაბანი“:

„ნუ მომაკლებ შენს თბილ სხივებს,

შენს ალერსს და მზერას ციდან, –

მზეს მალღიმალ შესცინოდა

მანობელა ერთი ციდა.

ირწეოდა მზეკაბანი

გალმიდან და გამოღმიდან,

თანაც ისე თბილად ცრიდა,

თითქოს მიწას ცა კოცნიდა“.

(„ირწეოდა მზეკაბანი“)

ნახსენები და განმარტებულია პურისა და ყურძნის ჯიშები, ნაზუქ-პურ, კუტი პური, თათარა-ფელაპუში და სხვა.

ლექსებთან და პატარა შემეცნებითი შინაარსის მოთხრობებთან ერთად წიგნში შეტანილია რამდენიმე ენის გასატეხი და ერთი გამოცანა, რაც, ჩემი აზრით, წიგნის ქარგაში ზედმეტია.

ამავე კრებულში მოხმობილი და განმარტებულია ბიბლიური ათი მცნებიდან მხოლოდ ორი: „მერვე მცნება: არა იპარო“ და მეხუთე მცნება: „პატივი მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და ღლეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა“.

ამ მცნებებისთვის ქალბატონ დალის განმარტებასთან ერთად შესანიშნავი ლექსებიც დაურთავს. სასურველი იქნება, თუ ამ წიგნის მეორე გამოცემაზე იფიქრებს ავტორი და ამ ორ მცნებასთან ერთად დანარჩენ მცნებებსაც შეახსენებს მკითხველს, თანაც თავისებურად ლამაზად გალექსილს ბავშვებისთვის სახალისო და გასაგები ენით.

კარგი იქნება, ნათლისღების აღწერისას, პოეტმა მიუთითოს ნათლის მოვალეობაზეც, რადგან მას ნათლულის სულიერი აღზრდა ევალება. გავიხსენოთ აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“. აქ აკაკი წერს: „გარდა ნათელ-მირონობისა, თითქმის სისხლხორცობა არ მიაჩნდათ ისე მტკიცე კავშირად, როგორც გამზრდელ-გაზრდილობა“. ე.ი. ნათელ-მირონობა ამათვე აღმატებული თუ არა, მათი თანაბარი ნათესაური კავშირი მაინც ყოფილა ადრე და არის ახლაც.

მთლიანობაში წიგნი „ნათლულების ქვეყანა“ საინტერესოდ იკითხება, ბავშვებისთვის გასაგები ენით; ქმნის ხალისიან განწყობას, აქვს შემეცნებითი ღირებულება. კარგი იქნება, თუ ავტორი შეძლებს, მეორე შევსებული გამოცემა მიაწოდოს პატარა მკითხველს და მათ უფროს მეგობრებს.



ნათია დილმანაშვილი

სადღეგრძელო



ჩემი საქართველო

ჩემი საქართველო ვაზის და ფრესკის,
თასის და მახვილის, მთების და ველების...
ეს ჩემი ქართლია და ჩემი კახეთია,
რაჭაა ლამაზი და ტკბილი იმერეთი...
ეს ხევსურეთია, მთებს რომ შენიზვნია,
ტყეებს აუყვები და იქვე სვანეთია...
ლეჩხუმში სიყვარულის თბილი ქარებია,
ყოველთვის ჯავახეთი ვის არ ჰყვარებია;
გურიას კალანდის სუფრა გაუშლია,
აჭარას „ოი, ნანა“ კიდევ უმღერია;
მეგრელებს ინოლა გულში ჩაუკრიათ...
დაკარგულ სამაჩაბლოს თვალები სველი აქვს,
აფხაზეთს დავიბრუნებთ, ნამდვილად იმედი მაქვს;
ქართველებს ცის ნამით ყანწი აუვისიათ...

ფერეიდნელი ქართველი

მე საქართველოს ერთი ტოტი ვარ,
დრო და ჟამისგან შორს გარიყული...
თუმცა მაწამეს, მგვემეს, მათრიეს,
მე მაინც შემრჩა ქართველის გული!
შენი სული და შენი გული მაქვს,
შენი ჭერი და ფუძე ქართული,
შენი ენა მაქვს,
ენა თამარის,
ქართული ენა – გრდემლზე მაგარი!

ეს გაუმარჯოს იალნოს მთას
და კოჭბაანის ლამაზ კაფიას!
გორგასლის ქალაქს უჯარმაში,
მარად და წმინდას!
ინანიშვილის წყალ-ჭალის ხმას,
პატარბეულის იების ცვარ-ნამს
და ნინოწმინდის ჯვარს!
ჩემს საგარეჯოს – თვალის თვალს,
გიორგიწმინდის ცივის მთას!
თოხლიაურის ლამაზ ცას,
მანავის ნავის ლეგენდას,
იქ გაშენებულ ზვარს!
...და ნიახურას გარშემო
იმ ჩაილურის წყალს!
კაკაბელების მინდვრებში,
ყაყაჩოს წითელ რკალს.
დავით გარეჯში მადლიან
ატეხილ ქარის ქარს.
ქალს გაუმარჯოს, ლეგენდას,
ერის კაცსა და ბერს,
იმ ქართველს – საქართველოში,
ვინც გადაარჩენს ერს!

* * *

გარინდულიყო სოფელი ჩუმად
და ღვთისმშობელი ცას შეჰზაროდა;
ჩვენ მიგვიყვანა რწმენამ ღმერთთან და
რწმენა რწმენაზე გვემატებოდა.
...ორნი ვანთებდით სანთელს – კელაპტარს,
ქარი არხევდა ცაცხვის ყვავილებს;
სულში მღეროდა სულიწმინდა და...
მისი ძალა კი ყველას გვიკვირდა.
ეკლესიაში, მაღალ ქონგურზე,
ფრესკები ჩუმად იხატებოდა;
...განათებული ტაძრის კედლებში
ქრისტე მეორედ იბადებოდა.



ხელიხელსაგოგმანებლად

(გამოთხოვებად თამაზ ნატროშვილთან)

დასავლური საზომებით თუ განვსჯით:

თამაზ ნატროშვილი ქართველ ტომას კარლაილად წარმოვიდგება, როგორც შემოქმედი ისტორიული ესეებისა. და ქართველ ჩარლზ დიკენსადაც, როგორც ისტორიული ნოველების შემოქმედი („ინგლისის საყმაწვილო ისტორიის“ ცალკეული თავები განა ნოველებივითაც არ არის შეკრული?).

მას უნდა დაემკვიდრებინა ისტორიული ესეისტიკა ქართულ ლიტერატურულ-კულტურულ სინამდვილეში. ისტორიული ნოველებით კი გაეგრძელებინა იაკობ გოგებაშვილის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრე ორბელიანის ძვირფასი ტრადიცია.

ეს კი ნიშნავდა:

სტილურ სინატიფესა და დახვეწილობას, თხრობის მომხიბვლელობასა და იღუმალ ჯადოს, ყველა თაობის მკითხველისათვის გულშიჩამწლომი რომ ხდებოდა და თვალსაწიერსაც უფართოებდა, რადგანაც ეს დიდებული ნიმუშები მოიცავდა უვრცეს არეალს და ერთნაირად წვდებოდა აღმოსავლეთსაც და დასავლეთსაც, როგორც მისი ერთ-ერთი წიგნის სახელწოდება: „მაშრიყით მალრიბამდე“ – რომლის შეფასებისასაც გურამ ასათიანი თვით ამ რუსთველურ ეპითეტსაც არ მოერიდებოდა:

ხელიხელსაგოგმანებელიო!..

ისტორიკოსისა და მწერლის იშვიათ შერწყმას რაც უნდა დაებადებინა.

ადრე ჩამოშორდებოდა ბელეტრისტიკას, თუმც რამდენიმე საანთოლოგიო მოთხრობას დაგვიტოვებდა: „ხვალ დოლი იქნება ხეობაში“, „გამოღვიძება“, „ჩიხი“...

და თარგმნის სფეროსაც რომ მოსინჯავდა, იმ წარმატებით, თუნდ ვარლამ შალამოვის ნოველები სანიმუშოდ რომ დარჩება, როგორ შეიძლება მწერალმა სხვა ენობრივ გარემოში სრულყოფილად

შეინარჩუნოს თავი ნიუანსობრივი ამეტყველების წყალობით; და კიდევ ერთ დასტურად, რომ პროზის თარგმნა არანაკლებ დიდ ხელოვნებას მოითხოვს, ვიდრე პოეზიისა.

ისტორიკოსისა და მწერლის იშვიათი შერწყმაო...

უამრავი უცნობი დეტალი, შტრიხი, გარემოებაც რომ უნდა შემოეტანა სამეცნიერო და საზოგადოებრივ მიმოქცევაში და მომხიბლავი თხრობა გადაეხსო მახვილგონივრული დაკვირვებებით, მიგნებებით, აღმოჩენებით... ეს ყოველივე კი გაჰყოლოდა რომაული შეგონების კვალს; ისტორია რომ უნდა იწერებოდა მრისხანებისა და მიკერძოების გარეშე.

და ამიტომაცაა, გზამკვლევად რომ გვევლინება მისი ესეებიცა და ნოველებიც ისტორიის ლაბირინთებში შესადწევად და ამა თუ იმ დროის ქერქში ჩასაჯდომად, ილია ჭავჭავაძე იდეალად რომ გვისახავდა სწორედაც დროის ქერქის შეგრძნებას გარდასული ჟამის იღუმალი მაჯისცემის მისაყურადებლად.

დადგება ის დროც, როდესაც თამაზ ნატროშვილის ისტორიულ ნოველებს სკოლის სახელმძღვანელოებშიც მიუჩენენ ადგილს – როგორც ისტორიისა, ისე ლიტერატურისა.





და საერთოდაც:

ერთ-ერთ საყრდენად დადგინდება ქართველი ახალგაზრდობის სულიერი ჩამოყალიბებისათვის, და ახალი და ახალი თაობებიც ისევე გაიზრდებიან ამ წიგნებზე: „მაშრიყით მალრიბამდე“ იქნება, „წელი ერთი და ათასი“ თუ კიდევ ის სერიები, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე მიმოზნეულნი ერთად შეკონვას რომ ელოდებიან – როგორც 70-იანი თუ 80-იანი წლების ახალგაზრდები ვიზრდებოდით ამ კიდევ ერთ მიღწევაზე ისტორიოგრაფიისა და მწერლობის გადაკვეთისა, ხელიხელსაგოგმანებელზე.

და ჩვენი დროებაც რომ წარუდგენს შთამომავლობას თავის მონაპოვარს, თუ რა შევძინეთ ჩვენი ლიტერატურისა და კულტურის საგანძურს ძვირფას თვლებად თუ ოქროს ზოდებად, ამ რკალში უთუოდ მოექცევა თამაზ ნატროშვილის დაუმცხრალ ძიებათა გვირგვინიც, როგორც დასტური ჩვენი ცხოვრების დრამატული ხანის შინაგანი სისავისა.

მოექცევა ხელიხელსაგოგმანებლად...

მეცნიერება და ხელოვნება (ბაჩაყალი და მანუჩი)



ჰალდუნ თანერი და საქართველო

წელს დაბადებიდან ასი წელი უსრულდება აჰმეთ ოზქან მელაშვილს, ვინც თურქეთის ქართველებში (ჩვენებურები) განმანათლებლობის ჩირაღდანი ანთო. იგი 1980 წლის 5 ივლისს ქალაქ ბურსაში ფაშისტებმა მოკლეს, მისი მკვლელების ვინაობა დღემდე უცნობია. მელაშვილის განმანათლებლობის პირველი ნაპერწკალი 1968 წელს გამოცემული წიგნი, „საქართველო“ („Gürcüstan“) იყო. წიგნი, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა, თურქეთში პირველი და უმთავრესი წყარო იყო ქართული კულტურისა და საქართველოს შესახებ ცნობების მისაღებად. აჰმეთ ოზქანის მკვლელობის შემდეგ „ჩვენებურები“ გარკვეულწილად წინამძღოლის (თავკაცის) გარეშე დარჩნენ.


„Gürcüstan“-ის შემდეგ აჰმეთ ოზქანმა თურქულად ათარგმნინა და გამოსცა ქართველი კლასიკოსების ისტორიული რომანები: ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯა“, იუსუფ ფაღავას „ჩაუქრალი კერა“ და სიმონ ქვარიაშვილის „დიდი მოურავი“. 1977 წელს შანვერ აქინთან (შალვა თევზაძე) ერთად დაიწყო კულტურული პერიოდული ჟურნალის „ჩვენებურის“ გამოცემა. ჟურნალი სამ თვეში ერთხელ გამოდიოდა და მასში იბეჭდებოდა სტატიები საქართველოს, მისი კულტურისა და ლიტერატურის შესახებ. აჰმეთ ოზქანის გარდაცვალებისა და მალევე თურქეთში მომხდარი 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალების შემდეგ შეწყდა ჟურნალის გამოცემა, ისევე, როგორც ყველა სხვა წიგნისა, შეჩერდა ყველა სახის კულტურული ღონისძიება.

იმავე სახელწოდებითა და მიზნებით ჟურნალ „ჩვენებურის“ გამოცემა 13 წლის შემდეგ, 1993 წელს, აჰმეთ ოზქანის მეგობრებისა და მოწაფეების ძალისხმევით განახლდა. 1980 წლის მოვლენებით გამოწვეული პაუზის შემდეგ შეუძლებელი იყო სერიოზული საგამოცემლო საქმიანობის გაშლა და ჟურნალის გამოცემა. ამასთანავე, აჰმეთ ოზქანის

ყველაზე დიდი დამხმარისა და ახლო მეგობრის, ჰაირი ჰაირიოღლუს (ვახტანგ მალაყმაძე) გარდა, აღარავინ იყო ქართული ენის ზედმიწევნით მცოდნე, ვინც შეძლებდა მთარგმნელობითი სამუშაოს გაწევას.

ჰ. ჰაირიოღლუ ინეგოლში ზღაპრებს და სხვადასხვა მოკვლევულ მასალას თარგმნიდა, მე კი – მათი გამოცემის შესაძლებლობის საპოვნელად სტამბოლში, ჩალალოღლუში დავიარებოდი საგამოცემლო სახლებში. ამ დროს ერთი საინტერესო რამ მოხდა. გავიცანი ცნობილი მწერალი **ჰალდუნ თანერი**, რომელზეც გაგებულნი მქონდა, რომ წარმოშობით ქართველი იყო და მისი ნაწარმოებები ქართულ ენაზეც ეთარგმნათ. მომდევნო წლებში გავიცანი და ერთობლივი საქმიანობაც გავწიე საქართველოს კულტურით დაინტერესებულ არაერთ ცნობილ მწერალთან და საზოგადო მოღვაწესთან, როგორებიცაა: ფაქირ ბაიქურთი, დემირთამ ჯეიჰუნი, ჰაიათი ასილიაზიჯი, სამი და მეჰრუჟ ქარაორენები, თაჰსინ სარაჯი, რეფიქ ერდურანი, თუნჯერ ჯუჯენოღლუ, თარიქ დურსუნი, ნეჯათი ჯუმალი და სირრი ოზთურქი. მაგრამ 1985 წელს ჰალდუნ თანერის გაცნობა ყველა სხვა ნაცნობობის ერთგვარი დასაწყისი აღმოჩნდა.

ჰალდუნ თანერმა გაზეთ „მილიეთის“ რედაქციაში საკმაოდ თბილად და გულთადად მიმიღო. სინარულით დაგვთანხმდა ზღაპარ „მზის ასულის“ მასალის რედაქტირებას. საუბარში აღნიშნა, რომ თავადაც ქართული ფესვები ჰქონდა, მაგრამ ქართული არ იცოდა, თუმცა უფროსები მათ ოჯახში ერთმანეთში ქართულად ლაპარაკობდნენ. ამ დროს მის მიერ ნახსენებმა ორმა სახელმა ჩემს მეხსიერებაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა, ერთი კონსტანტინე გამსახურდია (1) იყო, მეორე კი – ლია ჩლაიძე.



თქვა, რომ გერმანიასა და მოსკოვში გადაიკეთა მისი და კონსტანტინე გამსახურდიას გზები, და რომ გამსახურდია „თანამედროვე ქართული ლიტერატურის ყველაზე მნიშვნელოვანი სახელიაო“. აქვე გაიხსენა, მოსკოვში მწერალთა ერთ-ერთ ყრილობაზე როგორ გამოსდო ხელკავი გამსახურდიამ, სხვა მწერლებს ჩამოაშორა და გვერდით გაიყვანა; ჩვენ ნათესავები ვართ, მოდი აქეთ, ცალკე ვიბაასოთო.

ამ შეხვედრიდან ორი წლის თავზე გავიცანი ქართველი თურქოლოგი, პროფესორი ლია ჩლაიძე, რომლის სახელიც პირველად ჰალდუნ თანერისგან გავიგე და რომელმაც ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. მან თარგმნა ქართულად თანერის ნაწარმოებები და მანვე გაუწია მეგზურობა საქართველოში, თბილისში სტუმრად

მყოფს.

„საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებთან კულტურული ურთიერთობების საზოგადოების“ მიწვევით, 1987 წელს საბჭოთა კავშირში ჩასულებს ვინც მეგზურობა გაგვიწია, სწორედ ქალბატონი ლია იყო (ლია დედა – ლია დედა). იგი, ის ცნობილი თურქოლოგი ლია ჩლაიძეა, რომელმაც თურქული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწარმოებები ქართველ მკითხველს გააცნო, დიდი თურქულ-ქართული ლექსიკონის მთავარი რედაქტორობა იტვირთა და უდიდესი წვლილი შეიტანა თურქულ-საქართველოს შორის კულტურული ურთიერთობების დამყარებაში. ამ დღიდან მოყოლებული მის გარდაცვალებამდე (2017) გრძელდებოდა ჩვენს ოჯახებს შორის მეგობრობა და ჩვენი ურთიერთ-თანამშრომლობა. ჩვენ მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინეს საზოგადოების სხვა წევრებმაც: ვიქტორ ჩიკაიძემ (მან მოსკოვშიც გაგვიწია მეგზურობა, მოგვიანებით კი ანკარაში საქართველოს ელჩის მოადგილის თანამდებობას იკავებდა), გურამ გალოგრემ და რიჩარდ ჯაშმა. საქართველოში ჩვენი პირველი მოგზაურობა და საზოგადოების წევრებისა და ხალხის სტუმართმოყვარეობა დღემდე დაუვიწყარ მოგონებად რჩება.

ქალბატონი ლია მეუღლესთან, არქეოლოგ თეიმურაზ ჩიქოვანთან ერთად, არაერთხელ გესტუმრობდა თურქეთში სურვილით, რომ მარადღამ ეცოცხლა ამ ახლო მეგობრობას, ჩვენს მოგონებებს. ქალბატონი ლიასადმი ჩვენს სიყვარულს და პატივისცემას, ჩვენს შვილიშვილს, რომელიც 2013 წელს დაიბადა, სახელი „ლია“ დავარქვით.

1996 წელს ქალბატონმა ლიამ შეგვატყობინა, რომ ცნობილ ქართველ მწერალ ძმებს, ოთარ და თამაზ ჭილაძეებს სურდათ თურქეთში ჩამოსვლა და მომმართა თხოვნით, დამეგეგმა მათი ვიზიტი. ჩვენებურების დახმარებით ორგანიზება გაუწვიეთ სამკვირიან ვიზიტს სტამბოლში, ბურსასა და იზმითში... ძმებ ჭილაძეებს თან ლია ჩლაიძეც ახლდა (2).



1915 წელს სტამბოლში დაბადებული ჰალდუნ თანერი თურქული ლიტერატურისა და თეატრის გამორჩეული წარმომადგენელია. ჰ. თანერი ხუთი წლის იყო, როცა მამა გარდაეცვალა და მასზე მზრუნველობა დედის ოჯახმა ითავა. 1935 წელს გალათასარაის ფრანგული ლიცეუმის დასრულების შემდეგ სახელმწიფო დაფინანსებით გერმანიაში, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში გაიგზავნა სწავლის გასაგრძელებლად. 1938-42 წლებში ტუბერკულოზის მძიმე ფორმით დაავადების გამო ერენქოის სანატორიუმში მკურნალობდა.

1950 წელს დაამთავრა სტამბოლის უნივერ-

სიტეტის თურქული ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1955-57 წლებში კი – ვენაში რეჟისორის ხელოვნებას დაეუფლა. 1957 წელს საშობლოში დაბრუნებული სხვადასხვა უნივერსიტეტში გერმანული ენისა და ლიტერატურის, ასევე ხელოვნებისა და თეატრის ისტორიის კურსს კითხულობდა. 1952-60 წლებში სკუთარი რუბრიკა ჰქონდა გაზეთ „თერჯუმანში“ – აქვეყნებდა სტატიებს კულტურის საკითხებზე. ამ წერილებით, რომელშიც იგი ყოველდღიური ცხოვრების მოვლენებს აფასებდა, მკითხველს თავისი ეპოქის დოკუმენტურ აღწერას სთავაზობდა. შემდეგ წლებში გააგრძელა სტატიების გამოქვეყნება გაზეთ „მილიეთში“.

ჰალდუნ თანერის ნოველების პირველი კრებული („გაუმარჯოს დემოკრატის“) 1949 წ. გამოვიდა და დიდი მოწონება დაიმსახურა. მალე საერთაშორისო აღიარებაც მოვიდა – მთელ მოფლიოში გაითქვა სახელი პიესით „ქეშანელი ალის ამბავი“, 1952 წელს კი, გაზეთ „ჰერალდ ტრიბუნის“ მიერ გამართულ საერთაშორისო კონკურსში მისმა ნოველამ „აწვიმდა შიმშილს“ პირველი ადგილი დაიკავა.

1954 წელს საით ფაიქის სახელობის უმაღლესი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი გახდა. 1957 წელს მიიღო ჯილდო საუკეთესო სცენარებისთვის ფონდისგან „Türk Film Dostları“, 1969 წელს კი იტალიაში, ბორდიერას იუმორისტთა საერთაშორისო კონკურსში ნოველისათვის „სანჩოს გასეირნება“ უმაღლესი ჯილდო – „ოქროს რტო“ დაიმსახურა. 1971 წელს პიესისათვის – „დოცლაპია ქმრის გაიძვერა ცოლი“ თურქული ენის საზოგადოების ჯილდო, ამავე პიესისთვის 1983 წელს სედათ სიმავის ფონდის პრემია გადაეცა.

ჰალდუნ თანერის ქართულ ენაზე მთარგმნელი ლია ჩლაიძე თანერის ნოველების მეორე გამოცემის („აწვიმდა სტამბოლს“) წინასიტყვაობაში წერდა:

„ჰ. თანერის სიცოცხლეში სტამბოლის ერთ-ერთ ფეშენებელურ უბანში, რომელსაც ბეიოლლუ ჰქვია, იყო ერთი პატარა თეატრი – „სირაქლემის თეატრი“. ამ თეატრის ხელმძღვანელი, რეჟისორი და დრამატურგი ჰალდუნ თანერი იყო.

ბედნიერი შემთხვევით გავიცანი იგი, როცა მოსკოვში მოწვევით მყოფი ორი დღით თბილისში ჩამოვიდა – ჩემი წინაპრების მამულების დასაბრუნებლად ჩამოვედიო, – ხუმრობდა.

ლიას, თანერის წინაპრები თავდგირიძეები ყოფილან – ქობულეთელი ბეგები. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს გადასულან თურქეთში. იქაც მაღალი მდგომარეობისთვის მიუღწევიათ და, როგორც მისი ნოველების პირველი ქართული გამოცემისათვის დაწერილ „წინათქმაში“ აღნიშნავს, დიდხანს არ გაუწვევტიათ კავშირი საქართველოსთან.

არისტოკრატიზმი, ევროპული აღზრდა – განათლება ის საფუძველია, რომელზედაც დგას ჰალდუნ თანერი – ნოველისტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, რეჟისორი.

ითვლება, რომ ჰ. თანერი იუმორისტი მწერალია, მაგრამ მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ „მის ნოველებში სევდა სჭარბობს სიცილს“. თუმცა დავამატებდით – სიცილს კი არა – ღიმილს,

ადამიანისადმი დიდი სიყვარულით ნასაზრდოებ თანაგრძობის ღიმილს. ღიას, თანერი არასოდეს იცინის. იგი სევდიანი ღიმილით გვესაუბრება ღრმად ფილოსოფიურ საკითხებზეც კი. იგი ღიად, პირდაპირ არ ამბობს სათქმელს. მის ნოველებში მთავარია ის ბევრისდამტევი ქვეტექსტი, რომელსაც მწერალი ძუნწი, მაგრამ ზუსტი ფსიქოლოგიური დეტალებით ქმნის. ის არ გვეუბნება, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი ურთიერთკავშირშია. მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნატიფი იუმორით გვიყვება, როგორ ჩაიხედა სტამბოლში ერთმა ბებერმა ჯავღალამასარკეში და ამის გამო როგორ შეიცვალა რამდენიმე ადამიანის ცხოვრება სტამბოლში, სან - პაულში, ჰამბურგში...

ჰალდუნ თანერი თურქეთის პარლამენტის – მეჯლისის წევრიც იყო და სტამბოლის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოსიც!

ჰალდუნ თანერის ნოველების კრებული ქართულად პირველად 1972 წ. გამოვიდა. მას „თორმეტს აკლია ერთი წუთი“ ერქვა. იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ 40 000-იანი ტირაჟით გამოცემული წიგნი რამდენიმე დღეში გაიყიდა.

კრებული, რომელსაც ახლა ვთავაზობთ მკითხველს, შეესებოდა ახალი თარგმანებით – რამდენიმე ნოველითა და ძალზე პოპულარული პიესით „ქეშანელი ალის ამბავი“. ეს პიესა ათეული წლების მანძილზე არ ჩამოსულა თურქეთის სცენიდან, ევროპის ქალაქებშიც დაიდგა. მე იგი 1988 წელს ვინახე სტამბოლის „მუნციპალურ თეატრში“.

უკვე აღარც „სირაქლემას თეატრი“ იყო და აღარც – ჰალდუნ თანერი, მაგრამ მისი პიესების მიხედვით მის მიერვე დადგმული სპექტაკლები სხვა თეატრებში აგრძელებდა ცხოვრებას და მათზე მოხვედრა ძველებურად ჭირდა.

არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ჰალდუნ თანერის ნოველების ენა ისეთივე დახვეწილია, როგორც მათი ავტორი, მაგრამ ერთი მისი გმირების მეტყველებაც ნახეთ! როგორი ღვარჯნილი ოსმალურით ლაპარაკობს მირალაი ბეი („მფლობელი კალმისა და მახვილისა“). ჟარგონით მეტყველებენ სინექლის მთის ბოგანოები („ქეშანელი ალის ამბავი“), მაგრამ როგორ „ამაღალფარდოვანებენ“ თავიანთ სიტყვებს, როცა სურთ, თავი მოაჩვენონ ვისმე.

ძალიან ძნელი იყო 50-იანი წლების სტამბოლურ ჟარგონში გარკვევა. მხსნელად აწ გარდაცვლილი ლაზი ქალბატონი გულიზარ ჭელიძე მოგვევლინა. იგი სწორედ ამ წლებში ცხოვრობდა სტამბოლში და კარგად იცოდა ეს ჟარგონი. დიდი მადლიერებით უნდა აღვნიშნოთ: ფასდაუდებელი იყო მისი სამსახური მთარგმნელისათვის, რომელიც ძალიან ეცადა, შემოენახა ორიგინალის სტილი. პიესა სიმღერების ხარჯზე ოდნავ შევამოკლეთ.

კრებულს „აწვიმდა სტამბოლს“ დავარქვით და ამას ორი მიზეზით ვამართლებთ. პირველი: მას ნოველა „აწვიმდა შიშქანეს“ იწყებს. უპირაინი იქნებოდა, მისი სათაურის გამოტანა კრებულის სახელწოდებად, მაგრამ ქართველ მკითხველს „შიშქანე“ არაფერს ეტყოდა, ამიტომ გავაფართოვეთ ერთი პატარა ქუჩის საზღვრები, თუ შიშქანეს აწვიმდა,

აწვიმდა სტამბოლსაც. მეორე: ჰალდუნ თანერი სტამბოლელია, სტამბოლელები არიან მისი გმირებიც, თუ არ ჩავთვლით პატარა სანჩოს, ანკარის ქუჩებში რომ დააცუნცულეს ფრთამოტეხილ იზნიქელ ყარყატს. სტამბოლს დასტრიალებს მთელი მისი შემოქმედება.

„ქართველი ხალხი... ახლობლად ვცანიო“ – წერდა თანერი 1971 წ. იმედია, მკითხველიც კვლავ გულთბილად მიიღებს მის შემოქმედებას“.

ლია ჩლაიძე,
თბილისი. 2004 წ. 20. 11.

ჰალდუნ თანერი თავისი ნოველების პირველი ქართული გამოცემის წინასიტყვაობაში ასეთი სიტყვებით მიმართავდა მკითხველს:

„მე რომ მკითხვო, მთარგმნელის ღვაწლი მწერლის ღვაწლის ოდენაა, ხშირად უფრო მნიშვნელოვანი და სასარგებლოც კი – დიდი საქმეა, მიაკვლიო მსოფლიოს რომელიმე კუთხეში თავის ხალხთან, თავის ენაზე მოსაუბრე მწერალს, აღმოაჩინო მასში კაცობრიობისთვის სასარგებლო რამ და მიიტანო იგი საკუთარ ხალხამდე, ჩასწვდე მწერლის ენის სიღრმეს, ნიუანსებსა და დიდის რუდუნებით გადაიტანო იგი შენს ენაზე.

დიდად შემცდარა, ვინც მთარგმნელის თავგანწირულ შრომას ღირსეულად არ აფასებს.

მთარგმნელი ხომ ორი ხალხის შემაერთებელი ხილია! მწერლები ვერასოდეს გადაუხდით ჯეროვან მადლობას ჩვენს ამ კეთილისმყოფელებს, აუდიტორიას რომ გვიფართოებენ და სხვადასხვა ხალხში მეგობრებს გვძენენ. ხოლო მკითხველები მათგან ისევე ვართ დავალებულნი, როგორც ჩვენი მასწავლებლებისაგან. კულტურის ეს კეთილი მოციქული ხომ ახალ – ახალ სარკმელებს გვიხსნიან გონების თვალსაწიერზე.

ჩემი მოთხოვნების ქართულ ენაზე თარგმნას ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს – ჩემი წინაპრები ქართველები იყვნენ. ჩვენს ოჯახში უფროსები ქართულად ლაპარაკობდნენ, ხშირად აწვდენდნენ ხმას საქართველოს, იცავდნენ ქართულ ადათ-წესებს.

შარშან, როცა პირველად ჩამოვედი საქართველოში, უცნაური გრძნობა დამეუფლა: თითქოს ადრეც ვყოფილიყავი აქ. ქართველი ერი, ქართული ყოფა, ქართული მუსიკა ახლობლად ვცანი.


საქართველოს ბუნება, მისი ჰავა, ძალიან მშობლიურად მეჩვენა.

არ ვიცი, ქართველები გულთან ახლოს მიიტანენ თუ არა ჩემს ნაწარმოებებს.

ჩემს პირველ მეკვლეს ლია ჩლაიძეს გულითად მადლობას მოვასხენებ.

ქართულ ენაზე გამოსული ჩემი პირველი წიგნი ყოფილიყოს ქართველი მკითხველებისადმი პირველი მეგობრული წერილი, რომლითაც თითოეულ მათგანს კეთილ სურვილებს ვუთავლი“.

ჰალდუნ თანერი,
სტამბოლი, 1971 წლის 1 იანვარი.



სქოლიო:

1. კონსტანტინე გამსახურდია (1893-1975);

1991 წელს დემოკრატიული საქართველოს პირველპრეზიდენტად არჩეული და 1993 წელს საეჭვო ვითარებაში გარდაიცვლილი ზვიად გამსახურდიას მამა.

გერმანიაში განათლება მიღებულმა კ. გამსახურდიამ ევროპაში გავრცელებული ლიტერატურული მიმდინარეობები გაითავისა, ხოლო კლასიკურობის ელფერის შესაქმნელად თავის ნაწარმოებებში არქაულ ენას იყენებდა. გამსახურდიას მიერ ქართულ ლიტერატურაში შემოტანილი კიდევ ერთი სიახლე ექსპრესიონიზმი და მოდერნიზმია. მისი ნაწარმოებები განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ღრმა შინაგანი ფსიქოლოგიის მქონე ხასიათების მხატვრული აღწერით.

კ. გამსახურდია 1912-18 წლებში გერმანიაში იღებდა განათლებას, ამ პერიოდში მიუნხენში დროებით სამუშაოზე თარჯიმნადაც მუშაობდა.

1918 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებელთა საბჭოს წევრი გახდა, ამავე წელს დამოუკიდებელი საქართველოს გერმანიის საელჩოში ატაშედ დაინიშნა.

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაერთო. 1923 წელს მცირე ხნით პარიზში ცხოვრობდა.

მიუხედავად იმისა, რომ იგი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგი იყო, იმ მცირერიცხოვან მწერალთა შორის აღმოჩნდა, რომლებიც სტალინურ რეპრესიებს გადაურჩნენ.

1924 წლიდან გამსახურდია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გააძევეს. რამდენჯერმე დაპატიმრებული და მუდმივი რეპრესიების ქვეშ მყოფი გამსახურდია, თეთრი ზღვის სოლოვეცკის კუნძულზეც კი იყო გადასახლებული.

„დიდოსტატის მარჯვენა“, რომელიც 1939 წელს დაწერა, მე-11 საუკუნეში სვეტიცხოვლის ტაძრის აგების ამბავს ეძღვნება. რომანში ალეგორიულად არის გადმოცემული სათქმელი, აკრძალული სიყვარულის გამო მოკლულ ხუროთმოძღვარ არსაკიმეს, სტალინური რეპრესიების დროს, საქართველოს სიყვარულისთვის სიკვდილით დასჯილ მწერლებს ამსგავსებენ.

1955 წელს რომანი „ვახის ყვავილობა“ დაწერა, ხოლო 1962 წელს – ისტორიული რომანი „დავით აღმაშენებელი“, რომლისთვისაც შოთა რუსთაველის სახელობის პრემია მიიღო.

გამსახურდიამ ქართულ ენაზე თარგმნა გოეთესა და დანტეს ნაწარმოებები.

წყარო: Rayfield Donald (2001), The Literature of Georgia-A History Routledge.

2. ჟურნალი „ჩვენებური“ çvneburī, ნომერი: 22 ივლისი, 1996; ოთარ და თამაზ ჭილაძეები თურქეთში. თურქულიდან თარგმნა ირინე ჯავახიძემ.

კულტურა - ხიდენი...



„ირლანდიის ისტორიამ და ჩვენი ქვეყნის უახლესმა წარსულმა დამარწმუნა, თუ რაოდენ სჭირდება პოპულარიზაცია ამ ორ ენას – ქართულსა და ირლანდიურს“...

სენაკის რაიონის სოფელ ნაქალაქევეში დაიბადა. ნაქალაქევის საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, უმაღლესი განათლება მიიღო თსუ-ში. დაამთავრა დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

ერთხანს სენაკში მუშაობდა, შემდეგ კი – „დილის გაზეთისა და „ექსპრეს ქრონიკის“ რედაქციებში.

2002 წელს დააარსა და რედაქტორობდა გერმანულენოვან გაზეთს – „TBILISSER ZEITUNG“-ი, რომელიც გამოიცემოდა თბილისის გოეთეს ინსტიტუტთან ერთად. 2003 წელს განახორციელა საავტორო პროექტი ორენოვანი ჟურნალისა – „GOETHE INSTITUT TBILISI“. 2006 წელს ასევე განახორციელა საავტორო პროექტი და გამოიცა გერმანული ლიტერატურული ჟურნალი – „K&L“ („კულტურა და ლიტერატურა“) ევროკავკასიური უნივერსიტეტისთვის.

2006-2012 წწ. ცხოვრობდა ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ განხორციელებული პროექტების უმეტესობა უკავშირდება ირლანდიას, ირლანდიელებს, ირლანდიურ კულტურასა და ლიტერატურას.

2017 წელს, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მეგობრებთან ერთად დააარსა არაკომერციული საქართველო-ირლანდიის კულტურული ურთიერთობების ცენტრი (ქართულ-ირლანდიური ცენტრი). ცენტრის ეგიდით, გამოიცა მისი ესეისტის ჟანრის წიგნი – „მიგრანტები“ (ორ წიგნად),

რომელიც მიეძღვნა ირლანდიის დამოუკიდებლობის მე-100 წლისთავს.

2018 წელს გამოიცა ასევე მის მიერ თარგმნილი ირლანდიელი მწერლის – მიქაელ პატრიკ მულვიჰილის წიგნი – „ციმბირის ჯოჯოხეთური ხვრელი“;

მთარგმნელთა ჯგუფთან ერთად 2021 წელს გამოიცა „ირლანდიური პოეზიის ანთოლოგია“; ასევე – „უნივერსალური ქართულ-ინგლისურ-ირლანდიური & ირლანდიურ-ინგლისურ-ქართული სასაუბრო“.

სულ ახლახან, დეკემბრის ბოლოს კი, კიდევ ერთი საინტერესო წიგნი შეემატა სხვა გამოცემებს – „ირლანდიური ლეგენდები და ზღაპრები“...

ამბობს, რომ ირლანდიის რესპუბლიკა თავისი მწარე ისტორიული წარსულით არის ქვეყანა, რომელმაც ხანგრძლივი მონობის ბორკილებისგან თავი გაითავისუფლა და ერთ-ერთ წარმატებულ ევროპულ ქვეყნად იქცა. ცოცხალი მაგალითია და დაარწმუნებს ქართველ ხალხს, რომ სულაც არ არის შეუძლებელი, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქვეყანა სწორი პოლიტიკით, დაულალავი ბრძოლითა და შრომით იქცეს ეკონომიკურად წარმატებულ ქვეყნად. – ნანა შალამბერიძის პერსონა.



– სენაკის რაიონის სოფ. ნაქალაქევიში დაიბადეთ და გაიზარდეთ...

– დიახ, სენაკის რაიონის ერთერთი ულამაზესი და ისტორიული სოფელი ნაქალაქევი (ეგრისის სამეფოს ყოფილი დედაქალაქი) არის ჩემი მშობლიური სოფელი, სადაც დავიბადე 1951 წელს (მოსამსახურის ოჯახში) და აღვიზარდე 17 წლამდე.

დედამამისეული სახლი ჩვენი, სამი დის, ბავშვობისდროინდელ უტკბილეს მოგონებებს უკავშირდება და სათუთად ინახავს. ჩვენ, შემდგომ, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში მოგვიწია ცხოვრებამ, მაგრამ არადადეგების პერიოდში ჩვენთვის და ჩვენი შვილებისთვის უცვლელი დასასვენებელი ადგილი იყო ნაქალაქევი. ამ ტრადიციამ შვილიშვილებზე გადაინაცვლა და ასე გრძელდება.

ეს ერთადერთი ადგილია, სადაც ყოველ წამს ჩამქმის ჩემი დედ-მამის ხმა, ვხედავ მათ გალიმბულ და მადლიერ სახეებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ვგრძნობ როგორ მეფერებიან ხელზე და თავზე... ან ვხედავ თვალს რომ არ მისწორებენ, როცა, სახლში რალაცას არასწორს, მათთვის მიუღებელს ჩავდივარ.

მე და ჩემმა დებმა, სამივემ ერთად მათი სიცოცხლის პერიოდში მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ არასდროს, არასდროს, როგორი განსაცდელის წინაშეც არ უნდა დამდგარიყო ჩვენი ოჯახები, დედამამისეული სახლი არ გაყიდულიყო და მისთვის შეძლებისდაგვარად მოგვევლო.

რა დამავიწყებს მათ ბედნიერ სახეებს ამის მოსმენისას...

– თსუ-ს დასავლეთ ევროპის ენებისა და

ლიტერატურის ფაკულტეტზე განაგრძეთ სწავლა. რატომ უცხოური ენები და გერმანული?

– ნაქალაქევის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლესი განათლების მისაღებად სწავლა გავაგრძელე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე (გერმანული ენის განყოფილება). ჩვენი სოფლის, ნაქალაქევის სკოლებში გერმანულ ენას ასწავლიდნენ. ჩემი შეუღარებელი მასწავლებლების ქალბატონების – თინა კვირიასა და თინა ჟვანიას გავლენით, შევიყვარე გერმანული ენა, რამაც განაპირობა ჩემი არჩევანი.

– ერთხანს სენაკში მუშაობდით, შემდეგ დედაქალაქში გადმოხვედით. დააარსეთ და რედაქტორობდით გერმანულენოვან გაზეთს – „TBILISSER ZEITUNG“-ი, რომელიც გამოიცემოდა თბილისის გოეთეს ინსტიტუტთან ერთად (2002-2004 წწ)... რა წვლილი შეიტანა ქართულ-გერმანულ ლიტერატურულ ურთიერთობებში ამ გაზეთმა?

– უმაღლესი განათლების მიღების, თსუ-ს დამთავრების შემდეგ, დაგბრუნდი მშობლიურ რაიონში – სენაკში და ვასწავლიდი გერმანულ ენას ქალაქის პირველ, მესამე და მეხუთე საშუალო სკოლებში (1973-1985 წწ). შემდგომ წლებში ვმუშაობდი სენაკის განათლების განყოფილების უცხოური ენების სწავლების მეთოდისტად (1985-1987 წწ) და სასკოლო ინსპექტორად (1987-1995 წწ).

იძენად დიდი და მრავალწახნაგოვანი იყო განათლების სისტემაში მუშაობით მიღებული 22-წლიანი გამოცდილება, რომ თბილისში საცხოვრებლად გამოსვლამ არ გააფერმკრთალა. მართალია, მიტაცებდა ჟურნალისტური საქმიანობა და ერთი პერიოდი, მცირე ხნით, ვმუშაობდი კიდევაც გაზეთებში – „დილის გაზეთი“ (რედაქტორი მანანა კარტოზია) და „ექსპრესქრონიკა“ (რედაქტორი მაკა ჯანაშია), მაგრამ მოსვენებას არ მაძლევდა განათლების სისტემაში მუშაობის შედეგად მიღებული მდიდარი გამოცდილება, რომელიც უნდა გამეზიარებინა ჩემი კოლეგებისთვის. ეს დაელო საფუძვლად გერმანულენოვანი, თორმეტგვერდიანი, გაზეთის გამოცემის იდეას, რომელიც შემდეგ პროექტად ჩამოყალიბდა და გაზეთს „TBILISSER ZEITUNG“ დაერქვა.

ამ იდეას და პროექტს მხარი დაუჭირა გოეთეს ინსტიტუტის ენის განყოფილების მაშინდელმა ხელმძღვანელმა, საქმიანმა და კეთილშობილმა ქალბატონმა, პროფესორმა ეკა შავერდაშვილმა.

გაზეთს მრავალფეროვანი საინტერესო რუბრიკები ჰქონდა და მის შესაბამისად იბეჭდებოდა სტატიები გერმანული კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების, პოეტების, ხელოვანების და ცნობილი გავლენიანი ადამიანების შესახებ; ასევე ნაწყვეტები მათი ნაწარმოებებიდან, პოეზიის ნიმუშები და რეპროდუქციები; იბეჭდებოდა გერმანული ენის სწავლების მეთოდის საკითხები, საბავშვო მოთხრობები და ლექსები, სრულყოფილი ინფორმაცია გერმანიის სხვადასხვა რეგიონებისა თუ ქალაქების შესახებ; ორი გვერდი ჰქონდა დათმობილი სავარჯიშოებს, ნომერში დაბეჭდილი საბავშვო მასალის დამუშავების თვალსაზრისით.

და რაც მთავარია, გაზეთი ასახავდა იმ წლებში (2002-2004) თბილისში მცხოვრები და მოვლინებ-

ული გერმანელი სპეციალისტების მოღვაწეობას. გაზეთი გამოდიოდა თვეში ერთხელ და მიეწოდებოდა საქართველოს ყველა რეგიონის გერმანული ენის მასწავლებლებს.



შვილთან ერთად

თუ გავითვალისწინებთ მაშინდელ შუქჩამქრალ და თანამედროვე ტექნოლოგიებს მოკლებულ საქართველოს, ადვილი ჩასაწვდომია, რატომ ჰქონდა ამ გაზეთს ასეთი რეზონანსი გერმანული ენის მასწავლებლებისთვის.

ამ საქმისთვის შებმა, გადაუჭარბებლად ვიტყვი, ნიშნავდა უკიდურეს პასუხისმგებლობასა და კოლოსალური შრომის გაწევას, ურთულეს ბილიკებზე ხელისცეცებით, მაგრამ შეძლებისდაგვარად მყარად სიარულს.

მეშინოდა? არა! „დილის გაზეთისა“ და „ექსპრეს ქრონიკის“ სკოლაგავლილს პროფესიული თვალსაზრისით თუკი რაიმე შეფერხება გადაძლეობდა წინ, ვიცოდი, მანანასა და მაკას იმედად (რედაქტორები: მანანა კარტოზია და მაკა ჯანაშია) ნამდვილად მსუბუქად აღმოვჩნდებოდი ბარიერის მეორე მხარეს.

ეკა შავერდაშვილი და გოეთეს ინსტიტუტის ხალისიანი გოგონები (ნათია, სოფო, თამთა) თავიანთ წილ საქმეს ბრძენას რომ აადენდნენ, ესეც უდავო იყო. ამას დამატებული ჩემი დიდი გერმანელი მასწავლებელი ნელი იულენვა, იგივე ლალა კროიცი, ჩემი უჭკვიანესი და უსაყვარლესი (გერმანისტები: მანანა ხაჭაპურიძე, ქეთი ტიბუა, თამრიკო ჯიქია, ჟანა გიგუაშვილი). ტექნიკური უნივერსიტეტის მეგობარი პროფესორების (ხათუნა ჟვანია და დავით კაპანაძე) და მათი კომპიუტერული ლაბორატორიის დროის ნებისმიერ მონაკვეთში მუდმივ რეჟიმში მზაობა და შეუპოვარი „მე“, რომელსაც ყოველთვის შემედლო თავი არ დამეზოგა და საქმე ბოლომდე მიმეყვანა, ეს იყო „კარგად აღჭურვილი“ მთელი დივიზია, აქტიური მოქმედების დასაწყებად.

საქმეს, ჩვენთან ერთად, უკანდაუხვევლად შეეჭიდა გაზეთის ხერხემალი, ძირითადი ღერძი, დიდი გერმანისტი და საიმედო პროფესიონალი, ქალბატონი ნათელა ხუციშვილი, რომელმაც იტვირთა გაზეთის სტილისტობა და თავდაჯერებულად და აკადემიურად მიიტანა სათქმელი ადრესატამდე.

ხოლო გოეთეს ინსტიტუტის მაშინდელმა ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ჰაინლემ, გაზეთის TBILISSER ZEITUNG-ის მაკეტის წარდგენისთანავე, იმავე დღესვე, ინსტიტუტის შენობაში დაგვიდო ბინა, გამოგვიყო ტექნიკური საშუალებები და თავს იღო სტამბის ფინანსური უზრუნველყოფა.

ასე ვტრიალებდი გერმანულ-ქართული ურთიერთობების შუაგულში დედაქალაქში, თან პარალელურად ჩემს კოლეგებს რეგიონებში, ქრონიკის სახით, ვუამბობდი ამ ურთიერთობების შესახებ თვიდან თვემდე, გარდა ამისა ვაწვდიდი ენის სწავლების მეთოდის მასალებსა და სიახლეებს ამ დარგში.

– თქვენი საავტორო პროექტი ორენოვანი ჟურნალისა – „GOETHE INSTITUT TBILISI“, მიეღვნა თბილისში გოეთეს ინსტიტუტის დაარსების 10 წლისთავს და გამოიცა ამავე ინსტიტუტთან ერთად.

ასევე საავტორო პროექტით გამოეცით გერმანული ლიტერატურული ჟურნალი – „K&L“ (კულტურა და ლიტერატურა) ევრო-კავკასიური უნივერსიტეტისთვის (თბილისი, საქართველო)... რას გამოყოფლით ამ წლებიდან?

– ჩვენი გაზეთისა და გოეთეს ინსტიტუტის თანამშრომლობის პერიოდს დაემთხვა, ინსტიტუტის 10 წლისთავი და ჩვენმა ერთობლივმა შენმატკბილებულმა გუნდმა მხარი დაუჭირა ჩემს ახალ იდეას, ამ თარიღისთვის მიგვეძღვნა ორენოვანი ჟურნალი „GOETHE INSTITUT TBILISI“. ეს პროექტიც განხორციელდა ამავე ინსტიტუტთან ერთად და 2003 წელს გამოიცა ზემოაღნიშნული ჟურნალი.

რაც შეეხება საავტორო პროექტს „K&L“ (კულტურა & ლიტერატურა), თბილისში გერმანელმა მწერალმა ული როტფუსმა, რომელთანაც საქმიანი ნაცნობობა მაკავშირებდა, დაარსა ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი და მთხოვა, მეფექრა ჩამომეყალიბებინა გერმანულენოვანი ლიტერატურული ჟურნალის პროექტი.

ჩემ მიერ შეთავაზებული პროექტი სიამოვნებით მიიღო ბატონმა ული როტფუსმა და 2006 წელს ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის მიერ გამოიცა გერმანულენოვანი ლიტერატურული ჟურნალი „K&L“ (კულტურა & ლიტერატურა).

როგორ შეიძლება გოეთეს ინსტიტუტთან თანამშრომლობის წლები ჩემი ცხოვრების ბედნიერ წლებად არ ჩავთვალო პროფესიული რეალიზების თვალსაზრისით?

– 2006-2012 წლებში ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში ცხოვრობდით...

– 2006-2012 წლებში ვცხოვრობდი დუბლინში. ოჯახში შექმნილი ფინანსური სიტუაციის შესაცვლელად, საჭიროდ ჩავთვალე, დროებით დამეტოვებინა ქვეყანა და დუბლინში წავსულიყავი, იქნებ რაიმე სამუშაოს მოვრეგებოდი კარგი ანაზღაურებით. დუბლინში სწორედ იმიტომ, რომ იქ ჩემი დის, დიანას, მეგობრები ცხოვრობდნენ და ჩემი სოლიდური ასაკის გამო (მაშინ 55 წლის ვიყავი), ახლოს საიმედო ხალხი უნდა მყოლოდა.

მართლაც მოხდა ისე, რომ ჩემმა იქაურმა კოლეგამ ქალბატონმა შივონ საფლემ, თავის თავზე აიღო ჩემი დასაქმება და ასე მოვხვდი ერთ ირლანდიურ წარმატებულ ოჯახში. ჩემი მოვალეობა იყო, მათი სამი შვილისთვის მეპატრონა, ჯაკი 15-ის იყო მაშინ, ანა – 13-ის, ხოლო მაიკლი – 10-ის. გარდა ამისა ოჯახისთვის მე ვამზადებდი სადილებს. სამუშაო დრო: დილის 10-დან საღამოს 6-მდე, შაბათ-კვირის გარდა. მსგავს ანაზღაურებაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა საქართველოში.

მართალია, ცოტა რთული იყო გადართვა განსხვავებულ სამუშაოზე, მაგრამ აქ თბილისში 10 წლის ტყუპი შვილიშვილების პატრონს არ გამჭირვებია მათი პატრონობა, არც სადილების გაკეთება. უფრო მეტიც სახლში ცხოვრობდა ბავშვების 90 წლის ბებია, მისის ნენსი, რომელიც დღის ორი საათიდან,



ირლანდიელ მწერალთან, მიქაელ პატრიკ მულვილთან შეხვედრა ეროვნულ ბიბლიოთეკაში – ინგლისური ენის კაბინეტის ხელმძღვანლის, მაია სიმონიშვილის ინიციატივით.

საღამოს 6 საათამდე ისვენებდა და დილის საათებში, ბავშვების სკოლიდან მობრუნებამდე, შეგვეძლო გასეირნებაც და საუბარიც.

მისის ნენსისთან ურთიერთობამ ბევრი რამე განსაზღვრა ჩემს ცხოვრებაში. ძალიან მალე მიხვდა ნენსი, რომ მე ვერ ვვადებოდი ბავშვების რიგითი „მანდერის“ ამპლუაში.

სულ რამდენიმე დღის დაწყებული მქონდა სამუშაო, რომ ვხედავ სკოლიდან მობრუნებული მაიკლი, გაკვეთილების მომზადების პროცესში, შიგადაშიგ ოხრავს. დავაკვირდი, შემოვიდა ჯაკი და მაიკლმა რაღაც ჩუმი ჰკითხა. მერე კიდევ განმეორდა ეს ზედიზედ, ანუ მაიკლი ელოდა ჯაკის შემოსვლას, რომ დავალეხა შეესრულებინა. მაჩვენე ერთი რა დავალეხა მაიკლ, ვთხოვე მე და ჩავიხედე რეგულში. არსებით სახელებზე მოსარგებია არტიკლები **ა** და **ან**.

– გინდა გასწავლო, როგორ უნდა გააკეთო სწორად? – ვეკითხები მე.

– როგორ? მანდერი ხარ, არ გეცოდინება.

– არის ასეთი მარტივი წესი, როდის გამოიყენო **ან**; სხვა დანარჩენ შემთხვევაში კი არტიკლი **ა**.

მაიკლმა უცებ გააკეთა დავალეხა და მერე ჯაკთან გადაამოწმა სისწორე, თან ჩუმი უჩურჩულა ნანამ მასწავლაო. საქმეში იმაში გახლდათ, რომ სწავლების დაწყებით საფეხურზე ინგლისურ ენას გრამატიკის გარეშე ასწავლიან თურმე. მოგეხსენებათ, თანამედროვე ტექნოლოგიების შესატყვისად ოჯახი საღამოს გადაახვევს ხოლმე და თვალს ადევნებს მთელ შენს საქმიანობას დღის განმავლობაში.

მეორე დილას, რომ მივედი, მიუუჯექით ჩაის მე და ნენსი, და ნენსიმ ვითომ სხვათა შორის შემომაპარა, გთხოვ, გრამატიკის წესების გარეშე აუხსნა მაიკლს დავალეხის არსიო. მე დავიცავი თავი, წესი არ მისწავლება, მხოლოდ მარტივი ხერხი გაგაცანი-მეთქი. მერე ბავშვის მამისგან მივიღე მადლობა, მათემატიკაში რომ დავეხმარე, და ასე ვიქეცი მრავალი პროფილის მასწავლებლად, ჩემი უსაყვარლესი ირლანდიელი შვილობილებისთვის.

ინგლისურენოვანი ლიტერატურა და ზოგადად საზღვარგარეთის ლიტერატურა რომ უცხო არ იყო ჩემთვის, ამაშიც უცებ გაერკვია მისის ნენსი. ხოლო

როცა დარწმუნდა, როგორი ღირებული იყო ჩემთვის ირლანდიელი მწერლების – ბერნარდ შოუს, უილიამ ბათლერ იეიტსის, ოსკარ უაილდის, შეიმაზ ჰინის, სამუელ ბიკეტის, ბრამ სტოკერის, ჯეიმზ ჯოისისა თუ არა ერთი დიდი მწერლის შემოქმედება და როგორი მიმზიდველი და საინტერესო იყო იმ ლიტერატურული თუ პოლიტიკური პროცესებისთვის თვალის მიდევნება, რამაც აღნიშნულ „ინგლისურენოვან მწერლებს“, როგორც მათ უწოდებდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაუბრუნა ნამდვილი სტატუსი, ირლანდიელი პოეტის, მწერლისა თუ ლიტერატორის სტატუსი.

ამან საფუძველი დაუდო ჩვენს უპირობო მეგობრობას, რასაც მოჰყვა, მისი დაუღლეელი საუბრები, ამ საკითხებზე და მიმდინარე რეალურ პროცესებზე, რადგან ის სწორედ იმ დღეებში მოვევლინა ქვეყანას, როცა დამოუკიდებლობა მოიპოვა ქვეყანამ და მასთან ერთად იზრდებოდა.

– თქვენი პროექტები უმეტესობა ირლანდიას, ირლანდიელებს, ირლანდიურ კულტურასა და ლიტერატურას უკავშირდება. 2017 წელს, საქართველოში დაბრუნების შემდგომ, თქვენი ინიციატივით, თანამოაზრე მეგობრებთან ერთად, დააარსეთ საქართველო-ირლანდიის კულტურული ურთიერთობების ცენტრი (ქართულ-ირლანდიური ცენტრი)... რა მიზანი გქონდათ და რა შედეგები მიიღეთ?

– სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩემ მიერ განხორციელებული პროექტების უმეტესობა უკავშირდება ირლანდიას, ირლანდიელებს, ირლანდიურ კულტურასა და ლიტერატურას.

მეგობრებთან ერთად 2017 წელს დააარსეთ არაკომერციული საქართველო-ირლანდიის კულტურული ურთიერთობების ცენტრი (ქართულ-ირლანდიური ცენტრი), რომ ცენტრის საინტერესო და აქტუალური პროექტების განხორციელებით მონაწილეობა მიგველო და წვლილი შეგვეტანა ამ ორი უძველესი, ერთნაირი ისტორიული წარსულის მქონე ქვეყნებს შორის ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების განვითარებაში.

ქართულ-ირლანდიურმა ცენტრმა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკასთან ერთად 2017 წლის ივნისში დააფუძნა ტრადიცია და შეუვერთო დუბლინის „ბლუმსდის ლიტერატურულ ფესტივალს“, რომელიც ორი სახელოვანი ირლანდიელის, პოეტის უილიამ იეიტსისა და მწერალ ჯეიმზ ჯოისის შემოქმედებას უკავშირდება. ჩვენი მიზანია ამ ფესტივალის ფარგლებში, ორგანიზება გავუკეთოთ და განვახორციელოთ ჩვენს დედაქალაქში ირლანდიელი მწერლებისა და ირლანდიური ლიტერატურისადმი მიძღვნილ სახვადასხვა სახის ღონისძიებები.

2017 წლის „ბლუმსდის ფესტივალს“ მიეძღვნა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარებული ლიტერატურული საღამო „ჯოისისა და იეიტსის დღე თბილისში“. ბუნებრივია, ორივე მწერალი ცნობილია ქართული ლიტერატურული სივრცისთვის და მასში მონაწილეობა მიიღეს მთარგმნელებმა, ქართველმა მწერლებმა, სტუდენტებმა და მკითხველებმა. ამავე დღეს მოხდა

ჩემი „მიგრანტების“ პირველი წიგნის წარდგინება.

2018 წლის „ბლუმსდის ფესტივალს“ დავამთხვეთ ქართულ-ირლანდიური ცენტრის პროექტის ფარგლებში გამოცემული ორი წიგნის პრეზენტაცია:

1. თანამედროვე ირლანდიელი მწერლის მიქაელ პატრიკ მულვიჰილის ქართულ ენაზე, ჩემ მიერ თარგმნილი წიგნი „ციმბირის ჯოჯოხეთური ხვრელი“, რომელშიც დაუფარავად აღწერილია პოსტსაბჭოური ცხოვრება დაშლილ იმპერიაში და იმპერიის ყოფილ „მოკავშირე“ ქვეყნებში.

2. ასევე ჩემი წიგნი „მიგრანტები“ მეორე ნაწილი, რომელიც მიეძღვნა ირლანდიის დამოუკიდებლობის 100 წლისთავს და რომელშიც მოთხრობილია ირლანდიაზე, ირლანდიელებზე და ირლანდიაში მცხოვრებ ქართველებზე.

„ბლუმსდის 2019“-ს მიუძღვნა ცენტრმა „ირლანდიური პოეზიის საღამო“, რომელიც ჩატარდა ეროვნული ბიბლიოთეკის ინგლისურენოვან კაბინეტში.

პანდემიურ პერიოდს უკავშირდება ჩვენ მიერ განხორციელებული ბოლო სამი პროექტი. გამოვეცით წიგნები: „ირლანდიური პოეზიის ანთოლოგია“, „უნივერსალური სასაუბრო“/ქართულ-ინგლისურ-ირლანდიური&ირლანდიურ-ინგლისურ-ქართული/ და „ირლანდიური ლექსები და ზღაპრები“.

ირლანდიური პოეზიის ანთოლოგიაზე სამნი ვმუშაობდით მთელი ორი წლის განმავლობაში – მე (პროზაიკოსი და მთარგმნელი), ჩემი უმცროსი და – დიანა შალამბერიძე, უმაღლესი რანგის ფილოლოგი, არა ერთი პოეტური კრებულის რედაქტორი და ყველასათვის ცნობილი პოეტი რომან ზუკაკიშვილი, შვიდი პოეტური კრებულის ავტორი.

ამ წიგნით ქართველ მკითხველს შევთავაზეთ XVIII საუკუნიდან მოყოლებული დღემდე პერიოდის, ანუ ქვეყნის დამოუკიდებლობამდე და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდის, გამორჩეული პოეტების მიერ ორივე ენაზე – ირლანდიურ და ინგლისურ ენებზე შექმნილი პოეზიის ნიმუშები: 62 პოეტის 163 ლექსი. ეს არის წიგნი, რომელშიც პოეზიითაა გადმოცემული ქვეყნის ისტორია, ის სევდიანი და მწარე წარსული, რომლის დავიწყება შემდგომი თაობების შინაგან ძალებს აღემატება.

უნივერსალურ სასაუბროზე მუშაობა და გამოცემა მიზნად ისახავდა, გამოგვეხატა ჩვენი თანადგომა ირლანდიელი ხალხის მიმართ, ირლანდიური ენის პოპულარიზაციაში. მოგეხსენებათ, ირლანდიაში ოფიციალურად ორი სახელმწიფო ენაა: ინგლისური და ირლანდიური.

მიუხედავად იმისა, რომ ირლანდიური ენა სახელმწიფო ენადაა აღიარებული, ის გავრცელებულია ირლანდიის რესპუბლიკასა და ჩრდილოეთ ირლანდიაში და ამ ენაზე დაახლოებით მხოლოდ ერთი მილიონი ადამიანი მეტყველებს, ინგლისის იმპერიის მიერ ირლანდიის კოლონიაში ირლანდიური ენის, ამ კულტურის ჯგუფის ერთ-ერთი უძველესი, მდიდარი ენის ინგლისური ენით ჩანაცვლებას მოჰყვა ირლანდიური ენის თითქმის გაქრობა ირლანდიური სივრციდან და რომ არა დასავლეთ ირლანდიაში მცხოვრები ირლანდიელების სიჯიუტე

და შეუდრეკელობა ნებისმიერი ინგლისური სადამსჯელო ოპერაციების მიმართ, ირლანდიური ენა ერთ-ერთი მკვდარი ენა იქნებოდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანა, ბუნებრივია, ირლანდიური ენის მოვლა-პატრონობა გახდა.

ირლანდიის ისტორიამ და ჩვენი ქვეყნის უახლოესმა წარსულმა, – როცა ორჯერ ჰქონდა რუსეთის იმპერიას, მცდელობა განედევნა ქართული ენა და დაემკვიდრებინა რუსული ენა, – დამარწმუნა, თუ რაოდენ სჭირდება პოპულარიზაცია ამ ორ ენას, ქართულსა და ირლანდიურს, ამ ორი პატარა ქვეყნის ერების მშობლიურ ენებს, რომლებიც მუდმივი სამიზნე ხდებიან მეზობელი იმპერიების კოლონიური რეჟიმის პირობებში.

არანაკლებ საინტერესოა „ირლანდიური ლექსები და ზღაპრები“, რითაც ქართველი მკითხველი შეგვეყავს მომხიბვლელ ირლანდიურ მითოლოგიურ და ზღაპრულ სამყაროში, რომელიც ძალზე მთამბეჭდავია და, რაც მთავარია, ამ უძველესი ერის არსებობის უტყუარი დასტურია.

წიგნში შესულია თერთმეტი ლექსი ირლანდიური მითოლოგიიდან და ირლანდიელი ავტორისა და მეზღაპრის შინიედ დე ვალერას მიერ შეთხზული ათი ირლანდიური ზღაპრის ქართული თარგმანი.

– რა მიზანს ისახავთ სამომავლოდ, რის გაკეთებას აპირებთ, რომ ქართულ-ირლანდიური ლიტერატურული ურთიერთობები გაღრმავდეს?

– ცენტრის მუდმივი ინტერესის საგანს წარმოადგენს, ირლანდიაში მცხოვრები თუ დაბადებული, გაზრდილი და განათლებამიღებული ქართველები, რომ მოვიძიოთ და გამოვავლინოთ ის პოეტნიკური კადრები, ვისაც სურვილის შესაბამისად ძალუძს ცენტრის პროექტების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება. ამ კუთხით გაწეული მუშაობის შედეგია სწორედ, ახალი ავტორის ლელა შურუპოვას მიგნება, რომელიც საინტერესო ავტორი აღმოჩნდა, უკანასკნელი 15 წელია ცხოვრობს და საქმიანობს დუბლინში. ცენტრის საგამომცემლო ჯგუფმა მოამზადა და გამოსცა მისი წიგნები: „ფერადი სევდა“, „საბავშვო ლექსების კრებული“ და „აქტივობის წიგნი“ (პირველი ნაწილი), როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, დუბლინის ქართული საკვირაო სკოლის აღსაზრდელებისთვის. მისივე ავტორობით ასევე გამოიცა ირლანდიაში მცხოვრები ქართველი ბავშვებისათვის საჩუქრად განკუთვნილი – 2022 წლის ფერადი საბავშვო კალენდარი.

ლელა შურუპოვა 2019 წლიდან ხელმძღვანელობს ქართულ დიასპორას ირლანდიაში, ის ჩვენი ცენტრის ოფიციალური წარმომადგენელია დუბლინში და ცენტრის ბოლო სამი პროექტი სწორედ ერთობლივად განხორციელდა. უფრო მეტიც, ის არის „უნივერსალური სასაუბროს“ თანაავტორი ჩემთან ერთად.

ლ. შურუპოვა არის პიროვნება, რომლის ინტერესის სფერო ამოუწურავია, აქვს უნარი არა მარტო შეეჭიდოს, არამედ დაძლიოს დაბრკოლებები და მზად არის ჩაერთოს ნებისმიერი პროექტის განხორციელებაში.

მიმდინარე წელი ჩვენი ცენტრის საიუბილეო



ტასუნა და ასტრიდ ლინდგრენი

წელია. 5 წლის ვხდებით და სურვილი გვაქვს თავმოძვრნელ აღვნიშნოთ ეს თარიღი. განზრახული გვაქვს, ცენტრის მიერ გამოცემული ბოლო სამი წიგნის წარდგენა, ერთდროულად გავაკეთოთ უახლოეს მომავალში, ხოლო „ბლუმსდეი 2022“ ლიტერატურულ ფესტივალს ორი ახალი წიგნის გამოცემით წარვუდგეთ, რომელსაც სიურპრიზად ვტოვებთ და წიგნების სახელწოდებებს არ დავაანონსებთ.

სამწუხაროდ, ქართული მწერლობას არ იცნობენ ირლანდიაში, არც ჩვენს ლიტერატორებს. მიზეზი განსხვავებული ენაა. მართალია ჩვენი ცნობილი პოეტების არაერთი ლექსია თარგმნილი ინგლისურ ენაზე, მაგრამ ეს ერთეულების პირად სივრცეში რჩება. ამ კუთხით სულ სხვა მუშაობაა გასაწევი. დიდი ხანია ვფიქრობთ ამ საკითხზე და ვმუშაობთ ორენოვანი ლიტერატურული ჟურნალის ან ალმანახის პერიოდულ გამოცემაზე. ვცდილობთ ცენტრის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ან ყველაზე ცუდ ვარიანტში წლის ბოლომდე გამოიცეს პირველი ნომერი.

– ირლანდიის უახლესი ისტორია ჩვენთვის სანიშნუთა მაგალითად უნდა იქცეს...

– მიზანი, რასაც ჩემი შემოქმედებით ვემსახურები, არის ის, ჩემს ხალხს დავანახო, რომ მიუხედავად იმისა, როგორი პირობებიც არ უნდა შეიქმნას ჩვენს ქვეყანაში, რუსეთის იმპერიის მიერ ორჯერ დაპყრობილ (ანექსირებულ) და მეოცე საუკუნეში ორჯერ დამოუკიდებლობამოპოვებულ ქვეყანაში, იმ ქვეყანაში, სადაც დღემდე გრძელდება იმპერიის მიერ ყველანაირი უმსგავსო ხერხით, პოლიტიკური პროვოცირებით თუ მცოცავი ანექსიით ქართული მიწის მისაკუთრება, რისი მიზანი მხოლოდ ისაა, რომ კვლავ „უსისხლოდ შეგვარუნონ“ იმპერიაში, უმთავრესი და ფასეული ჩვენთვის, ქართველი ხალხისთვის, არის ბრძოლა, დაუღლეელი ბრძოლა, რომ შევინარჩუნოთ ეროვნული სახე, დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ამ ფასეულობებისთვის ბრძოლა კი მანამ დასჭირდება ჩემს ქვეყანას, ვიდრე ის იარსებებს.

ირლანდიის რესპუბლიკა კი თავისი მწარე ისტორიული წარსულით არის ქვეყანა, რომელმაც ხანგრძლივი მონობის ბორკილებისგან თავი გაითავისუფლა და ერთ-ერთ წარმატებულ ევროპულ ქვეყნად იქცა. პარალელის გავლება ამ ქვეყნის ისტორიულ მომენტებთან ცოცხალი მაგალითია და ნათლად დაანახებს და დაარწმუნებს ქართველ ხალხს, რომ სულაც არ არის შეუძლებელი, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქვეყანა სწორი პოლიტიკით, დაუღალავი ბრძოლითა და შრომით იქცეს ეკონომიკურად წარმატებულ ქვეყნად.

თამარ შაიშმელაშვილი

P. S. 2021 წლის სექტემბერში ქალბატონ ნანას 70 წლის იუბილე ჰქონდა. ვულოცავთ მას საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ, კვლავაც წარმატებით ეღვაწოს ორი ერის – ქართველებისა და ირლანდიელების მეგობრობის დიდ ასპარეზზე.

ტასუნა ბუნრის წინ ყოველ საღამოს კითხულობს წიგნებს და პერსონაჟებს ესაუბრება. ყველაფერი კი ერთ საოცარ დილას დაიწყო. ტასუნა „პეპი გრძელიწინდას“ კითხვაში იყო გართული. უეცრად ნახატიდან პეპი გადმოძვრა. ტასუნამ გონზე მოსვლა ვერ მოასწრო, რომ პეპიმ ხელი ჩაჰკიდა და მეორე ოთახში გაიყვანა. იქ, ბუნართან, სავარძელში ისვენებდა ვიღაც, ძალიან ნაცნობი. როცა ტასუნა მიუახლოვდა, მაშინ მიხვდა, ეს ასტრიდ ლინდგრენი იყო. გოგონა გვერდით სავარძელში ჩაჯდა და გაკვირვებული უყურებდა მწერალს. ასტრიდიც მიუბრუნდა და საუბარი წამოიწყო.

– გამარჯობა, ჩემო პატარა მკითხველო. აბა, პეპი, გაიცანი? როგორ დამეგობრდით? ტასუნას ხმაც არ ამოუღია, თავის გაქნევით მიაწინა თავისი სათქმელი.

– ოჰ, ეს ცუდლუტი! ხომ ვასწავლე, მკითხველი არასდროს შეაშინო-თქო.

ტასუნა თითქოს უკვე გონზე მოვიდა და სიცილით უპასუხა:

– ეს ხომ პეპია. არავის არასდროს უჯერებს.

– ჰო, ეგეც მართალია.

– მაგრამ თქვენ აქ საიდან აღმოჩნდით?

– მე სულ აქ ვიყავი, მაგრამ ამას ვერავინ ამჩნევდა. მწერალს მხოლოდ მაშინ გაიცნობ, როცა მის ნაწარმოებებს წაიკითხავ.

– ესე იგი, პეპი რომ არა, თქვენ ვერასდროს გნახავდით?

– ვერც მე და ვერც ზღაპრის გმირებს გაიცნობდი. ცოტათი აგვიანდებათ, ალბათ, ბავშვები კიდევ კითხულობენ. დაეძინებათ და მაშინვე მოვლენ.

ის-ის იყო ტასუნა და ასტრიდი საუბარში გაერთლენ, რომ რონია გამოჩნდა. ეს პატარა გოგ-

ონა ყაჩაღის ასული იყო და მუდამ ტყეში ეძებდა თავგადასავლებს. რონია თავის მშობელს მიესალმა და შემდეგ ტასუნასთან მივიდა. დაგვიანებისთვის მოუბოდიშა, გოგონას ხელი ჩაჰკიდა და წიგნის სათაური წარმოთქვა: „ყაჩაღის ასული რონია“.



* * *

უეცრად გოგონები უღრან ტყეში აღმოჩნდნენ, გამოქვაბულში, სადაც მათ ბირკი ელოდა. ბირკი რონიას ძმა იყო, მართალია არა ნამდვილი, მაგრამ მათ ეს პრობლემა არ ანაღვლებდათ. პირობა დადეს, რომ რონია და ბირკი და-ძმანი იქნებოდნენ. ეს ფიცი არასდროს დაურღვევიათ და მუდამ ერთმანეთის ერთგულნი დარჩნენ.

– ჰეი, ბირკ, სტუმარი გვყავს! – გასძახა რონიამ მეგობარს. ბირკი მომობრუნდა და მომესალმა:

– გამარჯობა. მე ბირკი ვარ, შენ, ალბათ, ტასუნა, ხომ?

– კი, ერთმანეთს ვიცნობთ?

– შენ არ იცი, ვინ ვარ. მე კიდე უკვე დიდი ხანია გიცნობ. ასტრიდი ბევრს გვიყვებოდა შენზე. მან ყველასგან გამოგარჩია და ფიქრობს, ჩვენი საიდუმლო გაგანდოს თუ არა.

– მართლა? რა საიდუმლო? – დაინტერესდა ტასუნა.

– ამას კი მოგვიანებით გაიგებ, ან არა. ვნახოთ, რას იტყვის ასტრიდი.

ბავშვები კოცონის ირგვლივ მოკალათდნენ. ბირკი კურდღლებს წვავდა, ტასუნა კი თავის ცხოვრებაზე ყვებოდა. გაოცებული სახეებით უყურებდნენ. როცა ტასომ მოყოლა დაამთავრა, ბირკიმ ამოიხსრა და თქვა:

– ჩვენ ყოველდღე ერთსა და იმავეს გავდივართ. ნეტა ჩვენც გვქონდეს შენსავით მრავალფეროვანი ცხოვრება. არასდროს გვიცდია ფილმის ყურება, როგორც მომავალში აკეთებენ, არასდროს გავვისინჯავს ლიმონათი, არასდროს წაგვიკითხავს წიგნი და არასდროს გვიცხოვრია ლამაზ მყუდრო სახლში.

ტასუნა ერთი წუთით დაფიქრდა და თქვა:

– თქვენც ცხოვრება სამუდამოდ შეიცვლება! მე თქვენ ყველაფერს გაგაკეთებინებთ, რისი გაკეთებაც კი შეიძლება.

– მაგრამ ჩვენ ყოველდღე სპექტაკლებს ვდგამთ მკითხველისთვის. ესაა ჩვენი სამუშაო.

– ჰოო, მაგრამ შაბათობით ყველა ბავშვი ისვენებს და არავენ კითხულობს. შაბათს თქვენც დაისვენებთ. თქვენთვის ეს შაბათი დაუვიწყარი

იქნება! პირობას გაძლევთ!

– დღეს პარასკევია. ზვალისთვის ენერგია უნდა მოვამარაგოთ. ძალიან ბევრი თამაში მოგვიწევს, – თქვა რონიამ და დასაძინებლად გაემზადა. ყველამ მას მიბაძა და რამდენიმე წუთში სამივეს ღრმად ეძინა.

მეორე დილას ტასუნას ძალიან ადრე გაეღვიძა და გადაწყვიტა მეგობრებისთვის ხილი მოეკრიფა. დიდხანს ეძება და რამდენიმე ხეს მაინც მიაგნო. გამოქვაბულში მიტანამდე ვაშლი, ბალი და რამდენიმე კივი იქვე, მდინარეზე, კარგად გარეცხა, ბავშვების დანით დაჭრა და თიხის თეფშში ჩაყარა. ამ დროს ბავშვებსაც გაეღვიძათ და ყველა ერთად შეექცა ხილს. ბავშვებს ძალიან მოეწონათ, ასეთი რამ არასდროს გაუსინჯავთ. საუზმე რომ დაასრულეს, რონიამ სახლიდან ერთი პლედი გამოიტანა და ორ ხეს შორის ჩამოკიდა. ტასუნამ უთხრა მათ:

– რადგან აქ ფილმს ვერ გაჩვენებთ, სპექტაკლს ჩაგიტარებთ. ჩემი დათუნია ჰენზელი იქნება, მე გრეტელი, ეს ბაჭია ალქაჯი იყოს...

...ბავშვებმა ალქაჯი ბუნარში შეაგდეს და ყველა ბავშვი გადაარჩინეს!

– ძალიან საინტერესო იყო, რა კარგია! – შეძახილებით ამხნევებდნენ ტასუნას ბავშვები.

– მიხარია, რომ მოგეწონათ, მაღლობა გადაუხადა კმაყოფილმა ტასუნამ ბავშვებს. ნანახით აღფრთოვანებული ბავშვები გამოქვაბულისკენ გაემუხრნენ, მაგრამ ტასუნას მორიგი იდეა დაებადა თავში და ისინი შეაჩერა:

– არა, ჯერ „სახლში“ არ ვბრუნდებით! კიდეც ბევრ, ბევრ თამაშს მოვასწრებთ დაბნელებამდე. მან თანამედროვე თამაშები გაიხსენა და სათამაშოდ მოემზადა. რა არ ითამაშეს: წრეში ბურთი, წითელი შუქი- მწვანე შუქი, ლახტი გააკეთეს ლიანებისგან... ტასუნა ბავშვებს ცხოველების მიმართ შიშის დაძლევისა და მათთან დაახლოებაში დაეხმარა, ბევრი უცხო საკვები გაასინჯა და ბოლოს დადგა დამშვიდობების დროც.

– ყაჩაღის ასული რონია! – დაიყვირა ტასუნამ და გოგონა ისევ იმ დარბაზში დაბრუნდა. ბუნართს ისევ დინჯად იჯდა ლინდგრენი. ტასუნა მიუახლოვდა და...

– ვაიმე, შენ რა, კარლსონი ხარ?

– დიხაც, კარლსონი ვარ და რა იყო? რას მაშტერდები? ასეთი ლამაზი ვარ?

– არრრ, უფრო სწორად კი, მაგრამ, დაივიწყე.

– ვის დაეძებ?

– ვის და დედაშენს?

– დედაჩემს? თავი დაანებე, მეც დიდი ხანია დავძებ დედაჩემს. მართლა, ასტრიდს უნდა ვკითხო დედაჩემზე. რატომ არ გამოაჩინა?

– ოჰ, სულელო, სწორედაც ასტრიდს დავძებ.

– ასტრიდს? მერე ეგ დედაჩემია?! იცოდე, ასტრიდი ჩემი ავტორია, დედა კი დამეკარგა.

– კარგი, კარგი, არაფერს ვამბობ. ოღონდ მითხარი, ასტრიდი სად არის?

ტასუნას კითხვაც არ დაესრულებინა, რომ, სწორედ ამ დროს ბუნრიდან ასტრიდი გადმოვიდა.

– აი, ასტრიდიც, – ჩაიცინა კარლსონმა.

– აბა, დაბრუნდი ჩემო საყვარელო? – თბილად ჰკითხა მან ტასუნას.

– დავბრუნდი, დავბრუნდი.

– იმედია, რონიაში არ გაგაბრაზა!

– იმდენი რამ ვასწავლე, ალბათ, მისი ცხოვრება სამუდამოდ შეიცვლება.

– ვხედავ, კარლსონიც გაიცანი.

– ხო, ხო გავიცანი, – ტასუნა უეცრად ასტრიდს მიუახლოვდა და ჩასჩურჩულა:

– რა ცუდლუტი ვინმეა... აუცილებელია, გავეყვი?

– იცი, ერთი შეხედვით, მართლაც, ძალიან ცელქია, მაგრამ შემდგომ კარგად დამეგობრდებით.

– ჰო, კარგი, კარგი, – დაჰყვა ტასუნა ასტრიდის სურვილს. ამ დროს კარლსონმა ჩაკიდა ხელი და დაიყვირა:

– კარლსონი!

ტასუნა მოელოდა, რომ რაიმე პატარა მყუდრო სახლის სხვენში აღმოჩნდებოდა, მაგრამ მოულოდნელად ღრუბლებზე დავარდა. ამას ვერც კი წარმოიდგენდა, ისე ჩამოსრიალდა და გადმოვარდა ქვემოთ. ტასუნა ყვირიდა, ყვიროდა... კარლსონი კი მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ მიხვდა, რომ ჰაერს უყვებოდა საყვარელ მურაბებზე. მაშინვე აფრინდა და დაეშვა ტასუნას დასაჭერად. რომ მიუახლოვდა, ჩაჰკიდა მხრებში ხელები და ააფრინა უკან, ღრუბლებზე. ტასუნამ შვებით ამოისუნთქა და უკვე გაუნძრევლად იჯდა ღრუბელზე.

– შენ რა, სულ გაგიჟდი? – უსაყვედურა ტასუნამ კარლსონს.

– რა იყო? მაღლობას ასე მიხდი? გასაგებია!

– კარლსონი გაბუტვას აპირებდა, მაგრამ ტასუნამ არ აცალა.

– ამ ღრუბლებზე რატომ გავჩნდით?

– იმიტომ, რომ ყველაზე მეტ დროს აქ ვატარებ.

– მერე არ გეშინია?

– რისი უნდა მეშინოდეს? შენსავით ხიფათიანი კი არ ვარ! – ჩაიცინა კარლსონმა.

ახლა ტასუნა გაიბუტა, მაგრამ როცა კარლსონი ტკბილი მურაბით გაუმასპინძლდა, ბრაზმაც გადაუარა.

– იცი ყველაზე მეტად რა მომწონს? – წამოიწყო ისევ კარლსონმა.

– რა?

– როცა აქ ვზივარ, ვერავინ მამჩნევს და ყველას ჩუმ-ჩუმად ვაკვირდები, – აი, იქითკენ რომ ქალია, ექიშია.

– ჰო, მერე?

– ეგ წამლებს ყვავილებისგან აკეთებს და არავის ეუბნება რეცეპტს. მე კი გავიგე და უკვე ჩემით ვაკეთებ. აი, მარცხნივ, ბავშვები რომ დარბიან... ოჰჰ, სულ ოროსნები, სულ ორებს იღებენ და მშობლებს კი ატყუებენ.

– აი, იმ ბიჭზე რას მეტყვი?

– აა, ეგ? ეგ ჩემი მეგობარია, სვანტეა. სულ მურაბებს მჩუქნის.

ბავშვები ცოტა ხნით გაყუნდნენ და ღრუბლებიდან ტკბილად გადაჰყურებდნენ ქალაქს. ამ დროს ტასუნამ შეამჩნია ჩიტების დიდი გუნდი, რომელიც მათკენ მოფრინავდა. შეეშინდა, ხელი ჩაჰკიდა

კარლსონს, რომელსაც უკვე ეძინა და დაიყვირა:

– კარლსონი! ბავშვები ისევ ოთახში აღმოჩნდნენ.

ტასუნამ კარლსონი სავარძელზე დააწვინა და თვითონ ბუხართან დაჯდა. კარლსონი ნელ-ნელა გაუჩინარდა და ბუხრიდან ასტრიდმა გადმოაბიჯა. ისიც ბუხრის წინ დაჯდა და საუბარი წამოიწყო:

– აბა, ხომ გითხარი, კარლსონს დაუმეგობრდები-მეთქი.

– კარგი, კარგი ვნებდები, – გაუღიმა ტასუნამ.

– მართლაც, ძალიან საყვარელია.

ტასუნა და ასტრიდი ისევ ბუხრის წინ ისხდნენ და საუბრობდნენ, როდესაც უკნიდან ვილაც გადმოხტა და დაიყვირა:

– აბა, გამოიცანით, ვინ მოვიდა?!

– ოჰ, პეპი, პეპი, როგორი მოუსვენარი ხარ, ხომ არ გინდა, რომ მაცადო ტასუნასთან საუბარი?! – უსაყვედურა ასტრიდმა.

– საუბარს მერეც შეძლებთ, ახლა კი, ტასუნა, გამოყვი, – პეპიმ ჩაჰკიდა ტასუნას ხელი და წიგნის სათაური დაიყვირა.

ტასუნა უცნაურ ადგილას აღმოჩნდა, ქვევით ჩაიხედა და დაინახა, რომ ის იდგა მაიმუნზე, რომელიც იდგა ძაღლზე, ეს ძაღლი იდგა ცხენზე და სულ ქვემოთ კი პეპი იყო, რომელსაც ცხოველებიც და ტასუნაც სახლისკენ მიჰყავდა. ტასუნას ისე შეეშინდა, რომ უნებურად დაიკვივლა, რითაც პეპი შეაშინა. პეპიმ წონასწორობა დაკარგა და ყველა ძირს ჩამოყარა. ახლა კი პეპიზე იწვნენ: ცხენი, ძაღლი, მაიმუნი და ტასუნა. ტასუნამ ძალა მოიკრიბა:

– პეპი... პეპი! კარგად ხარ? პეპიიიი...

– კი, კი და ჯობს ასე არ იყვნენ ჩემზე წამოწოლილები, თორემ მალე აექიმთან წასვლა დამჭირდება, მე კი ექიმთან არასდროს ვყოფილვარ.

– შენ რა, გეშინია?

– არაა! მე არაფრის მეშინია!

– კი, გეშინია და მე დაგარწმუნებ, რომ აქ არაფერია საშიში.

– ხო, კარგი, კარგი... ოღონდ ნურავის ეტყვი.

– არავის ვეტყვი, გპირდები!

ამის შემდეგ გოგონები ძლიერ დამეგობრდნენ და ტასუნამაც პეპის ექიმების შიში ადვილად დაადლეინა. რამდენიმე დღის შემდეგ, ტასუნამ გადაწყვიტა, რომ უკვე სახლში დაბრუნების დრო იყო. ჩაჰკიდა ხელი პეპის და დაიყვირა:


– პეპი გრძელიწინდა! მაგრამ ბუხართან კი არ აღმოჩნდა, შავ, უძირო ორმოში ვარდებოდა და მაშინ შიშისგან გაახილა თვალები... გამოიღვიძა. ისევ წიგნით ხელში, ბუხრის წინ სავარძელში იჯდა, ოღონდ ასტრიდი იქ აღარ იყო. „ეს ყველაფერი დაესიზმრა?“ – ჩაფიქრდა ტასუნა და გაიქცა, რომ დედიკოსთვის მოეყოლა, თუ რა მაგარი სიზმარი ნახა.

* * *

ამ საოცარი თავგადასავლის შემდეგ ტასუნა ყოველ საღამოს კითხულობს წიგნებს და პერსონაჟებს ხვდება.

ერთი ნაწილის იტყვი

ბონდო ახვანიძე



მარიტა

ცნობილია, რომ მიხეილ ჯავახიშვილი უბის წიგნაკში იწერდა მოსწრებულ გამოთქმებს, ანეკდოტებს, ნაკვესებს და ა. შ.

როგორც აღმოჩნდა, მწერლის ინტერესის სფეროში ყოფილა, აგრეთვე, საქართველოს კუთხეებში გავრცელებული სახელები.

მოვიტანთ რამდენიმეს:

„გურული სახელები, ქალისა: ნამეტი, ხასიათი.

ვაჟისა: აგენტი, ემაჯიკა, ბიჭიკა, ჯარვანა.

კახური სახელები ქალისა: მარადი, ჯერვანი.

ვაჟისა: მახარა.

რაჭაში ქალისა ლანდაუზა, ლაჟღვარდი.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ქალის სახელმა „მარიტა – (11 ს. კუმურდო) – ლეონიძე“.

(მიხეილ ჯავახიშვილი „უბის წიგნაკები“, თბ., 2014, გვ. 215).

ლეონიძის გვარმა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში გამახსენა პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე, რომელთანაც მეგობრობდა მიხეილ ჯავახიშვილი.

როგორც პოეტის ქალიშვილი ნესტან ლეონიძე იგონებს – მიხეილ ჯავახიშვილი მათი ოჯახის ხშირი სტუმარი ყოფილა, ეს ის დროა, როცა მიხეილ ჯავახიშვილი ისტორიული რომანის „არსენა მარაბდელის“ დასაწერად ემზადებოდა და მასალას აგროვებდა. მას აინტერესებდა XIX ს-ის პირველი ნახევრის ქვემო ქართლის ბატონყმური ურთიერთობის კონკრეტული ფაქტები. აქ კი ამ პერიოდის შეუდარებელი მცოდნე იყო გიორგი ლეონიძე. ამიტომ, ბუნებრივია, უბის წიგნაკში ხშირად არის დამოწმებული.

სანიშნულად მოვიყვან რამდენიმეს:

„არსენა“ თავად სოსიკო გახლავს, მეტი კოდალა სუხიშვილი. მაცნობა გიორგი ლეონიძემ“. „არსენა“ სოლომონ ლეონიძე – ახალციხეს მოკლა 1815 წელს ბერძენმა მზარეულმა (ეკითხოს გიორგი ლეონიძეს); „საყლო“ ჯურნა ძველებურად ზრდამი ავარჯიშებს (გიორგი ლეონიძე „ს. ს. ორბელიანი“) და სხვ.

აღნიშნულ ჩანაწერში „მარიტას“ გვერდით არის „კუმურდო“, ამიტომ გადავხედე კუმურდოს ქართულ ეპიგრაფიკას იმ ვარაუდით, რომ იქნებ გიორგი

ლეონიძემ ნახა (ან ვინმემ უთხრა) ეს სახელი, თორემ სხვანაირად გაუგებარია ამ საეპიგრაფიკოსო ტაძრის (ჯავახეთი) მოიხსეიება ჩანაწერში.

კუმურდოს ქართული წარწერების შესწავლა პირველად დაიწყო მარი ბროსემ 1830 წელს. ფრანგი მეცნიერი ერთხანს კუმურდოშიც დასახლდა წარწერების უკეთ შესწავლის მიზნით. მაგრამ ერთი პერიოდი შეწყვიტა მუშაობა. 1847 წელს კი განაახლა კვლევა-ძიება. მიღებული შედეგები გამოაქვეყნა 1850 წელს.

კუმურდოში ცხოვრების დროს ბროსე ერთ შემთხვევას იხსენებს: კუმურდოს რომ მივედი აქ ერზერუმიდან შემოსახლებულმა (1830 წ.) სომხებმა კარგად მიმიღეს, მაგრამ როცა ვთქვი, კუმურდოს წარწერები ქართულია-მეთქი, სოფლის მამასახლისმა ჯოხი მომიღერა – როგორ თუ ქართულიაო!..

ეს მამასახლისი თავის მხრივ „მართალია“, იმით რომ XIX ს-ის 30-იანი წლებიდან (თუ ადრე არა) მოკიდებული დღემდე, სომეხი მეცნიერები და სასულიერო პირები ერზერუმიდან შემოსახლებულ სომხებს უჩიჩინებდნენ და ახლაც ასე გრძელდება – თითქოს ჯავახეთის მიწა სომხურია, ხოლო აქ არსებული ეკლესიები, მათ შორის, კუმურდო, სომხური ხუროთმოძღვრების ძეგლიაო... თუმცა რა შორს მივდივართ, აგერ XXI ს-ში სომეხმა ისტორიკოსმა სამველ კარაპეტიანმა, არც აცივა და არც აცხელა, და ქართული არქიტექტურის შედეგად, მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი კუმურდო სომეხი წმინდანის ჰამბარძურის ტაძრად გამოაცხადა. ამ ტაძრის აგების ინიციატორი, ქართველი, დიოფიზიტი, მართლმადიდებელი ეპისკოპოსი იოანე კუმურდოელი სომეხ ჰოვჰანეს ეპისკოპოსად აქცია. (იხ. ს. კარაპეტიანი, „ჯავახქი“, ერევანი, 2006, გვ. 313. სომხ. ინგლ. რუს. ენებზე).

კუმურდოს შემდგომ ისტორიას თუ გადავხედავთ, მისი ქართული ეპიგრაფიკის შესწავლა მეტ-ნაკლები ინტენსივობით თითქმის საუკუნე ნახევარზე მეტხანს გრძელდება. მას იკვლევდნენ: ივ. გვარამაძე, ექ. თაყაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ვ. სილოგავა, ლ. ახალაძე და სხვ.

ჩვენი ძიების ობიექტის სახელი – „მარიტა“ კი ვნახეთ ვალერი სილოგავას მიერ გამოცემულ ტაძრის ქართულ წარწერებში (იხ. კუმურდოს ტაძრის ეპიგრაფიკა“, 1994, გვ. 74, სქოლიო № 1). ეს არის „პატრონ ელისაბაღის წარწერა № 23 (1511–1515 წწ.). წარწერა განთავსებულია კუმურდოს დასავლეთ მინაშენის შესასვლელის ტიშპანზე.

პირველი ვარიანტში იკითხება – „მარიხ“, მეორეში კი იკითხება – „მარიტ“.

თუ დავუშვებთ, რომ –ხ– –ტ–ს ჰგავს და ჩაენაცვლა, ეს მოსალოდნელი არ უნდა იყოს, რადგან ასომთავრულში ისინი ერთმანეთს ნაკლებად ჰგავნან, დედანი კი ასომთავრულით არის შესრულებული.

თუმცა ამ შემთხვევაში ეს არ არის არსებითი.

ჩვენი აზრით, მთავარია ის, რომ კუმურდოს ეპიგრაფიკაში იკითხება „მარიტ“, რომელიც გიორგი

ლენინიძეს სკოლნია ჯერ კიდევ 1935 წელს. ეტყობა, ამ სახელის („მარიტას“) კუმურდოს წარწერებში არსებობის შესახებ პოეტმა უამბო მიხეილ ჯავახიშვილს, რომელმაც ჩაინიშნა უბის წიგნაკში, რათა რომელიმე მოთხრობის გმირისთვის დაერქმია, მაგრამ ვერ მოასწრო – 1937 წლის 30 ოქტომბერს ბოლშევიკებმა დახვრიტეს.

როგორც ჩანს, გიორგი ლენინიძე ვერ ივიწყებდა ამ ლამაზ და რაღაც სევდიან სახელს და რამდენიმე ათეული წლის შემდეგ თავის მოთხრობის მთავარ გმირს – „მარიტა“ დაარქვა.

რაც შეეხება ნესტან რატიანის ვარაუდს, მწერალმა „მარიტა“ – მარტს (9, 1956 წ.) დაუკავშირა, შესაძლოა, ასეც იყო, რადგან გიორგი ლენინიძეს მთელი სიცოცხლის მანძილზე თან სდევდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის გაუნელებელი სევდა. სასიკვდილო სარეცელზე მყოფს, როცა ჰკითხეს – ხომ არაფერი გინდაო? – საქართველოს დამოუკიდებლობა მინდაო – უთხრა და გადავიდა მარადისობაში...



პოეზია

ფიქრის ჩუბინიძე



შემოდგომის სონეტი

ოჰ, როგორ ჰგავხარ შემოდგომას, დინჯს და
ნაღვლიანს...
აღბათ ამისთვის მიყვარს ეს ღრო, მიყვარს,
შენსავით...
ვხედავ, ჭაღარა შერევიათ ველებს, მაყვლიანს
და შენს თვალებშიც სევდა სუფევს, მკრთალი
მზესავით...
მიყვარხარ ძლიერ და საამოს ვუმზერ ამ ბაღებს,
როგორც შენს სახეს, რომ შემორჩა ხსოვნას
ბინდებით,
სულის მდუღოზე შემოდგომა კოცონს აჩაღებს
და მეც, ამ გრძნობის საუფლოში, კოცნით
მინდები...
მიყვარხარ ცამდე, სიყვარული ანთებს მთვარესაც.
აჰ, შემოდგომის ხეივანებში, ტირის მტევნები...
სადაც არ უნდა იყო, კარგო, რომელ მხარესაც,
შენზე მლოცველი, მხოლოდ შენი ტრფობით
ვევნები...
დგას შემოდგომა, ღვთიურ მადლის აფრქვევს
ბადაგებს,
ნეტარი არის, ვინც რწმენას და ტრფობას
ქადაგებს!

სევდის სიმფონია

მიგიხვდი ერთად სათქმელს და უთქმელს
და ყველა გრძნობას, გაფანტულს ფიქრად,
ჩამოუშვია ტოტები ურთხმელს
და სევდა ათოვს უნაზეს ფიფქად...
თუკი ამ წუხილს უფალი ხედავს,
ღუმიღის ხმაურს თუ ისმენს მთები,
მე შენი სუნთქვით სიცოცხლეს ვბედავ
და შენი გულის კოცონზე ვთბები...
და თუ ეს მიწაც ჩემსავით გნატრობს
და თუ ამ ცასაც უყვარხარ, ვით მე,
თუ შენს წრფელ ლექსებს ეს ცრემლი ათრობს,
ყველა განსაცდელს ღიმილით ვითმენ!
თუმც, ამ დროების მისნობის ვერ მწამს,
შენი ყვავილი ჩემს სულში ხარობს,
არავინ ამჩნევს ტყის ჩრდილში ლერწამს,
მაგრამ ყველაზე ლამაზად გალობს!

სულის ყვავილი

ფიქრებით ვზარდე სევდის ყვავილი,
ზეცა ვარსკვლავთა ცვარ-ნამს მაპკურებს
და სიყვარულიც დროგადავლილი
ძარღვს აკრთობს, როგორც სიო – საყურეს...
ველარ მოვირგე ერთი წამითაც,
ეს ჟამი ვიწრო თვალსაწიერით
და კმაყოფილი მცირე რამითაც,
სხვის ხშიადს ვაცხობ, თავად მშვიერი!
მხარგალეული მთვარე, ვით ცელი,
ბინდში კვლავ სულის თავთავს გადამკის
და ვნანობ, ღმერთო, ველარ შეეძელი,
რამ შვება მეგრძნო, ბედის გადამკიდს!
მოძკვეთეს ფრთები, გუმინ ცად ვფრენდი,
თეთრი ოცნებით ნაალერსები...
და ჩემთან ისე, ვით „ბოიფრენდი“
ღამეებს ათევს ბრიყვი ლექსები!
მაგრამ, ეს სევდა როცა დაჭკნება,
გადამყნობილი სიყრმის მითებთან,
მარად უკვდავი ტრფობა დარჩება,
ვით უღაბნოს მზე – პირამიდებთან!



ძალა ხელოვნებისა

ერთი ბიძა მყავდა, უბრალო მძღოლი კაცი იყო, მაგრამ საოცრად უყვარდა თეატრი და ხელოვნება. იყო პერიოდი, არცერთ პრემიერას არ აცდენდა. გარეგნულადაც ეროსი მანჯგალამეს ჰგავდა და ეს მსახიობი ძალიან უყვარდა. მისი როლებიდან ციტატები ზეპირადაც ახსოვდა და ხანდახან ჩემს გასახალისებლად დეკლამირებდა კიდევ. თუმცა ისედაც საოცარი იუმორი ჰქონდა. ამიტომაც მიყვარდა მისი სტუმრობა სოფელში. ხან „ვილისით“ გვესტუმრებოდა, ხან „პაზიკის“ ავტობუსით, ხან – „კრაზითა“ და ხანაც – ვეტსამსახურის „უაზით“.

ერთი ასეთი უცნაურობაც სჭირდა: სამსახურებს წარმოუდგენლად სწრაფად იცვლიდა. სამი შრომის წიგნაკი ჰქონდა საყვარელი. 80-იანი წლების ბოლოს ვნახე ეს წიგნაკები. სასხვათაშორისოდ გადავთვალე და 77 სამუშაო ადგილი გამოვიდა, თუმცა მას მერე კიდევ წლების განმავლობაში მუშაობდა. მაგრამ ყველაზე უნიკალური, რაც ამ კაცს გააჩნდა, ეს მისი მახსოვრობა იყო; ვისთანაც კი ემუშავა, ყველას სახელი, გვარი, მამის სახელი, მათი ცოლ-შვილის სახელები, ასევე თანამშრომლების, „ზავგარის“ („გარაჟის“ მმართველის) თუ დირექტორის სახელები და გვარები სათითაოდ ზეპირად ახსოვდა.

სახელიც რომ საოცარი ერქვა, პირველი მოსმენისას ბევრი ვერც კი იმეორებდა: მანგიური. ეს სახელი ბოლესლავ პრუსტის „ფარაონში“ უზენაეს ქურუმს ერქვა, როგორც მახსოვს, და მეტი არც სადმე გამიგონია; ჰო, ერთხელ კიდევ „სოფლის ცხოვრებაში“ ვნახე, ერთ-ერთი წერილის ავტორი იყო. მას შემდეგ კი მართლა არსად შემხვედრია.

პაპაჩემი ერთი უბრალო, თვითნასწავლი, მწყემსი კაცი იყო. მართალია ძალიან უყვარდა და თითქმის ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“ და ვაჟა-ფშაველას პოემები, ასევე – ხალხური ლექსები თუ შაირები, თვითონაც კარგი მოლექსე და მომღერალი იყო, მაგრამ ეჭვი მეპარება, „ფარაონი“ საერთოდ წაკითხული ჰქონდა. ასე რომ, ჩემთვის ბიძაჩემის სახელის ეტიმოლოგია საბოლოოდ გაურკვეველი დარჩა.

ბიძაჩემი რომ მოვიდოდა, ბებიაჩემი გაშლიდა სუფრას, ის კი მოჰყვებოდა ამბებს, იქეთურსა და

აქეთურს, მთისა და ბარისას, ჩვენგან დავიწყებული ნათესავებისას. მას ყველა ახსოვდა, ყველასთან მიდიოდა და ნახულობდა. მერე ჩვენთან რომ მოვიდოდა, ვივებდით, ვინ როგორ იყო, ვინ სად წასულიყო და ვინ რას შესჭიდებოდა.

თანაც, როგორც ვითხარით, ამბებსაც იუმორით საყვარელი დეკლამაციით აფორმებდა. დალევაც უყვარდა და არ სწყინდებოდა, მე კიდევ – მისი მოსმენა. ასე, რომ შუალამედე ძილი არც კი გვანსენდებოდა.

ახლაც ბიძაჩემის მონათხრობი ერთი ამბავი მინდა მოვიყვებ.

„ჰოლა, იმას გეუბნებოდი ძმიშვილო, რომა მაშინ ახალი ჩასული ვიყავ ქალაქში. თბილისის აღმშენებლობა მიმდინარეობდა და მეც რომელიღაც (ეს მე ახლა აღარ მახსოვს, რომელი, თორემ ბიძაჩემმა ტრესტის ნომერი და დასახელება და „ზავგარისა“ და მმართველის სახელიც, გვარიცა და მამის სახელებიც ზუსტად ჩამომიკაკლა მაშინ) სამშენებლო გაერთიანებაში ვმუშაობდი სატვირთოზე. თბილისის ოპერის თეატრში „ოტელო“ იღებებოდა მაშინ. ერთი ნაცნობი ქალბატონის მიპატიჟებას ვაპირებდი და წინა დღეს ორი ბილეთი შევიძინე. არ ვიცი, ჩემი უყურადღებობის თუ გამყიდველის უგულისხმობის გამო, ბილეთები სხვადასხვა რიგის აღმოჩნდა.

ამიტომ ის ქალბატონი აღარ მომიწვევია და მეც აღარ ვაპირებდი წასვლას, მაგრამ სამსახურს რომ მოვრჩი და საათს შევხედე, ჯერ კიდევ საკმაო დრო იყო; სახლში წასვლას და გამოწყობას ვეღარ ვასწრებდი, მაგრამ არა უშავს, ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს – მეთქი და ოპერისაკენ ავიღე გეზი.

გამოვედი ტროტუარზე თუ არა, რას ვხედავ, ჩვენი ზაქიანთ გივია არ მააბოტებს. ისიც ჩემსავით სამუშაო „ტელეგრაფიკაში“ გამოწყობილი. აბა, გაგვიხარდა, გადავეხვივეთ, გადავკოცნეთ, მოვიკითხეთ ერთმანეთი. ამ დროს გამახსენდა ბილეთებიცა და გივია „ოტელოში“ მივიპატიჟე. ისე სწრაფად დამეთანხმა, მე მგონი, „ოტელო“ უფრო რესტორანი უნდა ჰგონებოდა.

ოპერაში რომ შევიყვანე, კი ჩაილაპარაკა ერთი, ეს სად მომიყვანეო. მაგრამ რაღას იზამდა, უკვე გასანდელთან ვიდექით რიგში. ხალხი „ნორკის შუბებსა“ და „კრაველის“ პალტოებს აბარებდა, ჩვენ ჩვენი მახუთიანი „ტელეგრაფიკები“ მივაწოდეთ და პარტერში შევაბიჯეთ, გივიამ – ალბათ პირველად და უკანასკნელად.

ერთი რიგით უკან მოხვდა, ჩემგან ხელმარცხნივ. აქ წარმოდგენის აღწერას არ შეუდგები, რომელშიც მთლიანად ჩავერთე და გივია აღარც კი გამხსენებია. აი, უკვე კულმინაციური მომენტი დადგა, ოტელო ახრჩობს დეზდემონას, ხალხი განცდებშია, ქალბატონებმა ცხვირსახოცებიც მოიმარჯვეს. სწორედ ამ დროს გამახსენდა გივია. გავიხედე და რას ვხედავ, გაშეშებული ზის და მიშტერებია სცენას ჩვენი ზაქიანთ გივია და ჩამაიდის ცრემლები ღაპა-ღუპით. ამის დანახვაზე ამივარდა ჰომერული სიცილი, ვეღარ ვიკავებ თავსა. მომვარდა მორიგე ადმინისტრატორი, გამიყარა ხელმკლავი, გამიყვანა ფოიეში. გამატარებს და გამომატარებს, გამატარებს და გამომატარებს, მე კიდევ ვამახსენდება გივიას ცრემლიანი თვალები და ვინჩრობი სიცილისაგან.



ისიც ისევ გამატარებს და გამომატარებს. ბოლოს, ცოტა რომ დავშოშმინდი, ადმინისტრატორი თან-გრძობითა და ფარული სიამაყით სავსე თვალებით შემომაცქერდა და გულში ჩამწვდომი ხმით მკითხა: – იმოქმედა, არა?!

რას ვეტყვოდი, პო-მეთქი, მაგრამ ისევ სიცილი ამივარდა.

ჩემდათავად, რა მოგახსენოთ და აი, გივიაზე რომ ნამდვილად იმოქმედა, ამაზე მისი ცრემლიანი თვალები მეტყველებდნენ.

ინფლაცია სადგურზე და სულში, ანუ საქართველო...

უთენია გავედი სადგურზე. ქუთაისში მივდიოდი. კაფეში შევედი, იქ შედარებით თბილოდა. დახლთან, რომელშიც ქაღები ელაგა, იდგა გოგო და ბიჭი, ძალიან ჰგავდნენ, ალბათ და-ძმა. გარეგნობაზე ეტყობოდათ, ქართველები იყვნენ. ძმა ასე თხუთ-მეტი წლის იქნებოდა, და – ცამეტ-თოთხმეტის. ძლიერ ნახმარი ტანისამოსი ეცვათ; ბიჭს ხალათის მაჯები გასცვეთოდა. ფეხზეც გაცრეცილი და დანაკერები წაღები ეცვა. დანახვისთანავე ჩემი ყურადღება მიიპყრეს. ორივე რაღაც ანგელოზური სახის იყო. თანაც დამაინტერესა, ამ დილაუთენია ასე მარტოდ-მარტონი სადგურში რომ იდგნენ. ვიფიქრე, არ ჰყავთ-მეთქი პატრონი ალბათ და მათმა ჩაცმულობამ უფრო განმამტკიცა ეს აზრი.

დახლს იქით ჩასუქებული რუსის ქალი იდგა. თვალებს აჟუჟუნებდა (ჯერ ისევ ჯანზე იყო) და ამთქნარებდა წამდაუწუმ ხელაფარებით. ბიჭმა ჯერ დახლი შეათვალიერა, მერე ფული, მუჭში რომ ეჭირა. ამ ფულით ერთი ქადა მოუვიდოდა და ერთიც წვენი.

– დეიდა, რამდენი უნდა ქადას? – რიდით იკითხა.

– „ჩტო ტი ნე ვიდიშ“, – მიურუსულა ნასუქმა, – „დვადცატ რუბლეი და თუ სოკიც დვადცატპიაც“. ბიჭმა ოცდახუთმანეთიანი გაუწოდა და დას მოუხმო – შენა ჭამე, მე არა მშია!

არაო, იუარა გოგონამ, შენ თუ არ შეჭამ, არც მე ვჭამო; – გუშინაც არა ვიჭამიო რა, – დაამატა.

ბიჭმა ერთი ქადა იყიდა და ერთიც – წვენი. ქადა გატენა. დიდი ნაჭერი დას დაუდო და წვენის ჭიქაც იმისკენ მიაცურა.

არა ვარ გულჩვილი, მაგრამ ტირილი მომინდა ამ სურათის დანახვისას და კიდევ გინება, რატომ-ღაც რუსულად.

სისხამი დილა იყო. ციოდა. ეს ორი არსება მობუზულ ბელურებს მაგონებდა, ზამთრის სუსხი რომ დაჰკრავთ ხოლმე პირველყინვობისას და ფრთებაწვეული, ხტუნვა-ხტუნვით რომ დაეძებენ საკვებს მითოვლილ ბუჩქის ძირებში და ერდოებზე...

ღმერთო, დაიფარე საქართველო და შეილნი მისნი!

* * *

მე ჩემ სევდაზე გიყვებოდი
გუშინ სიზმარში,
მერე გათენდა,
და ჩემი ხმა ჩამესმა ყურში...
გადაიარეს სულ ერთ წამში
გაზაფხულებმა;
და შემოდგომის სინოტივე
დატოვეს სულში...
მე დარდებს ვწერდი
მტრედისფერად შედებილ ჭერზე,
რომ არ მკითხა
უთქმელი და ნაცნობი განცდა –
ცარცით დაწერილ
უჩუმარ და ნაცნობ სიტყვებში
ცისფერ ოცნებას ასე რომ ასცდა...
შენ მკრთალ სიჩუმეს გაატანე
ჩემზე ფიქრები,
რადგან სიტყვებმა გადაფარეს
ოცნება ლურჯი,
ჩემი ცრემლები
ღრუბლის ქულად გადაქცეულა,
და სინატიფეც
უგულობით გამხდარა ურჩი...
...არც შენ მიდიხარ,
ვერც მე გტოვებ, დამყვება დარდი...
თითქოს სიჩუმემ დრო წაშალა,
და ეს სიშორეც,
რა შემიძლია –
მეც უღონოდ დავეყები დროს და
სიცარიელეს ვაფერადებ,
დარდს ვერ ვიშორებ...
კედელზე ჩვენი
ინახება სილუეტები,
ძველი წარწერა
ბგერებიდან გადმოსულს მოჰგავს,
ხელისგულს ვუშლი ღამის ზეცას
მთვარის მზეს ვუმზერ,
უსიყვარულოდ დარჩენილი
ასე რომ ბორგავს...

* * *

თეთრი სიჩუმე კედელზე ხატავს
 სევდისფერ ფიქრებს,
 მე ზურგით ვდგავარ,
 ვხუჭავ თვალებს და შენზე ვფიქრობ,
 ლაჟვარდიფერი თასმით შეუკრავს
 ჩემი თმა ფრინველს,
 რომ არ გავფანტო მონატრება
 სადღაც, სივრცეში.
 არ გემღურები, არც გსაყველურობ!
 ზურგით თუ ვდგავარ
 არაფერს არ ვცლი,
 ჩემს გრძნობებთან მარტო დარჩენილ
 შენს მონატრებას მივეყრდნობი
 დალილი ფიქრით,
 და წყენას წავშლი
 სევდას ცისფერს, თეთრი სამლეულით...

* * *

...სახურავებზე ეცემა წვიმა...
 სადღაც, ქუჩაში მიდიან ორნი...
 სარკესთან ახლოს დადგომა მინდა,
 გარკვევა მართლის ან იქნებ ჭორის.
 გეტყვიან მართალს – დარჩება კითხვა,
 გეტყვიან ტყუილს და იღიმები,
 ფიქრობ, რომელი ჯობია შენთვის:
 ნილაბი, ფარდა, მზე თუ გრიმები...
 სახურავებზე ეცემა წვიმა...
 აქ ვილაც მშვიდად ეძებს საფერფლეს,
 ვილაც უხეშად დგება შენს წინ და
 ნამწვავს პირდაპირ სულში გაფერფლებს.
 ვილაც კვლავ მოდის და მერე მიდის,
 სახეს უფარავს ყალბი გრიმები.
 ჩემი ფიქრები გაცვეთილ გზაზე
 მიდიან, როგორც პილიგრიმები...

* * *

დღეს ალბათ თოვლი ჩამოთოვს მთებში,
 და ჩამოიტანს
 სულშიც სითეთრეს – სათუთ მარგალიტს...
 აქ შემოდგომის კვალი ატყვია
 ეზოში ხეებს...
 შემორჩენიათ ორიოდ ხმელი ფოთოლი...
 თავს არ ვუტყდები, მაგრამ ახლა
 რას დავემალო?!..
 მე გუშინ მოგკვდი!.. უხმაურო,
 ნელი სიკვდილით (ჰო, ეს სიზმარში),
 რადგან დამალა
 სიყალბესთან რევერანსებმა!..
 ცაც რა თეთრია, უთუოდ მოთოვს;
 დღეს სხვა დღე არის!..
 გუშინ კი დარდმა დამრია ხელი;
 ადამიანებს გაუურბოდი,
 ჩემთვის ვიყავი სრულიად მარტო,
 გაყინულსა და
 მიტოვებულ ქვითკირის სახლში,
 სად მოგონებებს
 სძინავთ ახლა, შემაფხიზლებენ
 მძაფრი გრძნობები,
 სიზმარმორეულ ლანდებს ვხედავ
 და ვითვლი წამებს...
 კედლის სიღრმეში ჩაშენებული
 ხის მძიმე თარო
 ინახავს ცრემლით სავსე წერილებს,
 ფანქრით დაწერილს...
 ტკივილს ვერ ვმაღავ, რადგან ახლა
 გული აღარ მაქვს,
 (ადამ-იანთა უგულობისგან გარდაიცვალა...)
 მოგონებებიც
 თვალს მიეფარნენ, ვინხენებ, ვდარდობ...
 ქარია გარეთ, ზუზუნებს უხმოდ,
 სარკმილიდან აღწევს
 მზის სხივები ახლა ჩემამდე,
 იქნებ პასუხი ვიცი კიდევც,
 რატომ ვარ ახლა „ასეთი მარტო?“

არაფერს ვითხოვ,
 ცისარტყელების ფერებს ვნატრობ,
 ზეცას სერავდეს...
 ფანჯრის მინებთან მოფარებულ
 მოწყენილ ფოთლებს
 ხელით ვეხები,
 და ჩემ სევდას გადმოვბარებ
 ფოთლების ტკივილს.
 ზამთრის სინესტე გადააცლის
 ყრუ კედლებს ბათქაშს
 და დამაღონებს უნუგეშო
 თეთრი საღამო,
 რომ ერთგულებამ დაკარგა ფასი,
 ყოველ ნაბიჯზე
 იყიდება გროშებად ახლა
 ჩუმი სინაზე,
 ზამთრის საღამოს, დამჭენარ იებში
 გაცვლილ სიყვარულს
 ხატავს მხატვარი, ყიდის სიმართლეს,
 რომელიც ისე
 ძვირად დაუჯდა (თვალს არ უჯერებს),
 ხატვის სურვილი დაეკარგა,
 ვგონებ, საბრალოს...
 მელანქოლია თუ რაღაც მსგავსი,
 რა მემართება?!
 ვყიდულობ ნახატს...
 სიცარიელის შესავსებად კვიდებ კედელზე...
 ვუმზერ... ვკითხულობ...
 არა!.. ვუსმენ!..
 სიტყვებს კი არა, გულისთქმას ვუსმენ:
 „...გაფერადდება
 ნაცრისფერი კედლები ერთ დღეს,
 სიტყვებსაც ისე მოუსმენენ,
 როგორც მუსიკას“...
 დღეს ალბათ თოვლი ჩამოთოვს მთებში,
 და ჩამოიტანს
 სულშიც სითეთრეს – სათუთ მარგალიტს...

აღმოსავლური მოტივებიდან

...დასხდნენ, მოდრიკეს სიამაყე თვისი სულისა,
რადგან მიჯნურნი არ უნობენ ასულთ მგზნებარეთ,
მთვარეს შესთხოვენ სიყვარულის აღმურში

დაწვას
და სინატიფეს პირდებიან – ათას ერთ ღამეს;
ვნებიან ღამეს, როს სიმძაფრე სუნთქვა მიჯნურთა,
ისე მწველია, გადაბუგავს მზისფერ ბარხანებს,
წვეთი გრძნობების გადიქცევა ვნების მდინარედ,
დაეკარგება ფასი მათთვის ფარჩა-ბარხატებს.
ვარდის ფურცლებად გაყოფილი მათი ტუჩები
ჩუმად უბნობენ, სიყვარულის ჯადოსნურ ხმებზე,
თვალნი გიშერნი, თეთრ ფიქრებად დაწერენ

ზღაპარს,
სიტყვებს ალერსით მოახვევენ ჩამოქნილ მხრებზე...
სატრფოს ვნებიან დაკონებას მოწყურებულნი.
ბროწეულისფრად შეფერილა ტუჩები მათი.
ჰო, ხელისგულზე დააწყობენ დარჩენილ დღეებს,
რომ უწილადონ თვით სიცოცხლე, ერთი თუ ათი.
ო, მთვარე, მზეო, ნათელო და სულო გულისა,
თქვენამდე იქნებ მოიტანოს სიტყვები ქარმა,
ორი ასული, ტანკენარნი დამწველი გრძნობით
რომ არ ჩანაცროს უვნებოდ და უგულოდ აღმა,
აღმა, რომელმაც გაახვია ყველა მოკვდავი,
ცეცხლისფერ გრძნობად მეწამული, მიეთ-მოეთი,
და სულ ერთია – ვინ გამხდარა ვნების ტყვე ახლა,
მონა, მხევალი, მეფე, გონჯი, შლეგი, პოეტი...

* * *

დახრილ ფერდობზე დაეშვება ჩემი ბავშვობა,
მერე აღმართსაც ნაბიჯ-ნაბიჯ გადაივაკებს,
თვალწინ გაირბენს ბედნიერი ხანა კადრებად,
და მოგონებებს საპატიო ადგილს მიაგებს.
ჩემ გულში ახლა ათასგვარი ტკივილი მეფობს,
როს დედა-მიწა ვეღარ უძლებს ცეცხლოვან

გერგინვას,
გამოიდარებს, უსათუოდ გამოიდარებს!...
მე ჩემი ტვირთი სიცოცხლეშიც უსიტყვოდ
მიმაქვს...

ფერად დღეებში შევასახლებ უჩუმარ სევდას,
და სულ არ ვნანობ, რადგან ჩემთვის მთავარი
არის –
სიტყვა, რომელიც გადაწონის ათას სიკეთეს,
სიტყვას, რომელსაც ვერ დაახნობს ზუზუნი

ქარის.
იმედი ხვალის – ნოსტალგიას ფარდას აფარებს,
კრძალვით ვიხსენებ, რაც ძლიერად მიყვარდა
მაშინ,

...და მერე წვიმა, წყნარი წვიმა წამოვა ისევ,
და დამაბრუნებს ეფემერულ ჩემს ბავშვობაში...

* * *

....სულს ვერ გაყიდი, ვერ შეაჩვევ უგულო სიტყვებს, მაგრამ მოგიწევს გაუსწორო დაღლილი მხერა	მწარე სიმართლეს – ოცდაათ ვერცხლად ბზინავს მზეზე დღეს ერთგულებას!..
--	---

სოფო ბაშახანი



* * *

„სანამ ხარ, ისე დაღეკი მზისკენ, რომ
ყველა სხივი გადატყდეს შენში“...
ოთარ ჭილაძე

ცოდვა ცოდვაა –
ჩადენილი გულით –
უგულოდ, –
ერთ მარაქაში გარეულა
ორივ უთუოდ.
აბა, მითხარი,
რას დაარქმევ
ცოდვას ბუნების? –
გეძალება და დაგატარებს
მაცდურ ჰუნებით.
აგბედით ცოდვით
იძირება მთელი მსოფლიო,
ეცადო, იქნებ, პური ჭამო,
ალალ ოფლითო...
რამეთუ უწყი, მხოლოდ
ასე,
შენში
მყოფადობს,
უფალი
სხივთა უცნაური
უკვდავყოფითო.

* * *

თუნდა ჩამქოლონ, – ვიტყვი იმას,
ვფიქრობ რასაცა –
არც შეკაზმული მიმაქროლებს
ცხენი ცარგვალთან...
არ ძალმიძს, ერთი ვიფიქრო
და სხვა ვთქვა – ვაკეთო,
არც უფლის გარდა
ვემონები ვინმეს საერთოდ.

მას მერე კითხვა მაწამებს, დედი,
 შენ მიღალატე თუ გლალატობდი?
 მორიგეობით იფეთქებს ღენთი
 და ნამსხვრევებით მევსება მკერდი.
 ვხსნი... ვეძებ... ვფიქრობ...
 თავიდან ვიწყებ...
 ჰორიზონტს აპობს დღე-პატარძალა,
 უკიდურესად როდესაც ვიწყენ,
 კვლავ ჩემთან ჩნდება და მძლევ ძალას.
 ასე მგონია, რომ ისევ ბაღლი
 ვარ და მიველტვი ამ ნავსაყუდელს.
 ქართან ჩურჩული მომესმის ღალღის,
 დროც ჩერდება და შენს გზას გავყურებ.
 „ზამთრის სიცივეს“, როგორც შენ გრძნობდი,
 ახლა ხომ მეტი ახლავს ვაება,
 კდემამოსილი, მშვიდი ცხოვრებით
 ხარ ჩემი დიდი გარდაცვალება.

ყველას არ ძალუძს,
 რომ იყოს გმირი,
 რადგან ესაა ხვედრი
 რჩეულთა...
 სამაგიეროდ, მავანი
 გრიმით
 მეუცხოვება და
 მეურჩება.

ადამის წვრთნაა
 ყველაზე ძნელი,
 სიმაღლეში ზრდა –
 რარიგ ადვილი.
 ამ საწუთროში
 ასე გაზრდილებს
 კი უკავიათ
 ყველა ადვილი.

* * *

„და მერე კვართის პატრონიც მოვა“...
ქეთი დოლიძე

სასოება

მე ის ვარ, ვისაც შენ ეძებდი,
 ვაზი ვარ საჯიშე ყურძნისა,
 ციდან დასხლეტილი მზის სხივი
 და დედაბორჯღალი ფუძისა.
 ბოლნისის ნაკვეთი ლომები,
 ცხადად დატირება ირმისა,
 ათას ჭირნახადი ომებით,
 ჭრილობანახვევი სიყრმისა.
 მოვდივარ, მომკვივის ქარიცა,
 გზადაგზა ვკარგავდი სამზეოს,
 მაწყლოლებს რიწის და ქსანის ცა,
 ვგოდებ და მოგიხმობ ლაზეთო.
 თითო ქვა თანდათან მაცალეს,
 მაინც ამაყი ვარ შენითა,
 ვიდრე ქართულ სიტყვას ვაკენესებთ,
 დამარხულ განძსა ვფლობთ ენისას.
 ბაზალეთს ჩაკრული აკვანში
 ჩვილი ამ იდეით ვსაზრდობ,
 მცხეთაში დაფლული კვართით მაქვს,
 ეს წარუკვეთელი სასოო.

არსაიდანა არა სჩანს შეველა,
 არც გაკვირტულან შიშით კვირტები,
 შენ ამბობ: კვართის პატრონი მოვა
 და ეკლიანი ვზიდოთ მიტრები.
 დაუფლებია საღათას ძილი
 თვლემს, იძირება მთელი მსოფლიო.
 დრო არის ღმერთო,
 რომ ეს მანძილი, შენამდე განვვლო და
 სოფელს ვძლიო...
 შენ ამბობ: კვართის მოვა პატრონი, –
 მოვა და წყურვილს მოკლავს წყალისას
 იმედის დროა
 და სიფხიზლეში ივერიის ხმა უნდა გაისმას!
 ამას ნატრობდნენ დიდნი მეფენი
 და თუკი სისხლში გძალავს ქართული
 ხმები იბერთა, მოსკოთა, ხეთების
 ქვაში ნაკვეთი წელგამართული,
 ხომ ყველა სიბრძნეს ხვდებოდა გზები
 მათი გავლილი და გაკვალული
 უფალო, იხსენ, შენი მიწა და
 გამოაბრწყინე ესე მამული!

ქვახვრელი

რვალისხელა ყაყაჩოებს ვკრეფდი
 და შენს აჩრდილს ვულავებდი ფეხთით.
 რვალისხელა ყაყაჩოებს ვკრეფდი
 და შენ, მტკვარო, ასე რად გამეხდი?!
 ქვახვრელს ვკრეფდი მინდვრად ყაყაჩოებს,
 დაღვრილიყო აქ წვეთ-წვეთი სისხლად,
 შემომდგარი ცა მზის ხარაჩოზე
 ალივილივებს ოქროსფერად მტკვარის წყალს.
 ქარი არწევს უფლის ყაყაჩოებს,
 აქ ჩემ თვალწინ სისხლის მორევია.
 ქართლის მინდვრებს წლები სდარაჯობენ
 და თრიალეთს ყელი მოჰღერია.

* * *

ჰო, სინდისია, რომელსაც
 უნდა უსწორო თვალი,
 ის ერთადერთი გეომება
 და გმართებს ვალი,
 იოლად ივლი, თუ გავიწყდა
 ძარღვი შუბლისა,
 სამაგიეროდ,
 მოგაკლდება
 ძალა უფლისა.

ლიცერსეროლი ნერილი ღანი უხედაშვილი



ზეცას ნისლად გაყოლილი სათქმელი

ღალი გულისაშვილის ხსოვნას

უკანასკნელად უნივერსიტეტში შევხვდით ერთმანეთს, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თავყრილობაზე, დეკემბრის თვეში. იჯდა ერთ-ერთ მაგიდასთან. კიდეში, კოვიდრეგულაციის დაცვით და თავისებური, განსაკუთრებული კეთილშობილებითა და შინაგანი სითბოთი ავსებდა გარემოს.



მის გამოხედვაში ისევ ის სიკეთის სხივი გამოკრთოდა, რაც ახალი დროით დაღდასმულ, უჩვეულოდ გამკაცრებულ საუნივერსიტეტო აუდიტორიას ჩვენი სტუდენტობისდროინდელ ელფერს უბრუნებდა. თვალთ მიმიხმო და თავის გვერდით სკამზე მიმითითა. სწრაფად გახსნა ჩანთა და ღიმილით გამომიწოდა თავისი ლექსების ბოლო კრებული „ცად მივეყვები ნისლს“. სათაურიც რა სიმბოლური აქვს, არა?! დავხედე და გამახსენდა, რომ ცოტა ხნის წინ ამ წიგნის ელფერსია გადომიგზავნა, ახლა უკვე დაბეჭდილი და გამოცემული ეკავა ხელთ და სიყვარულით დაჰყურებდა. ეს იყო ქალბატონ ღალისთან ბოლო შეხვედრა, მისი უკანასკნელი და უძვირფასესი საჩუქარი.

ფურცლავ, თითოეულ სტრიქონს ჩაყურებ და მესმის ერთი ყველაზე პოეტური სულის პოეტის ხმა – თავისი ღირიზმით, სიფაქიზით, გრძობათა სისავსით გამორჩეული... ხმა, რომელსაც მკითხველთან მოაქვს ქალურად ნაზი, კრძალვით აღსავსე და, ამავე დროს, პიროვნული სიმტკიცით შედუღებული ემოციების მთელი კასკადი. როგორ აცოცხლებს და აცხოველებს ჩვენს ახალგაზრდულ მოვლებებს, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი სტრიქონები: „მელიქიშვილის ცხრაში, სანთელი

ქრება ჭალში“. რამდენის დამტვევია ეს ორი ხაზი, რამდენ ვნებათაღელვას აღძრავს მკითხველში, რომლის სტუდენტობას მელიქიშვილის გამზირზე ჩაუქროლია. ახლა ეს ტაქები დიდ, სევდიან რეალობას გვიცნობიერებს, ღალი გულისაშვილის მარადისობაში გადასახლების მწარე რეალობას... ჭალში ჩამქრალი სანთელი კი ახლა ჩვენს გულში კიაფობს, რადგან, როგორც თავად პოეტი ამბობს: „არის რაღაც ჩაუქრობლად დიდი, არის რაღაც დაუწველად წმინდა“.

ღალი გულისაშვილი თავისებური ხმის პოეტია. მის სატრფიალო ღირიკას გრანელისეული იდუმალება ახლავს... მისი სიყვარული ტყის ალქაჯივით აყვავებული შინდის ფერია, რომელიც გერმინის მუსიკად იღვრება სულში. მისთვის სიყვარული განაჩენია, რომელიც მოკლავს ან გადაარჩენს. ასეთია განცდის სიღრმე, აღაზასეული თავგანწირვით და ერთგულებით გამორჩეული. პოეტის სულიერი სამყარო მდიდარია გრძობათა ელვარებით, მაგრამ თან უსაშველოდ მარტო და ცარიელი – „დასახლებული შენი არყოფნით“. ამ საოცრად წრფელი ხმის ძახილი შინაგანი თრთოლვით აღავსებს მკითხველს და პოეტის სულის თანაზიარს ხდის მას.

ისე უბრალოდ, არა მარტივად, ისე სიღალით, არა მსუბუქად – მოაქვს ავტორს თავისი სათქმელი მკითხველამდე, რომ თავადაც მიჰყვები სიყვარულის გზა-ბილიკებზე: ხან ტყეში დაკარგული ობოლი ბიჭის ნაკვალევზე, ხან ცისკარივით ამობრწყინებული თეთრი რაშის კვალდაკვალ, ხან თოვლიანი სითეთრის მღუმარებაში, ხან რომანტიკით აღბეჭდილ სალონურ გარემოში...

და ყველგან ძახილი, ძახილი... მარტოსულობის ძლევის წადილი... თუმცა თვითონაც მშვენივრად უწყის, რომ „მარტობა სულის სამკაულია“.

პოეტის თვალი და გული წარსულსაც სწვდება. ძვირფას სახეთა გალერეაში ცოცხლდებიან ბებიის, პაპის, დედის, მამის, ახლო ნათესავთა ხილვა-ზმანებანი, რომლებიც მსჭვალავენ პოეტის ცნობიერსა თუ ქვეცნობიერს. ეს ის დაუმრეტელი ანკარა წყაროსთვალაია, საიდანაც იღებს სათავეს ღალი გულისაშვილის პოეტური და პიროვნული „მე“.

წინაპართა ხსოვნა მხოლოდ გარდასულ აზრდობებთან შეხმიანება როდია. ეს არის ერთიანი, უწყვეტი სულიერი კავშირი, რომელიც მუდმივად თან სდევს ღალი გულისაშვილის ცხოვრებას, შემოქმედებას. მისთვის წინაპრები მხოლოდ სისხლისმიერი ახლობლები კი არ არიან, არამედ მისთვის ისინი არიან სამშობლო, ვაზი, ვენახი, კარმიდამო, ღობე, ხავსიანი კრამიტი, ალუბლისა და ვარდის მურაბის სურნელი, ყვითლად აყვავებული შინდი, იასამნის პატარა ბუჩქი, ბებოს ლურჯი ქიშმირის კაბა, ამაყი და სევდიანი საყდარი... ეს ის სამყაროა, რომელიც ქმნის და ამთლიანებს პოეტის სულს და სამშვენიველს. ეს სულიერი სიწრფელე და სისუფთავე შობს ისეთ საოცარ რელიგიურ ღირიკას, როგორიცაა „მარიაშის მტრედების“ ციკლი.

დიდი სიფრთხილით უნდა მოიხელთო სიტყვა, რომ საკადრისად გადმოსცე შთაბეჭდილება, რომელსაც ამ ციკლის შედეგები აღძრავს. ნიმუშად ალბათ ესეც კმარა: „იესო, ღმერთო პატარავ, დაბადებულო ბაგაზე, ნაკვერჩხალივით ეკიდე ღვთისმშობლის ფერმკრთალ კაბაზე“.

ლალი გულისაშვილისთვის ორგანულად საცნაურია ქართველ კლასიკოსთა ნააზრევი, მათი სულის მოძრაობა, კალმის მიმოხრა. მათი სახე-ხატები ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს ამ კრებულს. უდიდესი სიყვარული და პატივისცემა იგრძნობა იმ რიტორიკულ შეკითხვებსა თუ მიმართვებში, რომლებითაც ესათუთება თითოეულ მათგანს. გურამიშვილი, აკაკი, ტიცციანი, ტერენტი, გალაკტიონი, პოეტი-ღენერალი გრიგოლი, სევდით სავსე ტატო... პოეტის სულიერი წილნაყარობა იგრძნობა მათდამი მიძღვნილ შემოქმედებით რკალში: „არის რაღაც ჩაუქრობლად დიდი“.

ლალი გულისაშვილის სამკვიდრო დღემდე იყო სამშობლოს „მაღალი ცა და დაღლილი მიწა“. ახლა უკვე სხვა განზომილებიდან ჩაგვესმის მისი სტრიქონები: „ჩემი საფრენი ზეცის თაღია, სამარხი – უფლის თეთრი ბაღია“. დაე, დაემკვიდროს მისი ლამაზი სული – „უარაფრობით ასე მდიდარი“ – უფლის თეთრ ბაღში.



სამი ნოეფს მანია ლიანონიძე



გზად უცხოეთისაკენ*

მიდიოდა, მაგრამ შორს წასვლაც არ უნდოდა. აქვე სადმე ჩამოვჯდები, – გაიფიქრა, – იქნებ ვინმე გამომეკიდოს და აღარ წაგნეტიალდე იქ სადღაც მოუსვლელში... ქვეყნისგან შორსო.

არავინ მოსდევდა, ძალით მოჰყვებოდა მხოლოდ ეზოდან, მასაც ეტყობა შიოდა, დილით გამოსვლამდე საჭმელის მიცემა დაავიწყდა, მეზობელს ჩააბარა, მიმიხედო, მაგრამ ჯერ კიდევ აღრიანი დილა იყო. იმასაც ვერ აცნობიერებდა, ვინ უნდა გამოჰკიდებოდა, არავინ ჰყავდა, არც ქმარი, არც შვილი, დედ-მამაც დაღუპვოდა რამდენიმე წლის წინ.

ინანა, დედისერთა რომ იყო, და ან ძმა რომ მყოლოდა, ისინი მაინც დამედევნებოდნენო.

მაინც ჩამოჯდა ქუჩის ბოლოს, მისი სახლის სახურავი ახლადამოსულ მზის სხივებში ლივლივებდა და ბრწყინავდა, კაკლის ხეც მოჩანდა, მწვანე ფოთლების სურნელი მასთანაც აღწევდა, სხვა

მეზობლებსაც ერგოთ კაკლები, მაგრამ არა, მისი განსაკუთრებული იყო, იმხელა ნაყოფს ისხამდა, ყველას შურდა. რა მინდა ნეტავ, სხვა ქვეყანაში, იქ რა უნდა ვაკეთოო, გაიფიქრა, გული მოეჭმუჭნა. გოგობმა, წადი, მილეთს ნახავ, იქნებ გათხოვდე კიდევო. რა ვიცი, აქ არავის ვუნდივარ და იქ ვის მოვუნდებიო, – ამოიხრა.

უცებ ხელმარჯვე გოგია დაინახა, ასე ეძახდნენ მეზობლები, არაფერი იყო ისეთი, მისი ხელიდან რომ არ გამოსულიყო, ყველა საქმეზე იწვევდნენ, უებრო ოსტატი გახლდათ. ამბობდნენ, დამ მიისაკუთრა მთელი სახლი, მისთვის კი ერთი პატარა ოთახი გამოყო, მანდ იჯექიო. ესეც დამორჩილდა, იმას იმდენი შვილი და შვილიშვილი ჰყავს, მე მეტი რად მინდა, მაინც არავინ მივის ამ ქვეყანაზე, ცოლი მე არა მყავს და შვილიო.

კაცი ჩაფიქრებულ ქალს მიუახლოვდა, გვერდზე მიუჯდა, საით გაგიწევია ამ ბარგი-ბარხანითო, ჰკითხა, მან არაფერი უპასუხა, დაბნეულად გადახედა ახალნაყიდ ჩემოდანს, ვალით რომ შეეძინა. გოგია ყველაფერს მიხვდა, მოულოდნელად ხელზე ხელი დაადო, ნუ წახვალო, სთხოვა, ქალმა გაოცებულმა შეხედა, ამ ქუჩაზე შენი გულისთვის მოვდივარ, გულში მყავხარ ჩავარდნილიო... ქალმა კიდევ მეტი გაოცებით შეხედა კაცს, რომელიც მუდართით და სიყვარულით შესცქეროდა. შენც ეგ არ გინდოდა, ვინმე გამოგკიდებოდაო, უთხრა თავის თავს. მე რე დაკვირვებით შეაცქერდა სახეში გოგიას, მოეწონა მისი ლურჯი თვალები, კენიანი ცხვირი, შეჭალარა-ვებული თმები, საოცარი ღიმილი, მაგრამ ასე უცებ როგორ დავთანხმდებო, – ჭოჭმანი დაიწყო.

გოგია უთქმელადაც მიხვდა, რას ფიქრობდა ქალი, მისი ჩემოდანი ერთ ხელში აიღო, მეორე ხელი ხელში ჩასჭიდა და სახლში შეიყვანა. მეორე დღეს მეზობლობა მათ შეუღლებას ზეიმობდა, ძველი მამაპაპური სახლიც სულ სინარულით გუგუნებდა. მხოლოდ გოგოები, ცხრა ზღვას იქით გადაკარგულები თუ აქ დარჩენილები, ჭორობდნენ, ბილეთები ავუღეთ, ბედი გავუხსენით და ეს კი ისევე ამ წუმბეში დარჩაო.

* ნოველამ რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსზე პრიზი დაიმსახურა.

ღრუბლებიდან მზე იჭყიტებოდა და თითქოს თვალს უკრავდა, ქალიც დაჟინებით შესცქეროდა ცას, იქიდან ელოდა შველას, ღმერთს სთხოვდა დახმარებას, ყველაფრის და ყველას იმედი დაეკარგა, ერთადერთი შვილი ჰყავდა, ისიც ავად გაუხდა, საავადმყოფოში ეწვინა, ნუთუ, ეს არისო ღვთის სამართალი?! – ღმერთის არსებობაშიც ეჭვი შეეპარა, მაინც წყალწალღებულებით ხავსს ეჭიდებოდა.

მუქი ღრუბლების მიღმა სინათლის სხივი კი-აფობდა, იმას მიენდო, იმას ჩაებლაუჭა თვალებით, გულითაც და სულითაც. მზე ნიშანს მძლევსო, ძალა მოიკრება, არ მოკვდება ჩემი შვილიო... და საავადმყოფოსკენ გასწია.

პალატაში შესულს მზის სხივიც შეპყროლოდა, შვილის სახეს დასთამაშებდა, ახალგაზრდა კაცს ეძინა, ნეტარების ღიმილი ისახებოდა მის სახეზე. ნეტავ, რას უნდა ნიშნავდესო ეს, – ფიქრობდა ქალი, გაუნელებელი ტკივილებით იტანჯებოდა აქამდე შვილი.

ქალმა ამოაწყო პროდუქტები ჩანთიდან, რისი ჭამაც შეიძლებოდა ავადმყოფისთვის, ჩუმად მოძრაობდა, არ გაგაღვიძო, ძლივს დაუძინა ბედნიერადო. იქვე სკამზე ჩამოვდა და მიეყურდა, მასაც ჩაეძინა, სიზმარი ნახა, ანგელოზები დასტრიალებდნენ მის შვილს თავს, რიგრიგობით მიჰქონდათ მის პირთან წყალი და ასმევდნენ, თითქოს მზეში ამოვლებულიყო მთელი სამყარო, კოვზებიც ოქროსფერი იყო, იქიდან გადმოღვრილი წყალიც, ხუჭუჭა ოქროსფერთმიანი ანგელოზები დიდხანს დარჩნენ ავადმყოფთან, მზით ავსებულებო ფანჯრები, ოთახი, მზით გაჯერებულიყო ავადმყოფის ტანიც.

გაეღვიძა, შვილს შეხედა, მიტკალივით თეთრი იწვა, ილიძებოდა, დაგძინებიაო, დედას უთხრა, დედამაც გაუღიმა, – ახლა მივხვდი, რა უნდა გაგაკეთოო, – წამოიძახა, სკამიდან წამოდგა და პალატიდან გავიდა.

მეორე დღეს შვილი საავადმყოფოდან წაიყვანა, რა თქმა უნდა, ხელწერილით, არწმუნებდნენ, მოვარჩინეთო, არავის დაუჯერა. ერთი კვირის მერე ზღვაზე წაიყვანა, ამომავალი მზის სხივების ქვეშ იწვა კაცი, ოქროსფერი მუქი ეღვრებოდა სახეზე, მოიმატა მუქმა, მთელი ტანი დაფარა სხივებმა, ქალს მოეჩვენა, ანგელოზები დაფრინავდნენ მის გარშემო და შვილს უკვდავების წყალს აწოდებდნენ ოქროსფერი კოვზებით...

რამდენიმე თვე დაჰყვეს ზღვაზე, კაცს ნელ-ნელა ტკივილები შეუმცირდა, მალე სრულიად გამოჯანმრთელდა. დედა-შვილმა დიდი ქონება შესწირა ეკლესიას გლახაკების დასახმარებლად, მას მერე მათ სახლში არასოდეს ჩამქრალა რწმენის სანთელი.

ნატა და გიორგი დიდი ხნის დაქორწინებულნი არ იყვნენ, რომ მათ ურთიერთობაში რაღაც უცნაურობა გამოჩნდა: ახალგაზრდა მამაკაცი ყოველ ღამე სკაიპში ესაუბრებოდა მეგობარ გოგონას, თავის კლასელს, რომელთანაც დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებდა და მასთან ლაპარაკს არაფერი ერჩინა.

ნინო იმ სოფელში ცხოვრობდა, სადაც გიორგი გაიზარდა, მოაყოლებდა ამ მთისას და იმ ბარისას, თავისი სახლ-კარის ამბავსაც გამოჰკითხავდა, უპატრონოდ რომ ჰქონდა მიტოვებული, რადგან მშობლები დიდი ხანია უცხოეთში წასულიყვნენ სამუშაოდ, თვითონ კი ვერ იცლიდა იქ ჩასასვლელად, ბანკში მუშაობდა და არაქათგამოცილოს იქითკენ გახედვაც აღარ უნდოდა.

ერთ დღესაც ნინომ გამოუცხადა, შენს ეზოში უცნაური ხე ამოვიდა, ხელებით გაუწვდია ტოტებით, თითქოს რაღაცას ითხოვსო.

გიორგიმ ხის სანახავად წასვლა გადაწყვიტა, ნატაც გაჰყვა, მართო არ გაუშვა მიუღლე. ჩავიდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი სოფელში, გიორგიმ გადახედა მამულს, ბალახს გადაეგლო ეზოსთვის, მაგრამ შუაში მართლაც იდგა საოცარი ხე, ხელებგაწვდილი მათხოვარივით. გული ეტკინა ახალგაზრდა კაცს, ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს ეს ამბავიო, პირველად გადაიწერა, ქვედა ტოტები შენმობოდა ხეს, მოაჭრა ის ორი ტოტი, ხედავს, სისხლივით წითელი სითხე დაედინა, თითქოს ადამიანი ყოფილიყო.

მეორე დღეს საშინელი ამბავი მოუვიდა უცხოეთიდან, დედა-მამა ავტოკატასტროფაში დაღუპულიყო, ვილას ეცალა ხისთვის, სულ გადაავიწყდათ.

მშობლები დაკრძალა, ერთ დღეს ეზოში რომ შევიდა, ისევ იმ ხემ მიიქცია მისი ყურადღება, წითელი ყვავილი გამოსვლოდა, ძალიან ლამაზი, ნატას დაუძახა, შეხედე, რა ლამაზი წითელი ყვავილი გამოუღიაო, ცოლმა ყვავილის დანახვაზე მიახარა, ფეხბძიმედ ვარ, ბავშვს ველოდებიო... გოგონა ეყოლაო, ახლა უფრო ხშირად უწევდათ სოფელში ჩასვლა, ბავშვს ჰაერი სჭირდებოდა, გაიფურჩქნა უცნარი ხე, სტუმარი დაარქვა მეზობელმა ნინომ, რომელიც არცთუ იშვიათად შემოორბენდათ ხოლმე, ბავშვის გაზრდაში ეხმარებოდა ახალგაზრდა მშობლებს.

ისევ შეახმა ტოტი უცნაურ ხეს, პაპა გარდაეცვალა გიორგის, მეორე შეახმა, – ბებია. საშინლად იდარდა, ეს ხე უნდა მოვჭრა, კარგს არაფერს წინასწარმეტყველებსო. ატირდა გიორგის პატარა თეკლა-გოგო, ძალიან მიყვარს, ნუ მოჭრიო...

წამოიზარდა და მისი მშობლებიც უცხოეთში წავიდნენ სამუშაოდ, ქვეყანაში შიმშილობა იდგა, პურის ფულიც აღარ იშოვებოდა. ნინოს დაუტოვეს ბავშვი, მაინც მოჩვეულია შენთანო. ნელ-ნელა ისევ ანებოდა ტოტები უცნაურ ხეს, კვირტი კი იშვიათად გამოსდიოდა, უკვირს ნინოს, ნეტავ, ბავშვის მშობლებს არაფერი დაემართოთ. ამშვიდებდა თეკლა, გავიზრდები და ნახავ, სულ გაიკვირტებაო ხე, წითელი ყვავილებით დაიხუნძლებაო, ნინოც იძუდს არ კარგავს, შეჭხარის თეკლა-გოგოს, ელოდება მის გაზრდას, ის მაინც იმრავლებს და იხარებსო ამ მიწაზე.




* * *

გუშინ სამშობიარო დაბობმეს!
ეზოში კი გადარჩა
თეთრი ენბელა...
ოღონდ მიწაში
გულის ფორმის ბოლქვი
გასკდა და... მერე
ყვავილის ფოთლებს
ჩუმად შეაკანკალათ...

თებერვლის პიეტა

წყალი ღვება და ღეროები ფერებს იცვლიან,
ცვილისფერია თებერვალი ახლა ოთახში,
თხოვნა-ვედრება სამყაროში აღვლენილია...
ღელვიან სულში ომის ღმერთი იხსლავს ვენახებს...
ვერ ვნახე ჩემი აფხაზეთი – მოქვი, ილორი,
როლს არ იცვლიან მანქურთები, მზერით
მონღოლის...
ნაღმი ფეთქდება, სიყვარულის გადასამღერი
ღამის უბეში თავად ირწევს სასო ჩვილნათელს...
ჩემს ყაყაჩოებს აფხაზეთში ექოს ვუგზავნი,
მგზავრი შემხვდება მეაღილო, სისხლით კომანის,
ნამკილ მზის ველზე ბერის წმინდა სხივობს ოლარი,
ღირას მიწვიდან ნისლებიდან ის მეომარნი
ნარიან გზებს რომ აეკაწრნენ... ნავლის
ღრუბლებით
ღრმა ჭრილობებით დასერილა გული – ბედია...
ბედის კამათლით მონღოლური ღამე ღრიალებს...
ღარებს ვერ ვუთვლი დედამიწას, წვიმაც ბრალია...
ბრიალ-ბრიალით... ცოდვა-მადლის მწვავეს
საპირწონე...
...არ იწონება სამშობლო და თავისუფლება!
ფლობს გაზაფხული ჯერარნახულ ძალას ნუშების!

24 თებერვალი, 2022 წ.



* * *



როდესაც დედებს რძე უწყალობდათ
და ჩვილებს ლოყები ეღლებათ წოვით;
როდესაც გარეთ თოვლი არის,
მაგრამ ეზოებს სიქათქათე
არა აქვთ თოვლის, –
ესაა ომი!..
როცა თოვლისფერ თვალებიდან
ამოსული ენბელები უმოწყალოდ
ჭკნებიან თრთოლვით...
და როცა დამჭუნარი ენბელები
მძევლებივით მკვიდრდებიან
ჯერაცგაუთხრელ
საფლავეებს შორის, –
ესაა ომი!..
როდესაც გარეთ თოვლი არის,
მაგრამ ეზოებს სიქათქათე
არა აქვთ თოვლის;
როდესაც დედებს რძე უწყალობდათ
და ჩვილებს ლოყები ეღლებათ წოვით...
.....
და როცა ღმერთიც დაღლილია, –
ესაა ომი!..


* * *

ბობოქრობს ღამე, როცა გვამებს ვეღარ მარხავენ
და უნდათ ქარებს ეს გვამებიც თოვლად
გახვეტონ, –
მაგრამ სანამდე დარდისხელა მზესაც ვნახავდეთ,
ცოდვილობს მთვარე, დაღლილ სულში
რომ ჩაგვახედოს...
როცა ვერძების თავრიელზე ეცემა შუქი
და საღვთო ხარებს ისევ უწევთ მეტწილად ქმინვა,
მე სულის სარკე მივიჩნიე შეწვენად უფლის, –
თითქოსდა, სამკვრე ანათებდეს
ნესტიან შინას...
თუმცა ნისლებმა გზებთან ერთად ხალხიც გახიზნეს
და გაცრეცილი ზეცის ფერიც ავად ღამურობს,
სულის ძახილი მღუმარებას მაინც აფხიზლებს
და გადარჩენაც საუკუნო
წამად ხმაურობს...
როცა ვერძების თავრიელზე ეცემა შუქი
და საღვთო ხარებს ისევ უწევთ მეტწილად ქმინვა,
მე სულის სარკე მივიჩნიე შეწვენად უფლის, –
თითქოსდა, სამკვრე ანათებდეს
ნესტიან შინას...

რეპაზი ინანიშვილის სახელობის
„ერთი მოთხრობის“ კონკურსი

წიგნები





ჟურნალ „ანეულის“ შემომწირველები:

თამარ შაიშველაშვილი, ფიქრია ჩუბინიძე, გულიკო ზუმბაძე, დალი მაზმიშვილი,
ნინო არსენაშვილი, თამარ გაბროშვილი, დალი ჯორბენაძე,
კვატერინე ოთარაშვილი, კვატერინე ფავლენიშვილი.

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“
რეკვიზიტები:

ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22
ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000306158900

თიანო ფლანტის ნამუშევრები



სტუდია — გაბიჭიულის სტუდია